მატიანე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

№16

ვანი
Вани
Vani
2019 წ.

სარჩევი

1. გრიგოლ აბაშიძე
ფიქრები საქართველოს რუკაზე 3

2. ლეო ჩიქავა
დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები 4

3. ინდირა გოგოძე
მატრიარქატის დაბრუნება საქართველოში ანუ დედაკაცობა XXI საუკუნის ქართველი მანდილოსნისა 12

4. ომარ კაპანაძე
კიდევ ერთხელ ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ეკონომიკის ზოგადი ტენდენციების შესახებ 19

5. ავთანდილ ნიკოლეიშვილი
სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურული ჟანრის ფუძემდებელი ქართულ მწერლობაში 34

6. ლუკა დვალიშვილი
ილია ჭაჭავაძისა და ივანე მაჩაბლის საბანკო დაპირისპირება. ივანე მაჩაბლის მკვლელობის ახალი ვერსია 46

7. გია კვაშილავა
პროტო-ქართველური წერილობითი ძეგლების — ხაზოვანი წარწერების ამოკითხვის შესახებ 56

8. მანანა ვაშაყმაძე
ძველი კოლხეთი, მითები და ღვთაებები 64

9. ომარ გაგუნია
ანტიკური ვანი და მისი გარე დასახლებები 73

10. მაია ჭელიძე
მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა? (გაგრძელება) 79

11. მარიამ შუბლაძე
როგორ შეიტანეს ევროპაში ცივილიზაცია იბერიულმა ტომებმა და რით დასტურდება ქართული გავლენები ინგლისზე, ესპანეთსა და საფრანგეთზე 90

12. ომარ ძაგნიძე
კონსტანტინე (კოტე) ყიფიანის ლექსიკოგრაფული მოღვაწეობის შესახებ 93

13. აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე
სოფელი მთისძირი 99

14. შალვა შარაშენიძე
ჩემი სოფელი 115

15. ლუიზა ტაბიძე, ია შათირიშვილი, აკაკი თევზაძე
ვანის №2 გ. ტაბიძის სახელობის საჯარო სკოლა 126

16. ინდირა გოგოძე, გიორგი ივანიაძე, აკაკი კორძაძე
სოფელი მუქედი 136

გრიგოლ აბაშიძე

ფიქრები საქართველოს რუკაზე

შენს რუკას - შენი ბრძოლების სარკეს,
წეწდა და გლეჯდა ბედი წყეული,
ძონძებს ჰგავს შენი მიწა-წყლის თარგი,
დაფლეთილია შენი სხეული.

ბაღ-ვენახიანს, ციხე-ტაძრიანს
შენს სამხრეთს ხურავს ცა გაუხსნელი,
მავანს და მავანს მიუტაცნია,
სხვათა და სხვათა ადგას უღელი.

რაც დღემდის მოგყვა, რაც შეგრჩენია -
კოდორიანი, ალაზნიანი,
თუმც შენი ჰქვია, რაღა შენია,
ისიც გამხდარა სხვათა ზიარი.

მუხას წააქცევს ლერწამს კი არა
პირალესილი ამდენი ცული,
რა მოგიშუშებს ამდენ იარას,
რამ მოგირჩინოს ამდენი წყლული!

და რომ გეხვევა ღრუბელი ბნელი
შორიდან როგორ გიყურო მშვიდად,
ნუთუ დამხობა ჩვენს დღეში გელის,
დაუდევრობით შენთავე შვილთა!?

არა, შენ წელში ისევ სწორდები,
რომ კვლავ წამოდგე ბუკით, ნაღარით,
ისევ იწევენ მზისკენ ყლორტები,
შენს ძველ ფესვებზე უხვად ნაყარი.

დიდება ამ დღეს, დიდება ამ დღეს,
ბორკილი ეგდოს ძირს დამსხვრეული,
ლაზარესავით, ხვალ ისევ აღდგეს
დღეს დაფლეთილი შენი სხეული!

კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან

*„ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი,“ ცენტრის კრებული „მატიანე“ მკითხველს სთავაზობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ლეო ჩიქავას უაღრესად საინტერესო ნარკვევს – **„დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები“**.*

საკითხის აქტუალობა დღითიდღე მატულობს, რადგანაც ჩვენი სამშობლო მთელ რიგ პრობლემათა გამო შევიდა განვითარების იმ ველში, რომელიც თავისი უარყოფითი ტენდენციებით უკვე აისახა ერის დემოგრაფიულ მონაცემებზე და პროცესი გრძელდება დღემდე.

უდავოა, ბატონი ლეო ჩიქავას ღრმა და დიდი კომპეტენცია მოცემულ საკითხში. მისი მსჯელობა დაფუძნებულია ფაქტობრივი მონაცემების მეცნიერულ ანალიზზე და იგი ერთგვარი გაფრთხილებაა სამომავლოდ.

კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგია უდიდეს მადლიერებას გამოხატავს აწ განსვენებული პროფესორის, როგორც ერის სიყვარულით შემოსილ, ერის მომავალზე დაფიქრებული პიროვნების მიმართ, რომლის მსჯელობაც მოცემულ საკითხზე, ჩვენი აზრით, სახელმწიფოებრივ რანგშია ასაყვანი.

აღნიშნული საკითხის გამოქვეყნებით ჩვენის მხრივ პატივს მივაგებთ ბატონი ლეო ჩიქავას სამარადისო ხსოვნასაც.

მადლობას ვუხდით ბატონ გიორგი ჩიქავას, ბატონი ლეოს ვაჟს, რომ დაგვრთო ნება ჩვენს კრებულში გადმოგვებეჭდა ბატონი ლეოს ეს აქტუალური და ღრმად მეცნიერული ნაშრომი.

ლეო ჩიქავა – პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ ოპტიმალურადაა იგი გაჯერებული ადამიანისეული რესურსებით, როგორია მოსახლეობის ზრდის ტენდენცია, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, დემოგრაფიული დაბერების დონე. ეკონომიკური აქტიურობა, პროგნოზური მაჩვენებლები და ა.შ. ამიტომ თანამედროვე პირობებში საქართველოში მეტად აქტუალურია მოსახლეობის არასაკმარისი ოდენობით გამრავლებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების, აგრეთვე დემოგრაფიულ დაბერებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა, თანაც არა იზოლირებულად, არამედ მსოფლიოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო კანონზომიერებათა შუქზე.

როგორც ფაქტობრივი მასალების ანალიზი ცხადყოფს, საქართველოში დემოგრაფიული ვითარების გაუარესება გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისიდან წარმოქმნილ არაორდინალურ გარემოებათა გამო, იგი კიდევ უფრო გამწვავდა. მხედველობაში გვაქვს შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილთა მოკვდაობის) მაღალი დონე და, როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლეობის რიცხოვნობის აბსოლუტური კლება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ძირძველი მოსახლეობის – ქართველთა გენოფონდს.

შობადობის დინამიკა საქართველოში, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება: თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში იგი 40 ბავშვს შეადგენდა, 1913 წელს შეადგინა 28, 1960 წელს – 24,7, 1990 წელს – 17, 1, ხოლო 2010 წელს ჩამოვიდა 13 პრომილემდე. საგრძნობლად იკლო შობადობის ჯამურმა კოეფიციენტმაც. 1960-2010 წლებში იგი 34,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ეს პროცესი ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

ასეთი ტენდენცია არა მხოლოდ ქართული მოვლენაა, არამედ გლობალური კანონზომიერებაა, რაც დასტურდება ფაქტობრივი მონაცემებით: 1960-2010 წლებში მსოფლიოში საშუალო, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 43,4, ხოლო ჯამობრივი კოეფიციენტი 47 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

საქართველო გამოირჩევა შობადობის ფრიად დაბალი დონითაც. მაგალითად, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში თუ არ აღემატება 13 პრომილეს, მსოფლიოში საშუალოდ უდრის 20 პრომილეს. ამ მაჩვენებლით საქართველო კიდევ უფრო მკვეთრად (22 პრომილით) ჩამორჩება მსოფლიოს ყველაზე სუსტ განვითარებულ რეგიონებს.

ასეთივე სურათი შეიმჩნევა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვითაც. 2010 წლის მონაცემებით იგი მსოფლიოში საშუალოდ უდრის 2,5-ს, ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებულ ქვეყნებში 4,5-ს. განვითარებად ქვეყნებში 2,7-ს, ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებსა და აგრეთვე, საქართველოში 1,7-ს, მაშინ როდესაც თაობათა თუნდაც უცვლელი ოდენობით განახლებისთვის ეს მაჩვენებელი უნდა იყოს არანაკლებ 2,1-ისა, ანუ 210 ბავშვისა ყოველ 100 ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე.

ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოშიც შობადობის კლების პროცესის დაწყება და თანდათანობით გაღრმავება განაპირობა წინა ეტაპებთან შედარებით, ოჯახის ფუნქციების ძირეულმა ტრანსფორმაციამ, ურბანიზაციამ, ქალთა ემანსიპაციამ, ბავშვთა ინტელექტუალური აღზრდისადმი გაზრდილმა მოთხოვნამ, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციამ და რაც ყველაზე მთავარია დაქვეითებული რეპროდუქტიული განწყობისა და მისი შესაბამისი რეპროდუქტული ქცევის ჩამოყალიბებამ, ბავშვთა შობის შიგაოჯახურმა გაცნობიერებულმა რეგულირებამ და ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების (ოჯახში შვილების სასურველი ოდენობის) შემცირებამ. ახალგაზრდების (ძირითადად სტუდენტების) გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ 1973 წელთან შედარებით, 2007 წელს ოჯახში ბავშვთა სასურველი რაოდენობა საშუალოდ 2,85-დან 2,48-მდე შემცირდა.

როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის კვლევის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რესპონდენტებმა 50 უნივერსალურ ფასეულობას შორის მრავალშვილიანობას მხოლოდ 41-ე ადგილი მიაკუთვნეს. პასუხი: „რას უნდა მიანიჭოს უპირატესობა – 4 და ზრდას? რესპონდენტთა 82,5% უპასუხა: „ნაკლები ოდენობის შვილების ყოლას და მათ სრულყოფილ აღზრდას“. რესპოდენტთა მხოლოდ 17,5%-მა უპირატესობა 4 და მეტი შვილის ყოლას მიანიჭა.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, გათხოვილი ქალებისთვის დასმულ კითხვაზე თუ რამდენი შვილის ყოლას აპირებენ (სახეზე მყოფთა ჩათვლით), პასუხები ასე განაწილდა (%-ობით): არცერთის – 2,2; ერთის – 12,1; ორის – 51; სამის – 25,9; ოთხის – 6; ხუთის – 1,5; ექვსისი – 1,3.

ამრიგად, რომ არაფერი ვთქვათ შვილების ყოლისადმი საერთოდ უარყოფითად განწყობილ 14 595 გათხოვილ ქალზე (2,2%), ერთი ან ორი შვილით აპირებდა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოხდას გათხოვილ ქალთა 63,1%, ხოლო სამი და მეტი შვილის გაჩენასა და აღზრდას გვპირდებოდა მათი მხოლოდ 34,7%. ეს დანაპირები გათხოვილმა მანდილოსნება „გადაჭარბებით“ შეასრულეს, რაც ჩანს იქედან, რომ მაგალითად 2008 წლისთვის პირველი და მეორე შვილის ხვედრითმა წინამ 87,5% მიაღწია, მესამე და მომდევნო შვილების ხვედრითი წონა კი 12,5%-მდე შემცირდა.

ფრიად საგულისმო ფაქტია ის, რომ ადრინდელი ეტაპებისგან განსხვავებით დღეისათვის ოჯახში შვილთა არამარტო რეალურად მოსალოდნელი, არამედ სასურველი რიცხოვნობაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის არამც თუ გაფართოებულ, მარტივ აღწარმოებასაც კი. ამის ძირითადი მიზეზი ქვეყნის ეკონომიკის არარაციონალური ფუნქციონირება და მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონეა. ასე, რომ მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებას შეუძლია მნიშვნელოვანწილად მიუახლოვოს ოჯახში ბავშვთა ფაქტიური რიცხოვნობა მათ სასურველ რიცხოვნობას და საერთოდ, თვალსაჩინო წვლილი შეიტანოს დემოგრაფიული განვითარების ნორმალიზებაში. ასეთი შესაძლებლობა, ანუ რეალური რეზერვი რთულ დემოგრაფიულ ვითარებაში მყოფ, მაგრამ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არ არ-

სებობს, რამდენადაც იქ თითოეულ ოჯახს ჩვეულებრივ იმდენი შვილი ჰყავს, რამდენიც სურს და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების გამო ოჯახი შვილთა წინასწარმოაზრებულ რაოდენობას არ გაზრდის.

საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუარესებაზე მეტყველებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირების ტენდენციაც. ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით იგი შეადგენდა 1980 წელს 10-ს, ხოლო 2007 წელს – 5,7. ასეთ კონტრასტულ მაჩვენებლებს მთლად დამაჯერებლად ვერ მივიჩნევთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქორწინების ცერემონიალი, არცთუ ისე იშვიათად, მთავრდება საეკლესიო ჯვრისწერით და არ რეგისტრირდება იურიდიულად.

საქართველოში შეიმჩნევა დაქორწინებულთა შედარებით დაბალი, ხოლო დაუქორწინებელთა მაღალი ხვედრითი წონა. საქართველოში 2002 წლისთვის ქორწინებაში იმყოფებოდა 15 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 60,4% (მათ შორის ქვემო სვანეთში – 52,7% და ზემო სვანეთში – 48,1%), ხოლო არასოდეს ყოფილა დაქორწინებული 25,6% (მათ შორის ქვემო სვანეთში – 34,3% და ზემო სვანეთში 40%). მოსახლეობის რაოდენობით ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა 882,2 ათასი დაუქორწინებელი მოქალაქე ფრიად მაღალი მაჩვენებელია. ამასთან, თუ შედარებით ხნიერ ასაკში დაქორწინების ტრადიციის არსებობასა და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის 11% ქვრივია, არც ისე ძნელი იქნება გამოთვლა იმ წვლილისა, რაც ამ ფაქტორებს მიუძღვის დემოგრაფიული განვითარრების ნეგატიური ტენდენციების დამკვიდრებაში.

რაც შეეხება განქორწინებას ეს მაჩვენებლი საქართველოში ყოველთვის დაბალი იყო, განსაკუთრებით ქართველ მოსახლეობაში. 2007 წლის მონაცემებით იგი 0,5% არ აღემატებოდა. ეს მაჩვენებელიც ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავისთავად რატომ არ არის უფრო მაღალი, არამედ იმიტომ, რომ 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია თითქმის სამჯერ. არადა, ეს არის პერიოდი, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სისხლისმღვრელ ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით ბიეთნიკური (შერეული) ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა.

განქორწინების საერთო სურათი ასეთია: 2002 წლისთვის საქართველოში განქორწინებული იყო სულ 103,4 ათასი მოქალაქე (მათ შორის 26,9 ათასი მამაკაცი და 76,5 ათასი ქალი) რაც 15 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის 3% არ აღემატება. განქორწინებულთა ასეთი მცირე ხვედრითი წონა საქართველოში ოჯახის ერთგავრი კულტის არსებობითა და ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით მისი ტრადიციულად მეტი სიმყარით აიხსენება.

განქორწინების ესოდენ დაბალი დონის მიუხედავად თითოეული განქორწინების როლი და მნიშვნელობა ქორწინების ზოგადი კოეფიციენტის შემცირებასთან დაკავშირებით მატულობს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნეგატიური მაჩვენებელია რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მაღალი ხვედრითი წონა. თუ 1980 წელს ის მხოლოდ 4,7% იყო, 1990 წელს 18,2%, ხოლო 2006 წელს 54,4%-მდე ავიდა, უკანასკნელ პერიოდში რამდენადმე შემცირდა და 2008 წელს 34,3% შეადგინა.

იმის გამო, რომ ყველა ქორწინება სახელმწიფო ორგანოებში არ რეგისტრირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით არარეგისტრირებულ ოჯახებში დაბადებული ბავშვების გარკვეული ნაწილიც ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულად ითვლება, რაც ხელოვნურად ზრდი მათ რაოდენობას და რეალურ ვითარებას მრუდედ წარმოგვიდგენს. ამ მომენტისა და ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენადმე შემცირების გათვალისწინების შემთხვევაშიც, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რიცხოვნობა ძალიან მაღალია და არაერთ მწვავე პრობლემას წარმოშობს. მხედველობაში გვაქვს მამის (ზოგჯერ დედის) მხრივ მზრუნველობა მოკლებული ბავშვების აღზრდასა და სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული სირთულეები და არა მარტო ეს.

ყურადღებას იქცევს ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მენტალიტეტის შესწავლაც. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით ქორწინების გა-

რეშე ბავშვის გაჩენისადმი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა რესპონდენტთა მხოლოდ 18%, 62% კი გამართლებულად მიიჩნევს. თუმცა სხვადასხვა მოტივაციით.

საქართველოში დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელთა გაუარესება ჩანს ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა აბსოლუტური ოდენობის დინამიკიდანაც. თუ 1960 წელს იგი შეადგენდა 102,8 ათას, 2000-2007 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 47,8 ათასამდე ჩამოვიდა, ე.ი. შემცირდა ორჯერ და მეტად.

ამ მხრივ ერთგავრი პროგრესული ძვრებით აღინიშნა 2008-2010 წლები. 2010 წელს დაიბადა 62 585 ბავშვი, ანუ 13 298-ით მეტი ვიდრე 2007 წელს. რიგ სხვა ფაქტორთან ერთად ამ თვალსაჩინო წარმატებაში ლომის წილი უდევს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოწოდებას გამრავლებისკენ და თავის მხრივ ამის განსამტკიცებლად მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვების მონათვლის თაობაზე მის მზადყოფნას, რომელიც პრაქტიკულად მასობრივად ხორციელდება კიდეც (უკვე მონათლული ჰყავს 10 000-ზე მეტი ბავშვი). თუმცა ამ მონაცემებით ჩვენი ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის აღფრთოვანება მოკლებულია რეალურ საფუძველს, რამდენადაც დემოგრაფთა გათვლებით 2017 წლიდან იწყება შობადობის კლების ახალი კიდევ უფრო ძლიერი ტალღა. იგი დაკავშირებული იქნება XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მკვეთრად შეკვეცილი ოდენობით დაბადებულთა ფერტილურ ასაკში მასობრივად შესვლასთან.

შობადობასთან ერთად მოსახლეობის აღწარმოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მოკვდაობა. საქართველოში ეს მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალი იყო როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან ისე ევროპის რიგ ქვეყნებთან შედარებით. მან ყველაზე დაბალ მაჩვენებელს 6,5 პრომილეს 1960 წელს მიაღწია, 2010 წელს კი 10 პრომილემდე გაიზარდა, რაც 1960 წლის მაჩვენებელს 3,5 პრომილით, ხოლო მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს 2 პრომილით აღემატება.

ის ფაქტი, რომ მოკვდაობა 1960 წელთან შედარებით 2010 წელს შემცირდა მსოფლიოში საშუალოდ 7 პრომილით, მათ შორის ამერიკაში 3,8; აზიაში 10; აფრიკაში 10,8 პრომილით, ხოლო საქართველოში გაიზარდა 3,5 პრომილით. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრივ სერიოზულ დაფიქრებასა და დიდი ძალისხმევას საჭიროებს.

ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ბავშვთა, უწინარეს ყოვლისა, ჩვილთა (ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა) მოკვდაობას აქვს. 2010 წელს ამ მაჩვენებელმა საქართველოში 17 პრომილე შეადგინა. ეს დაბალია თუ მაღალი? – დაბალია მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების (50 პრომილე), განსაკუთრებით კი ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული ქვეყნების (81 პრომილე) შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით მაგრამ საგრძნობლად მაღალია ეკონომიკურად მაღალ განვითარებულ ქვეყნებში მიღწეულ მაჩევენელთან (6 პრომილე) შედარებით. **თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე გაანგარიშებით ჩვილთა მოკვდაობა მსოფლიოს 9 ქვეყანაში (იაპონია, სინგაპური, ჰონკონგი, ფინეთი, ისლანდია, საბერძნეთი, შვედეთი, ლუქსემბურგი, სლოვენია) სამ პრომილეს არ აღემატება, ძნელი არ იქნება დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, რომ ამ მიმართულებით საქართველოში რთული ვითარებაა, რაც დაკავშირებულია ქვეყენაში არსებულ მრავალ გადაუჭრელ პრობლემასთან, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში.**

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე ე.ი. იმის შესახებ იგი იზრდება თუ მცირდება. საქართველოში რამდენადაც შობადობა სწრაფი ტემპით ეცემა, ხოლო მოკვდაობა სტაბულურია, ცხადია მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები თანდათანობით კლებულობს და უახლოვდება ნულოვან ზღვარს. მაგალითად, ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატება შეადგენდა 1960 წელს 18, 2; 1990 წელს 8,6 ხოლო 2010 წელს 3,0 პრომილეს (აღსანიშნავია, რომ 2000 წელს ნაცვლად მატებისა ადგილი ჰქონდა კლებას და ამ მაჩვენებელმა მინუს 2 პრომილე შეადგინა).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატების 2010 წელს დაფიქსირებული მაჩვენებელი (3 პრომილე, მოკვდაობის შესახებ მონაცემების არასრული აღრიცხვის გამო (სპეციალისტთა გათვლებით, მაგალითად 1995 წელს აღურიცხავი დარჩა 3046,

ხოლო 1996 წელს 5833 გარდაცვლილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ანალოგიურ შეცდომებს მეტნაკლები ზომით სხვა წლებშიც ქონდა ადგილი) რამდენადმე ხელოვნურადაა გაბერილი, იგი ოთხჯერ უფრო დაბალია შესაბამის საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე, 4,7-ჯერ განვითარებადი, 7,7-ჯერ ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელზე და დაახლოებით არის მაღალგანვითარებული ქვეყნების შესაბამაისი მაჩვენებლის დონეზე.

დემოგრაფიული ვითარება საქართველოს ყველა რეგიონში ერთნაირი არაა. კლების საერთო ტენდენციის მიუხედავად მოსახლეობის ბუნებრივი მატება 2009 წელს შეადგენდა (პრომილებში): თბილისში – 3,8-ს; აჭარაში 8,7-ს; გურიაში 3-ს; იმერეთში 2,1-ს; კახეთში 1-ს; მცხეთა-მთიანეთში 1,8-ს; სამეგრელო-ზემო სვანეთში 2,5-ს; სამცხე-ჯავახეთში 4,9-ს; ქვემო ქართლში 6,9-ს; შიდა ქართლში 3,9-ს, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში მინუს 8,4-ს.

ეს მონაცემები და რეგიონულ ჭრილში დემოგრაფიული განვითარებისთვის დამახასიათებელი ტენდენციები შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა:

პირველი – შედარებით ნორმალური დემოგრაფიული ვითარებაა ძირითადად მუსულმანი ქართველებით დასახლებული აჭარის, აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული ქვემო ქართლისა და ასევე კომპაქტურად სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, რომელთა მოსახლეობა რელიგიური მრწამსიდან და რეპროდუქტიული განწყობა-ქცევიდან გამომდინარე შედარებით მეტ მიდრეკილებას იჩენს მრავალშვილიანობისადმი.

მეორე – მოსახლეობის ბუნებრივი მატება ნულოვან ზღვარს უახლოვდება ქალაქ თბილისში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელოსა და შიდა ქართლში.

მესამე – მეტად კრიტიკული დემოგრაფიული ვითარებაა რაჭა-ლეჩხუმში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში მარტო ერთი (2009) წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობა შობადობაზე მოკვდაობის გადამეტების შედეგად 244 კაცით შემცირდა.

მეოთხე – დემოგრაფიული განვითარების ნეგატიური ტენდენციების გაღრმავება მეტნაკლები ზომით ქვეყნის ყველა რეგიონში შეიმჩნევა. მაგალითად უკანასკნელ 20 წელიწადში დემოგრაფიული ვითარება (მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლის მიხედვით) გაუარესდა კახეთში 5,9-ჯერ; მცხეთა-მთიანეთში 3,8-ჯერ; იმერეთში 3,1-ჯერ; სამეგრელო-ზემო სვანეთში 2,2-ჯერ; შიდა ქართლში 2,1-ჯერ; სამცხე-ჯავახეთში 2-ჯერ; თბილისში 1,8-ჯერ; გურიაში 1,5-ჯერ; აჭარაში 1,3-ჯერ; ქვემო ქართლში 11,1%-ით; რაჭა-ლეცხუმში 6,3%-ით, ხოლო მთლიანად საქართველოში 2-ჯერ.

ამჟამად, საქართველოში (ძირითადად მაღალმთიანეთში) აღრიცხულია 162 გაუკაცრიელებელი (ნასახლარი სოფელი) სადაც ადრინდელ პერიოდში შეიძლება ითქვას სიცოცხლე ჩქეფდა, ხოლო 152 სოფელია ისეთი სადაც მხოლოდ 11 მცხოვრებზე ნაკლებია შემორჩენილი. სამწუხაროდ, მთიანეთის გაუკაცრიელების ნეგატიური პროცესი ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

მოსახლეობის გამრავლების საკითხის ეროვნულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო დამაფიქრებელია, რადგან ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ქართულ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთი სხვა ეროვნებისა და ეთნოსის წარმომადგენლები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე ქართველები. მაგალითად 2005 წელს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ბუნებრივმა კლებამ შეადგინა 0,3 პრომილე; აზერბაიჯანელების ბუნებრივმა მატებამ 11,7, ხოლო ქურთებისა და იეზიდების მატებამ 17,9 პრომილე. ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად არც შემდგომ წლებში გაუმჯობესებულა. ეროვნულ ჭრილში მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ კონტრასტული მაჩვენებლები რიგ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწლად დემოგრაფიული განვითარებისა და მასთან დაკავშირებით ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების სხვადასხვა დონითაა განპირობებული.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა საქართველოში მოხდა XIX საუკუნის შუახანებიდან, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან. ამასთან მაჰმადიანებში ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების თვალსაზრისით ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს რელიგიური ფაქტორი ასრულებს.

თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან დილემად მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას მიიჩნევენ. იგულისხმება მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში ხანდაზმულთა მაღალი ხვედრითი წონა. გაეროს კლასიფიკაციით მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში 65 წლისა და მეტი ასაკის პირთა ხვედრითი წონა თუ 4%-ზე დაბალია მაშინ ეს მოსახლეობა ახალგაზრდად ითვლება, თუ 4-7%-ის ფარგლებშია მაშინ იგი სიბერის ზღვარზე იმყოფება, ხოლო თუ 7%-ზე მეტს შეადგენს – დემოგრაფიულად დაბერებულია. ცხადია რაც უფრო აღემატება ამ მაჩვენებელს მოსახლეობა მით უფრო მეტადაა დაბერებული.

XIX საუკუნის დასასრულიდან დღემდე შობადობის კლებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდების შედეგად ძირეული ძვრები განიცადა საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურამ. 1897-2010 წლებში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 40,5%-დან 17,1%-მდე შემცირდა, ხოლო 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისა 4,2%-დან 14%-მდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა დღეისათვის დემოგრაფიულად გადაბერებულია, რაც უაღრესად ნეგატიური მოვლენაა. 2010 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის მაჩვენებელი 1,8-ჯერ აღემატება მსოფლიოს მოსახლეობის შესბამის საშუალო მაჩვენებელს (8%), 2,4-ჯერ განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებელს (6%), 4,6-ჯერ ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებულ ქვეყნების მაჩვენებელს (3%) და მხოლოდ 2 პრომილით ჩამორჩება განვითარე ული ქვეყნების მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების საქართველოზე უფრო მაღალი მაჩვენებელი აზიის კონტინენტზე მხოლოდ იაპონიას (23%) აქვს, რაც დაბალ შობადობასთან ერთად სიცოხლის მაღალი ხანგრძლივობითაა განპირობებული.

როგორც ფაქტობრივი მასალის ანალიზიდან ჩანს დღეისათვის პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის ზღვარზე (4-7%) იმყოფება: ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი; სიბერის საწყის სტადიაზე (7-10%) არის აზერბაიჯანი, ყაზახეთი, სომხეთი და მოლდავეთი; დანარჩენ ქვეყნებში (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო) 65 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 13-17%-ს შეადგენს. აქედან მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის საქართველოზე უფრო მაღალი მაჩვენებელი ოთხ სახელმწიფოს (უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) აქვს.

როგორია პროგნოზი? მომავალში დემოგრაფიულად გაახალგაზრდავდება თუ კიდევ უფრო დაბერდება მსოფლიოს მოსახლეობა? – ცხადია დაბერდება, თანაც სულ უფრო ინტენსიურად. ამჟამად, მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო ასაკი დაახლოებით 28 წელს შეადგენს, ხოლო 2030 წლისათვის 35 წელს მიაღწევს. საშუალო ასაკთან ერთად გაიზრდება 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით 2025 წლისთვის 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა თითქმის ორჯერ გაიზრდება, ხოლო 2050 წლისთვის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმეტესობის მოსხლეობა იქნება დემოგრაფიულად დაბერებული (გერმანია და ბელგია 28%, ავსტრია და შვეიცარია 30%, საბერძნეთი 34%, ესპანეთი 37% და ა.შ. მაგრამ მდიდარი, განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის მოსახლეობა კი ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბი, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთ სხვა ქვეყნებთან ერთად ვარდება ამ კონტექსტიდან, **ვინაიდან იგი უკვე იმყოფება დემოგრაფიული სიბერის სტადიაში და ამავე დროს არის ღარიბი, რასაც ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დააღწევს თავს**.

როგორც აღინიშნა მსოფლიოს რიგი ქვეყნებისა (პირველ რიგში და ძირითადად აფრიკის კონტინენტზე) დემოგრაფიულად ახალგაზრდები არიან, მაგრამ ხვალ, ზეგ და საერთოდ მომავალში ისინიც მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების იმავე საფეხურებს გაივლიან, რაც სხვა სახელმწიფოებმა დღემდე გაიარეს.

ამ პროცესს თან სდევს როგორც სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული, ისე მორალური ხასიათის რიგი პრობლემებისა. ამათგან აღსანიშნავია დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი.

დემოგრაფები სამი სახეობის დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტს იყენებენ. ესენია: ბავშვებით დატვირთვის, ხანდაზმულებით დატვირთვის, ბავშვებითა და ხანდაზმულებით (ერთობლივად) დატვირთვის ჯამური კოეფიციენტი. ამ საყოველთაოდ აღიარებული მეთო-

დით დემოგრაფიული დატვირთვის გაანგარიშება შემდეგ სურათს იძლევა – განვითარებულ რეგიონებსა და ქვეყნებში მაღალია ხანდაზმულებით დატვირთვა და დაბალი – ბავშვებით დატვირთვა, ხოლო განვითარებად რეგიონებსა და ქვეყნებში, პირიქით, ბავშვებით დატვირთვა უსწრებს წინ ხანდაზმულებით დატვირთვას.

საქართველოში XIX საუკუნის 80-იან წლებამდე დემოგრაფიული დატვირთვა იზრდებოდა ორივე კომპონენტის (15 წლამდე ასაკისა და 65 წლისა და უხნესი ასაკის პირთა) ხარჯზე. ამჟამად კი, შობადობის მკვეთრი დაცემის გამო თითქმის მხოლოდ ხანდაზმულთა ხარჯზე მატულობს.

დემოგრაფიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მეთოდით გაანგარიშებული ეს მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა დემოგრაფიული დატვირთვის შესახებ, მაგრამ ბევრ ცდომილებასაც შეიცავს, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია მარტივად. მხედველობაში მისაღებია უწინარეს ყოვლისა, იმის დაზუსტება თუ ვის დატვირთვას (ანუ ვის კმაყოფაზე ყოფნას) ეხება საკითხი. კანონით დადგენილი შრომის უნარიანი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის გაანგარიშებისას ცდომილება ძალიან დიდია არამარტო იმიტომ, რომ შრომის უნარიანი ასაკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არაშრომისუნარიანია (ინვალიდი, ქრონიკულად სნეული და ა.შ.) არამედ იმიტომაც, რომ არცთუ იშვიათად მისი საკმაოდ სოლიდური ნაწილი წლობით (რიგ შემთხვევაში ათეული წლობითაც) უმუშევარია. ამიტომ თვით სრული შრომის უნარიანი ასაკის ეს დაუსაქმებელი ნაწილიც ფაქტიურად მომუშავეთა სარჩენია და მათ კმაყოფაზე იმყოფება. სწორედ, ამის გამო მიზანშეწონილია ნაცვლად შრომის უნარიანი ასაკის მოსახლეობისა, ფაქტობრივად მომუშავეთა კმაყოფაზე მყოფთა ოდენობის გაანგარიშება და მათი დინამიკის დადგენა.

ამგვარმა დაზუსტებამ თუ რა ცვლილებები შეიძლება შეიტანოს დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელში, ნათლად ჩანს საქართველოს ფაქტობრივი მონაცემების მაგალითზე. რეალობასთან მიახლოებული შედეგის მისაღებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ფაქტიურად დასაქმებული (მშპ-ის შემქმნელი) ნაწილი. ამისთვის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას უნდა გამოვაკლოთ შრომის უნარიანი ასაკის ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა. მივიღებთ შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, რომელიც შედგება ამ კატეგორიის ფაქტიურად დასაქმებულთა (მომუშავეთა) და უმუშევართა ჯამისგან. აღნიშნულ მაჩვენებელს უნდა გამოვაკლოთ უმუშევრები, რამდენადაც ისინი თვით არიან სარჩენი და დოვლათის ფაქტიურად შემქმნელთა კმაყოფაზე მყოფნი. **ჩვენი შეფასებითი გამოთვლებით დღეისათვის უმუშევრობის დონე საქართველოში მინიმუმ 40% შეადგენს.** ასეთ შემთხვევაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ფაქტიურად დასაქმებული ნაწილი იქნება 1215,4 ათასი კაცი (ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას – 2024 ათას კაცს მინუს უმუშევრები = 909,4 ათას კაცს). ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ამ დასაქმებული ნაწილის ყოველი ასი წარმომადგენლის კმაყოფაზე 2007 წელს იმყოფებოდა სულ 184 პირი, აქედან შრომის უნარიან ასაკს მიღწეული იყო 64, შრომის უნარიან ასაკს გადაცილებული 53 და შრომის უნარიანი ასაკის მაგრამ უმუშევარი 67. დემოგრაფიული მეცნიერების პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებელი კი შეადგენს, შესაბამისად – 26-ს, 22-სა და 27-ს, ე.ი. სულ 75-ს. როგორც ჩანს სხვაობა საკმაოდ სოლიდურია და ამაზე დაფიქრება ღირს.

მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ ნეგატიურ ტენდენციებს საქართველოში ბუნებრივია თან სდევს რიგი ფრიად საგულისმო სოციალურ-ეკონომიკური შედეგები:

1. საქართველო იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა ძირძველი (ავტოქტონური) მოსახლეობის გენოფონდს ე.წ. „დეპოპულაციის ბომბი“ დამოკლეს მახვილივით აქვს დამიზნებული და გადაშენებით ემუქრება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ გაეროს ექსპერტთა გათვლებით 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1990 წელთან შედარებით თითქმის 2 მლ. კაცით შემცირდება, თუმცა არსებობს კიდევ უფრო პესიმისტური გათვლებიც.

თანამედროვე პირობებში ყველაზე გამართლებული დემოგრაფიული ოპტიმუმის მიღწევაა. ასეთ ოპტიმუმად კი ითვლება მოსახლეობის ისეთი რიცხოვნობა, რომელიც უზრუნველყოფს თაობათა ნორმალურ განახლებას, ქვეყანაში არსებული და გარედან მოზიდული რესურსების

რაციონალურ, მაღალეფექტიან გამოყენებას, დოვლათის სიუხვის შექმნას და საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას.

2. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში ქართული მოსახლეობის ხვედრითი წონის თანდათან შემცირება. ეს მაჩვენებელი 1960-2010 წლებში 14,7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და სამხრეთ კავკასიაში საქართველომ მოსახლეობის ზრდის ტემპებით პირველიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. იმის გამო, რომ 2010-2050 წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 21,7%-ით შემცირდება, ხოლო სომხეთის 6,6 და აზერბაიჯანის 18,9%-ით გაიზრდება. სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანის მოსახლეობის ხვედრითი წონა 63%-მდე ამაღლდება, სომხეთის თითქმის უცვლელი დარჩება, საქართველოსი კი 19%-მდე შემცირდება, მაშინ როდესაც 1960 წელს ეს თანაფარდობა ასე გამოიყურებოდა: აზერბაიჯანი 39,2%; სომხეთი 18,6%; საქართველო 42,2%. აღსანიშნავია, რომ 1989-2002 წლებში საქართველოში ქართველების რიცხოვნობა 126,2 ათასი კაცით შემცირდა, ეს ნეგატიური ტენდენცია სამწუხაროდ დღესაც გრძელდება.

3. ქართველებს გამრავლების დაბალი მაჩვენებელი (თუმც შორეულ პერსპექტივაში) თავიანთი ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხოვნობაში ხვედრითი წონის მკვეთრად შემცირების საშიშროებას უქმნის რიგ არააბორიგენ ეთნოსებთან შედარებით. 2005 წლის მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსებიდან 10 000 კაცზე გაანგარიშებით ქართველებს ყოველწლიურად აკლდებათ 3 ადამიანი, ხოლო აზერბაიჯანელებს ემატებათ 117 და ქურთებსა და იეზიდებს 179 ადამიანი.

4. მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია. 1997-2010 წლებში საქართველოში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 40,5-დან 17%-მდე შემცირდა, ხოლო 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობისა 4-დან 14%-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში სქესობრივი სტრუქტურა ასეთნაირად შეიცვალა, მამაკაცების ხვედრითო წონა შემცირდა 5,8 პროცენტული პუნქტით, ხოლო ქალებისა იმავე ოდენობით გაიზარდა. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აპირობებს როგორც შრომით რესურსებზე მოთხოვნასა და მათ ფაქტობრივ მიწოდებას შორის, ისე სქორწინო სუბიექტთა შორის დისბალანსს.

5. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით მომუშავე შრომისუნარიანთა დემოგრაფიული დატვირთვის მკვეთრი ზრდა რაც თაობათა შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნის.

6. შრომისუნარიან ასაკში მოკვდაობისა და მიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიდა პროდუქტის ფრიად სოლიდური ოდენობა.

აშკარაა, აღნიშნული და სხვა ნეგატიური მოვლენების სახელმწიფო დონეზე რეგულირების აუცილებლობა. მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში (თანაც რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით) აქტიური სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ? სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ხელისუფლების მხრიდან არანაირი დემოგრაფიული პოლიტიკა არ ტარდება. მართალია, სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას როგორი მასშტაბური და სისტემური ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, არ შეუძლია კარდინალურად შეცვალოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და რადიკალურად შემოაბრუნოს პოზიტიური მიმართულებებით, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით შესაძლებელია თვალსაჩინო წვლილის შეტანა მოსახლეობის გამრავლების ნეგატიური მოვლენების განმსაზღვრელი მიზეზების აღმოფხვრასა და დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზებაში.

ინდირა გოგოძე – ჟურნალისტი, ვანის რაიონის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრის“ სპეციალისტი.

რასაც ქვემოთ ვიტყვი, ვამბობ გულისტკივილით, როგორც ქართულ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი და ასევე ტრადიციულ ქართულ ოჯახში გათხოვილი მრავალშვილიანი დედა, რომელსაც კარგად ესმის ოჯახური ურთიერთობა, შვილებთან დამოკიდებულება, მომავალი თაობის აღზრდის პასუხისმგებლობა, ის რომ ოჯახი მიკრო სახელმწიფოა და ათასწლეულთა განმავლობაში ამ ფენომენზე იდგა ქართული სახელმწიფო. დედის ინტუიციით ვგრძნობ იმ საშინელ სურათს, რაც ახლავს დედისა და შვილების ხანგრძლივ განშორებას, დედების ლუკმა-პურის საშოვნელად ოჯახიდან მოწყვეტას, ვგრძნობ იმასაც, როგორ სულიერ ტრამვას იწვევს ეს შვილებში. ამის დასტურად ვთვლი სატელევიზიო გადაცემებსაც, როდესაც ქართველი ტელეჟურნალისტების კამერებთან სხვადასხვა ქვეყნებში შეხიზნული ქართველი დედები ცრემლებით ადასტურებენ. მე, არავითარი უფლება არა მაქვს დევიზებით ვისაუბრო, მაგრამ ღრმა დაფიქრება კი გვმართებს ყველას, რიგითსაც და უმაღლეს მოხელეთა კასტასაც.

ახლა კი საკითხზე:

მატრიარქატის დაბრუნება საქართველოში ანუ დედაკაცობა XXI საუკუნის ქართველი მანდილოსნისა

არა...

ცდები მკითხველო...

არც წმინდანად შერაცხული თამარ მეფე დაბრუნებულა და არც ქეთევან დედოფალი დაბადებულა საქართველოში. არც მაია წყნეთელს გადაუცვამს ვაჟკაცის სამოსელი მტერთან დასახვედრად და მაინცდამაინც, არც ოთარაანთ ქვრივები სჭარბობენ დღევანდელ საქართველოში, გაჭირვებისას რკინის ქალამნები რომ ჩაიცვან ღირსებისა და სინდის-ნამუსის შესანარჩუნებლად. სამწუხაროდ, საუბარი გვაქვს დღეისათვის ყველაზე აქტუალურ და პრობლემურ საკითხზე – სუპერ ემიგრაციულ პერიოდზე საქართველოში. საქართველოში, სადაც ქალის კულტი დაფასებული და ზეაღმატებულია, ღვთაებრივია, რადგან დედამიწაზე ოთხიდან ერთ-ერთი ღვთისმშობლის წილხვედრი ადგილის სავანეა... მისი ძლიერი მფარველობის ქვეშაა და მასვე ეთაყვანება სრული არსებით. ამიტომაც, მხოლოდ ჩვენს ენაშია დაკავშირებული ქრისტიანული თავსაბურავის სახელწოდება ქალთან და მას მანდილოსანი ეწოდება. სახელი, რომელიც საუკუნეების მანძილზე იყო ფარი და დამცველი სინდის-ნამუსის, პატიოსნების, კდემამოსილების, უბიწოებისა და თამამად შემიძლია ვთქვა-ქართული ღირსებისა. ღირსება, რომელიც დღეს თითქოს ყველას ისტორიის სანაგვეზე გადასაგდებად აქვს გამეტებული და საშოვარზე გადახვეწილი ქართველი ქალის ცხოვრების მენიუდან, თანდათან მიზანმიმართულად ქრება.

ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიას თუ გადავხედავთ, შეიძლება გამოვყოთ ემიგრაციის სამი ტალღა: 1) 1950-იან წლებამდე, რომელიც ძირითადად პოლიტიკური რეპრესიების შედეგად იძულებითი (საბჭ. კავშირის შიგნით) გადასახლებებით ხასიათდება, მაგრამ არა მასიური მასშტაბით და ისიც ნაწილობრივ გამომდინარეობდა II მსოფლიო ომთან დაკავშირებული მომენტებით. 2) 1950-1990 წლებში, როცა საქართველოს მოსახლეობის გასვლა მშობლიური ტერიტორიიდან საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარეობდა და 3) 1990-იანი წლების მასობრივი მიგრაცია, რომელიც ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სამოქალაქო ომსა და სამხედრო კონფლიქტებს მოჰყვა. ეს უკანასკნელი მიგრაციული ტალღა რუსეთისკენ მიემართა, მაგრამ 2000 წლიდან რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ ემიგრაციული ნაკადი რუსეთიდან სხვა ქვეყნებისკენ არის მიმართული.

უახლოესი აღწერის შედეგებით, დაახლოებით 1 000 000 ადამიანია ქვეყნიდან გასული. მიგრაციის ეს რაოდენობა კი, ქართველების საერთო მცირერიცხოვან რაოდენობაზე უზომოდ დიდი რიცხობრივი დარტყმაა კატასტროფისკენ დაღმავალი. აქედან, 56% ქალია, დანარჩენი მამაკაცი. ქვეყნების მიხედვით კი მიგრაცია ასე გამოიყურება: რუსეთის ფედერაცია – 21,7%, საბერძნეთი – 15,9%, თურქეთი – 11,2%, იტალია – 10,9%, გერმანია – 7,1%, აშშ – 5,7%, ესპანეთი – 4,1%, საფრანგეთი – 3,7%, უკრაინა – 3,7%, აზერბაიჯანი – 2% და დანარჩენი ქვეყნების მონაცემები შეადგენს 13,1%-ს. აქედან გამოიკვეთა, რომ რუსეთში, საფრანგეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში ემიგრირებულთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ, ქალების უმეტესობა კი ემიგრირებულია საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, გერმანიაში, აშშ-სა და ესპანეთში. ასევე განსხვავებულია ის სამუშაოები, რომლებსაც ემიგრანტები უცხოეთში ასრულებენ: 39 წლამდე ასაკის ემიგრანტებში მამაკაცები სჭარბობენ, 40 წელს ზევით კი ქალები. აგრეთვე, 50 წელზე მეტი ასაკის ემიგრანტებში ქალები მამაკაცების რაოდენობას ორჯერ სჭარბობენ. ემიგრანტების უმეტესი ნაწილი – 66%, უცხოეთში წასვლამდე ქალაქის მცხოვრები იყო, 34% კი – სოფლის.

უცხოეთში ემიგრირებული მოსახლეობა საქართველოში ყოველთვიურად დაახლოებით 100 მილიონ დოლარს აგზავნის. მეტი მოცულობის ფულადი გზავნილი რუსეთის ფედერაციიდან შემოდის. დონორი ქვეყნებიდან შემოსული თანხა დაახლოებით ასე გამოიყურება: რუსეთი – 30 მლ. დოლარი; აშშ – 10 მლ; საბერძნეთი – 9,9 მლ; იტალია – 9,8 მლ; თურქეთი – 7,4 მლ;.

უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის ზუსტი სურათის დანახვას ართულებს ამ კუთხით სანდო და სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მექანიზმის არარსებობა. მკითხველისთვის შემოთავაზებული სტატისტიკა საკმაოდ ფრაგმენტულია და სხვადასხვა წყაროს ეყრდნობა, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა დანიშნულების ადგილზე. ძირითადი ბირთვი ქვეყნიდან გასვლისა, სავიზო რეჟიმის გაუქმებასთანაა დაკავშირებული, რადგან მანამდელი სიტუაცია-ქვეყნიდან ადვილად ვერ გასვლის თაობაზე, უთუოდ იყო იმისი მიზეზი, რომ ჩვენს ქვეყანას ნაკლები ემიგრანტი ყავდა. საქსტატის ბოლო მონაცემების მიხედვით შეუჩერებლად და რაც სამწუხაროა, მზრდადობით იკვეთება ემიგრანტთა რაოდენობა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს ემიგრაციის აშკარად მზარდ ტენდენციას. მონაცემები იმასაც ცხადყოფენ, რომ ყველაზე დიდი რაოდენობა ემიგრანტებისა წასულია თბილისიდან, იმერეთიდან და ქვემო ქართლიდან. ამასთანავე, იმერეთიდან, კახეთიდან და მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან წასულებში, ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება კაცების რაოდენობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვა 2012 წელს დაფიქსირებული 60,868 კაციდან გაიზარდა 87, 000 კაცამდე. დასაფიქრებელია ეს ფაქტიც და ისიც, რომ გამოდის, იქ მცხოვრები დროებით მყოფი ოჯახის წევრები რომ არა, ჩვენს მოსახლეობას გაუსაძლისი ყოფა ექნებოდა როგორც მატერიალურად, ისე ფსიქიკურად. დიახ, ფსიქიკურადაც, რადგან უკვე მაგალითები გვაქვს სუიციდისა, რაც უშუალოდ ოჯახური, მატერიალური პრობლემების მოუგვარებლობასა და ვალების ვერ გადახდასთანაა დაკავშირებული. ჩვენი მენტალობიდან გამომდინარე კი, ამ მომენტის(ანუ ოჯახის ვერ შენახვის) პრობლემების ვერ მოგვარება, ძირითადად ქართველი მამაკაცისთვისაა რთული. ჩვენი მამაპაპისეული ტრადიციით, ხომ „პატარა სახელმწიფოში“ მატერიალური დოვლათის ძირითადი შემომტანი ყოველთვის მამაკაცი იყო და ეს დღემდე ასეა ქართველი კაცის შინაგან ბუნებაში. მაგრამ აქაც ორი მხარე აქვს მედალს. სამწუხაროდ არსებობს ისეთი მაგალითებიც, სადაც „აქ დატოვებული“ მამაკაცი – მეუღლეები, ფუქსავატურად იყენებენ ცოლების ხარჯზე გატარებულ ცხოვრების წლებს. ანუ ბევრ მათგანს დაკარგული აქვს მისი მოვალეობა-ფუნქცია და მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ცოლის მიერ შეძენილი ძვირფასი ავტომანქანით, დროს მხოლოდ განცხრომასა და დაუსრულებელ დროსტარებაში ატარებს.

არანაკლებ პრობლემურია შვილების დატოვების მომენტი. მომენტი, სადაც უძლურია კალამიც და თეთრი ფურცელიც, დაახლოებით მაინც რომ შეაფასო... სადაც იმ გრძნობების გამოხატვა-გადმოცემა შეიძლებოდეს, რასაც ერთმანეთთან დაშორებისას განიცდის დედა და შვილები. აქაც ორ ვარიანტად შეიძლება გაიყოს საკითხი: პირველი ის, რომ სურვილი საზღვარგარეთ მუშაობისა არის ზედმეტი ფუფუნების მოთხოვნა და მეორე ვარიანტი არის ის, რომ

ადამიანი იძულებულია წავიდეს, რადგან ოჯახს ფინანსურად ძალიან უჭირს. თუ გასულ ათეულ წლებს მივუბრუნდებით, იშვიათი რეგვენი უნდა იყოს ან აღმოჩნდეს ადამიანი, რომელიც ,,წითელ" წყობაში მატერიალურ სიდუხჭირეზე მიგვითითებდა. ჩვენს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, რაიონში-რაც იგი ცალკე იურიდიულ ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა(ეს მოხდა 1930 წელს), კონკრეტულად 1960-იანი წლებიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე ფუნქციონირებდა ცხრა სამრეწველო ორგანიზაცია. მათ შორის ხუთი ექსპლოატაციაში შევიდა 1980-იანი წლების პერიოდში. თითოეულში დასაქმებული იყო 200-დან 500 კაცამდე. ექსპლოატაციაში შედარებით ადრე გასულ საწარმოებს, ჩაუტარდათ გენერალური რეკონსტრუქცია და აღიჭურვა უახლოესი დანადგარებით, რითაც პრაქტიკულად მოხდა ტექნოლოგიური ციკლის განახლება. აქ ჩამოთვლილ სამრეწველო ორგანიზაციებში – ვანის საკონსერვო ქარხანა, რომლის ნედლეულის ბაზა ადგილობრივი აგრარული სექტორი იყო, ადგილობრივი სამრეწველო კომბინატი, ელექტრომექანიკური, სქემური კაბელების, საქსოვი ფაბრიკის, გორის ბამბეულის კომბინატის ვანის ფილიალში და ა.შ. დასაქმებულთა საშუალო ასაკი იყო 25-27 წელი. ღვინის ქარხნების ჩათვლით, ყველა სამრეწველო ორგანიზაციაში დასაქმებული იყო 2500 ადამიანი და ყველა მუშაობდა ერთ ცვლაში. რაც შეეხება სქემური კაბელების საწარმოს, გარდა სათაო ორგანიზაციისა, რაიონს სოფლებში ჰქონდა 8 ფილიალი, სადაც ოჯახიდან მოუწყვეტლივ დასაქმებული იყო 240-მდე ახალგაზრდა. სავაჭრო სისტემის მაქსიმალურად გაფართოებამ, საყოფაცხოვრებო სფეროს ახალ მშენებლობებმა, ქსელის ფართოდ გაშლამ საშუალება მისცა რაიონს დამატებით დასაქმებულიყო 1300 კაცი. ამდენად, სამრეწველო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა 1990 წლისთვის აღემატებოდა 4000 კაცს. აქვე ვიტყვით, რომ პედაგოგიური ინტელიგენცია ტექნიკური მუშაკებით 1600-მდე, ხოლო სამედიცინო მომსახურების ქსელში 600 კაცამდე მუშაკი იყო(აქედან ექიმი 100-მდე). ახალგაზრდას სკოლის დამთავრებისთანავე ეძლეოდა საშუალება მოეძებნა მისთვის შესაფერისი ან სასურველი სამუშაო, საშუალო საარსებო მინიმუმით მაინც. ასევე არ იყო პრობლემა ზრდასრულებში, რადგან ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ე.წ. სამსახურის მოძებნა მაშინ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა. ამ მხრივ მდგომარეობა, როგორც ჩვენში იტყვიან – საათივით აწყობილი იყო – გლეხი თავის საქმეს აკეთებდა, დიპლომიანს და მცოდნეს კი ხალხის დაფასებაც ჰქონდა და შესაბამისი სამსახურიც. რატომ? იმ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების პრიორიტეტად სახელმწიფო თავისი საქმის ცოდნას მიიჩნევდა. საზღვარგარეთ წასვლის საკითხი კი ფუფუნებად და სულიერ-ფსიქიკური განტვირთვის საგნად იყო ქცეული. თანამედროვე საქართველოში სავიზო რეჟიმის გაუქმება ქართველ ადამიანს მხოლოდ იმიტომ გაუხარდა, რომ იგი ყოველთვის ოცნებობდა „ფრანგულ ვოიაჟებზე", ავსტრალიურ ლანდშაფტზე, მარადიული რომის ხილვაზე და სხვადასხვა ცივილიზებულ ქვეყნებში მოგზაურობაზე. ამჯერად, კი რეალობა იმდენად მიუღებელი, დამამცირებელი და მორალურად გამანადგურებელი აღმოჩნდა, რომ ალბათ, უცხოეთში თავისუფლად წასვლის ასეთ ფორმას, დაახლოებით 30 წლის წინ, ვერცერთი ქართველი ვერ წარმოიდგენდა. ქვეყანაში ამ მხრივ, ძალიან ცუდი მდგომარეობაა. თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ემიგრანტთა რაოდენობას ქარავანი. ქარავანი, რომელიც გობის უდაბნოსავით უწყვეტი ნაკადით მიედინება მშობლიური ქვეყნიდან და ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს. გადინებას კი იმ ფაქტმაც შეუწყო ხელი, რომ 2017 წლის 28 მარტიდან, ბიომეტრიული პასპორტის მფლობელ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, ვიზის გარეშე იმოგზაურონ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში მოკლევადიანი ვიზიტებით. ყველაფერ ამიდან გამომდინარე შედეგები დგება ძალიან ცუდი ჩვენი ქვეყნისთვის-საქართველოს მოსახლეობის საერთო კლებასთან ანუ სამშობლოდან გადინებასთან ერთად, უკვე აშკარა და თვალშისაცემია დაცარიელებული სოფლები და ქალაქები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოფელში მოსახლეობის კლების მაჩვენებელი სამჯერ აღემატება ქალაქისას, რაც გარკვეულ სოფლებში დეპოპულაციის საფრთხეს ქმნის. ამავე დროს, საქსტატის ცნობებში ვკითხულობთ: ,,ემიგრანტთა ფულად გზავნილებს, როგორც დანაზოგის და ინვესტიციების პოტენციურ წყაროს, გააჩნია შესაძლებლობა, ხელი შეუწყონ ქვეყნის ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, გააუმჯობესონ მრავალი ოჯახის ცხოვრების დონე და შეამცირონ სიღარიბის მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის პირადი გზავნილი, რომელსაც მიმ-

ღები საჭიროებისამებრ განკარგავს, სახელმწიფოს შეუძლია, შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებით ფულადი გზავნილების რესურსის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისაკენ მიმართვა“-წაიკითხავ ამ მოსაზრებას და ჰოი საოცრებავ!!!... უშუალოდ იმ მომენტშივე გიჩნდება აზრი, რომ ამის დამწერი ან არ არის საქართველოში და არ იცის რა ხდება თითოეულ ქართულ ოჯახში, ან შეგნებულად ცდილობს დაცარიელებული და გაპარტახებული ქალაქ-სოფლების რაოდენობა არათუ შეამციროს, არამედ გაზარდოს. ყველაფერს დავანებოთ თავი და ისიც ვთქვათ, რომ (რა თქმა უნდა „მწარედ“) ამ წლების განმავლობაში, არცერთ რაკურსში არ დასმულა საკითხი სამთავრობო დონეზე, იმის თაობაზე, თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს სულ რამდენიმე წელიწადში ქვეყნიდან ძირითადად ქალბატონების მასიურ გადინებას, ოჯახების მიტოვებას, დედა-შვილთა წლობით დაშორებას და მათზე მიყენებულ მორალურ-ზნეობრივ ზიანს. ეს არის მომავალი კატასტროფა ერისთვის. მითუმეტეს ამ პრობლემის აღმოფხვრის არანაირი სახელმწიფო პროგრამა არ დადებულა. ამ პროცესებს დიდი სახელმწიფოები, დიდ ერები უძლებენ, მაგრამ ჩვენნაირი გამცირერიცხოვნებული ერისა და სახელმწიფოსათვის, ამას მომაკვდინებელი შედეგები ექნება. წერდა კიდევაც ერთ-ერთი დედა – ემიგრანტი თავის წერილში: „დედაშვილობის ისტორიაში არის დღეები, რომლის უერთმანეთოდ გატარება დანაშაულია. დღეს ასეთი დღეა დედი...“ დიახ, შვილს სკოლის დამამთავრებელი ბანკეტი ჰქონდა და დედა ე. წ. „ლაივში“ (პირდაპირი ჩართვა) უყურებდა ამ ყველაფერს. თანამედროვე ტექნოლოგიებმა იმდენად გააუმჯობესა კაცობრიობის საკომუნიკაციო მექანიზმი, რომ ქვეყნის დასალიერში მყოფ ახლობელს, პატარა მართკუთხედი მოწყობილობის – მობილურის თუ კომპიუტერული აღჭურვილობის საშუალებით, შესაძლებელია წამიერი, ყოველდღიური ურთიერთობით, რომელსაც „ლაივს“ ვეძახით, შეუჩერებლად ვეკონტაქტოთ, ვიზუალურად ირგვლივ ყველაფერი „აქაური“ ვაჩვენოთ, შევამოწმებინოთ იმ ფულით, რომელიც გამოაგზავნა, როგორ ვაშენებთ და ვალამაზებთ სახლს, როგორი შესამოსელი ვიყიდეთ, როგორ ვქეიფობთ გაუთავებლად რესტორნებში, ვაჩვენებთ პატარებს თუ როგორია დედა ან ბებია, რომელიც ეკრანებიდან უღიმის და რომელიც მათ უმეტესობას, რომელიღაცა ზღაპრის ან მულტფილმის კეთილი გმირი ჰგონია, როგორ ენატრება შვილს დედა და როგორ ეხვეწება „სკაიპის“ და „მესენჯერის“ საშუალებით ჩამოდი მომენატრე – არ მინდა არც კანფეტები და არც ლამაზი კაბებიო. აქვე, ჩვენს გვერდით მცხოვრებთაგან არიან ასეთებიც. მაგ., დედამ, რომელმაც პატარა ბავშვი დატოვა და საბერძნეთში წავიდა, ოჯახზე პასუხისმგებლობა სრულიად მოიხსნა, რადგან მალევე უცხოელზე გათხოვდა. აქ დარჩენილ მცირეწლოვან შვილს მამაც გარდაეცვალა. ამდენი სტრესული მდგომარეობით, ბავშვს ნერვიულობისგან დიაბეტი დაემართა. ფაქტიურად პატარა უპატრონოდ დარჩა, რადგან ბებია და ბაბუა, რომელიც მას უვლის, იმდენად მოხუცები არიან, რომ ვერ უმკლავდებიან ბავშვის რთულად მოსავლელ ავადმყოფობას, უძლურნი არიან მის მოვლა-პატრონობისთვის და შორს მშობლისმიერ მზრუნველობასთან. იგივე ხასიათის სიტუაციები – გამოწვეული ოჯახში დედის არყოფნისაგან, ჩვენი რაიონის მაგალითზე, ძალიან ბევრია ოდნავი განსხვავებებით. სამწუხაროდ, არ გვიწევს შორს წასვლა იმისათვის, რომ აქვე მოვძებნოთ ისეთი ოჯახები, სადაც ამ მხრივ დღემდე სავალალო მდგომარეობაა. (კონფიდენციალურობისათვის სახელებს არ ვასაჯაროებთ). ოჯახის უფროსს ანუ მამაკაცს, ოჯახზე ზრუნვა და შორს წასვლა ფაქტობრივად და ისტორიულადაც ხშირად უხდებოდა ხოლმე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, რომელსაც დედისა და შვილების წლობით დაშორება ჰქვია. და ეს იმიტომ, რომ მამაკაცებს ვერ ძალუძთ უზრუნველყონ მათი გამოკვება თუ სხვადასხვა სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამასთანავე, პროცენტულად თუ ვიმსჯელებთ, საზღვრებს გარეთ ქალბატონებითვის უფრო მეტი სამუშაო მოიძებნება, ვიდრე მამაკაცებისთვის. ამიტომაც დედას-ოჯახის დიასახლისს უწევს მცირეწლოვანი შვილების დატოვებაც კი. ეს იმ ასაკში, როდესაც ბავშვს დედის მზრუნველობას ვერავინ შეუცვლის და აქედან გამომდინარე, უდედობით დამახინჯებულ სულიერ და ფსიქიკურ მდგომარეობას, ალბათ, ათეული წლებიც ვერ გამოასწორებს: ქალბატონი, რომელიც თავის ოჯახს 12 წლის შემდეგ დაუბრუნდა, აჩქარებული მაჯისცემით მიისწრაფოდა შინისაკენ თუ როდის შეაღებდა მისივე დანაზოგით აშენებული და გარემონტებული სახლის კარებს, სადაც 3 შვილი და 5 შვილიშვილი ელოდებოდა. ჩამოსვლის შესახებ შვილებისთვის არაფერი

უთქვამს და ოჯახს მოულოდნელად „ესტუმრა“ იმ იმედით, რომ წლობით უნახავებს, კარის ზღურბლზე, ალბათ, ნახევარი საათი მაინც თუ მოუწევდა მათთან ჩახუტებულს შეჩერება. რეალობა საპირისპირო აღმოჩნდა-სახლში შესულს, მის დანახვაზე, ოჯახის წევრებს სახეზე ბედნიერი ღიმილი შეაცივდა, მოვალეობის მოხდის მიზნით მოიკითხეს და მისამართიც უთხრეს: იქეთ, მარჯვნივაა შენი ოთახიო. ამ ქალბატონმა ცივი დახვედრა ვერ აიტანა და მოულოდნელად ინსულტი დაემართა, რადგან საყვედური მიიღო – ამიერიდან რა გვეშველება, ვინ იცის რამდენი ნივთი გვაქვს განვადებით შეძენილიო...

ემიგრანტული ცხოვრებიდან უამრავი მაგალითები გვაქვს აგრეთვე ისეთი ქალბატონებისა, რომელთაც აქეთ – საქართველოში გარდაცვლილი მეუღლეები, შვილები, დედები და მამები ვერ დაიტირეს. ეს ყველაფერი იქედან, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევის წყალობით – ინტერნეტით ხდება ხოლმე, როცა „სკაიპით“ ან „მესენჯერ ვიდეოთი“ ვირტუალურად იმყოფებიან ადგილზე და ამ ფორმით ადევნებენ თვალს საკუთარ ოჯახებში გადახდილ ქელეხს, ქორწილს, სკოლის დამამთავრებელ ბანკეტებს და ა.შ. თავს გადამხდარ ამბავთა შორის კი პიკს აღწევს ისეთი ხასიათის „ნიუსები“, რომელიც დიდი ხანი არ გავიწყდება, გახსენებისას თვალები ცრემლებით გევსება და ერთი და იმავეს ბევრჯერ გაიკითხავ ხოლმე-მართალი თუ არისო. აგერ, ერთი მათგანიც: დედას მცირეწლოვანი შვილები ერთი ღამითაც არ ჰყავდა დანატოვები. მიუხედავად იმისა, რომ პატარებს ყოველთვის დიდების მენიუ ჰქონდა გამოსაკვებად და მათთვის ცხელი ფაფაც არ არსებობდა, დედ-მამა მაინც ბედნიერად ცხოვრობდა და ერთმანეთს მომავლის იმედით ამხნევებდნენ. მაგრამ, როდესაც ახლობელმა საზღვარგარეთ მუშაობა (კერძოდ თურქეთში) შესთავაზა 800 დოლარის ანაზღაურებით, წყვილი ერთმანეთს უყოყმანოდ დაშორდა იმ მიზნით, რომ იქეთ მხოლოდ სამი თვე იმუშავებდა. სამწუხაროდ, იქ ჩასვლიდან ერთ თვეში ქალი უცხოელზე გათხოვდა. მეუღლემ კი ნერვიულობის ნიადაგზე ლოთობას მიჰყო ხელი და ფაქტიურად მისთვის დღე და ღამე ერთი და იგივე გახდა. ოჯახი დაინგრა და მცირეწლოვანი ბავშვები უდედმამოდ დარჩა. მათ სავარაუდოდ, დღეს თუ ხვალ უპატრონო ბავშვთა სახლში გადაიყვანენ, რადგან მამიდამ უარი განაცხადა მეურვეობაზე...

საზღვარგარეთ მომუშავეთა პრობლემას, შეთავაზებული საქმის სირთულეც წარმოადგენს. მაგალითისთვის მოვიყვან ერთი თინეიჯერი გოგონას მონათხრობს, რომელიც გვიყვება, რომ საბერძნეთში, სადაც იგი ლოგინს მიჯაჭვულ ქალბატონს უვლიდა, შაბათ-კვირასაც არ ჰქონდა დასვენების უფლება. მოხუცის გაღვიძებიდან მოვლითი პროცედურებით დაწყებული, სახლის სრულყოფილი დალაგება-დასუფთავების შემდეგ შეეძლო მხოლოდ დაეძინა. დღის განმავლობაში, სახლში დაყენებული ვიდეო თვალის გამო, მხოლოდ საპირფარეშოში ჰქონდა საშუალება უნიტაზზე ჩამომჯდარიყო და ცოტა ხნით დაესვენა. აქ ე.წ. „ხალტურა“ არ და ვერ გაკეთდებოდა, რადგან სახლის ყველა კუთხეში ვიდეო თვალი იყო დამონტაჟებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურს დაკარგავდა. ახლის მოძებნა კი, გართულებული სამოქალაქო მდგომარეობის გამო, იქაც ძალიან ძნელი იყო. აქვე, მეორე ადგილობრივის მონაყოლი: თურქეთში, სამსართულიან სახლში (უფრო სასახლეში), ბავშვის აღმზრდელად მუშაობისას, ოჯახის უფროსებს შვილი ისე ყავდათ გათავხედებული, რომ ხუთი წლის ბავშვი სპეციალურად უყრიდა ქართველ მომვლელს მესამე სართულიდან შიდა კიბეებზე სათამაშოებს და ავალებდა ყოველ ჯერზე ისევ ზემოთ აეტანა. ყველაზე საშინელი მომენტი ის არის, რომ მშობლები არათუ უშლიდნენ, არამედ ეუბნებოდნენ, რომ ეს პროცესი პატარას ძალიან სიამოვნებდა და მთელი დღის განმავლობაში სანამ ბავშვს არ მოწყინდებოდა, ქართველი ქალბატონი აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა... ამის მსგავსი უამრავი მაგალითია, რომელსაც ამჟამად სრულად ვერ დავწერთ. ამ ფურცლებზე წამკითხველისთვისაცაა ძნელი აღსაქმელი ქართველი ქალის მონური ტვირთის ზიდვა; და თანაც 21-ე საუკუნეში.

მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე და ქართველი ქალის მძიმე ხვედრზე ისტორია ბევრჯერ გვიყვება. გვიყვება თუ რატომ და როგორ დაერქვა ქართველ მანდილოსანს დედაკაცი. თუ როგორ შემოუნახეს ნამუსი ომში წასულ მეუღლეებს და როგორ გააგრძელეს სიცოცხლე წვრილშვილთან ერთად. თუ როგორი შემართებით აგზავნიდნენ მტერთან საბრძოლველად შვილებს და როგორი ძლიერი რწმენით ხვდებოდნენ ბრძოლის ველზე მათ ვაჟკაცურად დაცემას. თანამედროვეთაგან განსხვავებით, მიუხედავად შიმშილამდე მისული ცხოვრების ზღვარისა, როგორ

აღზარდეს შვილები სასახელო ვაჟკაცებად და არა გეი-ცისფერებად, მშობლების პატივისმცემელად და არა დედის მაგინებლებად, უფროსის დამფასებელად და არა „ჩარეცხილების“ საწოდებლად, სამშობლოს დამცველებად და არა გამყიდველებად, მართლმადიდებლობის, ქრისტეს ძლიერ მხედრებად და არა კაენისა და იუდას მიმდევრებად. დღეს კი, მართლაც სავალალო და საგანგაშო მდგომარეობაში ვიმყოფებით, რადგან მთავარი, რამაც ჩვენი ქვეყანა დროის იმ მომენტისთვის გადაარჩინა ოჯახის პატივისცემა, სინდის-ნამუსის შენახვა, დედათა და შვილთა ერთად ყოფნა და ზნეობა-ღირსების ერთგულება იყო. ამჯერად, შეჭირვებულ და მართლაც ოჯახის ფეხზე წამოსაყენებლად გადახვეწილი დიასახლისების გარდა, უამრავია მომხვეჭელობის, ფუფუნების მოყვარული ქალბატონების რაოდენობა. ალბათ, ყველა ქვეყნის მაგალითს შეეფერება დღეს ხალხში მოარული ფრაზები: რაც თურქმა საუკუნეების წინ ხმლით და შემოსევებით ვერ დაგვაკლო, ამას ახლა ახერხებს ისევ ქართველთა მეშვეობით (რა თქმა უნდა ეს არ ეხება იმათ, ვისაც ეს არ ეხება...). და ისმის ბოლო საუკუნეების მარადიული კითხვა: რამ შეცვალა ასე საზოგადოება? კერძოდ, ქალბატონები? რატომ გახდა სასაცილო და ძველმოდური სირცხვილ-ნამუსი, ცოლქმრული ერთგულება? რატომაა ამაზრზენი სანახავი დღეს ქართველი ქალის ჩაცმულობა და რატომ გახდა ნორმა ვულგარული სამოსის ტარება? (ზედმეტია საუბარი მანდილის ტარებაზე) და სხვა და სხვა. მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი მიზანდასახულად მიმდინარეობს. ვიღაცის უხილავი ხელი, დიდი სქელი ფარდის უკან წერს ამ სცენარებს, წეს-კანონებს და შემსრულებელს უკვე ადვილად პოულობს მასებში. განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური მდგომარეობის ხარისხი ბარიერს ქვემოთაა დაწეული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებული სიტუაციის შესახებ თითქმის ყველა დადებით და უარყოფით საუბარში ამ მოვლენის უარყოფითი მხარე სჭარბობს. არადა, არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველმა ქალებმა, ოჯახები გადაარჩინეს საზღვარგარეთ თავისი აუტანელი შრომით. იმ შრომაში გატარებული სასტიკი დღეებით, რომელსაც ყოველდღე შვილების, მეუღლეების, ახლობლების და სამშობლოს მონატრების ცრემლები უერთდებოდა. ისინი ოჯახებიდან იძულებით გაექცნენ სითბოს, ურთიერთობას და საპირისპიროდ, იმ მოსალოდნელ შედეგებს, რასაც სუიციდი, (ვალების გამო თვითმკვლელობა) ღირსების შელახვა ჰქვია, არც თუ იშვიათად ოჯახების გათიშვა და დანგრევა ეწოდება. გადაარჩინა ბევრმა ჩვენს ირგვლივ მცხოვრებმა ოჯახი, რომელსაც მართლაც ჰაერივით გამოუჩნდა ლუკმა-პურისა და ვალების გასასტუმრებელი სარჩო-საბადებელი, დაუბრუნდა ცხოვრების გაგრძელების სტიმული, ფულის გამო არ ჩავარდა სასოწარკვეთილებაში და ისევ ჩადგა სიცოცხლის ფერხულში. დიახ, წავიდა... წავიდა, მაგრამ ენატრება, მათთან ერთად ყოფნა უნდა, ცრემლების გარეშე გაღვიძება მოენატრა მამლის ყივილთან ერთად რომ წამოფრინდებოდა თბილი საწოლიდან-შვილებს დახედავდა და გამოულეველ საქმეს შეუდგებოდა მზის ჩასვლამდე... უყურებს... ცის დასალიერიდან ყოველდღე უყურებს ყველას, მაგრამ ხელოვნურია ეს ყველაფერი, არაბუნებრივი, უმადლო და აუტანელი ტკივილით სავსე... და ბოლოს შვილთან წერილს აგზავნის, რომელიც რთულია ემოციების გარეშე წაიკითხო: „როცა თქვენს გვერდით ვიყავი, მაშინ ამაზე არ მიფიქრია...

მაშინ არ ვიცოდი, თუ საიდან მეძლეოდა ძალა, რომელიც ყველა წინააღმდეგობას ადვილად დამაძლევინებდა ხოლმე...

იყო უსასრულოდ მძიმე დღეები, იყო არ-ქონება და მაინც იყო სითბო...

ჩემი და თქვენი სითბო...

დედა-შვილობის სითბოს კი, ყინულების გალღობა შეუძლია, ყველაფერი შეუძლია...

ეს სულის, სისხლის, ხორცისმიერი კავშირია... (და კიდევ რაღაც უფრო მეტი, რომელსაც სახელი არა აქვს...)

არ შეიძლება დედა-შვილთა დაშორება...

მაპატიეთ, რომ დაგშორდით...

მაპატიეთ, რომ ვერ ვიკმარე მხოლოდ თქვენი სუნთქვა და თქვენი თვალებით ტკბობა...

რომ რაღაც მეტი მონდოდა...მეტი...

ის მეტიც თქვენთვის, მაგრამ სურვილმა იმისა, რომ გამეკეთებინა ის, რაღაც, რაც არ გქონდათ, დამაკარგვინა ის, რაც გვქონია მე და თქვენ...

2. მატიანე

მაპატიეთ, რომ დაგტოვეთ...

მაპატიეთ, რომ წლებია აღარ გიმზადებთ საუზმეს...

მაპატიეთ, რომ წლებია აღარ გხვდებით კართან შეციებულებს ქარსა და თოვლში...

მაპატიეთ, რომ აღარ გახვედრებთ თბილად შენახულ კერძებს, როცა სახლში მშივრები ბრუნდებით...

მაპატიეთ, რომ მოგაშორეთ დედა, რომელიც ჩემშია და ახლა ბუტაფორიასავით დააბიჯებს უთქვენო სამყაროში...

მაპატიეთ, რომ ჯვრისწერის დღეს სახლიდან გასულებს ჩემი ლოცვა ვერ გაგაყოლეთ და სახლში დაწყვილებულად დაბრუნებულნი გულში ვერ ჩაგიკარით...

მაპატიეთ, რომ მშობიარობის გაუსაძლისი ტკივილისას, დედის ხელები არ გქონდათ ახლოს სანუგეშოდ და ტკივილის საკურნებლად...

მაპატიეთ, რომ თქვენი შვილების აკვნები ვერ დავარწიე...

ვერც ჩემი საყვარელი „იავნანა“ ვიმღერე მათთვის...

ვერც ახალფეხადგმულ თქვენს შვილებს შევაშველე ხელი, სანამ წაიქცეოდნენ...

მაპატიეთ, რომ უამრავჯერ სიცხიანები მიხმობდით და კვნესით ნათქვამი „ვაი დედა“ ვერ გავიგონე...

მაპატიეთ, რომ ბევრჯერ ცხოვრების გზაზე ჩამუხლულებს, ხელი ვერ შეგაშველეთ ფეხზე ასადგომად...

მაპატიეთ, რომ დედა მოგაშორეთ... დედა, რომლის სიახლოვე ესოდენ აუცილებელია შვილებისათვის...

ხშირად რომ იბნეოდით და ცხოვრების ჩიხიდან გასვლა გიჭირდათ, ისიც მაპატიეთ...

უჩემო წლები მაპატიეთ...

უთქვენობით გაუტეხელი ღამეები მაპატიეთ...

ეს სიშორე და სივრცე მაპატიეთ, ჩვენს შორის რომ ნისლივით წევს და თქვენი თვალების დანახვას მიშლის...

ყველა უდედო გაზაფხული მაპატიეთ...

ყველა უდედო და ცივი ზამთარი...

დასათვლელად შეუძლებელი ემოციები მაპატიეთ, რომელიც თქვენთან ერთად ვერ გავიზიარე...

დიახ, იყო უამრავი გასაჭირი და წინააღმდეგობა...

მაგრამ იყო დედა-შვილთა ერთობის ენით აუხსნელი მადლი, რომელიც ჰკლავდა შიმშილს... ამარცხებდა არქონებას...ამცირებდა განსაცდელს და აქრობდა შიშს...

უდედობა კი ასაკში შესულ ადამიანებსაც უჭირთ, არათუ თქვენ...

მაპატიეთ, რომ სხვა გზა ვერ გამოვნახე...

დილით, სარკმლიდან შემონთებულ მზის სინათლეს რომ ჩრდილს მიაყენებს დედის ღიმილია...

ღამით, სავსე-მთვარიან და ვარსკვლავ-მოჭედილ ზეცას, რომ გაგიუბრალოებს დედის თვალებია...

მაპატიეთ,რომ ამდენი სიამოვნება წაგართვით...

მაპატიეთ, რომ გაღიმებული დედის ნახვა ნატვრად გიქციეთ...

ეს წლები მაპატიეთ გთხოვთ...

წლები, ყველაზე ლამაზი თქვენი ყმაწვილობიდან დიდობაში გადასასვლელი და მაინც რაღაც მთავარს მოკლებული...

უდედო წლები...“ (ნიუ-იორკი. ნანა მეფარიშვილი)

სანამ დედებს, მამებს, ბებიებს და ბაბუებს, მარადიული გრძნობით სავსე სიტყვიერი თუ წერილობითი მოფერება და დედაშვილური, ბებია-შვილიშვილური ურთიერთობა შუძლია, ჩვენი მამაპაპური, ქართული ჯიში და გენი, გენეტიკური კოდი არ გაქრება, არამედ მუდამ იარსებებს. იარსებებს, რადგან ამ ხილულ დედამიწაზე ყოველგვარი მტრისგან უძლეველია. უძლეველია, რადგან ჩვენ ქართველები, ჭეშმარიტი, მართალი სარწმუნოების მადიდებლები-მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ...

ჩვენ, ქართველი ქალები, მანდილოსნები ვართ...

ომარ კაპანაძე – კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე

კიდევ ერთხელ ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ეკონომიკის ზოგადი ტენდენციების შესახებ

საკითხები, რომელიც წინამდებარე ნომერში ჩვენი განხილვის საგანი ხდება, ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეში“ შედარებით განსხვავებული ფორმატით გამოვაქვეყნეთ სამი წლის წინ და იგი აქტუალობას არ კარგავს დღევანდელი მონაცემებითაც.

არც მაშინ და არც დღეს არ ვფიქრობ იმაზე, რომ სიტუაციები რადიკალურად შეიცვლებოდა. ამის სათავეა ის კოლოსალური ნგრევები ქვეყნის ეკონომიკაში, რომელიც 1991-2010 წლების მონაკვეთში განხორციელდა თანმდევი მოვლენებით და ნაწილობრივ გრძელდება დღესაც, რომელზედაც სხვადასხვა დროს გვისაუბრია და ამჟამად მისი განმეორება საჭიროდ არ მიგვაჩნია. ცხადია, რომ ქვეყანაც, მისი რაიონებიც და მოსახლეობაც მძიმე გამოცდის წინაშე აღმოჩნდა და ითხოვს შველას.

„საქართველოს ეკონომიკაში გატარებული ცალკეული ნაბიჯი არა მხოლოდ ეკონომიკური თეორიის, არამედ ელემენტარულ საღ აზრს ეწინააღმდეგება. ძნელია მოიძებნოს რაიმე დასაბუთება და მით უფრო გამართლება“. ასეთ დასკვნამდე მიდის აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რომელიც თავისი განვლილი გზითა და დიაპაზონით სფეროში ღრმად ჩახედულ ადამიანად მიმაჩნია.[1]

ამ პროცესს, რომელიც ასე მტკივნეულად წარიმართა და მოჰყვა ეკონომიკის მამოძრავებელი დარგების მოშლა მრავალმხრივი ახსნა გააჩნია და მას მთელ, ბოლო 30-წლიან ციკლში განაპირობებდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა შეხედულებათა არა შეჯერებული დასკვნები და მოქმედებანი, კაპიტალისტური წარმოების წესის ნაკლები ცოდნაც, საკადრო აღრევაც და კადრთა სუსტი პროფესიონალიზმიც, მერკანტილური ინტერესების ბობოქრობაც და „ფსევდორეფორმებიც“ – როგორადაც განხორციელებულ რეფორმათა უმრავლესობას მიიჩნევს ბატონი აკადემიკოსი.

„სახელმწიფო სექტორში დასაქმებულნი სამსახურიდან მასიურად გაიყარა, ინსტიტუციური რეფორმები სრულყოფილად გააზრებული არც ყოფილა“[2]

ფორმულა, რომ „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ იგნორირებული იქნა, გამოცდილი კადრების ნაცვლად დასაქმნდნენ ადამიანები, რომელთაც, ან მათ დიდ ნაწილს, გააზრებულიც არ ჰქონდათ რას ხელმძღვანელობდნენ, ან როგორ უნდა ეხელმძღვანელათ, არათუ სრულყოფილად, მიახლოებითაც არ იდგნენ მართვისა და გაძღოლის ურთულეს ხელოვნებასთან, რაც აისახა კიდევაც მართვისა და გაძღოლის არაპროფესიონალიზმის სახით, რომლის შედეგები სახეზეა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს მშობლიურ ვანის რაიონს (დღეს მუნიციპალიტეტს), პროცესებზე დაკვირვება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ თავმოყრილ პრობლემათა დაწესრიგება მაქსიმალურად შორდება ერთ, აწ უკვე, მხოლოდ აგრარული რაიონის შესაძლებლობებს. თუმცა, დღეისათვის მისასალმებელია სახელმწიფო ძალისხმევა სოციალური ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლების საკითხებში. ამის შედეგებიც ჩანს, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს შედარებით გლობალურად ჩამოყალიბებული ეკონომიკური პრობლემების განეიტრალება, დაწესრიგება. როგორც ჩანს, ამდაგვარი რაიონების მიმართ,

---

1. ვლ. პაპავა - პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმები. წიგნიდან „საქართველოს ეკონომიკა“, რომელიც ქვეყნის ცნობილ ეკონომისტთა შრომების კრებულს წარმოადგენს. გამოცემულია 2014 წელს.

2. ვლ. პაპავა - მითითებული ნაშრომი.

მათი განვითარების სრულყოფილ პერსპექტივებზე ჩამოყალიბებული, პროგრამად ქცეული ხედვა, მისაღწევი დასკვნითი შედეგებით ჯერჯერობით არ ჩანს.

საუბრები იმაზე, რომ პრობლემებს ბიზნესი დაარეგულირებს ეს გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება მოხდეს, მაგრამ ამ პროცესამდე გაძლება და მისვლაა საჭირო. მითუმეტეს მთელ ამ ციკლში ბიზნესის სფერო არც ისე ხელშესახები და გლობალური ასპექტისაა, რომ ჩამოყალიბებულ სიტუაციებზე გამკლავება შეძლოს.

ვფიქრობ მეტნაკლები ფორმით ანალოგიურ დღეშია ქვეყნის ყველა სასოფლო რაიონი.

ამდენად, ერთადერთ (თანაც მნიშვნელოვან) ხსნად ისევ საკითხისადმი სახელმწიფოსგან გლობალურ მიდგომას, ჩამოყალიბებულ პროგრამად ქცეულ ხედვებს და პროგრამების შესრულებაზე უმკაცრეს კონტროლს შეიძლება მიეცეს უპირატესობა, რომელიც დაფუძნებული იქნება სფეროს (სფეროთა) სახელმწიფოებრივი რანგის სერიოზულ ანალიზზე. დღეს ეს რიგითი ადამიანებისათვისაც ცხადია. შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური გარემო ადასტურებს ამას.

ეს, რამდენადაც უცხოდ არ უნდა მოგვეჩვენოს, კაპიტალისტური ეკონომიკისა და დღევანდელი კერძო სექტორის მიმართ დროში ჩამოყალიბებული მდგომარეობა, ყველა განზომილებით გვაიძულებს კეინსის[1] თეორიულ-პრაქტიკულ მიმართულებათა გარკვეული დროით პრაქტიკად ქცევას, ამ ბაზაზე უკვე არსებული მოდელის დროებით ან ნაწილობრივ შეჩერებას, ცვლას, ან რაღაც მსგავსი მაგალითის გამოყენებას, თუკი მეცნიერება იცნობს უკეთეს მოდელს. რათა პროცესები დაიძრას თანამიმდევრულად და მოსალოდნელი შედეგებით, სანამ ურემი არათუ გადაბრუნებულა, მთალდ არ დამტვრეულა.

დღეს უკიდურესად ჭრელი სიტუაციებია ქვეყანაში, ასევე უკიდურესად დიდი ამბიციებით. ამიტომ, ცხადია ამას მოჰყვება ე.წ. ოპოზიციური ცხელი თავების ე.წ. „შეშფოთება“ სხვა სიტყვა რომ არ ვიხმაროთ, ასევე მათთვის ბოლო ხანებში დამახასიათებელი აბსურდული მსჯელობებით იმ ოპოზიციისა, რომელსაც ქართული საზოგადოება ნაციონალურ მოძრაობად იცნობს მცირერიცხოვან სატელიტებიანად, რომელთა ყოველდღიური ქმედებაც ქვეყნისათვის ახალ თავსატეხს იწვევს, ამას არ შეიძლება ეს ადამიანებიც ვერ ხვდებოდნენ, მაგრამ მათი დაფარული ლოზუნგი ასე შეიძლება განისაზღვროს: „რაც უარესი მით უკეთესი“, მათივე პათოლოგიური ლტოლვით ხელისუფლებისაკენ. მოქმედების ეს ფორმა უკვე ზედაპირზე კარგახანია ტივტივებს.

უბედურებაც ისაა, რომ საქართველო ბოლო 30 წელია იქცა პერმანენტული ქუჩის აქციების, მიტინგების, გადატრიალებების, გადატრიალებათა მცდელობების, ფერადი რევოლუციების პოლიგონად და მის დამთავრებას საშველი არ უჩანს. ხალხი დაიღალა, უიმედობის ფაქტორი ღრმავდება, ქვეყნიდან გაცლას არჩევენ და გარბიან კიდევაც.

ჩემი სუბიექტური აზრია და არავისთვის არაა სავალდებულო მისი გაზიარება, მაგრამ, როდესაც მოვლენათა განვითარებას ვაკვირდები, დღეს თითქმის არცერთი პოლიტიკური ორგანიზაცია არ დგას იმ დონეზე არც თეორიითა და არც პრაქტიკით, რომ იკვლიოს განვითარების სოციალურ-ეკონომიკური სფერო, მეცნიერულ დონეზე შეაჯეროს მოვლენათა და ფაქტთა განვითარება და ჩამოაყალიბოს მოდელი ეროვნულ-ქართული ქვეყნის განვითარებისა, რომ საზოგადოებამ გაარკვიოს რა სურთ მათ. ეს ფაქტები ლიდერის ან ლიდერთა უკმარისობაზეც აკეთებს აქცენტს, ამიტომაც მათი მოქმედება სპონტანურია და არახანგრძლივი განვითარების ლოგიკაზე დაფუძნებული. ეს იწვევს არაერთი მათგანის „ცუნდრუკს“ ერთი პარტიიდან მეორეში, ერთი გაერთიანებიდან მეორეში, ან ყოველთვიურად ახალი ხუთი-ათ კაციანი პარტიების შექმნა-დაშლას და მოქმედებაც წვრილბურჟუაზიულ პარტიათა კლასიკურ შეფასებას ვერ შორდება – კიდევაც, რომ ებრძვიან და კიდევაც, რომ მხარს უჭერენ ძლიერთა ამაქვეყნისათა და რადგანაც არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული მიმართულებანი, დროს შიშველ

---

1. კეინსი - ამერიკელი ეკონომისტი. ჯონ კეინსი. კეინსიანობა - სწავლება, რომელიც ამტკიცებს ეკონომიკის ფართო სახელმწიფო რეგულირებას მოსახლეობის სრული დასაქმებისათვის.

რიტორიკაში, კოპწიაობასა და ერთმანეთის შეჭმაში ატარებენ. პატიებას ვთხოვ მკითხველსაც და ყველა იმას, ვისაც ეს სიტყვები არ ეხებათ, მაგრამ მათ, უმრავლესთა მოქმედებას, რომ ასეთი ფორმა აქვს შეძენილი ამაზე მსჯელობა შეიძლება.

ჩვენ ზემოთ კეინსის თეორიულ მიმართულებებზე გავამახვილეთ ყურადღება. შეიძლება მითითებული თეორია კაპიტალისტურ სისტემათა ჯაჭვისათვის ფორმითა და შინაარსით რამდენადმე განსხვავებული იყოს, მაგრამ თავის დროზე იგი წარმატებულად გამოიყენა, როგორც დღეს ჩვენ გვიყვარს გამოთქმა, ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა გამორჩეულმა პრეზიდენტმა, უდიდესმა სახელმწიფო მოღვაწემ ფრანკლინ დელანო რუზველტმა ამერიკისისათვის დიდი ეკონომიკური დეპრესიის წლებში, მოდელი შეეხო ქვეყნის ორივე სექტორს, სამრეწველოსაც და აგრარულსაც, რასაც მოჰყვა აგრარული სექტორისადმი გაძლიერებული ყურადღება, რომლის დეტალებზეც ამჟამად ყურადღებას არ ვამახვილებთ, მაგრამ გაბედულმა მოქმედებამ იხსნა ქვეყანა ეკონომიკურ-სოციალური ფიასკოსაგან. ცხადია ეს არის კერძო მოსაზრება, რომლის თქმის საშუალებასაც მაძლევს განვლილი ცხოვრებაც და დაკვირვება მიმდინარე პროცესებზეც. ცხადია ისიც, რომ მეცნიერ-ეკონომისტთაგანაც ანალოგიურ საკითხებზე მსჯელობისას აქა-იქ გაჟღერდა კიდევაც.

უდავოა, აქ მასშტაბები სრულიად განსხვავებულია და არც პრეზიდენტი რუზველტი იყო რიგითი მოკვდავი სახელმწიფო მოღვაწე, რომლის ჭკუისა და გადადგმული ნაბიჯის საფუძველზე კრიზისი უმოკლეს დროში დაძლეული და სტატუსკვო აღდგენილი იქნა. უდავოა ისიც, პრეზიდენტმა ამ პროცესში ჩართო აღიარებულ მეცნიერთა წარმომადგენლობა, თუმცა ჩვენთან მეცნიერებს ხან ჩარეცხილად აცხადებენ, ხან კი „კუპონების“ „შემომქმედნი“ და ძმანი მისნი ჩნდებიან ასპარეზზე და „ახალ-ახალი“ იდეებით გვმოძღვრავენ. სამწუხაროდ, ამ კაკაფონიას დასარული არ უჩანს, რომლის შუქზეც დასახლებები ნასახლარებად იქცა, ეკონომიკა ყანყალებს, სოციოლოგია, რომლის ფუნდამენტსაც ეკონომიკა წარმოადგენს შავ დღეშია.

საოცარია, რომ შეტევები ვითარდება თანაც იმ ძალების მიერ, რომელთა მოქმედება დიპლომატის ისტორიაში, ასევე პოლიტიკაშიც, ცნობილი ხერხის „დესიმულაციის“ შესატყვისია, როდესაც შენი მოქმედებით საქმე უკვე ჩააოხრე, მაგრამ თავგამოდებით ამტკიცებ, რომ ეს შენ კი არა სხვამ ჩაიდინა (ამ შემთხვევაში ჩააოხრა) ეს პათოლოგიურად განზრახ ამნეზიაზეც მიანიშნებს.

ალბათ, ახლა ბრიყვიც კი ხვდება თუ რა დღეში ჩავაგდეთ ქვეყანა, ერი და საზოგადოება. ერის მამები, რომლებმაც თავის დროზე ქვეყნის გაძღოლა იკისრეს, საუბედუროდ პიროვნულ სუბიექტურ ამბიციებს ვერ თოკავენ, ხალხის მიერ ხელისუფლებიდან მოშორების შემდეგაც ქვეყნისათვის დამანგრეველი „ბუნტარული“ გზით კვლავ მობრუნებას ცდილობენ. ამაზეა ძველი იტალიური გამოთქმა „პატრიციებმა ვერც ვერაფერი ისწავლეს და ვერ ვერაფერი დაივიწყეს“.

დავუბრუნდეთ დეტალებს და დავაკონკრეტოთ საკითხი, ამასთან მოგვიწევს გამოქვეყნებული სტატიიდან ზოგიერთი მონაკვეთების განმეორება, როგორც ისტორიის შეხსენებისა და დაფიქრებისათვის.

* * *

ზოგად ჭრილში ვიხილავთ 25 წლიან მონაკვეთს 1985 წლიდან 2010 წლამდე, რომელიც თავისი არსით უახლესი ისტორიის პერიოდს განეკუთვნება, მაგრამ შინაარსობრივი და პოლიტიკურ-ეკონომიკური დატვირთვით, აქედან ეკონომიკურ-სოციალურ, პოლიტიკური სახეცვლილებით, თავისებურებებით, შედეგებით დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ემთხვევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციათა ცვლას, სოციალისტური სისტემიდან კვლავ კაპიტალისტურზე გადასვლის თანმდევ მოვლენებს, შედეგებს, რომელიც პირწმინდად აისახა ქართულ სამყაროსა და აქედან ვანის რაიონის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ პოტენციალზე, ადამიანების ყოფით და სულიერ მიმართულებებსა და განწყობებზე, პრაქტიკულ და სოციალურ ასპექტში გავლენა დღესაც იგრძნობა. დასტურად მხოლოდ ერთ მაგალითს მოვი-

ყვანთ, 1991 წლიდან 2010 წლამდე ვანის რაიონის მოსახლეობის 15 000-მდე კაცით შემცირება, ამ პროცესთან დაკავშირებული, ქვეყნის მასშტაბით მართვაში დაშვებული შეცდომებისა და რყევების შედეგია. ხანგრძლივი დროის, 25 წლიანი ციკლის მანძილზე ვებრძვით ურთულესი გამოწვევებით შექმნილ რეალობებს და მიუხედავად, ბოლო წლებში გაღებული ძალისხმევისა პრობლემათა ერთობლიობა ყოველ ნაბიჯზე გვახსენებს თავს.

სულაც არაა ელემენტარული ჭეშმარიტება, მაგრამ ცხადია, როგორც ბუნების, ასევე ეკონომიკის კანონები თვითმყოფადია და ვერ ეგუება უხეშ და მოუფიქრებელ ჩარევებს, ამიტომ თუ რამ მოხდა ამ 25 წლიანი ციკლის მანძილზე, გამოწვევები ზემომითითებულ უხეში შეცდომების კასკადში უნდა ვეძებოთ და ეს პროცესი ეხება მთელს ვერტიკალს ზემოდან ქვემოთ და მთელს ჰორიზონტალს განშტოებების სახით.

მე არ მიმყავს საუბარი იქითკენ, რომ, რადგან სოციალისტური სისტემა ჩანაცვლდა კვლავ კაპიტალისტურით, ესაა ქვეყნის დაქცევა, საუბარია იმაზე ჩანაცვლება, რამდენად მოფიქრებულად, ჭკვიანურად და წინასწარგათვლილად განხორციელდა, რადგანაც, როგორც ისტორია ადასტურებს ამდაგვარი ცვლა არის ურთულესი ეპოქალური პროცესი და ფინიშისკენ სწრაფვა ეყრდნობა მთელი საზოგადოების ერთიანობას, ცივილიზებულ ეპოქაში უპირველესად მეცნიერებასთან შერწყმულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით მოქმედებას. მითუმეტეს, დრო რადიკალურადაა შეცვლილი. ჩვენ გავიარეთ და დღესაც გავდივართ გზას შეხედულებათა უკომპრომისო შეჯახების, დაპირისპირებულობის, ურთიერთმიუკარებლობის, მეცნიერთა „ჩარეცხილობის“ სინდრომით დატვირთული გათითოკაცებისა და შედეგიც მოვიმკეთ. ნუ ვილაპარაკებთ სამოქალაქო ომზე, თავისი კატასტროფული შედეგებით, რომელიც, სამწუხაროდ, თავს დაატეხეს ქვეყანას და ამის მიზეზი მარტო გარეძალებში არაა საძიებელი. სიტუაცია კონკრეტულად გვკარნახობს პრობლემათა ჭკვიანურ უტენდენციო ანალიზს, რომელიც არ ჩანს და როგორც ვხედავთ არც აწყობთ ანალიზის დადება რა, რატომ და რისთვის მოხდა, რატომ მივედით თითქმის თვითგანადგურებამდე. სერიოზული საზოგადოება ამას აუცილებლად გააკეთებდა.

ძნელად წარმოსადგენია საქართველოს არ ჰყავდეს სწავლულთა ობიექტური შემადგენლობა, რომელთაც ხელეწიფებათ საკითხთა კვლევაც, კვლევის შედეგების შეჯამებაც და საზოგადოებისათვის ცნობიერი გახადონ იგი. არ მინდა შეურაცხყოფად მიიღონ, მაგრამ ცალკეულ ჟურნალისტთა სტატიები, როგორი რანგისაც არ უნდა იყოს ის მეცნიერულ ანალიზს ხელს კი შუწყობს, მაგრამ დიაგნოზს გლობალურად ვერ დასვამს. სიტუაციათა მასშტაბური ცვალებადობის პირობებში, როგორც ჩანს, მხოლოდ ღრმა კვლევებს შეუძლია დიაგნოსტირება და გზის ჩვენება. ამის მაგალითად ჩინური მოდელიც გამოდგება, რომელმაც მსოფლიო აალაპარაკა, რადგან იგი არის სინთეზი თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი კვლევისა და შრომისა, ამის კვალობაზე პრაგმატული მომქედებისა.

კრიზისგაუვლელი ქვეყნები მსოფლიოში თითქმის არ არსებობენ, მაგრამ იმ ქვეყნების ხელმძღვანელთა სერიოზულობაზე, რომლებმაც გაიარეს კრიზისები და თანამიმდევრულად დაძლიეს იგი, მეტყველებს ის, რომ დროზე გამოიცნეს პრობლემები და მთელი ეროვნული ენერგია მიმართეს საქმის გასასწორებლად და კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მუდმივად თითის გაშვერა ვიღაც და რაღაც არნახული, რეაქციული, იმპერიული და ა.შ. მესამე ძალა გვეღობება და ხელს გვიშლის, რომელსაც ყოველწამიერად ვატრიალებთ და ყველაფერი ვიღაცაზე ან რაღაცაზე გადაბრალების რანგში აგვყავს, ბანალურ მტკიცებად იქცა. ეს ასეა საერთოდ, გლობალური ამბიციების მქონე ქვეყნებს (გნებავთ იმპერიებს) უპირველესად, თავისი პრეტენზიები, პოზიციები და სახელმწიფოებრივი ინტერესები მართავს და ფარულად თუ აშკარად პოლიტიკასაც ამ ვექტორით აგებენ. ასეა თუ ისეა, ჩვენი ქვეყანა ამ პოლიტიკურ ველში ისტორიულად იყო მოქცეული, ეს ინტერესები არც დღესაა განელებული და თუ რეალობებს თვალებში ჩავხედავთ იგი მოდის არა ერთი წერტილიდან, არამედ სამი ოთხი მძლავრი მიმართულებიდან მაინც, სხვადასხვა მეთოდებით, სხვადასხვა საშუალებებით, შედეგებით, მოკლე და შორეულ პერსპექტივიანი გათვლებით, ტკბილი სიტყვითაც და იარაღის ჟღა-

რუნითაც. ობივატელი შეიძლება დავარწმუნოთ იმაში, რომ ასეთი დამოკიდებულება ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან მხოლოდ რუსეთისაგან მომდინარეობს. ამ თამაშში ჩართულნი არიან „დიდებიც და პატარებიც“ რადგან ისტორიამ არ იცის არც მუდმივი მტრები და არც მუდმივი მოყვრები, იცის მხოლოდ მუდმივი ინტერესები. ამიტომ, როდესაც ამ პოსტულატებს ქართველთა აშლილობა და სკამებისათვის მუდმივი კინკლაობა ერთვის არ გვქონია კარგად საქმე, ერის შიგა დაპირისპირებებს, ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვით – გათითოკაცებას და ა. შ. რომელიც ისტორიულად ღრღნიდა ერს და ახლაც ღრღნის არასდროს არ მოუტანია სიკეთე და ვერც მოიტანს, მაგალითად კმარა XX საუკუნის ბოლოდან განვითარებული მოვლენები, რომ 1991 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს ხელისუფალთა ცვლა ყოველთვის მიდიოდა დემოკრატიის ფორმაში გამოწყობილი ექსტრემალური მეთოდებით. როგორც ითქვა, გადატრიალებებით, ნიღაბაფარებული სხვადასხვა ჯურის და ფერის რევოლუციებით. ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, საზოგადოებას ეს კარგად მოეხსენება. მაგრამ ასევე ფაქტია თითოეული მათგანი მძიმე დარტყმებს აკეთებს ეროვნულ შეგნებაზე, ფსიქიკაზე, საერო საქმის კეთებაზე, უკიდურესი გამოწვევების წინაშე აყენებს ერსაც, ბერსაც და განსაკუთრებულად ახალგაზრდობას, მომავალ თაობას. უტევს ერის სასიცოცხლო ინტერესებს, არყევს ეკონომიკას, როგორც ბაზისს, რომელზედაც დგას მთელი სოციოლოგია, აკარგვინებს წონასწორობას, უკარგავს მას უმთავრესს სოციალური მიზნების დამბალანსებლის როლს და ა. შ. ამ რეალობების წინაშე დგას ქართველობა ბოლო ათეული წლებია და სამწუხაროდ ამ მარაზმის შემსრულებლებს, სხვადასხვა ამბიციების მქონე გამყიდველ და გაყიდულ ქართველთა შორისაც პოულობდნენ და პოულობენ. რა უკიდურეს განცდამდე უნდა მიეყვანა იმავე მარაზმს ერის სასიქადულო და ზეპატრიოტი პოეტი ბატონი შოთა ნიშნიანიძე, რომ ეთქვა:

„ჩემო გოლგოთა და სამოთხევ
ცოდვებში ჩამდგარხარ ყელამდი,
ღირსი ხარ თუ ლაგამს ამოგდებს
ცხვირში რგოლგაყრილი ბელადი.“

ხოლო უფრო ადრე, ფარსადან გორგიჯანიძემ თავის ისტორიაში ასეთ მომაკვდინებელ დაპირისპირებებზე ციტირების გარეშე, პერიფრაზით რომ ვთქვათ აღიარა – ამათ, რომ ერთი პირი და ერთი აზრი ჰქონოდათ, ვერც მტერი აწყენდათ რაიმეს... ამათი სამქე მხოლოდ ურთიერთ მტრობით იწყებოდა და მტრობითვე გათავებულაო, ამ სამქეს არც მოიშლიან და არც მოუშლიათო.

ამ სამწუხარო სენტენციაზე ყურადღების გამახვილება იმიტომაც დაგვჭირდა, რომ ქართული სივრცის პრობლემები მტკივნეულია მასში შემავალი ყველა ქალაქისა და რაიონისათვის, ასეა იგი ვანისთვისაც, მისი მოსახლეობისათვის, როგორც დასაწყისში მივუთითეთ ამის შედეგია რაიონიდან ასე ხანმოკლე პერიოდის მანძილზე მოსახლეობის და უპირველესად, ახალგაზრდობის, როგორც შემოქმედებითი, მწარმოებლური ძალის, რესურსების კოლოსალური გადინება. მთავარია, რომ ეს ადამიანები რიგ ფაქტორებთან ერთად ოჯახური შიმშილის შიშმა იძულებელ-ჰყო რაიონი დაეტოვებინათ და ეროვნულ-ქართულის ნაცვლად სხვისი საქმე აკეთონ.

რაიონის ეკონომიკური პოტენციალის მოშლამ, რომელიც კისრისტეხით მიემართებოდა 1990 წლის დასასრულიდან ზემოთ მითითებულ პერიოდამდე, შეუწყო ხელი იმ პრობლემათა დაგროვებას, რომელზედაც ჩვენ საუბარი გვექნება, რომ ერთ დროს უტვინოდ გადმოსროლილმა ლოზუნგმა, „ჩვენ მხოლოდ ბორჯომი შეგვინახავს“, ეკონომიკაში ჩაუხედავი, თუმცა იმ პერიოდისათვის ერთ-ერთ იდეოლოგად მიჩნეული კაცის ნაბოდვარი იყო, მაგრამ თავის დროზე სხვა პოსტულატებთან ერთად თავისი უარყოფითი როლი მაინც შეასრულა.

ვანი, როგორც ადმინისტრაციული რაიონული ერთეული, სპეციფიურ პირობათა გამო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების 1929 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა 1930 წელს.

ზოგადი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ შეიძლება ითქვას: 1920-იანი წლების დასაწყისში „ვანი“ წარმოადგენდა უკიდურესად სუსტად განვითარებულ, ჩამორჩენილ მხარეს, ეკონომიკური წყობის ჯერ კიდევ ადრეფეოდალური ფორმით, შუასაუკუნეების ყაიდის აგრარული სექტორით, რამდენიმე კუსტარული სარეწით და ნულოვანი სამრეწველო პოტენციალით, რამდენიმე ერთ-ორკლასიანი სამრევლო სკოლით და სამწუხაროდ წერა-კითხვის უცადინარობით არა

მარტო დაბალ ე.წ. გლეხთა ფენებში, არამედ ვანის ე.წ. თავადაზნაურულ არისტოკრატიის წარმომადგენლობაშიც, თითქმის არარსებული სამედიცინო მომსახურებით, ანალოგიური კულტურის სფეროთი და ა.შ. მაგრამ 1930 წლისათვის, რაიონად გარდაქმნის პროცესში ვანის სამოქმედო სივრცეში განხორციელებული იყო მთელი რიგი რეფორმები და ცვლილებანი სოციალურ სპექტრში, ხოლო ეკონომიკაში, როგორც ბაზისში, იგი უკვე შესამჩნევი იყო, პროცესი დადასტურებულია დოკუმენტურადაც. ეს ე. წ. რეფორმატორული სიახლეების, თანამიმდევრული, თუმცა გარკვეულ ეტაპზე მტკივნეული, სრულქმნის პროცესები მიემართებოდა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე, კვლავ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციათა ცვლამდე, რადროშიც ვანი წარმოადგენდა აგრარულ-ინდუსტრიულ რაიონს ყველა ძირითადი განზომილებების მიხედვით, 39-ათასი მაცხოვრებლით, უწყვეტად ფუნქციონირებადი 319-ორგანიზაციით, პედაგოგიური, ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციით, საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფართო ქსელით. გამართული სამედიცინო დაწესებულებებითა და კადრებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი ობიექტებით, სამი ბალნეოლოგიური კურორტით, ფიზკულტურულ-სპორტული, კულტურულ დაწესებულებათა ქსელით ცენტრსა და სოფლებში, კლუბებითა და კულტურის სახლებით, ქორეოგრაფიული სტუდიით, სახალხო თეატრით და ა.შ. რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ყოველივე ეს შემონახულია შესაბამისი თაობის მეხსიერებაშიც, მაგრამ, იმის გამო, რომ ზუსტად ამ მონაკვეთის მანძილზე მოხდა მინიმუმ ერთი თაობის ცვლა, თანაც ეს მოიცავს 25-30 წლიან ციკლს, მასზე საკმაოდ ზერელე, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საზოგადოების იმ ახალგაზრდულ ნაწილს, რომლებიც უკვე შემოდიან ასპარეზზე, დღე-დღეზე ალბათ მართვის სადავეებსაც გადაიბარებენ. მაგრამ, რადგან არაფერია დაფარული, რომელიც არ გამჟღავნდება და თუ მართლა გვსურს მომავალმა თაობამ სწორად გაიაზროს მართვის პოზიციები და თავისი ჭკუა, ცოდნა და გონება მიუძღვნას ქვეყნის, რაიონის აღმშენებლობას, შეფასებათა საფუძველზე სწორად მართოს პროცესები, დეტალური ცოდნა წარსულისა და აწმყოსიც აუცილებლობაა. ცხოვრება მას დაავალდებულებს, ყურადღებით მოეკიდოს წარსულსაც და ცოდნაზე დამყარებული მართოს პროცესები, რაც მას არ დასჭირდება ცხადია არ მიიღებს, მაგრამ რაც დასჭირდება დრო უკარნახებს, რომ გაცნობიერებულად მიიღოს და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ შეძლებენ მდგომარეობის შეცვლას, მაგრამ ვერ მიიღებენ იმ მატერიალურ ფასეულობებს, რაც თაობათა რუდუნებით შეიქმნა, რადგან დაუდევრობამ და არა მარტო დაუდევრობამ გაანადგურა იგი. აღმშენებლობის თავიდან დაწყება, რაც მოსალოდნელია, არ იქნება იოლი პროცესი, მაგრამ სხვა გზა მათ არ ექნებათ თუ კი ისინი, რაიონის, მისი ხალხის სიკეთეზე, ერის მომავალზე დაფიქრდებიან და იზრუნებენ.

ცხოვრება აჩვენებს, რომ აღმშენებლობის გზაზე სიახლეთა ძიება აუცილებელია, სხვაგვარად დრომ არ იცის პატიება და საბედნიეროდ არც ხალხი პატიობს ხელისუფლებას ერთ ადგილზე ტკეპნას. დიდი ილიას სიტყვებით, რომლის განმეორებაც ისევ გვიწევს – „სამშობლო ტაძარი კი არაა სადაც უნდა იჯდე და ლოცულობდე, ასპარეზია სადაც უნდა გაისარჯო.“ ღმერთს არც ადრე და არც როდესმე ხელისუფლებისათვის არ მიუცია მცონარეობისა და უქმადჯდომის უფლება. ეს უფლება შემოქმედს არც რიგითი ადამიანებისათვის მიუცია და როგორც ჩანს გონებითაც იმიტომ აღჭურვა ადამიანი, პირისაგან მიწისა არ აღგავოს ის, რაც წლების მანძილზე წინაპრებს რუდუნებით უკეთებიათ და მის აუცილებლობას ხვალინდელი დღე უეჭველად დაანახებს.

სტატიის ფორმატი ვერ მოგვცემს საკითხთა დეტალიზების საშუალებას, ამიტომ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ზოგიერთი მიმართულებების პირობითი შეფასებით.

როგორც ითქვა, ვანის რაიონი შეიქმნა 1930 წელს საქართველოში სოციალისტური სისტემის არსებობისას, ამავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციაში განვლო მან 60 წელი, რომელიც მთელი თავისი განვითარების მანძილზე იყო ზიგზაგობრივიც, მაგრამ გამორჩეული ეკონომიკური აღმშენებლობით, სოციალურ-კულტურული უწყვეტი განვითარების სპექტრითაც და განსაკუთრებულად XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რაც სპეციფი-

კური პირობებით იყო განპირობებული, ამავე პერიოდში ყალიბდება ვანის რაიონის აგრარულ-ინდუსტრიული სახე შესაბამისი ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურით, როდესაც ცხოვრების დონის ზრდა თვალნათლივ შესამჩნევი იყო და XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე მიემართებოდა აღმავალი ხაზით. ვინც ვანის რაიონის ისტორიას (მხედველობაში არაა ძველი, ანტიკური) იცნობს და მედროვეობის ტენდენციურ მსჯელობებს ხარკს არ გადაუხდის, ასეთ შეფასებებს ვერ გაექცევა. რადგანაც რეალობაში თავისი დონით, საქმიან ურთიერთობათა არსითა და კულტურული ფენომენალური დატვირთვით. ეს პერიოდი რაიონისათვის იყო რამდენადმე რენესანსულიც. ამ საკითხზე მსჯელობა შეიძლება და ეს ასეა, ვინმეს მოსწონს თუ არა ამდაგვარი შეფასება.

ჩვენ ვიხმარეთ გამოთქმა აგრარულ-ინდუსტრიული რაიონი. რაც მინიშნებებს აკეთებს იმაზეც, რომ საქართველოს მასშტაბით მსგავს ადმინისტრაციულ ერთეულთა მამოძრავებელ მიმართულებას დასაბამიდან გარკვეულ დრომდე წარმოადგენდა აგრარული სფერო, რომელიც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე მივიდა შედარებით მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, ტექნიკურ-მატერიალური საშუალებებით, ორიენტირებული უპირველესად შრომის პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, რა დროშიც პროცესს ემსახურებოდა 600-ერთეულამდე გამართული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რის საფუძველზეც სოფლად შრომის ენერგოშეიარაღებაზე პრობლემები ძირითადში მოიხსნა, შესაძლებელი გახდა უმძიმესი ხელით შრომის კოეფიციანტის მაქსიმალური შემცირება, შრომის ნაყოფიერების გაზრდაც და არარაობიდან რაიონის სრულყოფილი, ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე შექმნილი სამრეწველო პოტენციალის ჩამოყალიბებაც.

ვანის აგრარულ სექტორში ძირითადი შემობრუნება იწყება XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რომლიდანაც დარგთა განლაგება განხორციელდა ახალი ეკონომიკური ორიენტირის გამიზნული შედეგების შესაბამისად, რომლის საფუძველზეც რაიონის სოფლის მეურნეობა ნატურწარმოებიდან გადაყვანილი იქნა სასაქონლო პროდუქტწარმოებაზე, ჩამოყალიბდა წარმოებული პროდუქციის ბაზარი, ეს იყო ერთ-ერთი გამიზნული, მეცნიერების შესაბამის ჯგუფებთან დამუშავებული აგრარული რეფორმაც ადგილობრივი გადამამუშავებელი სამრეწველო პოტენციალის სრულყოფით, რომლისათვისაც ძირითადი მოთხოვნა იყო აგრარულ სფეროში წარმოშობილი ჭარბი მუშახელის ადგილზევე დასაქმება და ამ გზით მიგრაციული პროცესების შემცირებაც, წარმოების პროცესის ფუნდამენტიც ნედლეულის სახით უნდა შქმნილიყო და შეიქმნა კიდევაც რაიონის სოფლის მეურნეობის სფეროში. ეს პროგრამა მიზანმიმართულად იქნა შემუშავებული და მაქსიმალურ შესაძლებლობებში განხორციელებული. ამას ადასტურებენ ფაქტები.

ამდენად, ეკონომიკას ქმნიდა მსხვილი სამეურნეო დანაყოფები, საზოგადოებრივი მეურნეობები, რომლებიც ძირითადად წყვეტდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტწარმოების ბედს, კერძო სექტორის მაქსიმალური ჩართულობით და გარდა რამდენიმე გამონაკლისისა თითოეული მათგანი სრული დატვირთვითა და უკუგებით საქმიანობდა.

აგრარული დარგებიდან სფეროთა მიხედვით მძლავრი სახით ფუნქციონირებდა მებოსტნეობის მიმართულება თავისი მრავალდარგოვნებით, რომლის პროდუქცია ყოველწლიურად აჭარბებდა 10-11 ათას ტონას, კონცენტრირებული მეხილეობა საფუძველჩაყრილი 1965-1967 წლებიდან, რომლის ამ სახით შექმნა სპეციფიურმა მოვლენებმა განაპირობა, მისი პროდუქციის მოცულობა 1990 წლის ბოლოსათვის 11700 ტონა, მეჩაიეობა წლიურად 1200 ტონა თავისი ახლადაგებული ჩაის ფაბრიკით, ვანური ხახვის წარმოება 3500 ტონამდე, პომიდორის 4000 ტონა და ა.შ. კონცენტრირებული მეცხოველეობა, რომელის პროდუქცია ყოველდღიურად რძის პროდუქტების გადამამუშავებელ კომბინატში (ქალაქ სამტრედიაში) შედიოდა 7-8 ათასი ლიტრი რძის სახით, საიდანაც მზა ნაწარმით სარეალიზაციოდ უბრუნდებოდა რაიონის შესაბამის ობიექტებს. ხორცის დამზადება 2200-2500 ტონამდე. მძლავრი ახლადაგებული სამრეწველო მეფრინველეობისა და მეცხოველეობის კომპლექსები, თევზის სატბორე მეურნეობები და ა.შ. აი, ეს იყო ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური პოტენციალი, პლუს

კერძო, აგრარული სექტორიდან მიღებული ჭარბი პროდუქცია.

ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემის დამოწმებაც. 1980-1990 წლებში რაიონში წარმოებული იყო და სახელმწიფოს მიეყიდა 155871 ტონა ყურძენი (საშუალოდ, წლიურად 15-ათ.ტ) საერთო ღირებულებით 93,5 მილიონი მანეთი. აქედან, კერძო, ინდივიდუალური სექტორის წილს წარმოადგენდა 133115 ტონა და მისი ღირებულება 80 მილიონ მანეთამდე გაიცა რაიონის გლეხობაზე. ხილის ჩამბარებლები (წლიური 10-11-ათასი ტონა) იღებდნენ 3,5 მილიონ მანეთს, ხორცის, დაფნისა და აბრეშუმის პარკის მწარმოებლები 2-2,5 მილიონს. ამდენად, ვანის აგრარული სფეროს ორივე სექტორი მარტო ამ მხრივ ყოველწლიურად დამატებით იღებდა 10-11 მილიონ მანეთს, ამ თანხების დიდი მოცულობა მიემართებოდა მწარმოებლებზე კერძო სექტორიდან, კონკრეტულად, გლეხობაზე, მათ ოჯახებზე და ა.შ. ამ დროისათვის სამეურნეო ორგანიზაციების ძირითადი ფონდების ღირებულება აღემატებოდა 14 მილიონ მანეთს, დაახლოებით ასეთ ჭრილში ფუნქციონირებდა ვანის აგრარული სექტორი, საუბარი არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ ყველაფერი იყო იდეალურად და სირთულეები საერთოდ არ არსებობდა. ნებისმიერ განვითარებას ახლავს სირთულეებიც და პრობლემებიც, მაგრამ იმ რაიონისათვის რომელიც პარალელურად ქმნიდა მნიშვნელოვანი მოცულობის სამრეწველო პროდუქციასაც, ამდაგვარი შედეგები ხელწამოსაკრავი არაა.

რაც შეეხება რაიონის სამრეწველო პოტენციალს და დამოკიდებულებას მისი უწყვეტი განვითარებისათვის: 1980-იანი წლების დასაწყისიდან რაიონს რეალურად გააჩნდა შანსი მასშტაბური პრობლემების გადასაწყვეტად, რის გამოც დღის წესრიგში დაისვა საკითხი დასაქმების ახალი ადგილების შექმნისათვის, სოციალური მომსახურების, ვაჭრობის სფეროს და უპირველესად სამრეწველო პოტენციალის გაფართოებისათვის ამდენად, სამრეწველო და აგრარული სექტორების პარალელური განვითარებაც განპირობებული იყო რაიონის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროგრამის მნიშვნელოვანი მიმართულებანი დამუშავებული მეცნიერ კონსულტანტებთან ერთად, გათვლილი იყო 1990 წლის მონაკვეთის ჩათვლით. დრომ დაამტკიცა, რომ მიმართულება იყო სწორი და დაადასტურა იგი საბოლოო შედეგმაც.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან რაიონში ფუნქციონირებდა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი და საკონსერვო ქარხანა ღვინის ორ ქარხანასთან ერთად. რაიონის სამრეწველო პოტენციალი ძირითადად ჩამოყალიბდა 1970-90-იან წლებში. ზუსტად ამ პერიოდში გაეშვა ექსპლოატაციაში ახალი საწარმოები, ხოლო გენერალური რეკონსტრირების ბაზაზე მოხდა არსებული საწარმოთა სიმძლავრეების ზრდა, ახალი დასაქმების ადგილების შექმნაც და რთული შრომისათვის მუშთა კონტინგენტის პროგრამული მომზადებაც, ესაა ფაქტი. აქედან სამრეწველო პოტენციალის სრულყოფით რაიონის ეკონომიკის სფერო განისაზღვრა ორი მთავარი მიმართულებით, აგრარული სექტორი – თავისი მრავალდარგოვნებით და უშუალოდ სამრეწველო სიმძლავრეთა თანმიმდევრული სრულყოფა, რომელიც სამ უმთავრეს მიზანს დაეფუძვნა:

1. სამრეწველო-სასაქონლო პროდუქციის წარმოება და აქედან რაიონის ეკონომიკური და ფინანსური საბიუჯეტო დონის ზრდა.
2. რაიონში არსებული ჭარბი მუშახელის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა. ამის საფუძველზე მიგრაციული პროცესების შეჩერება, რომელსაც აგრარულ სფეროში საქმიანობის სეზონურობაც აღრმავებდა. რაიონში დემოგრაფიული სალდოს დაცვა-გაუმჯობესება, მიგრაციული პრობლემების შედარებით გადაწყვეტით რაიონის დემოგრაფიული დაბერების მტკივნეულ საკითხთა მოხსნა.
3. **სამრეწველო საწარმოთა სამუშაო ციკლზე მიბმული სოციალური ინფრასტრუქტურის სრულყოფა, აღნიშნული საქმიანოსბის ბაზაზე ვანის რაიონში შეიქმნა და ფუნქციონირებდა 9 სამრეწველო საწარმო. აქედან, ადგილობრივი ნედლეულის სტაბილურ ბაზაზე მუშაობდა: 1. ვანის საკონსერვო ქარხანა; 2. ვანის ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, თავისი მატონიზირებელი სასმელების საამქროთი, რომელიც რეკორდულად მოკლე დროში იქნა აგებული და გაშვებული ექსპლოატაციაში 3. ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების სამ-**

მართველო, რომელიც მოიცავდა ქალაქ ვანის, ამაღლების, ზეინდრისა და ვანის ალადასტურის გადამამუშავებელ ქარხნებს, თითოეულ მათგანში განხორციელდა გენერალური რეკონსტრუქცია, აშენდა ახალი კორპუსები,ხოლო ალადასტურის ქარხანა აგებული იქნა და გაეშვა ექსპლუატაციაში 1990 წელს.

ახლა სხვა კუთხით შევხედოთ საკითხს:

1985 წლის დასაწყისისათვის რაიონის სამრეწველო ორგანიზაციებში დასაქმებული იყო 600-ზე მეტი ადამიანი, 1988 წელს – 1700. მას შემდეგ რაც რაიონში ამოქმედდა გორის ბამბეულის კომბინატის ფილიალი, ხოლო 1990 წელს აშენდა და ესქპლოატაციაში შევიდა საქსოვი ფაბრიკისა და ელექტრომექანიკური ქარხნის ახალი კორპუსები, აღიჭურვა თანამედროვე დანადგარებით, სამრეწველო სექტორში დასაქმებულთა კონტინგენტი გაიზარდა 2500 კაცამდე. აქვე მხედველობაშია მისაღები სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ქსელის მშენებლობა, მოდერნიზება და სფეროს აქტიურ მოქმედებაში ჩართვა რომელშიდაც დასაქმებულთა რიცხვმა ცენტრსა და სოფლებში გადააჭარბა 1300 კაცს, ამდენად რაიონის სამრეწველო და სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დასაქმებული იყო 4000-მდე კაცი. საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთვის კოეფიციენტმა მიაღწია 75-80% შრომის გაუმჯობესებული პირობებითა და ჯეროვანი ანაზღაურებით. შემცირდა რაიონიდან ახალგაზრდების გადინება, საწარმოებზე ყოველწლიურად ჩაშვებული 6,8 მილიონიანი კაპიტალური დაბანდებიდან 2,5 მილიონი მანეთი რეგულარულად მიემართებოდა რაიონის სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციაზე, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი დანადგარების შეცვლასა და წარმოების პროცესის ტექნიკურ სრულყოფაზე. ამის გამოც 1988 წელს სფეროში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 137%-ით. 1986-1990 წლებში რაიონმა აწარმოა 145 მილინი მანეთის სამრეწველო პროდუქცია (არ შედის მონაცემები ელექტრომექანიკური ქარხნიდან), 6,5 მილიონ მანეთამდე გაიზარდა მსუბუქი მრეწველობის ყოვლეწლიური ნაწარმი, იმავე ორგანიზაციებმა 1985 წელს აწარმოეს 33,7 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მიუხედავად ვითარების ცვლისა, წარმოების ტემპი შენარჩუნდა 1990 წლის ბოლომდე, ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს საკუთარი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რომელიც სამუშაო პირობების მაქსიმალურ გაუმჯობესებით გამოიხატა. ქველმოქმედების სახით, მოგებიდან მიღბული სახსრებით, პერმანენტულ საშეფო დახმარებას უწევდნენ სკოლებს, საბავშვო ბაღებს, კულტურის დაწესებულებებს, სპორტულ ორგანიზაციებს. მათივე ხაზითაა აგებული მშრომელთა საერთო საცხოვრებლების უმეტესობა ქალაქის ცენტრში (ე.წ. მიკროქალაქის სახით). ასე, რომ, როგორც ითქვა, მრეწველობა ვითარდებოდა არსებული ჭარბი მუშახელის პრობლემების მოსახსნელად, მიგრაციის შესამცირებლად, დასაქმებულთა რიცხვის გასაზრდელად, სახელფასო და ოჯახებზე დამატებითი შემოსავლების მოსაწესრიგებლად, ინფრასტრუქტურის გასაშლელად, მყარი ეკონომიკური ბაზის შესაქმნელად. რაიონის ბიუჯეტი მხოლოდ ადგილობრივი შემოსავლებით ფულის მტკიცე კურსით[1] გასცდა შვიდმილიონიან ზღვარს და სხვა ხარჯებთან ერთად აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო სისიტემის მთლიან დაფინანსებას (წლიურად 4 მილიონ მანეთს ხელფასის ჩათვლით), სამედიცინო მომსახურებას 1,5 მილიონი მანეთი, კულტურის სფეროს, კომუნალურ მეურნეობას), დანარჩენ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ბიუჯეტის პროგრესირებას მოჰყვა რაიონის იერსახის ვიზუალური ცვლაც.

საინტერესოა ერთი კონკრეტული მაჩვენებელიც სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1970 წელს 11 მილიონი მანეთიდან 1980 წლისათვის იზრდება 17, 3 მილიონ მანეთამდე, 1990 წლის მონაცემებით, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა, 33 მილიონ მანეთზე მეტი, შიგა ეროვნული პროდუქტი გაუტოლდა 55 მილიონიან ზღვარს.

ვანის ელექტრომექანიკური ქარხნის ექსპლუატაციაში შესვლამდე რაიონში დომინირებდა მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები, რომლის მოცულობაც მთლიან სამრეწველო პროდუქციაში 73-78% შეადგენდა, აქ ყურადღებამისაქცევია ერთი დინამიკა, 1980-იან წლე-

1 ერთი დოლარის ღირებულება წარმოადგენდა 65 კაპიკს.

ბამდე შექმნილი პროდუქციის 55% მოდიოდა სოფლის მეურნეობაზე, 1980-იანი წლების ბოლოს რაიონის მთლიან პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი იყო 37%, მრეწველობისა 43%, რაც კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგანაც ნებისმიერ განვითარებულ ქვეყნებში, მათ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილს აუცილებლად სჭარბობს მრეწველობის წილი და ითვლება განვითარების ნორმალურ მაჩვენებლად. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვანის რაიონი აწარმოებდა საქართველოს მთლიანი პროდუქციის 0,3; რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 0,4; სამრეწველო პოტენციალის 0,3; სოფლის მეურნეობის პროდუქციის 0,6 პროცენტს. მხედველობაშია მისაღები, რომ ამ დროისათვის სრულიად საქართველო წარმოადგენდა ნორმალურად განვითარებულ აგრარულ ინდუსტრიულ რესპუბლიკას. გაცნობიერებული მკითხველი ადვილად დარწმუნდება რა პარამეტრებზეა აქ საუბარი და ისეთი განლაგებისა და პატარა რაიონისათვის, როგორიც ვანია, მონაცემები თუ კოლოსალური არა შთამბეჭდავი მაინცაა.

1990-იანი წლების მეორე ნახევარი თავისი პოლიტიკური განვითარებით საქართველოსათვის, მისი შემადგენელი ნაწილებისათვის არის დატვირთული გრანდიოზული მოვლენებით. ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, შეიცვალა არსებული ეკონომიკური – პოლიტიკური – სოციალური სიტემა, რომელსაც აუცილებლად ახლავს ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა, წარმოების საშუალებისა და საკუთრების ფორმების ცვლა, გადასვლა მართვის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე. ეს კანონზომიერი მოვლენაა და მიანიშნებს იმაზეც, რომ პროცესის მართვა ვერ დაეფუძნება ეიფორიას, სპონტანურობას, ფორსირებას. ამავე პროცესებში შეიცვალა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმებიც და ა.შ. ერის „მამები“ ამ დროს ზრუნავენ და ცდილობენ განმუხტონ ის მტკივნეული დარტყმები, რაც ამდაგვარ მოვლენებს ახლავს.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში პროცესი მთლად ასე ვერ წარიმართა და ამაში წვლილი აქვთ არამარტო გარე ძალებს და არაერთს, არამედ განვითარების მსვლელობისას დაშვებულ გადახრებსა და შეცდომებს, რომელიც, როგორც ითქვა უკლებლად აისახა, მთელ ქართულ სივრცესა და მის შემადგენელ ნაწილებზეც. ამ კონტექსტიდან თუ მკითხველის ყურადღებას არ გადავღლით, ზოგიერთ კონკრეტულ საკითხს აუცილებლად უნდა შევეხოთ, საიდანაც ჩანს თუ რა გავლენა მოახდინა მან იმ სფეროზე, რომლებზედაც იდგა რაიონის ეკონომიკური განვითარება და სამომავლო პროგრესი.

აუცილებელი იყო და ეს უდავოა, უნდა განხორციელებულიყო აგრარული რეფორმა, რომლის მთავარი ღერძი იყო მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სისტემის ცვლა, რომელიც ჩვენთან მიწის პრივატიზაციის სახელით მოინათლა. ნებისმიერ ქვეყნებში ეს პროცესი არის უაღრესად ფაქიზი, რევოლუციის ტოლფასი მოვლენა და იგი შეიძლება მრავალ საუკუნეში ერთხელაც არ განხორციელდეს, მაგრამ ობიექტურობა ითხოვს ითქვას სოციალისტური საკუთრების სისტემიდან გარდამავალ ეტაპზე ამის განხორციელება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა განხორციელებისას მოუმზადებლობა და ფორსირება იყო იმდენად დიდი, რომ პრაქტიკულად შეიწირა ბევრი რამ, რომლის დაცვაც უაღრესად, ასევე აუცილებლობით იყო გამოწვეული. შემდეგი საუბრები იმაზე რომ ამ რეფორმით გლეხი გადარჩა დემაგოგიურ ელემენტებს უფრო შეიცავს ვიდრე რეალობას და ამას მხოლოდ ობივატელი შეიძლება ვერ ხედავდეს. ამ სტრიქონების ავტორს საშუალება ქონდა ემუშავა ქუთაისის გუბერნიაში 1865 წლის რეფორმით გლეხთა განთავისუფლების საკითხზე (რომელიც ასევე ჯდება აგრარული რეფორმის ფარგლებში) და ეს დოკუმენტები რიგ მიმართულებებში მიდგომის სერიოზულობით უფრო საფუძვლიან შთაბეჭდილებებს ტოვებენ, ვიდრე 1990-იან წლებში განსახორციელებელი აგრარული რეფორმა.

ვანისათვის აგრარულ სექტორში პირველი რყევები დაფიქსირდა 1991 წლისათვის, ყურძნის დამზადება შემცირდა ორჯერ, ხილის – ოთხჯერ, ბოსტნეული კულტურების სამჯერ და მეტად, ჩაის – 1,5 -ჯერ, ხორცის – 4-ჯერ და ა.შ. ცხადია, ეს მოჰყვა კონცენტრირებულ პროდუქტწარმოებაზე ჩამოყალიბებულ მეურნეობების ფუნქციების დაკარგვას. ვარდნა აგრარულ ეკონომიკაში გაგრძელდა 2010-იანი წლების დასაწყისამდე და იგი დღემდე არაა აღმოფხვრილი და განაპირობა მიმდინარე პროცესებმაც:

... „საკარმიდამო ნორმების გადიდებისა და მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის, სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების, სასურსათო პროდუქტების გადიდების, ეკონომიკური კრიზისისაგან გამოსვლის მიზნით“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილება გვაუწყებდა, რომ რეფორმა შევიდა ძალაში. ამდენად, როგორც ზემოთ ითქვა ჩამოყალიბებული შედეგების მიხედვით, ძნელია გაიზიარ-ოთ მაშინდელ ხელისუფალთა მტკიცება იმაზე, რომ ამ (და ამდაგვარად) განხორციელებული რეფორმით დაიწყო სასოფლო-სამეურნეო აღმავლობა. სფეროსთან შეხებაში ცხოვრების არ-ცერთი პრაქტიკული მაგალითი ვანის რაიონის მონაცემებით მაინც (და არამარტო ვანის) ამ საკითხზე დადებით პასუხს არ, ან იშვიათად იძლევა. პირიქით ეს იყო ინდუსტრიულ მიმარ-თულებებზე გადაყვანილი აგრარული სექტორის მოშლა. ეს ფაქტობრივად დაადასტურა მა-შინდელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1996 წელს გამოქვეყნებულმა ანალიზმაც. ამასვე ადასტურებს რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მონაცემებიც, თუ მხედვ-ელობაში არ მივიღებთ პრაქტიკულ შემოტრიალებას აგრარულ სექტორისა და მწარმოებელი გლეხებისადმი, რომელიც სახელმწიფოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე ხორციელდ-ება 2013 წლიდან და გამიზნულ ხასიათს ატარებდა გარკვეულ დრომდე და რიგ მიმართულე-ბებში აისახა კიდევაც ვანის აგრარული სფეროს საქმიანობაზეც.

ფაქტი ადასტურებს, რომ აგრარულ სფეროში განხორციელებულმა რეფორმამ კონკრეტულ მიზეზთა გამო მის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას ერთობლიობაში ჯერჯერობით თავი ვერ გაართვა. არც სათანადო მხარდაჭერა გააჩნდა და იგი გადაეჯაჭვა მრავალმიმარ-თულებიან პრობლემებს, პროდუქტწარმოებიდან გასაღების ბაზრის დაკარგვამდე. ამდენად, აგრარული ეკონომიკის ძირითადი ღერძი პრაქტიკულად ღრმა სტაგნაციის ქვეშ აღმოჩნდა, ამან მძლავრად დაარტყა ადამიანთა ოჯახურ ფინანსურ ანაზღაურებასაც და რაიონის ფი-ნანსურ ეკონომიკურ შემოსავლებსაც. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, როგორც ჩანს, სერიო-ზულად არავის უფიქრია იმაზე, თუ რა ელოდებოდა ადგილობრივ გადამამუშავებელ მრეწვ-ელობას, რადგან იგი პროცესთა გამო აშკარად ჰკარგავდა ნედლეულის ბაზას, სამწუხაროდ, აგროსექტორი განვითარებულ მოვლენათა შედეგად ჯერ შევიდა, როგორც ითქვა, ღრმა სტაგ-ნაციურ პროცესში, შემდეგში პრაქტიკულად დაკარგა წარმოებითი პოტენციალი.

ამიტომაც ამ საკითზე მოკლედ, მაგრამ დეტალურად მოგვიწევს საუბარი, თანაც დავეყრდ-ნობით ცნობილ მეცნიერთა შეფასებებს. ეკონომიკის ეს დარგი ქართულ სივრცეში უნიკალური თვისებებით ხასიათდება, რასაც ხელს უწყობდა რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავე-ბული ნიადაგურ კლიმატური და ეკონომიკური პირობები. ამან განაპირობა ქართული სოფლის მეურნეობისათვის უცხო კულტურების – ჩაის, ციტრუსების, სუბტროპიკული ხილის, სიმინდის, კარტოფილის, თამბაქოს და ა.შ. წარმატებით დანერგვა, რომლებმაც აბორიგენულ ჯიშებთან ერთად გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტწარმოების სპეციალიზაციაზე.“

ვანის რაიონის სინამდვილეშიც გამოიკვეთა აგრარულ კულტურათა სახეობები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ (და ალბათ შეასრულებენ კიდევაც), რაიონის მთლიანი შიგა პროდუქტის ფორმირებაში და მიეცათ მათ სამრეწველო პროდუქტწარმოების დანიშ-ნულება. ამრიგად, განსაზღვრული იყო დარგთა სისტემები – სამრეწველო მევენახეობისა და მეხილეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის პროდუქტწარმოება, მეჩაიეობის, ციტრუ-სული კულტურებისაც, რომელსაც მოჰყვა ლიმონარიუმების მასიურ ფართობებზე გაშენება, რომელსაც ემატება მემარცვლეობა, სიმინდის, ლობიოს, კარტოფილიოს წარმოება და ა.შ. ამ ნიადაგზე ვანის აგრარულმა სექტორმა საკმაოდ მრავალდარგოვანი მიმართულება შეიძინა.

ამჟამად, მოხდა ის, რაც მოხდა და რომელსაც პროცესთა დინებაზე მიშვებით არავინ ელოდა – „...საქართველოს სოფლის მეურნეობაში ყველა სახის მემცენარეობის პროდუქციის წარმოება კატასტროფულად დაეცა, რაც დაეტყო კიდევაც ქართულ ბზარს, რომელიც ასეთი შესაძლე-ბლობის ქვეყანაში გაჯერებულია იმპორტული პროდუქციით“ – დაასკვნის პროფესორი ომარ ქეშელაშვილი.[1] სიტუაცია თითქმის იგივეა ყველა რაიონისათვის და მათ შორის ვანისთვისაც.

---

1. პროფესორი ომარ ქეშელაშვილი – სოფლის მეურნეობა, ნაშრომთა კრებულიდან - საქართველოს ეკონომიკა.

თუ დავაკვირდებით ვანის აგრარულ ბაზარს ანალოგიური მდგომარეობის აღმოჩენა შეიძლება აქაც. ამდენად ქართული ფული, რომელიც ძნელად საშოვარი, მაგრამ ინფლაციის გამო ადვილად დასახარჯავი ხდება, სინამდვილეში იმპორტიორი ქვეყნის (ამ შემთხვევაში თურქეთის) სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად მუშაობს.

იგივე მდგომარეობაა კვების მრეწველობაშიც, რომელიც საქართველოში თითქმის ყოველთვის იყო უზრუნველყოფილი ადგილობრივი ნედლეულით. 1990 წელს 2009 წელთან შედარებით ქვეყანაში ხორცი იწარმოებოდა 3,2-ჯერ, ხორბალი 3,1-ჯერ, ხილი 4-ჯერ, ბოსტნეული 3-ჯერ, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი 93-ჯერ მეტი. 2009 წლისათვის კვების მრეწველობის სამრეწველო პროდუქცია 10-ჯერ შემცირდა.

ვანის რაიონში მთელი სამრეწველო პროდუქციის 65-70% მიდიოდა კვების მრეწველობაზე. ამ დარგიდან დღეისათვის თითქმის არაფერია დარჩენილი. საკონსერვო ქარხანა, რომლის წარმოება 12 მილიონ პირობით ქილა კონსერვს აჭარბებდა, ჩაის წარმოება რომლის პროდუქცია 300 ტონას (ნედლი 1200 ტონა) აღწევდა, ღვინის ქარხანების სამმართველოს ოთხი მძლავრი ქარხანა (მათ საქმიანობაზე ზემოთ ვისაუბრებთ) გარდა ერთისა თითქმის ნანგრევების სახითაა შემორჩენილი და ა.შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ასე კატასტროფული ვარდნის ბევრი მიზეზია: – „ტექნიკური საშუალებებისა და ცოცხალი სამუშაო რესურსების დაკარგვიდან იმის ჩათვლით, რომ რეგიონებში წარმოებულმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ (ღვინო, ჩაი, ციტრუსები, ხილი და ა.შ.) სათანადოდ ვერ შეაღწია მსოფლიო ბაზარზე. შემცირდა ბიზნეს აქტიურობა, ადრინდელი ტრადიციული დარგები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ამას მოჰყვა სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის მსხვილ ქალაქებში და იმიგრაცია უცხოეთის ქვეყნებში სამუშაო ადგილების საძებნელად[1] .“

პროფესორ იაკობ მესხიას ეს შეფასება მიუთითებს პერსპექტივის დაკარგვაზეც და მწარმოებელი გლეხის იძულებით ინდიფერენტიზმზეც, მის შრომითი პროცესისგან გაუცხოებაზეც, რის შემდეგაც იგი მწარმოებლიდან იქცა მომხმარებლად, მაგრამ ამას გარდა, როგორც ზემომითითებული მეცნიერები და არაერთი სხვაც მიიჩნევენ. (ასევე ეს ჩანს ვიზუალურადაც) – „საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სასოფლო-სამეუნეო კულტურების ნათესი ფართობების თანდათანობითი შემცირებაა. მაგალითად, 1999 წელს ნათესი ფართობები შეადგენდა 600 000 ჰექტარს (არაა საუბარი სოციალისტური მმართველობის დროზე, როდესაც ეს მონაცემი გაცილებით დიდი იყო), ხოლო 2009 წელს შემცირდა თითქმის ორჯერ და შეადგინა 308 000 ჰექტარი, იმერეთში შემცირდა 79,2 ათასიდან 49 000-ჰექტრამდე... ხილის წარმოების ტენდენციაც შემცირებით ხასიათდება 2000 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობაში იწარმოებოდა 181,2 ათასი ტონა ხილი. იმერეთში 55 000 წარმოებული ტონიდან შემცირდა 17 000 ტონამდე (სამჯერ და მეტად), ყურძენი 2000 წელს 210 000 ტონა, 2009 წელს 150 000 ტონა, იმერეთში შესაბამისად 52,5 ათასიდან 30 ათასამდე[2] და ა.შ. თითქმის ყველა დარგისა და სახეობის მიხედვით.

რაც შეეხება ვანის რაიონის მონაცემებსა და არსებულ მდგომარეობაზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ და შეიძლება დაემატოს, რომ ვანის მონაცემები უმნიშვნელო ცვლილებებით სუფთა ჭრილში მიჰყვება ქვეყნისას, აქ კერძო სექტორში სახნავია სულ 3396 ჰექტარი სახელმწიფო სექტორში 70 ჰექტარი, სათესი ფართობი სულ 4772 ჰექტარი სავარაუდოდ დათესილი ფართობი 2707 ჰექტარი. 2019 წელს მოიხნა სულ 2782 ჰექტარი, სახნავი ფართობის 58,3% და აქედან დაითესა (მოხნული ფართობის) 97,3%. 2018 წელთან შედარებით მოიხნა 91 ჰექტარით ნაკლები და დაითესა 156 ჰექტრით ნაკლები ფართობი[3] ჩვენ აქ საუბარს აღარ ვაგრძელებთ მოსალოდნელ მოსავლიანობაზე, ენერგოშეიარაღებაზე, ხელით შრომის კოეფიციენტის გაზრდაზე და ა.შ. ვანისათვის, როგორც ჩანს, აქ გამოკვეთილია პრობლემებიც და ზოგადად იგი

---

1. პროფესორი, აკადემიკოსი იაკობ მესხია — მრეწველობა. ნაშრომებიდან საქართველოს ეკონომიკა.

2. პროფესორ იაკობ მესხია — მრეწველობა — საქართველოს ეკონომიკა.

3. მასალები მოგვაწოდა ბატონმა გია ხარაბაძემ.

ასე წარმოდგება: ა) შრომითი ცოცხალი რესურსების შემცირება მოსახლეობის მაქსიმალური გადინების საფუძველზე, სოფლის მოსახლეობის დაბერების ნიშნები. ბ) აგრარული სფეროს ენერგო აღჭურვილობის მაქსიმალური შემცირება, შეძენის სიძვირე, რაც აღემატება აგრარულ სექტორში დასაქმებული გლეხების მატერიალურ შესაძლებლობებს. გ) ფართობის ჰექტარდამუშავების თანდათანობითი გაძვირება (იგულისხმება ყველა საჭირო ოპერაცია, მისი დროულობა). და ა.შ.

ცხადია, აღწერილი პერიოდისგან განსხვავებით დღეისათვის მოქმედებაშია სოფლის მეურნეობის აღორძინების მნიშვნელოვანი პროგრამები, მაგრამ როგორც ჩანს ეს ჯერ კიდევ ვერ იქნება ხსნა და განვითარების ტემპებიც დაბალია.

ეს მოკლე მონაცემებიც ცხადყოფს არსებულ მდგომარეობას და ამიტომაც საუბრის დასაწყისში აღვნიშნეთ სახელმწიფოსგან უფრო აქტიური ჩარევის აუცილებლობაზე, ვანის აგრარულ სექტორში (სამრეწველო თითქმის აღარ არსებობს) დღესისათვის ჩადებულმა გრანტებმა და თანადაფინანსებებმა მიუხედავად შედეგებისა, ძნელად წარმოსადგენია მდგომარეობა რადიკალურად შეატრიალოს. ამჟამად დამოკიდებულება აგრარული სექტორისადმი, უდავოა, საჭიროებს ახლებურ ხედვასა და საკითხთა ოპერატიულ გადაწყვეტას, მაგრამ არამარტო თეორიული სიახლის ქადაგებით, არამედ დასახული მიზნების მოქმედებაში მოყვანით, რაც კრიზისული მდგომარეობიდან დაძრავს სოფლის მეურნეობას, სწორედ ამაში სჭირდება მას სახელმწიფოს აქტიური ჩარევაც და შესაბამისი მოდელის გაბედული დამუშავებაც. ცხადია ეს ვერ იქნება ხანგრძლივი პერიოდის მომცველი, მაგრამ პროგრამის მოქმედების განსაზღვრაც შეიძლება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ევროპისა და ამერიკის წამყვან ქვეყნებში აგრარულ სფეროთა მიმართულებანი მუდმივი სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშაა, დოტაციურიცაა და ერთ ფირმაზე მუშაობს ათობით შესაბამისი ორგანიზაცია, რათა იგი მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი, როგორც ტექნიკური, ასევე რიგ სხვა დამხმარე საშუალებებით. მათ შორის აგრობანკების მაქსიმალური გაძლიერებით, რომელიც ფერმერებზე (მწარმოებელ გლეხებზე) მიზერული პროცენტებით გასცემს სესხებს და ა.შ. სხვათაშორის ასეთი დახმარებები მიუთითებს იმ დამოკიდებულებათა შერბილებაზეც, რომლის შეხედულებაცაა – რადგან მიწა კერძო საკუთრებაშია აგრარულ პროცესს თავიდან ბოლომდე უნდა მიხედოს მიწის მფლობელმა, დაახლოებით ანალოგიური ხედვებია ჩვენს ქვეყანაშიც. ეს თეორიულად ასეა, მაგრამ პრაქტიკა სულ სხვა მონაცემებს იძლევა.

ანალოგიურ დღეში აღმოჩნდა ვანის მრეწველობა:

1. ცეკავშირის ვანის საწარმოო კომბინატი – დასაქმებული იყო 350-ზე მეტი კაცი, ნორმალური ანაზღაურებით, პროდუქციის საერთო წლიური მოცულობა აჭარბებდა 6 მილიონ მანეთს, იყო რაიონის ბიუჯეტში ერთ-ერთი მძლვარი შემომტანი ორგანიზაცია, საქმიანობა შეწყვიტა 90-იანი წლების დასაწყისიდან.[1]

2. საკონსერვო ქარხანა აგებული და გათვლილი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. 80-იან წლებში მოხდა მისი ჯერ მიმდინარე, შემდეგ გენერალური რეკონსტრუქცია. 1990 წელს აიგო მეორე კორპუსი. სეზონზე საწარმოში დასაქმებული იყო 200-ზე მეტი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, შეეძლო ეწარმოებინა 16-18 მილიონი პირობითი ქილა-კონსერვი. რაიონის ბიუჯეტში ერთ-ერთი მსხვილი შემომტანი საწარმო.

3. ვანის ჩაის ფაბრიკა – რაიონულ ბიუჯეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადამხდელი...

4. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი – 70-80-იან წლებში საწარმო გაფართოვდა, აღჭურვილი იქნა საწამოო აგრეგატებით, ათვისებული იქნა ახალი მიმართულებანი, გაიზარდა წარმოების მოცულობა. რაიონის ბიუჯეტში ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელი, დასაქმებული იყო 150-ზე მეტი კაცი ნორმალური ანაზღაურებით.

5. ელექტრომექანიკური ქარხანა „სულორი“ – აიგო და ფუნქციონირება დაიწყო 80-იან წლებში, 1990 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ახლადაგებული II – კორპუსი, დასაქმებული იყო 500-მდე ახალგაზრდა, მძლავრი, ასევე ახალგაზრდული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით,

---

1. დღესისათვის დაშლილი და გაყიდულია.

ყოველწლიურად უშვებდა 6-7 მილიონ მანეთის სამრეწველო პროდუქციას. გარანტირებული ბაზრით მუშათა კოლექტივის მაღალი ანაზღაურებით.

6. „სქემური კაბელების საქსოვი საწარმო“ ჩამოყალიბდა 80-იან წლებში. სათაო ორგანიზაცია განლაგებული იყო სოფელ შუამთაში. საწარმო ფუნქციონირებდა რაიონის ადგილობრივი მუშახელის ბაზაზე. მისი საამქრეობი (ფილიალები) მუშაობდა რაიონის 8 სოფელში, რამაც ხელი შუწყო სოფლის ახაგაზრდობის ადგილზევე დასაქმებას, ჯეროვნად მაღალი ანაზღაურებით. წლიური პროდუქცია განისაზღვრებოდა 1,5 – 2 მილიონი მანეთის ფარგლებში. ფილიალების (საამქროების) ჩათვლით დასაქმებული იყო 360-ზე მეტი მუშა (ძირითადად ახალგაზრდები).

7. საქსოვი ფაბრიკა-საწარმოს ბაზა თანამედროვე სახით, სრულყოფილი ახალი ტექნოლოგიური ციკლით, ახალი საწარმოო კორპუსებით, ახალი ადმინისტრაციული სახლით და საკუთარი ინფრასტრუქტურით ექსპლუატაციაში გაეშვა 1990 წელს. დასაქმებული იყო 260-ზე მეტი ახალგაზრდა.

აღარ ვაგრძელებთ დანარჩენ სამრეწველო ორგანიზაციებზე საუბარს. ცუდი ისაა, რომ თითოეული მათგანი ემსხვერპლა ფორსირებულად, ბოლომდე გაუთვლელ პრივატიზაციის პროცესებს, არცერთ მფლობელს სერიოზული სახით არ უფიქრია საწარმოო ციკლის განახლებაზე, ინვესტირებებზე, გასაღების ბაზრების მოძებნაზე, უბრალოდ, საწარმოს ამუშავებაზე,[1] ამის მაგალითები გარდა ერთისა არ გვაქვს. სამაგიეროდ, გამონახული იქნა ერთ-ერთი გამონაკლისი, საწამოო დანადგარების უკვე, როგორც კერძო საკუთრების ჯართად გაყიდვა, შემდეგ აგურ-აგურ დაშლა და ამ სახით რეალიზაცია. საუბედუროდ, ასეთი ბედი გაიზიარა არამარტო ვანის, არამედ ქვეყნის ბევრმა წამყვანმა სამრეწველო ორგანიზაციამაც.

ცნობისათვის უნდა აღინიშნოს: სოფლის მეურნეობის სფეროდან დამოკიდებულების ნეგატიური ტენდენცია ემთხვევა ძირითადში 1991-1995 წლებს, აქა-იქ შემდეგი წლების განუკითხაობასაც, რომელსაც მოჰყვა ვარციხე-ვანი-ტობანიერის სარწყავი სისტემის სრული განადგურება, რომლის მშენებლობა 2,5 მილიონი მანეთი დაჯდა და სრული ციკლით თითქმის 1990 წლისათვის დასრულდა. გათვალისწინებული იყო ზაფხულის გვალვებისაგან ნათესი ფართობის დასაცავად, მოსავლიანობის გასადიდებლად. მრეწველობაში 1998 წლიდან 2005-2007 წლების ჩათვლით. ამდენად, აღნიშნული განუკითხაობის გამო და იმის შედეგადაც, რომ მაშინდელმა ქართულმა სახელმწიფომ ვერ შესძლო პრივატიზაციის პროგრამით გათვალიწინებული, ხოლო საწარმოთა მყიდველებმა თავიანთი ვალდებულების შესრულება პრაქტიკულად მოკლე დროში, ვანშიც, დაუსაქმებელი და ქუჩაში აღმოჩნდა სამრეწველო დაწესებულებათა თითქმის მთლიანი შემადგენლობა, მუშებიც, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიც. 2500-კაცზე მეტი და ბაზებიც განადგურებულია, ვანის სამრეწველო ეკონომიკა პრაქტიკულად აღარ არსებობს იმ სახითა და პოტენციალით, როგორიც იყო.

ამდენად, მოწესრიგებული ქვეყნებისათვის ისეთი ზომის 9 სამრეწველო ორგანიზაციის არსებული სიმძლავრეების განულება, შემდეგ მათი ფიზიკური ნგრევა (როცა ახალი არ იქმნება) შეიძლება გასწორებადი პროცესი იყოს, მაგრამ იმ მოვლენების ფონზე, როგორიც საქართველოში ჩამოყალიბდა და ისეთი რაიონისათვის როგორიც ვანია, მოვლენათა ასეთი განვითარება ეკონომიკური კატასტროფის ტოლფასად იქცა, ამიტომ რაიონულმა ბიუჯეტმა დაკარგა საშემოსავლო ნაწილიც, მაქსიმალურად ჩამოეკიდა სახელმწიფოს და იგი ძირითადში სახელმწიფოსგან მიღებულ სუბსიდიების მომხმარებლად იქცა.

გაუაზრებლობის მსხვერპლი გახდა რაიონის ვაჭრობის სფეროც, რომელიც ორ მიმართულებას მოიცავდა, კოოპერაციულს (ძირითადად) და სახელმწიფო ვაჭრობას. ერთ-ერთი უზარმაზარი დარგი ფლობდა 180-ზე მეტ ობიექტს თანამედროვე სავაჭრო ცენტრებით, საზკვების ობიექტებით და ა.შ. რომელშიდაც დასაქმებული იყო 1000-მდე კაცი, მისი წლიური საქონელბრუნვა თავსდებოდა 18-21 მილიონ მანეთის ფარგლებში. რაიონის ბიუჯეტში ერთ-ერთი უმსხვილესი შემომტანი. საჭიროდ არ ვთვლით ინდივიდუალიზებას სხვა იმ საწარმოებისა და

1. ბევრი მათგანი დღეს ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

ობიექტებისა, რომლებიც რაიონის ეკონომიკის შექმნა-განვითარების პროცესებში მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი, მათ შორის საკურორტო ზონაც, ბალნეოლოგიური სამკურნალო საშუალებანის ჩათვლით, თითოეული მათგანი კარგად ცნობილი ქვეყნისა და მის გარეთ, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის დამსვენებლებისათვის, რადგან სურათი მოყვანილი მაგალითებითაც ნათელია. ფაქტი სახეზეა: პროცესის შედეგი გახდა რაიონის წამყვანი სფეროების აგრარულის დიდი ნაწილისა და მრეწველობის პოტენციალის სრული გათიშვა, აქედან განხორციელდა უმტკივნეულესი დარტყმა რაიონის ეკონომიკაზე, ფისკალურ-ფულადსაკრედიტო პოლიტიკაზე, ბიუჯეტზე ორივე ნაწილში საშემოსავლოსა და საგასვლოზეც. შევხედოთ შედეგებსაც არცთუ შორეული წარსულიდან. 1998 წელს მრეწველობის წილი საბიუჯეტო შემონატანებში დაეცა 132 ათას ლარამდე, სოფლის მეურნეობისა 47, ვაჭრობის სფერო 79, მშენებლობა 14 ათასამდე, 1999 წელს მრეწველობა 80-ათას ლარამდე, სოფლის მეურნეობისა 24 ათასამდე და ა.შ. 2000 წელს მრეწველობა 86 ათასამდე, სოფლის მეურნეობა 25 ათასამდე, მშენებლობა ნულოვანი მონაცემით, ვაჭრობა 92 ათასამდე. შესაბამისად, 1999 წელს ბიუჯეტის გეგმა 809 ათასი ლარით განისაზღვრა, შესრულება 485 ათასი, 2000 წელს ბიუჯეტი 673 ათასი, შესრულება 465 ათასი და ა.შ. აქედან, ბიუჯეტი ძირითადად დაეფუძნა არამაწარმოებლური შრომით შემონატენებს. პროცესი მცირეოდენი ცვლილებით მიმდინარეობდა 2010 წლის პერიოდამდე.

სუბიექტურ მოსაზრებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ სინამდვილიდან არაა დასტანირებული, ყველაფერი ის, რაზედაც იყო საუბარი და რასაც ვერ შევეხეთ, მაგრამ რეალურად არსებობდა დაცულ და გააზრებულ ვითარებაში გამოყენებადი იქნებოდა დღეისათვისაც თუ შევუსაბამებდით საწარმოო პროცესთა განახლების ციკლს, რაც აუცილებელია და ჯდება აპრობირებულ სტანდარტებში, რადგან შექმნილ, მოქმედებაში მოყვანილ ძირითადად ფონდებს ასე არსად არ ანადგურებენ, მას იყენებენ და თანამიმდევრულად ცვლიან ახლით.

ყოველგვარი ბიფირამბების გარეშე შეიძლება ითქვას: რაიონის დღევანდელმა ხელისუფლებამ მიიღო უმძიმესი მემკვიდრეობა. მოძრაობა, რომელიც მდგომარეობიდან გამოსასვლელად სახელმწიფო დახმარებით ხორციელდება და შეუიარაღებელი თვლითაც კარგად ჩანს ცხოვრების ბევრ სფეროში, არის საწყისი გარანტი ცვლილებებისა და გააზრებული მოქმედებისა, შედეგებზე ორიენტირებისა, იგი რამდენადმე მკვეთრადაა გამოკვეთილი აგრარულ სექტორში ინოვაციების სახითაც. თუმცა, არასაკმარისი და ჯერ კიდევ მძლავრი არაა, მაგრამ, როდესაც, თითქმის, ყველაფერი იწყება თავიდან, ნახტომისებურ შედეგებს არ უნდა ველოდოთ და ეს პროცესიც გაგებული უნდა იქნას სწორად, ყოველგვარი დემაგოგიის გარეშე. დღეს, როგორც არასდროს საზოგადოებრივი აზრის გამთლიანებაა საჭირო, რომელიც მუხლჩაუხრელ შრომასთან ერთად გახდება საწინდარი, ვანის აღორძინების დაწყებისა. უკვე ის რაც კეთდება სოციალური სფეროს მოწესრიგებისათვის სოფელთა დამაკავშირებელი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის, არასასკოლო ასაკის ბავშვთა მზრუნველობის სახით და რიგ დაწესებულებათა ძირითადი ფონდების აღდგენა-განახლების სახით და რაც ასევე ჩანს თუ კოლოსალური არაა, შექმნილი ვითარების ფონზე რეალურად შთამბეჭდავია.

ვანს ღირსეული ანტიკური წარსული აქვს. რაიონმა მაღალეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ წარმატებებს მიაღწია XX საუკუნის კონკრეტულ პერიოდში და დარწმუნებით უნდა ითქვას იგი თავისი პოეტენციალით ასევე ღირსეულ ადგილს დაიჭერს მომავალშიც. ამის გარანტი უნდა გახდნენ ვანელები, ვანში და ვანს გარეთ მოღვაწე ვანელთა ინტელექტუალური შემადგენლობა და თავისთავად ახალგაზრდობა, რომელთაც რთულად გასავლელი XXI საუკუნე ელოდებათ.

ეს სტრიქონები იწერება გულისტკივილით, ხოლო ციფრობრივი მონაცემები არა უბრალო შედარებისათვის, როდის რა ჯობდა, არამედ იმისთვის, რომ გააზრებულ სიტუაციაში რაიონში საქმის კეთება შეიძლება და ეს ლოგიკა ჩანს ზემომითითებულ მონაცემებშიც.

აქედან, საქმის კეთების პრინციპულობას განსაზღვრავს ის, როგორი იქნება გათვლები და მიდგომები ასეთი უმტკივნეულესი პრობლემის მოგვარებისას. საკითხის სწორად გაცნობიერებაზე საქმიან მოქმედებებთან ერთად დამოკიდებული იქნება ვანის მთლიანი სივრცის ხვალინდელი დღე. ეს არაა დიდაქტიკა, რეალობაა ასეთი, რომელსაც აწონილ-დაწონილი მოქმედება სჭირდება.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – პროფესორი, აკადემიკოსი, ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სულხან-საბა ორბელიანი – მოგზაურული ჟანრის ფუძემდებელი ქართულ მწერლობაში

1713-1716 წლებში ევროპაში დიპლომატიური მისიით მყოფმა სულხან-საბა ორბელიანმა (1658-1725 წწ.) თავისი მაშინდელი შთაბეჭდილებების ამსახველი წიგნით ქართული ლიტერატურის ისტორიაში საფუძველი ჩაუყარა მოგზაურული ჟანრის დამკვიდრებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ლიტერატურული ჟანრის ელემენტები ზოგიერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში მანამდეც გვხვდებოდა ფრაგმენტული სახით, მათ ამგვარ მცდელობებს აღნიშნული მიმართულებით საგულისხმო შემოქმედებითი წარმატებები არ მოჰყოლია.

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ კი იმ წიგნად იქცა, რომელმაც ხსენებულ ჟანრს სულ სხვა მასშტაბები შესძინა და, ამ დროიდან მოყოლებული, იგი არაერთი ქართველი მწერლისთვის იქცა შემოქმედებით შესაძლებლობათა ფართოდ წარმომჩენ ჟანრობრივ სახეობად.

ხსენებული ნაწარმოების განხილვამდე მინდა მკითხველს პირველ ყოვლისა იმ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორებზეც ვუთხრა რამდენიმე სიტყვა, რაც მისი დაწერის განმაპირობებელი საფუძველი გახდა.

როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს 1713–1716 წლებში ევროპაში დიპლომატიური მისიით მისი მოგზაურობა წარმოადგენდა. ამ მოგზაურობას, რის შედეგადაც ნათლად გამოვლინდა სულხანის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის არსი, წინ უძღოდა წერილების გაცვლა-გამოცვლა, ერთის მხრივ, ქართლის იმჟამინდელ მეფე ვახტანგ მეექვსესა და, მეორეს მხრივ, საფრანგეთის სამეფო კარსა და რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურებს შორის.

ევროპასთან დამაკავშირებელი გზების ძიების დროს ვახტანგს უღალატოდ ედგა გვერდით მისი უპირველესი მრჩეველი და მასწავლებელი სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ზემოთქმული მიმოწერის წარმართვის საქმეში. ევროპაში სულხანი სპარსეთიდან საქართველოს გავლით საფრანგეთში მიმავალ კათოლიკე მისიონერ რიშარს გაჰყოლია 1713 წლის აგვისტოში.

სულხანის დიპლომატიური მისია ევროპაში, ბუნებრივია, ირანის წინააღმდეგ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა. იმის გამო, რომ ვახტანგ მეფე და მისი თანმხლები პირები იმ დროისათვის შაჰის ფაქტობრივი ტყვეები იყვნენ, საბას თავისი სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლად კონსპირაციულად უნდა ემოქმედა. ამიტომაც იყო, რომ კონსტანტინეპოლში მყოფი სულხანი, საფრანგეთის იმპერატორის წყალობის შეგვიანებით შეშფოთებული, საფრანგეთის მინისტრს ასე შესჩიოდა: „ჩემი ყოფნა გრძლად არ ვარგა მისთვის, თუ ჩემი რამ ითქვა და საჯაროდ გამოვიდა, მრავალი საქმე წახდება“ (ლეონიძე, 1949: 90).

მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში სულხანის დიპლომატიური მისიის უმთავრესი მიზანი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნის შველა იყო, რომსა და საფრანგეთში გაგზავნილ წერილებშიცა და ოფიციალურ მიღება-შეხვედრებზეც საბა ყურადღებას პირველ ყოვლისა მაინც თავისი მოგზაურობის რელიგიურ მიზანდასახულობაზე ამახვილებდა. ქართველმა დიპლომატმა კარგად იცოდა, რომ რომის პაპიცა და საფრანგეთის ხელისუფლებაც მხოლოდ მაშინ მოიხედავდნენ საქართველოსკენ, თუ ეს მათთვისაც იქნებოდა სასარგებლო.

ამიტომაც იყო, რომ სულხანი თავისი მოგზაურობის უმთავრეს მიზნად ჩვენს ქვეყანაში

კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას აცხადებდა და რომსაც და საფრანგეთის ხელისუფლებასაც წამდაუწუმ ეუბნებოდა მადლობას იმის გამო, რომ ისინი თავიანთი „მართალის სარწმუნოების გავრცელებას დიაღ ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში“. ამ მიზნის რეალურად მისაღწევად იგი დაბეჯითებით თხოვდა მათს „სიწმინდეს,“ რაც შეიძლებოდა მეტი პატრები გამოეგზავნათ საქართველოში.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, სულხანი განსაკუთრებულ ყურადღებას იქვე იმასაც მიაპყრობდა, ევროპაში მისი გადახვეწის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი განსაცდელში ჩავარდნილი თავისი ქვეყნისა და მისი მეფისათვის დახმარების აღმოჩენის გზათა მოძიებაც რომ იყო. მაგალითად, 1714 წლის 11 მარტს პროპაგანდის წინამძღვარი კარდინალისათვის მარსელიდან გაგზავნილ წერილში იგი გარკვევით წერდა, რომ საფრანგეთში მისი გამგზავრების ძირითადი მიზანი „ფრანცისის მეფის“ მიერ ჩვენი მეფისათვის მოწერილი წიგნის წამოღება იყო. სულხანის თქმით, „თუ... ფრანცისის მეფე მოინდომებდა, ჩუენს მეფეს ეშველებოდა“ (თამარაშვილი, 1995: 651).

სამწუხაროდ, სულხან-საბას ყველანაირი დიპლომატიური მცდელობა საქართველოთი ფრანგ ხელისუფალთა დაინტერესებისა წარუმატებელი აღმოჩნდა და სიტყვიერი თანადგომის ფარგლებს არ გასცილებია. ერთადერთი პრაქტიკული შედეგი, რაც საფრანგეთის სამეფო კართან მის ურთიერთობას მოჰყვა, რომში პროპაგანდისადმი გაგზავნილი სარეკომენდაციო წერილი იყო, რომლის ავტორი, ფრანგი მინისტრი პონშარტრენი რომის კათოლიკური ეკლესიის ხელისუფალთ თხოვდა წმინდა ბასილის წესის ქართველი მონაზონი მათი მფარველობითა და შემწეობით განსაკუთრებული პატივით მიეღოთ (თამარაშვილი, 1995: 657).

მართლაც, 1714 წლის 10 ივლისს რომში ჩასული საბა რომის პაპმა და კათოლიკური ეკლესიის სხვა მესვეურებმა უდიდესი პატივისცემით მიიღეს. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მასალას თავად სულხანი გვაწვდის თავის „მოგზაურობაში“. ნათქვამის ნათელსაყოფად თუნდაც პაპთან მისი პირველი შეხვედრის ეს ეპიზოდი გავიხსენოთ: „შემიყვანეს. მომცრო სახლში იჯდა. ერთი კართან გვათაყვანეს, ერთი შუა სახლში და მერმე ფეხს გვაკოცნინეს. თავზე მომეხვია და ჩოქებით ჯდომა წესია, არ დამაჩოქა, ფეხზე დამაყენა. მე დაბლა ბოლო ვდგებოდი, გვერდს ახლო მომიყვანა. მომიკითხა, მიალერსა.

მე მოვახსენე:

– წმიდავ მამავ-მეთქი, რა შენმა შვილმა, მტკიცე ქრისტიანმა თავისი საქმე შენზე მიაგდო, მაშინვე გულსავსე შევიქენ, ყველა გამირიგდება-მეთქი. მაგრამ სიგვიანე ვახტანგ მეფეს არას არგებს, ავს ალაგს არის-მეთქი.

მიბრძანა:

– ჩემი სისხლი რომ მთხოვო, ვახტანგისა და შენის ქვეყნის სასარგებლოდ იმასაც დასაქცევად მოგცემო.

მადლი გარდავიხადე და მოვახსენე:

– მე ვხედავ, ვახტანგის მოუსვლელობით ქრისტიანობას დააკლდება ჩემს ქვეყანაშია და მოსვლით მართლმადიდებლობას მიემატება-მეთქი, თვისა მე სხვა საქმე არა მაქვს რა. მოხუცებულს სიმეონსავით გეხვეწები: აწ განმიტევე-მეთქი.

გამიცინა და მიბრძანა:

– მე შენთვის ღმერთს ვეხვეწებიო. დიდი დღე მოგცესო, შენით მრავალი საქმე მინდა გავაკეთოო“ (ორბელიანი, 2013: 212).

ეს იყო და ეს. პაპთან სულხანის პირველ შეხვედრას ამ სენტიმენტალური საუბრის გარდა სხვა შედეგი არ მოჰყოლია, გარდა იმისა, რომ სულხანის მიმართ ამ შეხვედრის შემდგომ ყურადღება კიდევ უფრო გაძლიერდა. ასე მოხდა მეორედაც, როცა პაპის კეთილგანწყობილება ქართველი ელჩისადმი „მრავალი კაი სიტყვის“ ფარგლებს არ გასცილებია.

რომის პაპთან სულხანის მესამე შეხვედრა გამომშვიდობების დღეს შედგა. პაპმა სამშობლოში სიტყვიერი დაპირებების ამარა მომავალ საბას უთხრა, რაც გინდა, მთხოვეო.

რამდენჯერ უნდა ეთხოვა?! გაკეთებით მაინც არაფერი კეთდებოდა. გამომშვიდობებისასო,

– წერს მწერალი, – „მომეხვია, მაკოცა, ფეხს ვაკოცე. გზის საქმეები დაგვარიგა, გამომისტუმრა, მიბრძანა:

– ასე მალე არ გაგიშვებდიო, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო. რომ დამეჭირე, იმას გულს დააკლდებაო და წადი, მისი საქმე მოიჭირვეო.

ას სამოცი იქაური სკუთი ებოძა (სამასი მარჩილია) გზის ხარჯად“ (ორბელიანი, 2013: 276).

ასე უშედეგოდ დამთავრდა საბას ოცნება რომის პაპის დახმარების გზით უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ჩვენი ქვეყნისა და მისი მეფის განსაცდელისაგან გამოხსნისა.

* * *

სამწუხაროდ, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში” ჩვენამდე სრულყოფილი სახით არაა მოღწეული და მისი ის ნაწილი, სადაც მოთხრობილი იქნებოდა საფრანგეთამდე მწერლის მგზავრობასთან და ამ ქვეყანაში ყოფნასთან დაკავშირებული ამბები, ჯერ-ჯერობით დაკარგულად ითვლება. ასე რომ, ავტორისეული მონათხრობი საფრანგეთიდან მისი უკან წამოსვლით იწყება.

იქიდან გამომდინარე, რომ „მოგზაურობის„ თუნდაც ჩვენამდე მოღწეულ ნაწილშიც კი სულხან-საბა მხოლოდ ევროპულ შთაბეჭდილებებს არ მოგვითხრობს, ნაწარმოების სათაური პირობითია, არაავტორისეული და მკვლევართა მიერ მისთვის მოგვიანებით შერქმეული. XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე კათოლიკე მღვდელი იოანე ხოჯაშვილი თავის ერთ-ერთ, 1774 წლის 4 მაისის, ჩანაწერში ნაწარმოებს „მიმოვლის წიგნის“ სახელწოდებით მოიხსენიებს და აღნიშნავს: „საბა ორბელიანის მიმოვლის წიგნის წერის დაწყება“ (ახალციხური ქრონიკები, 2015 40).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობის“ ერთი ხელნაწერი პირი სტამბოლის ქართული სავანის არქივში უნდა ინახებოდეს. მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ბარამიძე (ბარამიძე, 1988: 126):

გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში თურქეთში ხანგრძლივი დროით სამეცნიერო მივლინებაში მყოფმა სერგი ჯიქიამ თურმე მას აცნობა, რომ სტამბოლის ქართული მონასტრის ძმობის წევრებს სულხანის ხსენებული ნაწარმოების გამოცემა განუზრახავთ და „უკვე დაებეჭდათ კიდეც წიგნის სამი თაბახი, მაგრამ თხზულების დასაწყისი იმ ნაკლული ხელნაწერის მიხედვით აეწყოთ, რომელიც ხელთ ჰქონდათ. გამომცემლებს სერგისთვის გადაუციათ წიგნის დაბეჭდილი თაბახები და უთხოვიათ მისი შედარება თბილისის ნუსხებთან... ჩამოტანილი ანაბეჭდების თბილისურ ხელნაწერებთან შეჯერება სერგი ჯიქიამ მე მთხოვა... მართლაც, ჩვენს ნუსხებში უფრო ვრცელი ტექსტი აღმოჩნდა. გადმოვწერე და სტამბოლში გასაგზავნად გავამზადე. უნდა წაეღო კათოლიკე პატრ ვარდიძეს. ამ დროს ის დააპატიმრეს და საქმე ჩაიშალა. ფოსტით გაგზავნას მოვერიდეთ. ანაბეჭდები მე დამრჩა. არ ვიცი, რა ბედი ეწია წიგნის გამოცემას. ამის შესახებ ვუამბე წიგნის ფანატიკურად მოყვარულს და თვითონ სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამომცემლობის ხელმძღვანელს სიმონ ხუნდაძეს. მთხოვა მისთვის მეთხოვებინა ანაბეჭდები... აბა, უარს როგორ ვეტყოდი! 1933 წლის აგვისტოში სიმონ ხუნდაძე უეცრად გარდაიცვალა. შემოდგომაზე მისი ბიბლიოთეკა საგულდაგულოდ გადავჩხრიკეთ მე, მისმა მეუღლემ და შვილებმა. წიგნები არსად აღმოჩნდა, დაიკარგა.“

შესაძლებელია, ხსენებული ხელნაწერის ის ვარიანტი, რომელზეც ა. ბარამიძე საუბრობს, სტამბოლის არქივში იყოს გაგზავნილი და იქ არსებულ ათასობით ხელნაწერს შორის ინახებოდეს. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ სავანის არქივში დაცული მასალები ჯერ-ჯერობით ბოლომდე არ არის აღწერილი და კატალოგიზებული, ეს საკითხი სამომავლოდაა გასარკვევი.

გამორიცხული არც ის არის, რომ სტამბოლის ქართული სავანის ძმობის წევრები და ამავე სავანესთან არსებული სტამბა-გამომცემლობის თანამშრომლები, რომელთაც XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული გასული საუკუნის 30-იან წლებამდე ასზე მეტი დასახელების ქართული წიგნი ჰქონდათ გამოცემული, საბას „მოგზაურობის“ დაბეჭდვას სავანის არქივში

დაცული იმ ხელნაწერის მიხედვით აპირებდნენ, რომელიც დღესდღეობით ცნობილ ვარიანტზე უფრო სრულყოფილი იყოს.

საბას ხაზგასმით, მის მოგზაურულ შთაბეჭდილებებში არარეალური და მოგონილი არაფერია და იგი მხოლოდ იმას გვიყვება, რაც პირადად უნახავს და გაუგონია. მაგალითად: „ვინც დაიჯერებთ, ეს ჩემის თვალით მინახავს, ვინც არა და – თქვენ იცით“ (ორბელიანი, 2013: 202).

ეს ყველაფერი, მწერლის მოგზაურობასთან დაკავშირებული ყველა ეპიზოდი, ნაწარმოებში ძალზე შეკუმშულად, სხარტად და ფრაგმენტულად, ყოველგვარი ზედმეტსიტყვაობისა და მეტისმეტი დეტალიზაციის გარეშე რომაა მოთხრობილი და ამბის ასეთი ფორმით თხრობა საბას სტილის მიზანმიმართულ თავისებურებას რომ წარმოადგენდა, ამის შესახებ თავად ავტორიც მიგვანიშნებს ერთგან, როცა ამბობს: „გრძელი ამბავი თავის საწყენიაო“ (ორბელიანი, 2013: 323).

საფრანგეთის უკანასკნელი დასახლებული პუნქტი, საიდანაც სამშობლოში მომავალმა მწერალმა ამ ქვეყნის მაშინდელი საზღვრები დატოვა და საფრანგეთსა და იტალიას შორის მდებარე საბიას სამეფოს ქალაქ ნისიში (დღევანდელი სახელდებით – ნიცაში) გადავიდა, ქალაქი ტანტიბი (კ. ხარაძის განმარტებით, სწორია ანტიბი, ვახუშტის მიხედვით კი ანთიბი – ხარაძე, 2010: 191) იყო. ეს ამბავი 1714 წლის ზაფხულში მოხდა.

როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ნათლად ჩანს, სულხანს, რომელიც საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის ოფიციალურ სტუმარს წარმოადგენდა, ყველა ქალაქსა თუ სოფელში, სადაც კი მისი მოგზაურობის დროს უწევდა გავლა, იქაური ხელისუფლების უმაღლესი პირებიცა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც უდიდესი პატივისცემით ხვდებოდნენ. ისინი ამასთან დაკავშირებით, ეტყობა, წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი და საპატიო სტუმარს ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდნენ.

მაგალითად, საბიას მეფემ, როცა მის სამეფოში სულხანის მისვლის ამბავი გაიგო, მასთან შესახვედრად თურმე ქალაქის ვოივოდა გაგზავნა და სტუმარი სასახლეში მიიპატიჟა; თუმცა საბამ, დაღლილობის მომიზეზებით, მიწვევაზე უარი განაცხადა. მასპინძლებმა მწერლისადმი პატივისცემის ნიშნად მათ სამეფოში მისი მისვლა იმით აღნიშნეს, რომ „ექვსი ზარბაზანი გაყარეს,“ რითაც საპატიო სტუმარს „შილინგი უყვეს.“

საბიას სამეფო გამონაკლისი არ ყოფილა და საბასა და მისი თანმხლები პირებისადმი ასეთი განსაკუთრებული პატივისცემა სხვაგანაც არაერთგზის გამოუხატავთ როგორც იტალიის საერო ხელისუფლებისა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებს, ისე ამ ქვეყანაში მყოფ ფრანგ დიპლომატებს.

რაც შეეხება პაპს, რომში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში საბას განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა არც მისგან მოკლებია. კერძოდ, გარდა იმისა, რომ პაპი საპატიო სტუმარს რამდენჯერმე შეხვდა პირადად, მის მიერ საგანგებოდ გამოყოფილმა სასულიერო პირებმა მას ფაქტობრივად რომის თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი და ღირსშესანიშნაობა დაათვალიერებინეს.

„მოგზაურობის“ ჩვენამდე მოღწეული ვარიანტის იტალიურ ნაწილში, განსხვავებით ნაწარმოების თურქული მონაკვეთისაგან, ავტორის ყურადღების ცენტრში უპირველეს ყოვლისა იქაური სასულიერო წოდების წარმომადგენლებთან მწერლის შეხვედრებისა და ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების დათვალიერების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემაა მოქცეული, ქართული ნაკვალევის ძიებასა და საკუთრივ ქართულ პრობლემებზე მსჯელობას კი ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი. ეს გარემოება უპირველეს ყოვლისა იმით აღმოჩნდა განპირობებული, რომ იტალიაში მყოფ მწერალს არც ქართული ეკლესია-მონასტრები შეხვედრია სადმე და არც იქ მცხოვრები ქართველები.

„მოგზაურობა ევროპაში“ საინტერესო მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტს იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენს, რომ მისი მეშვეობით მწერლის დროინდელ იტალიაში, თურქეთსა და საქართველოში არსებულ ეკონომიკურ განვითარებასთან, რელიგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან, მოსახლეობის რაოდენობასთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებითაც

გვექმნება გარკვეული წარმოდგენა. კ. ხარაძის მართებული შეფასებით, „ეს არის პირველი ქართული წიგნი, რომელიც გვაწვდის ნანახი ადგილების ყოველმხრივ დახასიათებას და პირველ რიგში ისტორიული და გეოგრაფიული ცნობების უნაკლოდ გადმოცემას“ (ხარაძე, 2010: 50).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაწარმოების ის ეპიზოდები, სადაც მწერალი მის რომაულ შთაბეჭდილებებს მოგვითხრობს. რომში ხანგრძლივი დროით მყოფ მწერალს შესაძლებლობა მიეცა, საფუძვლიანად გაცნობოდა ამ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, უპირველეს ყოვლისა კი იქ არსებულ უამრავ ეკლესიასა და მონასტერს.

ნანახით უსაზღვროდ მოხიბლული საბა საკმაოდ სიტყვაუხვია რომის ნახვით განპირობებული თავისი ემოციების გამოხატვის დროს და მრავალ საქებარ ეპითეტს იყენებს ამ ქალაქის განსადიდებლად. მაგალითად: „რომი ასეთია, ას წელს სულ იაროს კაცმა, მის საკვირველობას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს. მაგრამ მე რასაც შევიძლებ, ჩემს ნახულს მართალს დავწერ. ეგება გეგონოსთ ქებისათვის ნამეტანი დავწერო. უსაცილოდ დაიჯერეთ, რასაც ვწერ ნაკლებია“ (ორბელიანი, 2013: 222).

რომი გამონაკლისი არ ყოფილა და მსგავსი აღფრთოვანებით საბა იტალიის სხვა ქალაქებსაც აღწერს ხოლმე. მაგალითად: „ჯენევიას (მწერალს მხედველობაში აქვს ქალაქი გენუა – ა. ნ.) ქალაქში შემოვედით. ჯენევია ზღვის პირია, გაშლილი... დიაღ მაგარი ადგილი და ნამეტნავად გამაგრებული... ჯენოვიასთანა შენებულობა და მისის სახლებისთანა შვენიერი გარედამ არსად გვინახავს, რაც ვნახეთ მეფის სახლებს გარდა. დიაღ შვენიერი სახლებია...

მრავალი კაი ქალაქია, მაგრამ ეს ქალაქი სხვა ქალაქია. კოსტანტინეპოლი იმტოლია, მაგრამ ამის შენებულობა და სიმდიდრე, სამართალი და სიმშვიდე იქ არც ერთია, არც სიმაგრე.

ჯენევიას ეკლესიისა და მონასტრების საქმემ გამაცვიფრა. გარედამ ფრანციცის შენებულობა სჯობდა, მაგრამ შიგნიდამ – ამის შენებულობა“ (ორბელიანი, 2013: 201).

ხოლო ქალაქ ფლორენციაში არსებული ხიდები, რომელთა გაკეთებაც იმ დროისათვის დიდ საინჟინრო ცოდნასა და ხელოვნებას მოითხოვდა, „მოგზაურობაში“ ასეა აღწერილი: „შუა ქალაქში მდინარე დიდი ჩამოდის, ოთხს ადგილს ხიდი ძევს, ხუთ-ხუთ, ექვს-ექვს კამარა. მაგრამ ერთი ხიდი ვაკეთ იყო დახურული. კამარის სიმგრგვალე ძლივ შეეტყობოდა, განიერი კამარები ჰქონდა. ასე ოსტატობით აეშენებინათ“ (ორბელიანი, 2013: 303).

როგორც ითქვა, იტალიაში ყოფნის დროს საბას იქ არსებული უამრავი ეკლესია, მონასტერი და ტაძარი დაუთვალიერებია. მათი სიმრავლით არა მარტო რომი გამოირჩეოდა, არამედ იტალიის ნებისმიერი ქალაქიცა და სოფელიც. მაგალითად, მწერლის ინფორმაციით, მარტო ფლორენციაში „სამოცდათოთხმეტი დედათ მონასტერია, მამათ მონასტერსა და ეკლესიას გარდა“ (ორბელიანი, 2013: 295).

საბა თავის აუცილებელ მოვალეობად თვლიდა, მათი გარკვეული ნაწილი მაინც ენახა და იქაურ წირვა-ლოცვაში მიეღო მონაწილეობა.

იგი საკმაოდ დეტალურად აღწერს მის მიერ ნანახი ეკლესია-მონასტრების არქიტექტურულ თავისებურებებს, ინტერიერსა და ექსტერიერს, იქ მიმდინარე საეკლესიო რიტუალებს, საერთოდ, ქრისტიანული ცხოვრების ცალკეულ მნიშვნელოვან ეპიზოდებს, რომის პაპისა და სხვა სასულიერო პირების მონაწილეობას აღნიშნულ პროცესებში...

ეკლესია-მონასტრების გარეგნული იერსახისა და არქიტექტურული სილამაზის აღწერასთან ერთად, საბა არა მარტო მათში მიმდინარე მღვდელმსახურებასთან დაკავშირებით გვაწვდის სათანადო ინფორმაციას, არამედ უაღრესად მნიშვნელოვან იმ როლსაც წარმოაჩენს, რასაც ამ ეკლესია-მონასტრების ერთი ნაწილი ასრულებდა ისეთი საქმეების მოგვარებაში, როგორებიცაა: სნეულთა და უპოვართა უანგაროდ დახმარების მიზნით გაწეული ქველმოქმედება, სასულიერო პირების სასწავლო-საგანმანათლებლო და სამწიგნობრო საქმიანობა, დაინტერესებულ პირთათვის სხვადასხვა ხელობის სწავლება და სხვა.

მაგალითად: „ერთს კარდინალს ერთი საწიგნო სახლი აეშენებინა, დიდი და პატიოსანი. და კედლის ძირის-ძირიდამ მაღლა თავამდი ოთხგნითვე წიგნი ეწყო უანგარიშო და მრავალი, რომ ვინც მაგისთანა კაცი იყოს, წიგნის სყიდვა არ შეეძლოს, იქ მივიდეს და, რაც წიგნი უნდა,

იკითხოს, მიართმიდენ“ (ორბელიანი, 2013: 219).

ხსენებული „საწიგნო სახლი“ გამონაკლისი არ ყოფილა და სახალხო ბიბლიოთეკებად ქცეული ანალოგიური სახლები რომშიცა და სხვა ქალაქებშიც საკმაოდ მრავლად ყოფილა. ასეთი სახლები პირველ ყოვლისა ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა და იქ მოღვაწე სასულიერო პირთა ძალისხმევით, ამგვარ „საწიგნეებში“ არა მარტო რელიგიური შინაარსის წიგნები ყოფილა თავმოყრილი, არამედ საერო შინაარსის მქონენიც. მაგალითად: „წავედით კარდინალის სანახავად. დიაღ ტკბილად და მოწლედ მოგვეპყრა. ალერსს უკან თავისი სახლები დამატარა. უწინ საწიგნე მაჩვენა. მრავალი უცხო და უცხო წიგნები სასულიერო თუ სახორციელო, მერმე სხვა – საფილოსოფოსო. საწიგნეში შემიყვანა. პლატონ, არისტოტელი და მათი ამხანაგები დახატული, რასაც სახისა ყოფილან, და მათი წიგნები. ოთხი-ხუთი ამისთანა სახლი წიგნისა მაჩვენა“ (ორბელიანი, 2013: 227).

საბას ხაზგასმით, რომში არსებულ „საწიგნეთა“ შორის წიგნადი ფონდის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ყველაზე მეტად მაინც „პაპის სამწიგნობრო“ (დღევანდელი ვატიკანის ბიბლიოთეკა) ყოფილა გამორჩეული, სადაც „ყოვლისა რჯულისა და ყოვლისა ენისა წიგნები იყო“ დაცული (ორბელიანი, 2013: 244).

ამ ინფორმაციის მოწოდებასთან ერთად საბა იქვე იმ ფაქტსაც აღნიშნავს გულისტკივილით, რომ წიგნთა სიმრავლითა და ენობრივი მრავალფეროვნებით გამორჩეულ ამ „საწიგნეში“ მას ქართული წიგნებიც უძებნია საგულდაგულოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი მათგანიც კი ვერსად უპოვია.

კათოლიკე სასულიერო პირთა შესახებ საუბრის დროს საბა იმ საქველმოქმედო და ჰუმანიტარულ საქმიანობასაც არაერთგზის უსვამს ხაზს, რასაც ისინი ღვთისმსახურებასთან ერთად ეწეოდნენ მეტად აქტიურად. როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომსა და იტალიის სხვა დასახლებულ პუნქტებში უდიდესი რაოდენობით არსებული ეკლესია-მონასტრები არა მარტო სასულიერო რიტუალების აღსასრულებელ ადგილს წარმოადგენდა, არამედ საქველმოქმედო დაწესებულებებსაც, სადაც უამრავი უპოვარი, სნეული და შეჭირვებული ადამიანი პოვებდა სულიერ შვებასა და საარსებო ლუკმაპურს.

საბას მონათხრობის მიხედვით, ამგვარი ქველმოქმედების მაგალითს სასულიერო პირებსა და მრევლს უპირველეს ყოვლისა რომის პაპი აძლევდა, რომელიც ხშირად თავადაც უმასპინძლდებოდა გაჭირვებულ ადამიანებს. მაგალითად: „პაპის წესია, ყოველდღე თორმეტი გლახა იჯდა. იმ დღეს ცამეტი გლახა იჯდა. ვერ შევიტყვე, როგორ მომხდარიყო. ტაბლა უცხო ყვავილებით შეემკოთ. თავს პაპა იდგა. არდაგი მოირტყა... სხვათ მოატანინა საჭმელი... პაპა ორს გლახას მიართმევდის... გლახებმა ჭამა დაუწყეს. ხუთი რიგი საჭმელი მოიტანეს. დიაღ საბატიურად სჭამდენ გლახები... პურსაც პაპა უჭრიდა, ხორცსაცა... და ღვინოსაც პაპა მიართმევდა“ (ორბელიანი, 2013: 375).

პაპის ამგვარი ქმედება გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენდა და კათოლიკური ეკლესიის მამამთავარსა და მის მღვდელმსახურებს ეკლესია-მონასტრებთან საკმაოდ მრავლად ჰქონდათ გახსნილი ისეთი სპეციალური სახლები, სადაც სასულიერო პირები ათასობით სნეულსა და მშიერ-მწყურვალს უწევდნენ უანგარო დახმარებას. მაგალითად: „წავედით იოვანე მახარებლის მონასტერი რომ დავსწერეთ... წმიდა პაპის ეკკლესია და სადგომი არის. პაპა მისი ეპისკოპოსია...

რაც რომში ობოლი ქალია, უპატრონო, და თუ ვისმე პატრონს შენახვა არ შეეძლოს, იქ მიიყვანს. რვაასის ქალის ადგილია, ხან მოემეტება, ხან დააკლდება. ჩემობას ოთხასი იყო. პატარას მოიყვანენ, ყოველს საქმეს ასწავლიან: წიგნსა, სჯულის საქმეს, მერმე ხელოვნობას. ენკრატისტები (საბას განმარტებით, „დედათა ეწოდების, ყოველთა საქმეთა მომჭირნეთა“) ადგანან, მოძღვრები და მწირველები. ყოვლისფერით გარიგებულია – სასმენელად, სასიცოცხლოდ. რომელიც მოინდომებს, ქმარს შეირთავს. სასაქმოს სულ პაპა მისცემს: სასმელს, საჭმელს, ტანსაცვამს... რახან გავლენ, ას მარჩილს მზითევს გაატანს“ (ორბელიანი, 2013: 258).

ან კიდევ: „წავედით იმავ დიდს მონასტერში, პაპის სამადლო რომ არის... დიახ დიდი ეკლესია

იყო, ჯვარის სახედ აეშენებინათ. წინ – ქალწულების სადგომი, მარჯვნივ – დედაკაცების სადგომი, მარცხნივ – ყრმათ სადგომი და დასავლეთით – კაცების სადგომი. ათას ორასი სული იყო...

საქმობდენ იქ, მატყლსა და სელსა და კანაფს სჩეჩდენ... ქსელევდენ, ქსოვდენ, ტილოს აშიებს ქსოვდენ, სჩეჩდენ, რეცხდენ, სთელევდენ და ღებავდენ...

მჭედლები, მეწუღე, მემაშიე, ფეიქრები და ყოველი მოხელე ხურო – ესენი იყვნენ.

რაც ობოლი, უპატრონო, საწყალი იყო, იქ იზრდებოდენ. სანამ ათის წლისა შეიქმნებოდა, წიგნს ასწავლიდენ, მერმე ვის რა უნდოდა, იმ სახლში შეიყვანდენ. იქ იყო სტამბა წიგნისა, ფარდაგის ქსოვა, მხატვრობა, ამისთანები, წიგნის კრვა. რომელს რა სახელო უნდოდა, იქ ასწავლიდენ. ორმოციოდ გიჟი და დედ-მამის უარშიო (მოურჯულებელი, გაუგონარი, ანჩხლი – ა. ნ.) იყო“ (ორბელიანი, 2013: 248).

როგორც „მოგზაურობიდან“ ნათლად ჩანს, რომის პაპის მიერ დამკვიდრებულ ამ დიდ საქველმოქმედო ტრადიციას კათოლიკე მღვდელმსახურთა მრავალი წარმომადგენელი ერთგულებდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს საბას ყურადღების ცენტრში უპირველეს ყოვლისა ქრისტიანული ტაძრები და ეკლესია-მონასტრები და იქ მოღვაწე სასულიერო პირები არიან მოქცეულნი, მწერალი მის მიერ ნანახი ღირსშესანიშნავი ადგილების დახასიათებასაც საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „მოგზაურობის“ ის ეპიზოდები, სადაც საბა ემოციური შთამბეჭდაობით აღწერს რომის გამორჩეულ არქიტექტურულ იერსახეს, ქუჩების კეთილმოწყობას, წყაროებისა და შადრევნების სიმრავლესა და ა. შ.

რომი გამონაკლისი არ არის და თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს სულხანი მის მიერ ნანახი სხვა დასახლებული პუნქტების აღწერასაც და დახასიათებასაც უთმობს მნიშვნელოვან ადგილს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ერთ საგულისხმო გარემოებასაც მინდა განსაკუთრებული ყურადღება რომ მივაქციო: განსხვავებით ქართველებისაგან, რომელთაც იტალიაში იმხანად არათუ საკუთარი ეკლესია არ ჰქონიათ, არამედ მწერალს ამ ქვეყანაში მოგზაურობის დროს ერთი ჩვენი თანამემამულეც კი არსად შეხვედრია, სომხებს იქ თურმე საკუთარი ეკლესიებიც ჰქონდათ, რაც, ბუნებრივია, საკუთარი მრევლის ყოლასაც გულისხმობდა. მაგალითად, ქალაქ ალიკორნაში ყოფნის დროს საბას სომხური ეკლესიაც უნახავს, რომელსაც ამგვარად აღწერს: „დიაღ კარგი ეკკლესია იყო, კარგა აშენებული, შვენიერი. არას ადგილს სომხებს მისთანა შვენიერი ეკკლესია არა აქვსთ“ (ორბელიანი, 2013: 306).

იტალიაში ქართველების არყოფნისა და იქ ქართული ეკლესიების არარსებობის გამო თავად სულხანი, მართალია, არაფერს ამბობს, მაგრამ „მოგზაურობის“ ერთ-ერთ ეპიზოდში თავის ამ გულისტკივილს ერთგვარად შენიღბული ფორმით ასე გამოხატავს: რომში ყოფნის დროს იგი ერთ-ერთ იმ მონასტერშიც მიუყვანიათ, სადაც „პაპის სამადლოდ ბერძნის, სომხის და არაბის შვილები და სხვები იზრდებოდნენ.“ მონასტერში მყოფი სხვადასხვა ეროვნების ყმაწვილები სტუმრების წინაშე გამოსულან და მათ მშობლიურ ენაზე წაუკითხავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლექსები.

აი, როგორ გვიყვება თავად მწერალი ამ ამბავს: „მერმე ეთიოპმა მათის ენით ყოვლად წმიდაზე ქების ლექსები თქვა, მისგან გამოთქმული. და თქვა: – მე ეთიოპი ვარო, ამა და ამათგან, ამ ადგილისაო... და კარდინალებს თაყვანი სცა დიდად...

მერმე სხვა ადგა, აგრევ დაიწყო მეტყველება და ყოვლად წმიდაზე ლექსი თქვა. და თქვა – მე ლათინი ვარო, და დაჯდა; სხვამ თაყვანი სცა და ლექსი თქვა აგრევ და – მე რუსი ვარო, დაჯდა; სხვამ – მე ბერძენი ვარო; და სხვამ – მე მეგვიპტელი ვარო; სხვამ – მე ნემსა (გერმანელი უნდა იყოს – ა. ნ.) ვარო; სხვამ – მე ბოშნაღი (კ. ხარაძის აზრით, – ბოსნიის მცხოვრები; შესაძლოა, ავტორს ბოშაც ჰყავდეს მხედველობაში – ა. ნ.) ვარო; სხვამ – მე – არაბი ვარო; სხვამ – მე სომეხი ვარო; სხვამ – მე სპარსი ვარო; სხვამ – მე ებრაელი ვარო; სხვამ – მე თურქი ვარო; სხვამ – მე ასური ვარო.

ასრე ყველამ თვითო-თვითო სხვადასხვა რიგის ენა და ლექსი და სიტყვა იუბნეს.

მათმა ეპისკოპოსმა მიხუმრა:

– ქართველი გვაკლია, ყმაწვილები გამოგზავნეო, ასე ვასწავლიო და იქავ გამოვგზავნიო.

მაგრამ ეს ხუმრობა არ იყო, მართლა მთხოვა პაპის ბრძანებითა“ (ორბელიანი, 2013: 266).

იტალიიდან სამშობლოში მომავალმა მწერალმა გზად კუნძული მალტაც გამოვლო და მის მიერ „დიდი საქრისტიანოს“ სახელით მოხსენიებული ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს შესახებაც მოგვაწოდა რამდენიმე საგულისხმო ცნობა. როგორც საბას ნაამბობიდან ნათლად ჩანს, თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მალტელები გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მალტა ტერიტორიულად პატარა, მწერლის ინფორმაციით – „სამოცი მილის სიმგრგვლის“ მქონე კუნძულს წარმოადგენდა, სადაც მხოლოდ სამოცი სოფელი და ერთადერთი ქალაქი არსებობდა, მალტელებს მაინც მოუხერხებიათ ამ უთანასწორო ბრძოლებში გამარჯვება. კერძოდ, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის მწერალი ამასთან დაკავშირებით: „მალთას ქალაქი (მწერალს მხედველობაში უნდა ჰქონდეს მალტის ახლანდელი დედაქალაქი ვალეტა – ა. ნ.) არის აღმოსავლეთის მხარეს, ზღვის პირს. უწინ ზეით ყოფილა. ხვანთქარი სამჯერ თითონ მიხდომია. ერთხელ კიდეც აუღია, მაგრამ გამოუქცევიათ. მიმშველე მრავალი მიშველებია. მას უკან ზღვის პირად აუშენებიათ“ (ორბელიანი, 2013: 318).

იქიდან გამომდინარე, რომ სულხან-საბა ორბელიანი სამშობლოში თურქეთის გავლით დაბრუნდა და ამ ქვეყნის მაშინდელ დედაქლაქ კონსტანტინეპოლში (დღევანდელ სტამბოლში) ხანგრძლივი დროით – 17 თვის განმავლობაში – მოუხდა გაჩერება, თავის „მოგზაურობაში“ იგი მის თურქულ შთაბეჭდილებებსაც გვიამბობს, რითაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XVIII საუკუნის ათიანი წლების ოსმალეთში არსებულ მდგომარეობაზე.

თურქეთში არსებული პირველი ქალაქი, რომლის შესახებაც სულხანი სათანადო კომენტარს აკეთებს, მის მიერ ზმირინის სახელით მოხსენიებული იზმირია. მიუხედავად იმისა, რომ მალტიდან კონსტანტინეპოლში მიმავალი მწერლის გემს მგზავრობისთვის არახელსაყრელი ამინდის გამო იზმირის ნავსადგურში შესვლა ვერ მოუხერხებია და ქალაქი საბას მხოლოდ გარედან დაუთვალიერებია, იგი იქაურობის შესახებ მაინც გვაწვდის საკმაოდ ტევად და ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას.

ნათქვამისათვის მეტი კონკრეტულობის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ტექსტიდან: „ზმირინის ქალაქი მე ვერ ვნახე, კაის ადგილს, ყოველი ქვეყანა მხრად არის იმაზე. ასეთს ადგილს მგზავრი არ დააკლდება. ქალაქი ეგრე დიდი არ არის. მიღმიდან ჩნდა, კარგა ვერა, მაგრამ ვისგანაც შევიტყევით, სიდიდე მაგდენი არა აქვს. და სხვარიგად ყოვლის ქვეყნის მგზავრი იქ იპოვება“ (ორბელიანი, 2013: 334).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტიდანაც ნათლად ჩანს, სულხანს ქალაქი იზმირი თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით უაღრესად გამორჩეულ და ძალზე მნიშვნელოვან ნავსადგურად მიაჩნდა, საერთაშორისო მასშტაბის მქონე იმ სავაჭრო ცენტრად, სადაც მუდმივად იმყოფებოდნენ „ყოვლის ქვეყნის მგზავრები.“

თურქული პასაჟების ასახვის თვალსაზრისით სულხან-საბა ორბელიანის მონათხრობში ყველაზე მეტ ინტერესს უპირველეს ყოვლისა „მოგზაურობის“ ის მონაკვეთი იწვევს, სადაც მწერლის სტამბოლური შთაბეჭდილებებია მოთხრობილი. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სამშობლოში გამომგზავრებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ სირთულეთა გამო სულხანს ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში 17 თვის განმავლობაში მოუწია დარჩენა, რამაც შესაძლებლობა მისცა საკმაოდ კარგად გაცნობოდა ამ ქალაქში არსებულ მდგომარეობას.

ს.ს. ორბელიანის ინფორმაციით, სტამბოლი, რომელსაც იგი ყოველთვის კონსტანტინეპოლის სახელით მოიხსენიებს ხოლმე, იმ პერიოდის მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი და ადგილმდებარეობის სილამაზით განსაკუთრებით გამორჩეული ქალაქი ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამას იგი საფრანგეთსა და იტალიაში ყოფნისა და იქ არსებული დიდი ქალაქების ნახვის შემდეგ ამბობს, მის ამ შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

თუმცა სულხანის ამ შეფასებაში ახალი და უჩვეულო არაფერია და ამგვარ შეფასებას ხსენებული პერიოდის სტამბოლს მრავალი უცხოელი მოგზაური აძლევდა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული შეფასებისა, ს.ს. ორბელიანი იმ გარემოებასაც აღნიშნავს ხაზგასმით, იმდროინდელი კონსტანტინეპოლი ნაკლებად კეთილმოწყობილი ქალაქიც რომ ყოფილა, რაშიც იგი ნავსადგურში მისი გემის შესვლისთანავე დარწმუნებულა. კერძოდ, ნავსადგურის სათანადოდ კეთილმოუწყობლობის გამო, რასაც უამინდობაც დართვია, მათი ხომალდი ტალახში ჩაფლულა და დამსხვრევას ძლივს გადარჩენილა.

აი, როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს თავად მწერალი: „ღამით ნავსაყუდელში ვერ შევიდოდით, ქარი იქიდამ იყო. იქავ ტრიალი დაიწყეს გათენებამდი. თურმე ბნელში ვეღარა გაიგეს რა, ხმელეთი ახლო იყო, ჩვენი ხომალდი ლიას მოხვდა და შიგ დაეფლა. ღმერთმან შეგვიწყალა, ქვა არ იყო, არც რიყე, თვარა ხომალდი გასქდებოდა. ჯერ შუაღამე ვერ იყო. გაისარჯნენ. ღმერთმან ქარიც დააწყნარა, თვარა წავხდებოდით“ (ორბელიანი, 2013: 337).

დილით, ფათერაკებით სავსე ასეთი ღამის შემდეგ, დესპანის მიერ გაგზავნილი ნავით სულხანი და მისი თანამგზავრები იანიჩარებს ხომალდიდან ნაპირზე გადაუყვანიათ. ქალაქის პირველნახვით გამოწვეული შთაბეჭდილება ნაწარმოებში ასეა ნაამბობი: „კონსტანტინეპოლის სამი კუთხე შემოუარეთ. იქიდამ კარგა გავსინჯე, ხომალდიდამაცა. დიდი ქალაქია და მრავალი შენობა, მაგრამ საფრანგეთიდამ მოსულს აღარას მოგვეწონა. ოღონ ადგილი მისთანა არსად არის, თვარა შენობა და სხვა რამე არად გვეჩვენა. გარ გალავანი უფროსი ერთს დაქცეული, დაძველებული, ახალი ნაკეთები არცად რა. ოღონ იედი-ყულა, შვიდივ კოშკი, რუსეთის ელჩი რომ იქ შეიყვანეს, მაშინ გაუთეთრებიათ, გაუგლესიათ სხვარიგად. შიგნით არ შევსულვარ, არც მინახავ, მაგრამ გარედამ რაც ჩნდა, გავსინჯეთ, და შიგნითაც მნახველის კაცისაგან შევიტყევით, რაც შეიტყობოდა“ (ორბელიანი, 2013: 338).

ს.ს. ორბელიანის „მგზავრობის“ სტამბოლური ეპიზოდი საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მწერალი ქალაქის რამდენიმე უბანსაც ასახელებს და მის ტერიტორიულ მოცულობასაც. კერძოდ, იმ დროისათვის მის შემადგენელ ნაწილებად უკვე ყოფილა ქცეული თანამედროვე სტამბოლის ისეთი ცნობილი უბნები, როგორებიცაა: უსკუდარი (მწერლის სახელდებით, სუკუდარა), პერა და გალატა. ხოლო ქალაქის ტერიტორიული მოცულობა ნაწარმოებში ასეა განსაზღვრული: „კონსტანტინეპოლის სიმგრგვლე არის ექვსი ეჯი, რომელ არს თვრამეტი მილი“ (ორბელიანი, 2013: 339).

როგორც ს.ს. ორბელიანის მონათხრობიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ოსმალეთის სახელმწიფოს ოფიციალურ სტუმარს არ წარმოადგენდა, მას მაინც ეპყრობოდნენ განსაკუთრებული პატივისცემით როგორც ამ ქვეყნის ხელისუფალნი, ისე კონსტანტინეპოლში სამსახურებრივი მისიით მყოფი ფრანგი დიპლომატები. მაგალითად, მისი ინფორმაციით, სტამბოლში სტუმრად მისვლისთანავე ხომალდიდან გადმოყვანილი სულხანი დესპანს მისთვის სპეციალურად გამოყოფილ სადგომში მოუთავსებია „კაის ხელის შეწყობითა.“

„მგზავრობის“ მიხედვით, იმ ურთიერთობაზეც გვექმნება გარკვეული წარმოდგენა, რაც ოსმალეთის იმპერიის ხონთქარს მის ხელქვეითებთან და მოსახლეობის ფართო ფენებთან ჰქონდა. სულხანის მონათხრობის მიხედვით, ეს ურთიერთობა იმდენად ღიაცა და შეუზღუდველიც კი ყოფილა, რომ ხალხს, მათ შორის სტამბოლში სტუმრად მყოფ უცხოელებსაც, განსაკუთრებული სირთულეების გარეშე შეეძლოთ ხონთქრის დანახვა და მისთვის პატივის მიგება.

ამის შესაძლებლობას ხალხს ხონთქარი პირველ ყოვლისა მაშინ აძლევდა, როცა ქვეყანაში ან რაიმე სახის დღესასწაული აღინიშნებოდა, ანდა ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა ხდებოდა. მაგალითად: „ექვს მარტს საღამოს კონსტანტინეპოლეს სუკუდარას, პერას, გალატას რაც მინარი (მინარეთი – ა. ნ.) იყო, ყველაზე ჩირახოვანი (ჩირაღდანი – ა. ნ.) ქნეს ხვანთქრის გამარჯვებისთვის. მაჰმადის შობის ღამე არისო“ (ორბელიანი, 2013: 338). ან კიდევ: „თ (9 – ა. ნ.) აპრილს ხვანთქარს ქალი ეყოლა და... სამი დღე სულ შილინგი (საბა: „ესე არს სასიხარულოსა საქმესა ზედა ზარბაზანთა და თოფთა სროლანი ნესტვებთა და საყვირთა ბერვანი, გინა როკვათა ფერჯთა სწრაფად რამ ჴმარებანი“

(ორბელიანი, 2013: 339). იყო, ზარბაზნის სროლა. ზედ ვაჟის ყოლის ამბავი მოვიდა (ცხადია, სხვადასხვა ცოლებისგან, რადგანაც მუსლიმანური რელიგია მის მიმდევართ ოფიციალურად აძლევს მრავალცოლიანობის უფლებას – ა. ნ.). ათს დღეს სულ ზარბაზნის სროლა იყო. სამი დღე ქალისათვის, შვიდი ვაჟისათვის."

როგორც „მოგზაურობიდან" ვგებულობთ, კონსტანტინეპოლში სულხანის ყოფნის პერიოდში ხონთქარსა და მის კარს დიდი ზეიმით აღუნიშნავთ ოსმალთა გამარჯვება ნახევარკუნძულ მორას (პელეპონესის) დასამორჩილებლად გამართულ ბრძოლაში. ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარე ეს ადგილი, რომელიც საბერძნეთის კუთვნილებას წარმოადგენს, კონტინენტალურ ნაწილთან კორინთის ყელითაა დაკავშირებული და იონიისა და ეგეოსის ზღვებითაა გარშემორტყმული (ხარაძე, 2010: 209).

სულხანის ინფორმაციით, სახალხო დღესასწაულად ქცეული ამ გამარჯვების აღსანიშნავად, ხონთქარი თურმე სტამბოლის ერთ-ერთ უბანში – გალათაში მდებარე „ნავსაყუდელის სასახლეში დაჯდა. რაც ნავის რეიზი იყო, ხალათები ჩააცვა. და კაფიდან ფაშა გადგა, მრავალი წვრილი ნავი შეიყარა, ხვანთქრის წინ შეგროვდენ. დიდხანს იდგენ. მერმე საომარმა კატარღამ დენა დაიწყო. ოცდაათი დიდი და მომცრო კატარღა იყო. მრავალი ზარბაზანი გავარდა, კაი შილინგი იქნა. იდ (14 – ა. ნ.) დიდი კატარღა იყო, სხვა – მომცრო. ერთი დიდი გილიონი, ას ოცი ზარბაზანი ძესო, ათას ხუთასი კაცი არისო. ამ გილიონისა ასე მითხრეს.

– თხუთმეტი წელიწადია აშენდაო და პირველი მგზავრობა ეს არისო.

მეტად შვენიერი გილიონი იყო. იმ დღეს ორი დიდი გილიონი სხვა უკან მიჰყვა და ყველანი შავი ზღვის სრუტში დადგენ" (ორბელიანი, 2013: 338).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტიდანაც ნათლად ჩანს, ამგვარი პომპეზური სახალხო დღესასწაულით ხონთქარი არა მარტო ზემოთ ხსენებულ გამარჯვებას აღნიშნავდა, არამედ მისი სახელმწიფოს ძლევამოსილი სამხედრო შეიარაღების ფართოდ დემონსტრირებასაც ახდენდა, რითაც მტერსაც და მოყვარესაც ეფექტურად არწმუნებდა მის უძლეველობაში.

კონსტანტინეპოლში სულხანი 1715 წლის 19 იანვარს მივიდა და იქ 1716 წლის 13 მაისამდე დარჩა. ამ ქალაქში მწერლის ესოდენ ხანგრძლივი დროით ყოფნა საფრანგეთის იმჟამინდელი ხელმწიფის – ლუდოვიკო XIV-ის მიერ მისთვის მიცემულმა სიტყვიერმა დაპირებამ განაპირობა ჩვენი ქვეყნისთვის დახმარების გაწევასთან დაკავშირებით. ამ დანაპირების შესრულებას თითქმის 17 თვის განმავლობაში ამაოდ ელოდა სულხანი. მისი გარდაცვალების შემდეგ კი საბოლოოდ იმედგაცრუებული მწერალი 1716 წლის 13 მაისს სამშობლოში გამოემართა. საბას ინფორმაციით, სამშობლოში მომავალს მას თან დაემგზავრნენ „სამი პატრი კაფუჩინი თბილისის ქალაქისათვის და ერთი პატრი იეზოვიტი შირვანისათვის" და აბრეშუმის საყიდლად შვილთან ერთად განჯას მიმავალი ბურსელი ვაჭარი – ხოზა აივაზი ჩალაბი.

ერთადერთი რეალური დახმარება, რაც მან საფრანგეთისაგან ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ მიიღო, მხოლოდღა ის იყო, რომ სულხანსა და მის თანამგზავრებს ოსმალეთში ამ ქვეყნის მაშინდელმა დესპანმა მარკიზ დე ბონაკმა ათინაში (ახლანდელი ფაზარი – ა. ნ.) მიმავალი გემი დაუქირავა, საგზალი მისცა, სამგზავრო ხარჯი – ოთხასი მარჩილი გადაუხადა და კაპიტანს ასეთი პირობა ჩამოართვა: „ესენი ქობულეთს გურიას გაიყვანეო და გურიელს მიაბარეო და ამათი წიგნი მოგვიტანეო მშვიდობით მისვლისა" (ორბელიანი, 2013: 334).

სულხანის ინფორმაციით, საფრანგეთის დესპანს კაპიტნისთვის იმის პირობაც ჩამოურთმევია, გემზე მწერალთან ერთად მომავალი თანამგზავრების გარდა სხვას რომ არავის დასვამდა. მაგრამ როგორც კი კონსტანტინეპოლის სრუტეს გამოცილებიან, კაპიტანს დესპანისთვის მიცემული პირობა დაურღვევია და ხომალდი „თათრებითა და ენგიჩარებით" იმდენად გაუვსია, სულხანი იძულებული გამხდარა, ხომალდის ფსკერზე მოთავსებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინეპოლიდან სამშობლომდე სულხანის მგზავრობასთან დაკავშირებული ამბები „მოგზაურობაში" მეტად ლაკონურად და სქემატურადაა მოთხრობილი, ნაწარმოების ეს მონაკვეთი მაინც იძლევა იმის შესაძლებლობას, იმდროინდელ თურქეთში არსებული მდგომარეობის შესახებაც რომ შეგვექმნეს გარკვეული წარმოდგენა. კერძოდ, ქვეყა-

ნაში ადამიანთა ძარცვა-დაყაჩაღებისა და გატაცების შემთხვევები იმდენად ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ მგზავრობა დიდ რისკთან და ბევრ უსიამოვნებასთან ყოფილა დაკავშირებული.

სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევათა მსხვერპლად სულხან-საბაცა და მისი თანამგზავრებიც იქცნენ. ამ თვალსაზრისით პირველი ბოროტმოქმედების ჩამდენი გემის კაპიტანი აღმოჩნდა. კერძოდ, მან საფრანგეთის კონსულისთვის მიცემული ყველა პირობა დაარღვია და სულხანი არათუ დანიშნულების ადგილამდე არ მიიყვანა, არამედ ტრაპიზონის ფაშას მისი და მისი თანამგზავრების გაძარცვის მიზნით ასეთი ინფორმაცია მიაწოდა: „ამისთანა დიდი კაცი მოვაო, მრავალი საქონელი მოაქვსო და ფრანგები მოჰყავსო, ელჩები არიანო, ესენი დაიჭირეთო“ (ორბელიანი, 2013: 340).

„მოგზაურობიდან“ ისიც ირკვევა, XVIII საუკუნის ათიანი წლების ოსმალეთის იმპერიასა და მის მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის იმერეთის სამეფოდ წოდებულ დასავლეთ საქართველოშიც, ტყვეთა მოტაცებისა და სტამბოლში გაყიდვის ფაქტებსაც რომ ჰქონდა ხოლმე ადგილი. მაგალითად, ათინადან (დღევანდელი ფაზარიდან) კაპიტნის მიერ სამშობლოში გამომგზავრებული სულხანის ნავი აღელვებულმა ზღვამ თურმე ხოფასთან ახლოს გამორიყა, სადაც „მეტყვე თათრები იყვნენ, იმერეთიდამ ტყვეები მიჰყვანდათ კონსტანტინეპოლს დასასყიდლად“ (ორბელიანი, 2013: 341).

ხსენებულ ეპიზოდს განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად იმ თვალსაზრისითაც მინდა მივაქციო, რომ აღნიშნული ბოროტმოქმედების ჩამდენი თურქები, რომელთაც მწერალი თათრების სახელით მოიხსენიებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანური კეთილშობილებითა და ჰუმანიზმით გამორჩეული ის პიროვნებები აღმოჩენილან, რომელთაც გასაჭირში ჩავარდნილ საბასა და მის თანამგზავრებს უანგაროდ დახმარებიან. აი, რას წერს თავად მწერალი ამ ფაქტთან დაკავშირებით: „თუ ისინი იქ არ დაგვსწრებოდნენ, სრულ წავხდებოდით. მოგვეშველნენ.“

სამწუხაროდ, ხსენებული ფაქტი გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანისთავის თანადგომის აღმოჩენისა და მისთვის უანგაროდ დახმარების გაწევისა გამონაკლისი შემთხვევა აღმოჩნდა და სამშობლოში ჩამოსვლამდე მწერალსა და მის თანამგზავრებს კვლავაც ბევრი ხიფათი და უსიამოვნება გადახდენიათ თავს. ამის შესახებ „მოგზაურობაში“ თუმცა მეტად ლაკონურად, მაგრამ საკმაოდ ცხადადაა ნაამბობი.

მაგალითად: “მოვიდნენ ჭანები, დაგვიჭირეს, მრავალი გვსარჯეს, ოცი მარჩილი წაგვართვეს, ზანდუკები დაგვიმტვრიეს, ტყუილად მებაჟობა იჩემეს და მრავალი გვაჭირვეს...

ოთხი დღე და ღამე მუნ ვიყავით. მეხუთე დღეს წამოვედით, ნავებით მოვედით ხოფას. იქ გონიის სანჯახი დაგვხვდა (როგორც ცნობილია, გონიო, საერთოდ, მთელი აჭარა იმხანად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა – ა. ნ.), ნავები წინ მოგვაგება. დაგვიჭირეს, წაგვიყვანეს, მიგვასხეს ერთ სახლში“ (ორბელიანი, 2013: 341).

გონიოდან ჩხალაში მოსული საბა და მისი თანამგზავრები თურმე ახლა იქაურებმა შეიპყრეს და ერთიანად გაძარცვეს: „დაგვიჭირეს ყველანი. ბარგი და კარავ-მოფენილობა სრულ აიკლეს. ჩვენ ენგიჩარებს მიგვცეს. ქვეითები გონისკენ გაგვგზავნეს.

მე მაცხელებდა. აგვატარეს ერთი უცხო პირაღმართი. სულს იქით გზა აღარ მქონდა: ბერი კაცი და სნეული და მაცხელებდა. სამოცი ფლური უბეში მედვა, ისიც წამართვეს“ (ორბელიანი, 2013: 342).

ამდენი ტანჯვა-წამებისა და ძარცვის შემდეგ სახელმწიფოს მსახურთა სახელით მოქმედ ავაზაკებს გათოკილი სულხანი და მისი თანამგზავრები გონიოსკენ გამოუსტუმრებიათ. ისეთი წვიმა, ნისლი, ღამე და „ავი დაღმართი“ იყოო, – აღნიშნავს მწერალი, – „ეშმაკისაგან თუ გაივლებოდაო.“ არაქათგამოცლილნი სულის მოსათქმელად შუაღამისას ერთ-ერთი იქაურის სახლში მიუყვანიათ, მაგრამ დიდხანს არ გაუჩერებიათ და მალევე წამოუყვანიათ. გზად მომავლებს „ერთი ენგიჩარი მოგვეწიაო, – განაგრძობს მწერალი ამბის თხრობას, – უბელო ცხენს იჯდა. წვიმაში საწვიმარი წამართო, თვითონ ქვეშ დაიდვა. მე სიცივემ და წვიმამ უარესი მიყო...

სანამ ჩვენ მთიდამ ჩამოვიდოდით, ორი პატრი სხვა თათრებს დაეჭირათ, წაეყვანათ. ჩამოველ, შევიტყვე, თავზარი დამეცა...

ვიარეთ ნიგალის ხევში. ხან იქ გადაგვიდგენ წინა და დაგვსაჯეს და ხან იქ... არტანს რომ მოვედით, მაშინ ახალციხეს ასლან ფაშა იჯდა, ისაყ ფაშის ბიძაშვილი არტანს წინ გადაგვიდგა, ექვსასი მარჩილი იმან წაგვართვა. სხვა რამდენი რამ წამართვა! ძაღლებიც არ გამოგვატანეს" (ორბელიანი, 2013: 343).

დამოწმებულ ფრაგმენტში მოხსენიებული ისაყ-ფაშა იგივე ისაყ I (ჯაყელი) იყო, ახალციხის ფაშა 1701-1745 წლებში (დროგამოშვებით), რომელსაც მამა მცირეწლოვანს გარდაეცვალა და საფაშო ტახტი ბიძა სალიმმა წაართვა. სალიმის გარდაცვალების შემდეგ (1701 წ.) ფაშობაზე პრეტენზია სალიმის შვილმა – ასლანმა განაცხადა. ფაშობისთვის ბიძაშვილთან მებრძოლმა ისაყ I-მა რამდენჯერმე დაკარგა საფაშო ტახტი (ხარაძე, 2010: 215).

„მოგზაურობის" ტექსტიდან ზემოთ დამოწმებული ამონაწერი აქ არა მარტო იმ ტანჯვა-წამების ნათელსაყოფად მოვიტანე, რაც სტამბოლიდან საქართველოში მომავალ სულხანსა და მის თანამგზავრებს გადახდათ თავს, არამედ შესაბამისი პერიოდის ოსმალეთის იმპერიაში არსებულ სირთულეებსა და უწესრიგობაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელადაც.

როგორც ავტორისეული მინიშნებებით ირკვევა, ხსენებულ ბოროტმოქმედებათა მონაწილენი, გარდა თურქი ეროვნების ავაზაკებისა, იმხანად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი გონიოსა და ახალციხის ვილაიეთებში მცხოვრები ჭანებიცა (ლაზებიცა) და მუსლიმანი ქართველებიც ყოფილან.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველა ადამიანი, რომელთანაც მწერალს ზემოთ ხსენებული ხიფათიანი მგზავრობის დროს მოუხდა ურთიერთობა, მხოლოდ მძარცველი და ავაზაკი იყო. ეს რომ ასე არ ყოფილა და ესოდენ რთულ ვითარებაში მოქცეულ საბასა და მის თანამგზავრებს კეთილ ადამიანთა მზრუნველობაცა და ყურადღებაც უგრძვნიათ, ამაში მწერლისეული მონათხრობიდან დამოწმებული ეს ფრაგმენტებიც დაგვარწმუნებს: „არტანუჯს მოვედით. ისაყ ფაშას ცოლი კარგა მოგვეპყრა, კარგა დაგვაყენა. სავახშმო ებოძა" (ორბელიანი, 2013: 343).

ან კიდევ: „მაშინ ახალციხის ფაშის დისწული იქ (გონიოში – ა. ნ.) მოსულიყო, ალიბეგ, ჩვენი მცნობი იყო. რა შეეტყო ჩემი სახელი, კაცები გამოეგზავნა. ჩვენი თავი და პატრები და ჩვენი საქონელი ყველა წაართვა და თავის სადგომს მიგვიყვანა დიდის პატივით" (ორბელიანი, 2013: 341).

ასეთია უმთავრესი შტრიხები სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურულ შთაბეჭდილებათა ამსახველი იმ დიდი წიგნისა, რომლითაც მწერალმა ქართული ლიტერატურის ისტორიაში მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალი ჟანრის დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015 წ.
2. ბარამიძე ა. ბიბლიოთეკიდან წაღებული წიგნები, კრებული „მწიგნობარი", 1988 წ.
3. თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ. 1995 წ.
4. ლეონიძე გ. ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 1949 წ.
5. ორბელიანი ს.ს. ტომი I, პროზა, თბ. 2013 წ.
6. ხარაძე კ. სულხან-საბა ორბელიანის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ. 2010 წ.

ლუკა დვალიშვილი – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის საბანკო დაპირისპირება ივანე მაჩაბლის მკვლელობის ახალი ვერსია

მართებულად ბრძანებდა თავის დროზე აკაკი ბაქრაძე: „მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არც ერთ საზოგადოებრივ მოვლენას არ გაუყვია ორად ქართული საზოგადოება და ისე მძაფრად არ დაუპირისპირებია ერთმანეთისთვის, როგორც ეს გააკეთა ბანკმა. (აკ.ბაქრაძე, „ილია და აკაკი". თბ., 1982წ). სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა, არა მარტო გახსნის დღიდან დახურვამდე, არამედ თვით იდეაში მოსვლიდან ბანკის დაარსებამდე, ამდენი ტკივილი და უსიამოვნება ადამიანურობის ფარგლებს გადაცილებული ვნებათა ღელვა მოუტანა პოლიტიკურად და იდეურად მოუმწიფებელ ქართველ ერს, თუ სასწორს ერთ პინაზე დავდებთ ბანკის დაარსებით მოვლენილ სიკეთეს (სკოლებისა და გიმნაზიების გახსნა, მათი მატერიალური ხელშეწყობა და მრავალი სხვა საზოგადოებრივი საქმე), დღესაც დაბეჯითებით ვერ ვიტყვით თუ რომელი რომელს გადაწონის. არა, აქ ჩვენ იმის თქმა და მტკიცება არ გვინდა, რომ ბანკი არ უნდა დაარსებულიყო. ეკონომიკური და პოლიტიკური თვითიზოლაცია XIX საუკუნეში შეუძლებელიც იყო და არა სასურველიც, მაგრამ როგორც ერთ-ერთ საბანკო შეკრებაზე აკაკი წერეთელმა მოხდენილად და მიგნებულად ბრძანა: სამართებელი კაცისთვის აუცილებელია და საჭირო საგანია, მაგრამ ბავშვის ხელში სახიფათო იარაღად იქცევა. ლამის კინაღამ ასეთ სამართებლად მოევლინა მოუმწიფებულ ქართულ საზოგადოებას სათავადაზნაურო საადგილმამულო ქართული ბანკი. თუ XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართულ პრესას გულისყურით გავეცნობით, რომელიც ქრონიკის სახით გვაწვდის დოკუმენტურ მასალებს ქართული ბანკობიადის შესახებ, მაშინ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში პირად გამორჩენაზე დაფუძნებულმა საბანკო ბრძოლამ კუთხეებად დახლიჩა საქართველო და ლამის სამოქალაქო ომის პირას მიიყვანა ქვეყანა. ბანკში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოსახვედრად ყველაფერს კადრულობდა მავანი. „ხრიკებს მიმართავენ ხოლმე და ბრბოს აბრიყვებენ: მეგრელებო! მე მეგრელი ვარ და ჩემი დამარცხება თქვენი შეურაცხყოფა იქნებაო! მეგრელებმა რომ გვაჯობონ და მე გურული გავშავდე თქვენი შერცხვენა იქნებაო! იმერლებო, გაიძახის იმერელი მეტოქე, მოგვდგნენ მეგრელ-გურულები და აღარ გვზოგავენ... ბუზადაც აღარ გვაგდებენ და ჰკა მაგათ!.. ამგვარის ტყუილებითა და უკადრისობით ლამის სხვადასხვა კუთხის ქართველობა ერთმანეთს გადაჰკიდონ და საშვილიშვილო მტრობა ჩამოაგდონ" – წერდა გულისტკივილით აკაკი წერეთელი. ბანკის დაარსების იდეა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ჩაისახა, ამ მხრივ საყურადღებოა ივანე მაჩაბლის მოგონება „(დიმიტრი ყიფიანმა) ჩააგონა მთელს ჩვენს თავადაზნაურობას საზოგადო საადგილმამულო ბანკის დაარსება იმ ფულის ნაწილით, რომლებიც განთავისუფლებული ყმების სანაცვლოდ ერგოთ, რათა ბანკის მოგება მოხმარებოდა მიწისმფლობელთა თავადაზნაურთა და მიწის მუშათა და გლეხთა საყოველთაო საჭიროებას" საქვეყნო საქმისთვის შემართულმა, მხნე და თავდადებულმა დიმიტრი ყიფიანმა ფეხით მოიარა მთელი ქართლ-კახეთი. ქეიფისა და ინდიფერენტიზმის ჭაობში ჩაძირული ქართული თავადაზნაურობა ხატოვანი და ღრმააზროვანი სიტყვით დაარწმუნა თუ რა სიკეთე მოელოდათ ამ საქმიდან, ღირსეული მამულიშვილის მიერ დაწყებული ეს მნიშვნელოვანი საქმე ილია ჭავჭავაძემ უდიდესი ძალისხმევის შედეგად კეთილად დაასრულა. ბანკი 1875 წელს გაიხსნა ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით.

ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის პირველი გაცნობა და თანამშრომლობა პეტერბურგში შედგა 1873 წელს მაშინ როცა ილია იმპერიის დედაქალაქში იმყოფებოდა ბანკის გახსნის

თაობაზე. მეფის ჩინოვნიკური აპარატის უსულგულობით გაბეზრებულ ილიას დრო არ დაუკარგავს და ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნა შექსპირი – „მეფე ლირი“. ამის შემდეგ ივანე მაჩაბელმა ფრიად სრულყოფილი განათლება მიიღო რუსეთში, გერმანიასა და საფრანგეთში. 70-იანი წლების ბოლოს საქართველოში დაბრუნებული ღირსეული ჭაბუკი მაჩაბელი ილიამ გვერდით ამოიყენა და ერთად შეეჭიდნენ იმ პერიოდისათვის, ქართული ინტელიგენციის მცირერიცხოვნობის გამო მამულიშვილის უმძიმეს ჭაპანს. ივანე მაჩაბელი აირჩიეს ახლადდაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სათეატრო კომიტეტის წევრად. იმავე პერიოდში ილიამ ივანე მაჩაბელი საადგილმამულო ბანკში „კასირად“ დანიშნა, ცოტა ხნიშ შემდეგ დამფასებლად, ხოლო 1883 წლიდან ერთ-ერთ აღმასრულებელ დირექტორად. ილიასა და ივანე მაჩაბლის ურთიერთობა თავიდანვე დაფუძნებული იყო ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთ სიყარულზე. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო ბრძოლის დაწყება და ქართული საზოგადოების ორად გახლეჩა, სწორედ ამ ორი მოღვაწის დაპირისპირებამ გამოიწვია. როგორც საერთოდ ხდება პირველი უთანხმოება უმნიშვნელო ამბით დაიწყო. ბანკის ერთ-ერთ მორიგ კრებაზე ივანე მაჩაბელმა მხარი სხვა კანდიდატურას დაუჭირა და პირველად გამოვიდა ილიას წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ბანკის მოგების სხვადასხვა საზოგადო სამქეზე განაწილების წესს. მართალია, ამ ამბის გამო ილიამ მაჩაბელს მსუბუქად უსაყვედურა, მაგრამ გაფაქიზებული სულისა და საზოგადო საქმისთვის თავდადებულ ივანესთვის ეს მეტად მტკივნეული ფაქტი იყო. როგორც ჩანს, წყენა ორივე მხარემ გულში ჩაიდო. ამას დაემატა მორიგი უსიამოვნება ახალი წყენა. ილიას სურვილი იყო ბანკში მესამე დირექტორიც აერჩიათ, რომელიც ამიერკავკასიის ქალაქებში ბანკის საქმეებს მოაგვარებდა. ილიასა და მის ჯგუფს ამ ვაკანტური ადგილისთვის ივანეს ძმა ვასო მაჩაბელი ჰყავდათ გათვალისწინებული. ვასომ ამ ადგილზე ივანეს სასარგებლოდ თქვა უარი. ხსენებულ უთანხმოებამდე ილია თანახმა ყოფილა ძმის უარის შემთხვევაში ივანე მაჩაბლის კანდიდატურისთვის დაეჭირა მხარი, თუმცა ზემოხსენებული ფაქტის გამო ილიამ ივანესაც არ დაუჭირა მხარი. მოგვიანებით საქმის საჭიროებიდან გამომდინარე ახალი დირექტორის არჩევა საჭირო აღარ შეიქმნა, ზედამხედველმა კომიტეტმა უარი თქვა ახალი კადრის დამატებაზე. ივანესათვის ყველაფერი ეს ცნობილი შეიქმნა. უსიამოვნებას ისევ დაემატა წყენა, ხოლო 1883 წლის ამბებმა ამ ორი დიდი პიროვნების ურთიერთშორის გაჩენილი ბზარი გვარიან ნაპრალად აქცია. ეს კი ასე მოხდა: გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა თავი დაენებებინა საყვარელი გაზეთისათვის. ქართულმა საზოგადოებამ დიდი გულისტკივილითა და სიყვარულით გააცილა ამაგდარი მამულიშვილი. ამ ამბის შემდეგ ყველა დარწმუნებული იყო, რომ გაზეთ დროების რედაქტორად საზოგადოებისა და ილიას მხარდაჭერით ივანე მაჩაბელი დაინიშნებოდა. ივ. მაჩაბელი რამდენიმე წელი ილიას მოუცლელობის გამო უკვე იყო ჟურნალ „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორი და ჩინებულადაც უძღვებოდა ამ რთულ და საპასუხისმგებლო სამქეს. ყველასათვის მოულოდნელად ილიამ „დროების“ რედაქტორად ვიღაც ქანანოვი წამოაყენა. ამის გამო გულისტკივილით წერდა ივანე მაჩაბელი: „ჭავჭავაძეს უნდა, რომ რედაქტორად ვიღაც ქანანოვი დააყენონ, მაგრამ სხვები თითქმის ყველანი წინააღმდეგნი არიან, რადგან ზარმაცი კაცია და ჟურნალის წაყვანის დროს დაამტკიცა თავისი უსაქმურობა. მეტადრე უფრო ყმაწვილები არიან ამის წინააღმდეგნი და ესენი მე მთხოვენ, რომ ვიკისრო“ (ვ.ჭელიძე „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ თბ.1974). რადგან ილია ქანანოვს უჭერდა მხარს, მაშინდელ საზოგადოებასა და პრესას ეს საქმე გადაწყვეტილად მიაჩნდა. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ივანე მაჩაბელმა ფული იშოვა და რადგანაც სერგეი მესხსაც ასე სურდა, „დროება“ თავის ვალებიანად იყიდა და რედაქტორობაც დაიმტკიცა, უდაოვოა, რომ ილიასათვის ეს უმძიმესი დარტყმა იყო. მაშინდელი ქართული საზოგადოების ერთი მოსეირე ჯგუფი უკვე ღიად იცინოდა ამ ფაქტზე. თუმცა ეს კიდევ არაფერი: დასამალი არ არის, რომ საადგილმამულო ბანკში ილიას ნების გარეშე საქმე ვერ გადაწყდებოდა. ბანკის ერთ-ერთ საზოგადო კრებაზე, რომელზედაც დირექტორის არჩევნები უნდა მოეხდინათ მოქმედმა დირექტორმა ავალიშვილმა ნამდვილად გაიკეკლუცა, ჯერ საჯაროდ განაცხადა დირექტორის

3. მატიანე

პოსტზე კენჭს აღარ ვიყრიო, მაგრამ მეორე დღეს სიტყვა უკან წაიღო და თავისი კანდიდატურა წამოაყენა. ამით გაბრაზებულმა მაჩაბელმა, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო ისედაც არ მოდიოდა თვალში „კეკლუცა“ დირექტორი, კენჭი იყარა და ილიას თანაბანაკელი პროტეჟე ავალიშვილი დაამარცხა. ქარაფშუტული ცხოვრების მიმდევარ თავადაზნაურობის მნიშვნელოვან ნაწილს კიდევ ერთი საქილიკო და საქირქილო საგანი მიეცა. ფაქტია, რომ ილიასათვის ერთ წელიწადში მომხდარი ეს ორი უსიამოვნო ამბავი მისი პიროვნებისა და ავტორიტეტისათვის უაღრესად შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას ამ დროიდან დაპირისპირების ნაპრალი უფსკრულად იქცა. მართალია ქართული ბანკობიადის ამაზრზენი პერიპეტიები განსაკუთრებით გამძაფრდა 1889 წლიდან თავის შემზარავ აპოგეას 1896 წელს მიაღწია, მაგრამ დიდი კუთხურ ეროვნული განხეთქილების საწყისად ჩვენ 1883 წელი უნდა მივიჩნიოთ და არასპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული 1889 წელი. (ვ. ჭელიძე, მ. კვატაია და სხვა), მაგალითად მ. კვატაია წერს „1889 წლის აპრილში საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძესა და ერთ-ერთ დირექტორს შორის ცალკეულ საკითხებზე უკვე შეიმჩნევა წინააღმდეგობა (მ. კვატაია, ტრაგიკული ორთაბრძოლა, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, ლიტერატურა და ხელოვნება, 1883, ?1), როგორც აღვნიშნეთ ამ ორ დიდ ქართველს შორის დაპირისპირება იწყება 1883 წლიდან ან უფრო სწორად ცოტა კიდევ უფრო ადრე და არა 1890 წლიდან. ამ წლიდან საბანკო ბრძოლა კი არ იწყება, არამედ ამ დროიდან ჩამოყალიბებულ საკმაოდ მკაცრად ორგანიზებულ სახეს იღებს საბანკო ოპოზიცია – ერთ მხარეს ქართლის თავადაზნაურობა ივანე და მიხეილ მაჩაბლების წინამძღოლობით და მეორე მხარეს ილია და მისი თანამოაზრეთა ბანაკი, ძირითადად კახელი თავადაზნაურობის წარმომადგენლობით. 1891 წლის მაისის წლიურ საერთო კრებებზე ილიას წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები ძირითადად შემდგარი შინაარსისა იყო: 1. ილია უდიდეს გულგრილობას იჩენდა როცა ვალის გადაუხდელობის გამო მეპატრონეებს ადგილმამულებს უყიდდნენ („ნოვოე ობოზრენიე“ 1891 წლის მაისი); 2. ილია თავის ავტორიტეტს ბოროტად იყენებს და ყველა მისთვის არასასურველ საკითხს ვეტოს ადებს; 3. ზარმაცია, სამსახურში გვიან ცხადდება; 4. საფინანსო საკითხებში კარგად ვერ ერკვევა და სხვ. შეიძლება ითქვას ილიამ ჩვეული, მოზომილი დიპლომატიურობით კიდევ აღიარა ოპოზიციის ბრალდება და ნაწილობრივ გააქარწყლა კიდეც. „გვიან მოდიხარო, განა ამხანაგებში ერთი ან ორი საათი ჩასათვლელია, რომ ამხნის კაცი ნახევარი საუკუნე მიცხოვრია, გიმნაზიელსავით დამსაჯონ, კლასში ადრე არ შემოხვედიო, ზარმაცი ხარო. გახლავართ კარგი, მაგრამ ეგ ყველა ახლა სათქმელია... კარგად ვიცი, რომ ბევრი ათას ბრალს დამდებს ამ გულქვაობისთვის, მაგრამ ასეთი ბრალის მე არ მეშინიან როგორც იმ ექიმს, რომელიც ავადმყოფს არჩენს“ („ივერია“ 1891 წელი №1). 1891 წლის საბანკო ბრძოლა ილიას მომხრეთა გამარჯვებით დამთავრდა და იგი კვლავ ბანკის თავმჯდომარედ აირჩიეს. მომდევნო არჩევნებისთვის ოპოზიცია უფრო ენერგიულად მოემზადა რევანშისათვის. 1892 წლის აპრილში გამოვიდა ბროშურა ,,თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“ ამ წიგნაკში გაქარწყლებული იყო ილიას 20 წლიანი საზოგადო მოღვაწეობა. ბროშურის ბრალდების ძირითადი არსი შემდეგი იყო: 1. ილიას გულქვაობისა და „საოპერაციო დანის“ გამო საადგილმამულო ბანკის მრავალდამფუძნებელმა „მამულ-დედული დაჰკარგა“; 2. ილია ფეხქვეშ თელავს „სიმართლესა და ჭეშმარიტებას თავისი ამომრჩევლის წინაშე“. ყოველდღიური ქართული გაზეთი გარდაქმნა უმნიშვნელო, უსიცოცხლო, უსუსურ ქაღალდის თაბახად“ (საუბარია „ივერიაზე“. ლ.დ.) საბედნიეროდ, ილიამ დიდსულოვნად „წაუყრუა“ ამ პასკვილებს, მაგრამ „ნოვოე ობოზრენიეს“ რამდენიმე ნომერში „ვეტერანის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილები, რომელშიც უარყოფილია ილიასადმი წაყენებული ყველა ბრალდება. როგორც შემდეგ გაირკვა წერილის ავტორი ბანკთან დაახლოებული ჟურნალისტი ვლადიმერ მიქელაძე იყო. ხელმოუწერელი წერილის ავტორად მან ივანე მაჩაბელი მიიჩნია. საპასუხო წერილში ივანე მაჩაბელმა წერილის ავტორობა უარყო და აღიარა, რომ იგი მხოლოდ თანაავტორი იყო. 1892 წლის ბანკის სხდომები მაინც მოსალოდნელზე უფრო მშვიდობიანად ჩატარდა, თუმცა მაჩაბელსა და ილიას მცირე დაპირისპირება მაინც მოხდა საბანკო

სტრატეგიასთან დაკავშირებით. კერძოდ, ივანე მაჩაბელი მოითხოვდა, სტიქიური ან რაიმე უბედურებით დაზარელებულ მეანაბრეებისათვის, თანხის შეტანის დაგვიანების გამო ჯარიმა არ გადაეხდევინებინათ და ვალის დაგვიანების შემთხვევაში მამული ექსვსი თვის დაგვიანებით გაეყიდათ. ილია სასტიკი წინააღმდეგი წავიდა: „კარგი სურვილი კარგია, მაგრამ... ასრულება ყოვლად შეუძლებელი."

ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის ახალ დაპირისპირებას უნებლიედ ხელი შეუწყო 1893 წლის სექტემბერში, ჟურნა „მწყემსის" მე-17 ნომერში, ილია ჭყონიას წერილის გამოქვეყნებამ. ცნობილი პუბლიცისტი მიუთითებდა, რომ „მე დაბეჯითებით ვიცი, როგორც გაზეთ „დროების" მაშინდელმა თანამშრომლებმა, რომ 1880-1883 წლების განმავლობაში, ხსენებული გაზეთის ხელმოწერით შეიკრიბა ექვსასიოდე თუმანი მარი ბროსეს პრემიისათვის და როცა სერგეი მესხმა „დროება" გადასცა პატივცემულ თ.ი. მაჩაბელს, მაშინ ამ ფულის დანიშნულებისამებრ მოხმარება დაევალა ამ უკანასკნელს, რომელიც იმედია დაამოწმებს ჩვენგან თქმულ სიმართლეს." (ჟურნალი „კვალი". 1893. №40).

ივანე მაჩაბელმა სასწრაფო განმარტება მისცა საზოგადოებას და აღნიშნა, რომ როცა „დროება" დაიხურა 9000 თუმანი ვალი დამედოო. მაშინ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა 50-კაციანი კომიტეტი, რომელიც საზოგადო ვალის გადახდაში უნდა დამხმარებოდა. თუმცა ამ ვალს დღესაც მარტო მე ვიხდი და 300 თუმანი კიდევ დამრჩაო.

ივანე მაჩაბლის ამ განმარტებამ მეტი, რომ არ ვთქვათ ფრიად აღაშფოთა და გააწიწმატა ილია ჭავჭავაძე. იგი მაჩაბელს „წინდაუხედავს," „უთაურს" უწოდებს, რომელიც ცდილობს თავზე წამოაცვას „საზოგადო საქმისთვის წამებულის გვირგვინი" და თუ რამეში შეცდა ილიას დააბრალოს. („ივერია" 1893. 8 ოქტომბერი). მაშინდელი ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ ფაქტს. „ივერია", „მწყემსი," „კვალი" და სხვ). პრესის აქტივობამ ამ ორ მოღვაწეს შორის დაპირისპირების უფსკრული კიდევ უფრო გააღრმავა.

1894 წლის ბანკის საერთო კრებები კვლავ ილიასა და ივ. მაჩაბლის დაუცხრომელ კამათში მიილია. კრების ცალკეულ მონაწილეთა მცდელობას ილია და მაჩაბელი შეერიგენინა შედეგი არ მოჰყოლია. ილია ითხოვდა გამოეყო კომისია, რომელიც მტყუან-მართალს საბოლოოდ გაარკვევდა. ივანე მაჩაბელი კი სიმართლის გადაწყვეტას სამედიატორო სასამართლოში მოითხოვდა. მისი ბრალდება ილიას მიმართ კვლავ შემდეგი იყო: 1. უგულისყურო და უგულმოდგინოა. 2. ბანკის საქმეების არცოდა. 3. ბანკის საქმეების მიკერძოებით წარმოება და ფაქტების გადასხვაფერება. 4. ყოველივე ზემოთქმულის გამო ბანკი დიდ ზარალს ნახულობსო.

1895 წლის ტრადიციული საბანკო შეკრება უფრო ნაკლებ დაძაბული გამოდგა ვიდრე ელოდნენ. თუმცა ილიას წინააღმდეგ აქტიური კრიტიკით ახლა მხოლოდ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჩაბელი გამოდიოდა. მაგრამ, შეიძლება ითქვას, ეს მხოლოდ გარეგნული სიმშვიდე იყო, რადგან მოპაექრე მხარეები იმ დონეზე იყვენენ ერთმანეთზე გადამტერებულნი, რომ ჩხუბის მიზეზი ყოველთვის გამოიძებნებოდა. გამოჩნდა კიდეც. 1895 წლის მარტის თვეში იმპერიის ფინანსთა მინისტრის განსაკუთრებით, რევიზორ დობეცკის ხელმძღვანელობით, თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი საფუძვლიანად შემოწმდა „მთავარი რევიზორი ევსტაფ ევსტაფიევიჩ დობეცკი, წარმოშობით პოლონელი, მეტად წესიერი და გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა." (ვ. ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბ. 1987 წ). მე-19 საუკუნის საქართველოში იძულებით თუ თავისი ნებით მოღვაწე პოლონელებს ბევრი კარგი საქმე გაუკეთებიათ. ამის დასტურად ბევრი ფაქტის გახსენება შეიძლება. ქართველებსა და პოლონელებს რუსეთის იმპერიის ამ ორ ჩაგრულ ხალხს ერთმანეთის მიმართ დიდი სიმპათიები ქონდათ და ეს ბუნებრივია. ამ სულიერ ძმობას საერთო მჩაგვრელი ცარიზმი განაპირობებდა. ე.დობეცკიმ გაითავისა ორი დიდი ქართველი მოღვაწის დაპირისპირების უსაფუძვლობა და მათ შერიგება ურჩია. ბანკის საქმეებიც ობიექტურად შეამოწმა და სამინისტროშიც შესაბამისი მოხსენება წარადგინა. ილიასა და ივანე მაჩაბლის შესაძლო შერიგებამ მათი მომხრეთა ერთი ნაწილი გააგულის-გააწიწმატა. მათ ყველაფერი იღონეს, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს არ შერიგებოდნენ. ამას დაერთო ისიც, რომ გამგზავრების წინ ივანე მაჩაბელმა მოხსენებითი

ბარათი გადასცა დობეცკის. ილიას თანაბანაკლებმა ამაზე ერთი განგაში და წყევლა-კრულვა გამართეს, ივანეს საჯაროდ ლანძღავდნენ და უწოდებდნენ მას დამსმენს, ცილისმწამებელს, ორგულსა და სამშობლოს მოღალატეს. სამწუხაროდ, ეს ბრალდება გადაუმოწმებლად, სანახევროდ ილიამაც გაიმეორა, როცა ბანკის სხდომაზე ვრცლად განიხილა სამინისტროს მოწერილობა. „პირნის სახელმწიფო და მაშასადამე მიუდგომლის სამსაჯულოისა, იტყვიან თავის უკანასკნელ სიტყვას და მით ერთხელ და სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს ამ საზიზღარს ცილისმწამლებლურ ხმებს, რომელთაც ჩვენ და თქვენ შესახებ ავრცელებენ ჩვენი და თქვენი კეთილისმსურველნი („ივერია“ 1896 წლის 8 მაისი).

ივანე მაჩაბელმა საქმის გარკვევა მოითხოვა და მართლაც ზედამხედველი კომიტეტის წევრმა ვ.კობიაშვილმა გამოწვლილვით განიხილა ივანე მაჩაბლის მიერ რევიზორისთვის გადაცემული ბარათი. არავითარი დაბეზღება ამ მოხსენებაში არ ყოფილა, პირიქით აქ იყო ბანკისთვის უკეთესი სტრატეგიისა და გზების ძიება. როგორიცაა ბანკის საკრედიტო ოპერიაციების გაფართოება და ლიბერალიზაცია. მსესხებლებს ერთნაირი გულისყურით მოპყრობოდნენ და ყველა მეტნაკლებად საიმედო მსესხებლისთვის კრედიტი გაეხსნათ. 1896 წლის „ივერიაში“ ფართოდ გაშუქდა საბანკო პოლემიკა და შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მხარეები ამაოდ დაშვრნენ, რადგან ივანე მაჩაბლის მოხსენება დაბეზღება არ გახლდათ. თუმცა უმიზეზოდ, გამოურკვევლად, შეგნებულად ივანე მაჩაბელს კიდევ ერთხელ მოუკლეს გული. 1896 წელის საბანკო ბრძოლა მისი არსებობის ისტორიაში კულმინაცია იყო. ქართველ თავადაზნაურთა მღელვარებამ საარჩევნო ბრძოლაში აპოგეას მიაღწია. ლამის იყო ქართლელი და კახელი ამომრჩეველი კუთხური ნიშნის მიხედვით ერთმანეთს დაერია. საქმეში პოლიციის ჩართვა გახდა საჭირო. არჩევნებში გამოყენებული იყო ყველა უკადრისი ხერხი: დაშინება, შანტაჟი, მუქარა, ხმალხანჯალრევორვერობია. ერთი სიტყვით, ყველა ის უარსაყოფი ეროვნული თვისება, რომელიც დღესაც ასე უსაშველოდ შეგზარავს ყველა მამულიშვილს. მით უფრო მძიმე იყო ეს მაშინდელი პატრიარქალური საქართველოსთვის.

ამ წელს საბანკო ოპოზიციამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ივ. მაჩაბელი ისევ დირექტორად აირჩიეს ხმათა უმრავლესობით, 688 ხმა 582-ის წინააღმდეგ. (იხ. 1896 წლის მაისის „ივერია“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.). მაგრამ სწორედ ამ დღეებში მოხდა მუხანათურ-ვერაგული შეთქმულება ივანეს წინააღმდეგ. მეორე დირექტორმა და ზედამხედველობის კომიტეტის წევრობამ, რომლებიც ილიას მომხრეები იყვნენ და უმრავლესობას წარმოადგენდნენ საშინელი შეთქმულება მოუწყვეს ამ უკანასკნელს. მიუხედავად მაშინდელი და დღევანდელი სალიტერატურო კრიტიკის უმრავლესობის წარმომადგენელთა მტკიცებისა, თითქოს ილიას მომხრეები მისი მითითების გარეშე მოქმედებდნენ, ეს ჩვენ სიმართლზე შეგნებულად თვალის დახუჭვად მიგვაჩნია, და ვფიქრობთ, კმარა საუკუნეზე მეტი სირაქლემას პოზაში ყოფნა – ვჩანვარ, მაგრამ მაინც არ ვჩანვარო. შეიძლება ითქვას გამარჯვებული დირექტორის ივ. მაჩაბლის მიმართ განხორციელდა დიდი ფსიქოლოგიური დივერსია. ბანკის ზოგიერთი გადამდგარი თანამშრომელი სამსახურში მაინც დადიოდა. ილიას მომხრე ბანკის თანამშრომელთა ერთი ნაწილი კი ხშირად გამომწვევი პოზით ისხდნენ ბანკში და არაფერს აკეთებდნენ, პირიქით, რაც შეიძლებოდა ხელს უშლიდნენ დირექტორს მუშაობაში. შემდეგ მოულოდნელად რიგგარეშე და შესაბამისად კანონგარეშე კრება მოიწვიეს და მაჩაბელი თანამდებობიდან გადააყენეს. ამას, რა თქმა უნდა, ისევ უზარმაზარი კუთხური დაპირისპირება მოჰყვა, რამაც, შეიძლება ითქვას, ფსიქოფიზიკურად გატეხა ივანე მაჩაბელი და საბოლოოდ ჩამოაშორა პროფესიონალი მუშაკი და უგანათლებულესი ქართველი საბანკო საქმეს. ილიასა და ივანე მაჩაბლის დაპირისპირებაზე, განსაკუთრებით 1896 წლის საბანკო ბატალიებზე ბევრი დაიწერა და მომავალშიც დაიწერება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ მკვლევართა უმრავლესობა არ „ტეხს“ ქართული ლიტერატურული კრიტიკის დაუწერელ „კანონს,“ რომ ცნობილი ავტორიტეტების შესახებ არ შეიძლება რაიმე ადამიანურ სისუსტეზე ან ნაკლზე წერა. პირიქით, ისინი შეუმცდარი და მართლები

არიან თავის შეცდომებშიც. ეს უგვანი „ტრადიცია“ უნდა შეიცვალოს. ვწეროთ ადამიანებზე სიმართლე, ოღონდ პატივისცემითა და სიყვარულით.

ქართული საბანკო დაპირისპირების კვლევისას ჩვენი აზრით უაღრესად მნიშვნელოვანია ცნობილი მწერლის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის, ილია ჭყონიას ნაკლებად ცნობილი წერილი, რომელიც ამ მოღვაწის არქივში ინახება და დოკუმენტალური, ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერს მომხდარ ამბებს. ილია ჭყონია განათლებული, პირში მთქმელი პუბლიცისტი და გაბედული მამულიშვილი იყო. ივანე მაჩაბლის საქმეში მისი სახელი ხშირად ფიგურირებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდ პატივს სცემდნენ ერთმანეთს, ეს მათ ხელს არ უშლიდა ერთმანეთისთვის პირში ეთქვათ სიმართლე. (ილია ჭყონიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ იხილეთ წიგნი ლ.დვალიშვილი. ილია ჭყონიას ცხოვრება და შემოქმედება, ქუთაისი. 2005 წ.). ილია ჭყონია ასევე უდიდესი დამფასებელი და პატივისმცემელი იყო ილია ჭავჭავაძისა. (მიუძღვნა რამდენიმე ლექსი). იგი ეთაყვანება ღირსეულ მამულიშვილებს. ვფიქრობთ, ასეთი ადამიანის ნაწერი და ნაფიქრი, მიუკერძოებელი პოზიცია გასათვალისწინებელია, რამეთუ მას უსაზღვროდ უყვარს ერთმანეთს წაკიდებული ორივე მამულიშვილი. წუხს ამის გამო, მაგრამ რადგანაც ჭეშმარიტება ამ ქვეყნად ყველაზე მაღალა დგას და სიმართლე უზენაესია, იგი გულისტკივილით აფიქსირებს თავის პოზიციას. მწერლის არქივში მოიპოვება დოკუმენტურ ფაქტებზე შექმნილი წერილი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ობიექტურად განვსაჯოთ მტყუან-მართალი და რეალურად შევაფასოთ წინარე ისტორიები.

ილია ჭყონია წერს: „მეოთხმოცე წლებში წარსული საუკუნისა ქართული ინტელიგენცია ორ ბანაკად იყო გაყოფილი. პირველ ბანაკს მესვეურობდა ილია ჭავჭავაძე და მისი წრე, ხოლო მეორეს „დროების“ რედაქციის ჯგუფი აკაკითურთ. საზღვარგარეთიდან ახლადჩამოსული ივანე (გიორგის)-ძე მაჩაბელი, რომელსაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს პეტერბურგში ჰქონდა ნათარგმნი, იქ ბანკის საქმეების დროს მყოფ ილია ჭავჭავაძესთან ერთად შექსპირის „მეფე ლირი,“ ჩამოსვლისთანავე მიეკედლა ილიას წრეს. (საარქივო მასალები აღებულია თბილისის გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო არქივიდან. ფონდი 10124-1026. 11). ილია ჭყონიას ცნობები არა მარტო ამ საკითხის შესახებ, არამედ თავის თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების მიმართ ზუსტია და სარწმუნო. იგი უშიშარი მოქალაქე და პირში მთქმელი მამულიშვილი იყო. ამის გამო მას მრავალი უსიამოვნება შეხვედრია, მაგრამ უკან არასდროს დაუხევია. თავის დროზე გაზეთ „დროების“ რედაქტორ, სერგეი მესხთან ერთად, სასამართლო პროცესი მოუგო მეფის ჩინოვნიკური აპარატის წარმომადგენელს, სომეხი ეროვნების უსულგულო მექრთამე ჩინოვნიკს, ივანე ბალიასნის. ამ უკანასკნელმა თავისი არაადამიანური ქმედებით თითქოს მთელი იმერეთის რეგიონს ეკონომიკური ზარალი და საზოგადოებას ფსიქიკური ტრამვა მიაყენა. პუბლიცისტი სამართლიანად მიუთითებს, რომ საბანკო დაპირისპირება საქართველოში 1880-იანი წლებიდან იწყება და არა 1890-იანი წლებიდან, როგორც ეს დღესავ ბევრ კრიტიკოსს მიაჩნია. იგი თანმიმდევრულად მოგვითხრობს ივანე მაჩაბლის საქმიანობის შესახებ, საქართველოში დაბრუნების დღიდან მის დაკარგვამდე. (გაუჩინარებამდე). მწერლის მოგონება იმითაცაა საყურადღებო, რომ იმ პერიოდში იგი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შუაგულში ტრიალდება. იგი გახლდათ გაზეთ „დროების“ თანამშრომელი. მოგვიანებით კი ქუთაისში გამომავალი ჟურნალ „მეურნის“ რედაქტორ-გამომცემელი. მისი თქმით „ივანე მაჩაბელი გახდა ფორმატგადიდებული „დროების“ მუდმივი დამოუკიდებელი თანამშრომელი. „გაუმცდარი, განათლებული და ნიჭიერი. ის სწერდა გაზეთში მოწინავე წერილებს, ეგრეთწოდებულ ფელეტონებს. უპირატესად სამეცნიერო მიმოხილვებს...

მალე აირჩიეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად... (თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე). ამ თანამდებობაზე მან ისეთი ფხა გამოიჩინა, რომ ყველა თავის ამხანაგს, დანარჩენ წევრებს გამგეობისას შემატა სიმხნე და თვით საზოგადოებას შეძინა ასიოდე ახალი წევრი.

ამას მიაქცია ყურადღება ილია ჭავჭავაძემ, გადაიყვანა იგი ბანკში კასირად, მერე დამფასებლად და პირველ შემთხვევაში წამოაყენა მისი კანდიდატურა დირექტორობაზე, რაც მაშინ დიდად საპატიო თანამდებობად ითვლებოდა. ივ. მაჩაბელი, რომელსაც ბევრი პატივისმცემელი ჰყავდა საზოგადოებაში ხმის დიდი უმრავლესობით არჩეული იქნა დირექტორად. ამის შემდეგ მიატოვა სასწავლებელის ინსპექტორობა და მხნედ შეუდგა ბანკში თავის მოვალეობის ასრულებას. ისე, რომ მწერლობაში შრომისთვის არა დაუკლია რა“... (იხ. ზემოთ დასახელებული საარქივო მასალები. ლ.დ.). წერილში ილია ჭყონია თანმიმდევრულად გვესაუბრება, რომ „დროების“ დედაბოძმა, უდროოდ მოტეხილმა და დაუვიწყარმა მოამაგემ, სერგეი მესხმა, მცირე სასყიდლით გადასცა გაზეთი ივ. მაჩაბელს. ამ უკანასკნელს ფულით დაეხმარა „მდიდარი კაცი, მეცენატი ქართველიშვილი.“ პუბლიცისტი გვარწმუნებს რომ „დროება“ ივანეს ხელში კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა. „ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზეთის რედაქტორობამ და მეპატრონეობამ დიდი გონებრივი და ზნეობრივი გავლენა მოუპოვა ივ. მაჩაბელს მთელ საქართველოში. ის ახლა ზედმიწევნით მცოდნე იყო ბანკისა და საბანკო საქმეებისა. ბევრ რამეში ის უკვე აღარ ეთანხმებოდა ი. ჭავჭავაძეს, რომელიც არ იყო ჩვეული სიტყვის შებრუნებას დირექტორთაგან. როცა მაჩაბელმა დაუწყო ჯერ კიდევ სიტყვიერი შეკამათება გამგეობის სხდომაზე და მერე გაზეთში შეუდგა პირინციპულ განხილვას წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის აზრებისა, ეს არ ეამა ამ უკანასკნელს და გადაეკიდა მას იმ დღიდან აღარ ინდობდა, აღარაფრით აღარ ზოგავდა მას. 1896 წელს ისეთი შეთქმულება მოაწყო მის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძემ, რომ ასეთი რამ არ ახსოვს ბანკის გამგეობის ისტორიას. ბანკის დამფუძნებელ წევრთა და ჩვეულებრივ მსესხებელთა წლიურ ყრილობაზე, რომელზედაც გარდა მორიგი საქმეების განხილვისა არავითარი არჩევანი არ იყო დანიშნული, მან, ილიამ, მოუყარა თავი ყველა თავის მომხრეებს და ყრილობაზე მოულოდნელად თავისი დამქაშების მეოხებით წამოაყენა საკითხი ივანე მაჩაბლის თანამდებობიდან გადაყენებისა. მისი ვითომდა უტაქტობისა და უხასიათობის გამო. განგებ გაჭიანურებულ ბაასში... წინდაწინ მიღებული გადაწყვეტილებით, რათა უსათუოდ გადაეყენებინათ კანდიდატურა და მართებულობის მიუხედავად ჰყარეს კენჭი (ჰყარეთ კენჭი) და თქვენი კენჭები თქვენივე წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას დაგიდასტურებს, მორჩა და გათავდა! – შენიშნა ივანე მაჩაბელმა ყრილობას. – ასეც მოხდა, ყრილობამ (ორი მესამედი) ხმის უმეტესობით დაადგინა გადაყენებულ იქნას ივ. მაჩაბელი დირექტორობისგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი, როგორც ვთქვით, არ იყო შეტანილი ყრილობაზე განსახილველ საგანთა შორის. ივანე მაჩაბელმა გადაწყვიტა არ დამორჩილებოდა ასეთ უკანონობას და უმართებულო დადგენილებას და განაგრძობდა ბანკში მეცადინეობას. მაგრამ ილია ჭავჭავაძისა და მისი ყურმოჭრილი გამგეობის, აგრეთვე ზედამხედველი კომიტეტის წევრების განკარგულებით ივ. მაჩაბელს აღარ აძლევდნენ საქმის ქაღალდებს ხელმოსაწერად. აღარ იწვევდნენ გამგეობის სხდომებზე და თვით სხდომებს მისდა ნამალავად მართავდნენ. ააღებინეს მის სამეცადინო ოთახიდან მაგიდა და სკამი.

ივანე მაჩაბლის მომხრეებმა ვრცელი და დასაბუთებული საჩივარით მიმართეს ფინანსთა მინისტრს პეტერბურგში, სადაც ჭავჭავაძეს რამდენიმე ძლიერი ბიუროკრატები დაუფაცურდნენ და საჩივარმა ვერ გასჭრა.“

ასეთი მუხანათობით შეძრული მამულიშვილი გულისტკივილით აგრძელებს ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიის თხრობას და დასძენს, რომ მრავალმხრივი მოღვაწის ნიჭმა ახლა სხვა მიმართულებით გაიბრწყინა. ივ. მაჩაბელი შედგომია „ქართლის მეურნეობის აღორძინების თადარიგს.“ ქართველი მოღვაწეებისა და სოფლის ინტელიგენციის თანადგომით რკინიგზის სადგურ გომში მას დაუარსებია „სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი,“ რომელმაც დიდი სიკეთე მოუტანა ქართლს და „ადგილობრივი თუ მოსული ჩარჩების ხელისგან დაიხსნა ქართველი გლეხობა.“ უზარმაზარი შემოსავალი „მილიონები ეკარგებოდა მათ უძირო ჯიბეს, უცხო ტომელ ვაჭრებს. სინდიკატის გაძლიერება მათთვის სიკვდილის მომასწავებელი იყო და როცა

იავენ მაჩაბლის გამოჯანმრთელების ამბავი გაიგეს პირდაპირ ელდა ეცათ. დაფაცურდნენ მრავალნაირად, მაგრამ საიდუმლოს სრული დაცვით.“ (იხ. ზემოთ დასახელებული საარქივო მასალები. ლ.დ.). წერილი მთავრდება იმ სამწუხარო ცნობით, რომ 1898 წლის 26 თიბათვეს ივ. მაჩაბელმა იყიდა სინდიკატისთვის გასაგზავნი სამეურნეო იარაღები, რომელიც მას მეორე დღეს უნდა გაეგზავნა, მაგრამ მეორე დღე მისთვის აღარ გათენდა.

ი. ჭყონიას ეს მოგონება, როგორც ვხედავთ, მრავალმხრივაა საყურადღებო. თუმცა შეიძლება ითქვას იგი სალიტერატურო კრიტიკის ინტერესების მიღმა დარჩა. კაცმა, გულწრფელად რომ თქვას, ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რამეთუ ზემოხსენებული წერილი არატრადიციულად უდგება კრიტიკის სამწუხარო „ტრადიციას“, ავტორიტეტებზე კარგი, ან არაფერი. ამ დროს ზიანდება შეფასების ოქროს ფორმულა. პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება მეგობარზე უფრო მაღლა დგას. ი. ჭყონიას მოგონება ივ. მაჩაბლის ცხოვრების ბოლომდე მიდის, მაშასადამე დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენი აზრით ეს ასე არ გახლავთ. პუბლიცისტმა ღიად მიანიშნა იმ საიდუმლო შეთქმულებაზე, რომელიც ბუნებრივია იარსებებდა ივ. მაჩაბლის წინააღმდეგ, რამეთუ მან თავისი სასოფლო-სამეურნეო სინდიკატით ქართლიდან მთლაიანდ გამოაძევა „უცხოელი ჩარჩ-ვაჭრები... და ერთბაშად მილიონის შემოსავალი დაუკარგა მათ.“ ამას, რა თქმა უნდა უკვე უზარმაზარი კაპიტალის მფლობელი, საერთაშორისო კავშირების მქონე საქართველოში არსებული უცხოური ბურჟუაზია, კერძოდ კი სომხური ბურჟუაზია, ევრ შეეგუებოდა. როგორც ცნობილია, ზემოხსენებული ერის ადამიანები საქართველოში ნაშოვნი ფულით, რუსული ჩინოვნიკური აპარატის პროტექციით, განსაკუთრებით მტრობდნენ ისედაც მცირეირცხოვან ქართული წარმომავლობის კაპიტალს. ეს, სამწუხაროდ, უდავო ფაქტია და ამის დამადასტურებელად მრავალი ისტორიული დოკუმენტის მოხმობა შეიძლება. ასევე საყურადრებოა ლიტერატურული წყაროებიც, რომლებიც უფრო შთამბეჭდავად წარმოაჩენენ იმდროიდელი საქართველოს რეალურ სურათს.

ამ მხრივ საინტერესოა მრავალმხრივი განათლებული მწერალ-პროზაიკოსის, ნიკოლოზ გაბაონის (ნიკოლოზ გაბაშვილის) მშვენიერი რომანი „აივნიანი ქალაქი.“ სამწუხაროდ, ეს დიდებული რომან-ეპოპეა, ჩვენი აზრით, ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ არამარტო სათანადოდ ვერ შეაფასა, არამედ, უფრო მეტიც, ვერც შეამჩნია იგი. რომანში, რომელიც დოკუმენტური პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, იშვიათი ოსტატობითა და დამაჯერებლადაა დასურათებული მე-19 საუკუინის საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარება, სომხური კაპიტალის უკიდურესი ნაციონალისტური პოლიტიკა, რომელიც უდიდესი კუთხური თავგამეტებით ცდილობს დაუნდობლად გაანადგუროს ემბრიონის მდგომარეობაში მყოფი ქართული ბიზნესი. მდგომარეობა ისე დაძაბულა, რომ ქართული ბურჟუაზიის მცირერიცხოვანი წარმომადგენლები თავიანთი კაპიტალის შველას მხოლოს ბიზნესმენის ქართული გვარის სომხურად გადაკეთებით ახერხებენ. საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც კი, რომელიც საბჭოეთის ზეობის ხანაშია შედგენილი და, რომელიც ტენდენციურად, მაქსიმალურადაა უგულვებელყოფილი ხალხებს შორის არსებული დაპირისპირება და გვერდი ვერ აქვს აქცეული სომხური კაპიტალის წარმომადგენელთა აგრესიულ ნაციონალურ პოლიტიკას. მაგ.: 1889 წელს ქალაქ ახალციხის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თხოვნა მიართვა კავკასიის მთავარმართებელს: „იმის გამო, რომ გამგეობაში სომხები არიან გაბატონებული არასომეხთა უბრალო თიხით აგებული ქოხი 3-4 ჯერ მეტად ფასდება, (ე.ი. იბეგრება. ლ.დ.). ვინემ სომეხთაგან აშენებული ქვიტკირის სახლები. ასეთი პოლიტიკის პირობებში საგადასახადო ტვირთის მთელი სიმძიმე მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს აწევს, სომეხი გრიგორიანელები კი, რომლებიც მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენენ, თანაც გაცილებით მდიდრები არიან, შედარებით მსუბუქად იბეგრებიან,“ ...არანაკლებ მძიმე მდგომარეობა იყო ამ მხრივ გორსა და თბილისში. „სომეხ და ქართველ ბურჟუაზიას შორის შინაკლასობრივი და ნაციონალური წინააღმდეგობანი საკმაოდ მწვავე იყო აგრეთვე გორში. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში

გორის თვითმმართველობაშიც სომეხი ბურჟუაზია იყო გაბატონებული. იგი ყოველნაირად აფერხებდა ქართველთა არჩევას სათათბიროში." (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5 გვ. 688. თბ. 1970). ამავე პერიოდის ამბებს „ივერია" ასე გადმოგვცემს. 1889 წლის არჩევნების დროს სომეხი ბურჟუები აშკარად ყვიროდნენ: „არ გვინდა ანდრონიკაშვილი, არ გვინდა ჯაფარიძე, არ გვინდა გაბუნიაო. ამისთანა ხმებმა ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია. მეორე მხარემაც ხმა ამოიღო და თავისიანებსაც დაუწყო სარჩლი." („ივერია." 1889 წ.). სომხური ბურჟუაზიის ყოვლისშემძლეობის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის ექვთიმე თაყაიშვილი. 1896 წელს კავკასიაში მთავარმმართებლად დაინიშნა გოლიცინი. იგი უცნაური, მაგრამ პრინციპული კაცი აღმოჩნდა. ,,როგორც ცნობილია, სომხის ეკლესიას უამრავი უძრავი ქონება, მამულები ჰქონდა და დიდ შემოსავალს იღებდა იქედან. მათ განაგებდა სომეხთა პატრიარქი და შემოსავალს მეტწილად სკოლებს ახმარდა... მთავრობამ ჩამოართვა სომხის ეკლესიას ეს უძრავი ქონება და გადარიცხა სახელმწიფო ფონდში. (ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას ასეთი ქონება დიდი ხნის ჩამორთმეული ჰქონდა). სომხები ბევრს ეხვეწნენ და ემუდარნენ დაგვიბრუნეთო, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მაშინ მათ გადაწყვიტეს გოლიცინის მოკვლა, როგორც ამბობენ, ნაქირავები, ოსმალეთიდან ჩამოსული დაშნაკის ხელით. თავს დაესხნენ... გოლიცინი ვერ მოკლეს, მაგრამ სასტიკად დაჩეხეს სატევრებით. სულ თავ-პირში ურტყეს." (დაბრუნება ექვთიმე თაყაიშვილი, ემიგრანტული ლიტერატურა, გვ. 407, 1991). ამ ფაქტით თვალსაჩინოდ ვლინდება სომხური ბურჟუაზიის ყოვლისშემძლეობა, თავგასულობა და უტიფრობა. როცა დიდი ფინანსური ინტერესი გაჩნდა, მათ, თვით მთავარმმართებელსაც კი შებედეს მოსაკლავად და თუ ივ. მაჩაბლის სამეურნეო სინდიკატი „მილიონებს წაართმევდა მათ უძირო ჯიბეს," რა თქმა უნდა, არ დაინდობდნენ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დღევანდელი უტყუარი ფაქტოლოგიური მასალების საფუძველზე შეიძლება მაშინდელი საქართველოს რეალური სურათი ასე წარმოვაჩინოთ: 1. მე-19 საუკუნის ბოლოს, საქართველოს უმეტეს ნაწილს, განსაკუთრებით კი ქართლსა და ჯავახეთს, თითქმის მთლიანად აკონტროლებს სომხური ბურჟუაზია. 2. ივ.მაჩაბლის მიერ დაარსებული „ქართლის სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი," ერთბაშად აძევებს იქედან სომხურ კაპიტალს და „რამდენიმე მილიონის შემოსავალს უკარგავს მას". 3. რუსეთის სახელმწიფო აპარატის მიერ ზურგგამაგრებული, დიდი კაპიტალის მქონე, საერთაშორისო მასშტაბის, ქართველთა ინერტულობით გულმოცემული სომხური ბურჟუაზია ამას ვერ მოითმენდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ივ. მაჩაბლის დაღუპვის ნაირგვარ ვერსიათაგან ჩვენ ყველაზე სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი, ივ. მაჩაბელი, დაიღუპა სომხური ბურჟუაზიის ხელით. როგორც ეს ი. ჭყონიას წერილშია დაშიფრულად მითითებული. დღეს კვლევა ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს და ხანგრძლივი დროითი დაშორების მიუხედავად საინტერესო ფაქტები გამოვლინდება. კიდევ ერთხელ მივყვეთ მოვლენების განვითარების თანმიმდევრობას: 1883 წლიდან ერთმანეთს გადაემტერა ილია და ივანე მაჩაბელი. 1885 წლიდან ივ. მაჩაბელს შემოსწყრა იმპერიის მთავრობა და დაუხურა გაზეთი „დროება". ამით მაჩაბელს მოუსპეს ქართული საზოგადოებისათვის სიმართლის თქმის საშუალება. ეს ფაქტი უდიდესი დანაკარგი იყო ქართული კულტურისათვის. შეიძლება ითქვას, ამ ამბავს ივ. მაჩაბელი მთელი სიცოცხლე ყველაზე მტკივნეულად განიცდიდა. დროის გასვლასთან ერთად ილიასა და მთავრობის მხრიდან უნდობლობა კიდევ უფრო გაიზარდა. 1896 წელს, ბანკიდან „გარიყულმა" ივანე მაჩაბელმა, დააარსა უაღრესად წარმატებული სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი, რომელმაც ორ წელიწადში დიდ მასშტაბებს მიაღწია და საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მხარიდან, ქართლიდან, გამოაძევა სომხური ბურჟუაზია. ერთბაშად ,,დაუკარგა მას რამდენიმე მილიონის შემოსავალი." ამდეგნად, ერთდროულად ივ. მაჩაბელთან დაპირისპირებული აღმოჩნდა მთავრობა, ყოვლისშემძლე სომხური ბურჟუაზია და ქართული საზოგადოების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. პირველ ორ ზემოდასახელებულ სუბიექტს ივ.მაჩაბელის „უსიამოვნება," თვით სიკვდილის

ჩათვლით, ძლიერ გაახარებდა. დიდად არ ინაღვლებდა მისადმი მრავალწლიანი დაპირისპირებით გაბოროტებული ქართველთა ერთი ნაწილიც. ამდენად, საშავღრუბლო დღის მომასწავებელი ტრაგიკომედიის წრედიც შეიკრა. როგორც სავარაუდოა, გამოცდილი პროფესიონალის მიერ დაიწერა სცენარი. „საიდუმლოს სრული დაცვით." მოქმედების დროც მიზანმიმართულად შეირჩა, ივანე მაჩაბელთან მისი უახლოესი მეგობრის, აკაკი წერეთლის სტუმრობა... იმ ღამით გაურკვეველ ვითრებაში გაუჩინარდა თავისი მამულივით სრულყოფილი და უიღბლო ივანე მაჩაბელი. ვფიქრობთ, ჩვენს ვერსიასა და ვარაუდებს მალე დრო სავარაუდოდ შესაძლებელიდან რეალური ფაქტის დონეზე აამაღლებს.

ამდენად დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ:

1. ივანე მაჩაბელსა და ილია ჭავჭავაძეს შორის ნაცნობობა და თანამშრომლობა შედგა პეტერბურგში 1873 წელს. მათ ერთობლივად თარგმნეს შექსპირის „მეფე ლირი."

2. 1879 წლის მარტში სამშობლოში დაბრუნდა უაღრესად განსწავლული ივანე მაჩაბელი. მან ზედმიწევნით ისწავლა რუსული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები. ცხრა წლის განმავლობაში, როგორც მისი წერილებიდან ირკვევა, იგი ევროპაში გულმოდგინედ ეუფლებოდა მეცნიერების საფუძვლებს, რათა შეძლებოდა სვეგამწარებული სამშობლოს სამსახური. ჩამოსვლისთანავე მაჩაბელი ილიამ გვერდით ამოიყენა. იგი აირჩიეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად. ცოტა ხნის შემდეგ სათეატრო კომიტეტის წევრად, შემდეგ კი სათავადაზნაური ბანკის თანამშრომლად.

3. ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის 1873 წლიდან მოყოლებულ კეთილ ურთიერთობას ბზარი გაუჩნდა 1883 წელს. სამწუხაროდ, მცირე უთანხმოება მალე უზარმაზარ ნაპრალად იქცა. კერძოდ, ამ წელს ილიამ პირადი მოსაზრების გამო, გაზეთ „დროების" რედაქტორობაზე, მხარი არ დაუჭირა ივანე მაჩაბელის კანდიდატურას. ილიას ნების წინააღმდეგ ივანე მაინც გახდა „დროების" მფლობელიცა და გამომცემელიც. იმავე წელსვე, ილიას ნების წინააღმდეგ ივ. მაჩაბელმა არჩევნები მოუგო ილიას პროტეჟეს, ავდოშვილს. ილიამ, შეიძლება ითქვას, სამწუხაროდ, საზოგადო საქმეების არასაკეთილდღეოდ, პირადი წყენის გამო უსამართლოდ აიყარა გული ივ. მაჩაბელზე.

4. 1883 წელი გახლავთ დიდი საბანკო დაპირისპირების დასაწყისი და არა 1890-იანი წლები, როგორც სალიტერატურო კრიტიკის წარმოამდგენელი მიიჩნევს დღეს.

5. 1896 წელს კანონიერად არჩეული ბანკის დირექტორი, ივ.მაჩაბელის მიმართ ილიას მომხრეების მიერ, სავარაუდოა ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით ან უშუალოდ მითთებით გამოვლენილი იქნა უსაზღვრო ობსტრუქცია, ნიჰილიზმი და უკანონობა, ერთ-ერთი ყველაზე ვერაგული შეთქმულება ქართული საპოლიტიკო არჩევნების ისტორიაში.

6. ერთი აღმოსავლური ანდაზა ამბობს: ორი ძმა რომ ჩხუბობს დამნაშავე უფრო ჭკუიანიაო. ჩვენი საკვლევი პრობლემის რეალობიდან გამომდინარე, აგრეთვე ხელმისაწვდომი ლიტერატურული წყაროებისა და დოკუმენტების გაცნობის საფუძველზე შეიძლება იმ ვარაუდის დაფიქსირება, რომ უფრო ჭკუიანი და გამოცდილი უფროსი ძმა აშკარად შემცდარი იყო უმცროს ძმასთან ბოლოდროიდელ ურთიერთობებში, თუმცა მას არაფერი დაუთმია და ამით უმცროსი ძმის ტრაგედია აშკარად დააჩქარა.

გია კვაშილავა – პროფესორი

პროტო-ქართველური წერილობითი ძეგლების – ხაზოვანი წარწერების ამოკითხვის შესახებ

(მოკლე მასალა, შედეგები)

ორიოდე სიტყვით ავტორის – პროფესორ გია კვაშილავას შესახებ:

კრეტული იეროგლიფური, ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების დეშიფრატორი; ეგვიპტური, ბაბილონური და ბერძნული მათემატიკური ტექსტების მკვლევარი. ISSEP *ფონდის სტიპენდიანტი მათემატიკის სპეციალობით. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროა: მათემატიკური ფიზიკა, მათემატიკის ისტორია და ფილოსოფია, მათემატიკური ლინგვისტიკა, მათემატიკური ანთროპოლოგია და მათემატიკური არქეოლოგია.*

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის და სსუ განათლების ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, აშშ-ის საერთაშორისო ლინგვისტიკური ასოციაციის წევრი, ხმელთაშუაზღვისპირეთის კვლევების ასოციაციის წევრი, საქართველოს აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, მარტვილის საპატიო მოქალაქე.

საქართველოს, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ვატიკანის, აშშ-ისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციებისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესების, კონფერენციების მონაწილე და სამეცნიერო კომიტეტების წევრი.

50 სამეცნიერო შრომის ავტორი. მისი სამეცნიერო კვლევები გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებისა და კონფერენციების მასალებში, რომლებიც ჩატარდა ლონდონის სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოებასა და დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში, კემბრიჯის, ჰარვარდის, სორბონის, ჰონგ-კონგის, ათენის, კრეტის, ბერლინის, კეიპტაუნისა და თბილისის უნივერსიტეტებში.

ბატონი გია თითქმის დაარსებიდანვე, ასევე, ცნობილ ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად გვერდით დაუდგა და თანამშრომლობს „ვანის რაიონის იტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრთან“. მისი სტატიები, მეცნიერული აღმოჩენები, თითქმის, პერიოდულად ქვეყნდება „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეში“ და სარგებლობს უდიდესი ინტერესით. ჩვენი სარედაქციო კოლეგია კიდევ ერთხელ მიესალმება ბატონ გიას, უსურვებს ჯანმრთელობას და წამატებებს იმ მეცნიერული კვლევებისა და ახალ აღმოჩენათა შუქზე, რომელმაც მსოფლიო მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. იგი იკვლევს, იცავს და ახალ ხარისხში აჰყავს ქართველთა განუზომლად დიდი ისტორია, მისი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. საქმე, რომელსაც ბატონი პროფესორი დღეს აკეთებს ფასდაუდებელია, რადგანაც ჩვენს ქვეყანას არ აკლდა და არც დღეს აკლია გარეული თუ შინაური, საქართველოს ისტორიისადმი ინდიფერენტულად განწყობილი ადამიანები, ამ ფონზე მისი მოღვაწეობა ისე, როგორც არაერთი პატრიოტი ქართველი მკვლევარისა, ნამდვილად ემსგავსება ბრძოლის ველზე გასული მხედრის ღირსეულ ქმედებას.

აქვე ვისარგებლებთ შემთხვევით და ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრის“ დამფუძნებელთა და კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის სახელით, დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ გია კვაშილავას. ვუსურვებთ უპირველესად ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, რათა კიდევ დიდხანს ემსახუროს მისი ჭეშმარიტად ქართული ნიჭიერება და აკადემიურობა საქართველოს, ჩვენი ერის სრულყოფილად წარმოჩენის, მსოფლიო ცივილიზაციის შესაძირკვლედ მეცნიერულად აღიარების საკითხს. უმრავლოს უფალმა ჩვენს საშობლოს თქვენნაირი ღირსეული შვილები ბატონო გია, რათა მომავალ თაობასთან ერთად გაძლიერდნენ ჩვენი ჯიშისა და გენის უნიკალურობის საშზეოზე გამოტანის საქმეში.

1. ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის, ენებისა და წარწერების შესახებ:

უძველესი ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით, ბრინჯაოს ხანაში პელასგურ-კოლხური ტომები სახლობდნენ დიდ ტერიტორიაზე, კერძოდ, მცირე აზიის რეგიონებში, აპენინის ნახევარკუნძულზე, ეგეოსისზღვისპირეთში, პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძულსა და შავიზღვისპირეთში. ისტორიულ ხანაში კი მათი ოდინდელი სამკვიდრებელი სივრცე თანდათანობით შემცირდა (იხ. სურ. 2).

ამ მხრივ 1943-1946 წლებში ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია წერდნენ: „ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. უძველეს დროში, დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ, წინა აზიის უზარმაზარ მიწაწყალზე და სამხრეთ ევროპაშიაც (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეს ნახევარკუნძულებზე), აგრეთვე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. ამ მოდგმის ხალხებმა შეჰქმნეს ძალიან ადრინდელი და დიდი კულტურული ცენტრები... ევროპაში ამ გვარ-ტომების ხალხები წინ უსწრებდნენ შემდეგ მოსულ ინდოევროპელებს, რომელთაც დამხვდური მოსახლეობისა და მისი განვითარებული კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს“.

სურ. 2. „კავკასიური მოდგმის“ განსახლების არეალი (მონიშნულია მუქად), ძვ.წ. VI-I ათასწლეულის I ნახევარი (?) რუკა შედგენილია: ვ.ჰუმბოლდტის, ფ.კლუგეს, ფ.ჰომელის, ჰ.შუხარდტის, ა.ტრომბეტის, ნ.მარის, ივ.ჯავახიშვილის, ფ.შახერმაირის, არნ. ჩიქობავას, ნ.ბერძენიშვილის, ს.ჯანაშიას, გ.მელიქიშვილის, ზ.გამსახურდიას, ჰ.ცებიშისა და სხვათა შრომების მიხედვით.

ძვ.წ. III ს-ში ძველი ბერძენი სწავლული, აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ წერდა: „მაკრიელთა პელასგურ ლაშქარს“, რასაც სქოლიასტი ასე განმარტავდა: „მაკრიელი – ეგრეთ წოდებული მაკრონები, რომლებიც გადმოსახლებულნი იყვნენ კუნძულ ევბეადან, საიდანაც მაკრონები ეწოდათ... ევბეას წინათ მაკრისიც ერქვა. პელასგური კი იმიტომ თქვა პოეტმა, რომ ევბეა მეზობელი მხარეა პელოპონესისა, რომელიც უწინ პელასგიად იწოდებოდა...“

ძველი ბერძენი სწავლულების, სტრაბონის, სტეფანე ბიზანტიელისა და ევსტათიოს თესალონიკელის მიხედვით, მაკრონი პელასგურ-კოლხური მოდგმის, დასავლურ-ქართველური წარმოშობის მეგრელ-ჭან-ლაზთა სატომო სახელს აღნიშნავდა (ივ.ჯავახიშვილი, არნ.ჩიქობავა ს.ყაუხჩიშვილი, აკ.ურუშაძე, თ.ყაუხჩიშვილი, რ.გორდეზიანი). მათი გვიანდელი განსახლების კერა იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, მაგრამ მათი უწინდელი განსახლების სივრცე შავი ზღვისა და ეგეოსის ზღვის სანაპიროებს მოიცავდა – წერდა აკაკი ურუშაძე.

ძვ.წ. XII-XI და ძვ.წ. VIII სს-ის ასურულ ლურსმულ, ძვ.წ. VIII ს-ის იეროგლიფურ-ლუვიურ და ძვ.წ. VII ს-ის ურარტულ ლურსმულ წარწერებში დასტურდება, რომ მცირე აზიაში, მდ. ჰალისის (ყიზილ-ირმაქის) შუა დინების სამხრეთით მდებარე მხარეში სახლობდნენ მუშქები (მუსქები), რომელსაც ბ.ჰროზნი, რ.ბარნეტი, ე.ლაროში, პ.მერიჯი და სხვები უკავშირებდნენ ქართველურ ტომს – მოსხებს, ანუ მესხებს (ვ.მილერი, არნ.ჩიქობავა, ნ.ხაზარაძე და სხვ.).

ძვ.წ. VI-V ს-ში ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი ჰეკატეოს მილეტელი წერდა: „მოსხები კოლხური ტომია.“

უძველესი წყაროებისა და მრავალი მეცნიერის მოსაზრებების გათვალისწინებით, აკ.ურუშაძემ დაასკვნა, რომ „ზემოხსენებული კოლხური ტომები, სხვა პელასგურ ტომებთან ერთად, დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი. ისტორიულ ხანაში კი ამ ტერიტორიის თანდათანობითი დავიწროება მოხდა“.

გერმანელი ლინგვისტი პაულ კრეჩმერი წერდა, რომ ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა, ხეთებისა და ფრიგიელების გარდა, არაინდოევროპული და არასემიტური წარმოშობის იყო; ეს იყო თვითმყოფადი ხალხი. ბალკანეთის ნახევარკუნძულის, მცირე აზიისა და ეგეოსისზღვისპირეთის მოსახლეობის არაინდოევროპულობას იზიარებდა ავსტრიელი ისტორიკოსი ფრიც შახერმაირიც. შვეიცარიელი ფილოლოგი ედუარდ შვიცერი წერდა, რომ ამ მოსახლეობის არაანატოლიური და არაფრიგიული ენები ქმნიდნენ ე.წ. ეგეოსურ-მცირე-აზიურ ჯგუფს, რომელსაც უკავშირდება სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) და ეტრუსკული ენები.

პ.კრეჩმერის აზრით, მრავალი სიტყვა ბერძნულ ენაში გადმოღებულია არაინდოევროპული მოდგმის წინარებერძნული, „პელასგური“ მოსახლეობის (მაგ., მაკრიელების, ლელეგებისა და სხვების) ენებიდან, რომლებიც მას სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) ტომების მონათესავე ენებად მიაჩნდა. ეს სიტყვები, პირველ რიგში, წარმოადგენს ბალკანეთის ნახევარკუნძულის, კრეტისა და მცირე აზიის ტოპონიმებს. წინარებერძნული, „პელასგური“ ენის კვალი სუბსტრატის სახით გამოვლინდა ბერძნული ენის დიალექტებში. ედ.შვიცერი ამბობდა, რომ წინარებერძნული, „პელასგური“ და მცირე აზიის არაანატოლიური და არაფრიგიული წარწერების ენები ეჭვგარეშე არც ბერძნულია და, უფრო მეტიც, არც ინდოევროპული.

ფრანგი ლინგვისტის ანტუან მეიეს აზრით, ყველაზე უფრო საიმედო გზა წინარებერძნული, „პელასგური“ ენის გასაცნობად სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) და მცირე აზიის ძველი ენების შესწავლაა.

ეს ენა წარმოდგენილია ოთხი ათასი წლის წინანდელი A კლასის ხაზოვანი დამწერლობით შესრულებულ წარწერებზე, რომლებიც აღმოჩენილია კუნძული კრეტის მრავალ ადგილასა და ეგეოსურ კუნძულებზე, საქართველოში, ბულგარეთსა და პალესტინაში.

2. კორიბანტების, კირბების – პროტო-ქართველური წერილობითი ძეგლებისა და ენის შესახებ

ძველ ბერძნულ, ლათინურ და სხვა წერილობით წყაროებში (ჰეკატეოს მილეტელი, პლატონი, არისტოტელე, აპოლონიოს როდოსელი, პლუტარქე, ხარაქს პერგამონელი და სხვ.) მრავალი ცნობა მოიპოვება ბრინჯაოს ხანის ქართველურ ტომთა, თვითმყოფადი კოლხების შესახებ და მათ შორის კოლხური (პროტო-ქართველური) დამწერლობით შესრულებული წარწერების – კირბების (კვირბების) სახით არსებობის თაობაზე.

ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით, ცნობილია, რომ უძველეს ხანაში წერის ხელოვნებას ქურუმები მეთაურობდნენ. ამ წყაროთა მიხედვით, კირბების სახით კოლხური (პროტო-ქართველური) დამწერლობა პელასგ-კოლხთა დიდი დედაღვთაების – რეა-კიბელეს (ფასიანეს, ფასისელთა ქალღმერთის) ქურუმების, კორიბანტების (კირბანტების) წრეში ჩამოყალიბდა, რომელიც მცირე აზიაში, ანატოლიაში შეიქმნა და გავრცელდა ეგოსისზღვისპირეთსა (კუნძული კრეტა, კუნძული სანტორინი, კუნძული სამოთრაკე, ბალკანეთი და სხვ.) და შავიზღვისპირეთში (საქართველო, ბულგარეთი და სხვ.).

II ს-ში წმ. კლიმენტ ალექსანდრიელი წერდა, რომ ქურუმებმა – **კორიბანტებმა კოლხური დამწერლობა შექმნეს და მუსიკის რიტმი აღმოაჩინეს**. ზოგიერთი მითის მიხედვით, მათ საფუძველი ჩაუყარეს არითმეტიკასაც. უძველესი წყაროების მიხედვით, წმ. კლიმენტ ალექსანდრიელი ასევე ამბობდა, რომ მათ მიეწერებათ ბრინჯაოს გამოდნობა, რკინის აღმოჩენისა და დამუშავების ხელოვნება.

ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ში ძველი ბერძენი გეოგრაფი, სტრაბონი ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ მეტალურგიისა და მჭედლობის მფარველი ღვთაებები – კორიბანტები, ჰელიოსის (მზის) ვაჟიშვილები და კოლხეთის მეფის, აიეტის ნახევარძმები კრეტაზე, ევბეაზე, სამოთრაკეზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ფრიგიაში კოლხეთიდან იყვნენ მოსულნი (იხ. სურ. 3).



სურ. 3.

ბერძენი სწავლულების: თეოპომპე ქიოსელის, თეოფრასტე ერესოსელის, კრატინეს, არისტოტელეს, აპოლონიოს როდოსელის, აპოლოდორე ათენელის, პლუტარქეს, ლისიას, პორფირი ტვირელის, წმ. ფოტიოსის, სვიდას ლექსიკონის და სხვათა ცნობების მიხედვით, კორიბანტებს კირბების, კოლხური წერითი ნიმუშების — საკრალური, სასულიერო სახის წარწერების შექმნა მიეწერებათ. კირბებზე იწერებოდა კანონები და რელიგიური თაყვანისცემისა და წეს-ჩვეულებების შესახებ ტექსტები. ეს წარწერები სრულდებოდა თიხის ან სპილენძის ფირფიტებზე, ან ხის დაფებზე, სტელებსა და სვეტებზე.

ძვ.წ. III ს-ში აპოლონიოს როდოსელი წერდა: „კოლხებმა შემოინახეს თავიანთ მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბებზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს, მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“. ამ ცნობის მიხედვით, ცნობილი გერმანელი გეოგრაფი, კარლ რიტერი აღნიშნავდა, რომ „კირბები იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ“. კ.რიტერის ეს მოსაზრება კირბების შესახებ საქართველოს პატრიარქმა, წმ. კირიონ II-მ დაიმოწმა: „ეს ფირფიტები უდავოდ იყო ...პირველი ჩანაწერები და სავსებით შესაძლოა, რომ ისინი ჰეროდოტეს თვალწინ ჰქონოდა“.

ძველი ბერძნული წყაროებიდან ასევე ცნობილია, რომ კორიბანტებს ძველთაგანვე ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ. II ს-ში ბერძენი ისტორიკოსი და რომაელი სენატორი, ხარაქს პერგამონელი ამ დამწერლობას „ხრისოგრაფიას“, ანუ „ოქროდამწერლობას“ (ოქროთი წერას) უწოდებდა. XII ს-ში ამ ცნობას იმოწმებს წმ. ევსტათიოს თესალონიკელი „ოქროს საწმისის“ განმარტებისას და წერდა: „ოქროდამწერლობის მეთოდის შეთვისების გამო... არგოს ლაშქრობა მოეწყო“ საბეძნეთიდან კოლხეთში.

პავლე ინგოროყვა და შალვა ნუცუბიძე გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ძველბერძნულ წყაროებში დადასტურებული „ოქროდამწერლობა“ იყო წერის განსაკუთრებული და სპეციფიკური ხელოვნება, რომელიც კოლხეთში გამოიყენებოდა. მათი აზრით, მისი შესრულების წესები აღწერილი იყო „ოქროს საწმისზე“ – ვერძის ტყავზე და არგონავტებმა სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვანი კოლხური ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურეს საბეძნეთიდან „ოქრომრავალ კოლხეთში“.

ივ.ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ უძველესი ქართული დამწერლობითი ძეგლები შეიძლება აღმოჩნდეს მცირე აზიაში. აკ.ურუშაძეს მიაჩნდა, რომ ეს ნიმუშები აღმოჩნდება საბერძნეთის ტერიტორიაზეც და იგი წერდა: „ივ.ჯავახიშვილი იმ აზრისა იყო, რომ ქართულ დამწერლობას სათავეები შორეულ წარსულში აქვს და რომ იგი შეიქმნა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართველთა წინაპარი ტომები გაცილებით ვრცელ ტერიტორიებზე იყვნენ განსახლებულნი... კირბების სახით არსებული კორიბანტული – კოლხური დამწერლობა, სრულიად შესაძლებელია, ის დამწერლობა იყო, რომელიც მინოსური (A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური) დამწერლობის სახელითაა ცნობილი და რომელიც კრეტის გაუშიფრავ ფირფიტებზეა დაცული“.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძენი სწავლულების, ჰეკატეოს მილეტელის, აპოლონიოს როდოსელის, სტრაბონის, სტეფანე ბიზანტიელისა და ევსტათიოს თესალონიკელის მიხედვით, ტერმინი „კოლხური“ (საერთო-კოლხური, პროტო-ქართველური) მოიცავს „ძველ მესხურს“, ანუ ადრეული პერიოდის ქართულს, მეგრულს, ჭანურ-ლაზურს, სვანურსა და სხვა ქართველური ტომის გამქრალ ენებს. ლინგვისტური მასალის მიხედვით, საერთო-ფუძე-ენიდან ჩამოყალიბდა ცნობილი ქართველური ენები: საეკლესიო-სალიტურგიო-სალიტერატურო ქართული, სვანური, მეგრული და ჭანურ-ლაზური, რომელთა ერთობლიობას საერთო-ქართველური (სამხრეთ-კავკასიური) ენა ეწოდება. ამ ენათა საერთო წარმოშობის შესახებ მოსაზ-

რებები გამოთქვეს: ი.გიულდენშტედმა, ი.კლაპროთმა, ფ.ბოპმა და სხვებმა. ქართველოლოგიის პიონერებმა: გ.როზენმა, მ.ბროსემ, ა.ცაგარელმა, ნ.მარმა, არნ.ჩიქობავამ, თ.გამყრელიძემ და გ.მაჭავარიანმა და სხვებმა ცალკეულ ქართველურ ენათა შესწავლისას შედარებითი მეთოდით გამოავლინეს ამ ენათა შორის არსებულ ფონემათა კანონზომიერი შესატყვისობები. ამ ფონემური შესატყვისობების საფუძველზე აღდგა საერთო ფუძე-ენა, რომელზეც მეტყველებდნენ უძველესი ქართველური ტომები, რომლებიც შემდეგდროინდელ ზემოხსენებულ განშტოებებად ჩამოყალიბდნენ.

3. A კლასის ხაზოვანი წარწერების აღმოჩენისა და შესწავლის მოკლე ისტორია

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XX ს-ის დასაწყისში კ. კრეტაზე, არქეოლოგიური გათხრების დროს ინგლისელმა არქეოლოგმა, სერ არტურ ევანსმა, იტალიელმა არქეოლოგმა ფედერიკო ჰალბერმა და სხვებმა აღმოაჩინეს ეგეოსისზღვისპირეთში გავრცელებული ბრინჯაოს ხანის A კლასის ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული 1500-ზე მეტი წარწერა. ეს წარწერები წარმოდგენილია თიხის ფირფიტებზე, საბეჭდავებზე, სარიტუალო მაგიდებზე, ჭურჭლეულზე, ოქროსა და ბრინჯაოს სამკაულებსა და სხვა ნივთებზე, რომლებიც დათარიღდა ძვ.წ. XX-XIV საუკუნებით (იხ. სურ. 4).

სურ. 4. A კლასის ხაზოვანი წარწერებით შესრულებული თიხის ფირფიტები

ევროპის, ამერიკისა და რუსეთის ავტორიტეტული მეცნიერები თვლიან, რომ A კლასის ხაზოვანი წარწერების შემქმნელმა ხალხმა ადრებრინჯაოს ხანაში ხმელთაშუაზღვისპირეთში დააფუძნა პირველი ევროპული კულტურა და ცივილიზაცია.

ა. ევანსი, მ. ვენტრისი, ჯ. ჩედვიკი, ა. მორპურგო დევისი, ს. ლურიე, ვ. ა. ისტრინი, ა.დ ლეისი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, თ. ყაუხჩიშვილი, რ. გორდეზიანი, ნ. შენგელაია და სხვები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ წარწერების ენა არაინდოევროპულია და არასემიტური.

ფ. შახერმაირის აზრით, კრეტის უძველესი წარწერების ენა, რომელსაც იგი ეგეოსურს უწოდებდა, არის სამხრეთ-კავკასიური (პროტო-ქართველური), რომლის გავრცელების არეალი იმ დროს უფრო ვრცელი იყო, ვიდრე გვიანდელ პერიოდში.

აკ.ურუშაძე წერდა: „როცა კრეტის წარწერები შეიქმნა, მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა ზღვის მრავალი სხვა პუნქტი არაელინური – პელასგურ-კოლხური (მაგ., მაკრელთა, დოლიონთა და სხვა) მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს მოსახლეობაში კოლხურ ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ. ქართველურ ტომებს, რომელთა მემკვიდრეობითი კავშირი წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან თითქმის ყველა დარგშია გამომჟღავნებული, მრავალი ძაფი აკავშირებს უძველესი კულტურის ისეთ კერასთან, როგორიც კუნძული კრეტა იყო. თქმულება კოლხთა და კორინთელთა გამგებელ აიეტზეც პელასგურ-კოლხურ სამყაროს მჭიდროდ აკავშირებს კრეტას: კრეტის ლეგენდარული მეფის – მინოსის მეუღლე პასიფაე ჰელიოსის ასულია; იგი აია-კოლხეთის მეფის – აიეტისა და აიაიელი კირკეს და, მედეას მამიდა და არიადნეს დედაა“ (იხ. სურ. 3).

აკ. ურუშაძე აღნიშნავდა, რომ A კლასის ხაზოვანი წარწერების მომავალ კვლევა-ძიებაში პელასგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონაშთის – სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) ენების ჩართვამ შეიძლება საქმე წარმატებით დააგვირგვინოს.

ქართველურ ენათა შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მასალის მიხედვით (იხ. ჩემი

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები: https://tsu-ge.academia.edu/GiaKvashilava), ძვ.წ. XX-XIV საუკუნეების კირბები – პელაზგურ-კოლხური კულტურის უძველესი წერილობითი ძეგლები: კრეტული იეროგლიფური, ფესტოსის დისკოს, არქალოხორის ცულისა და A კლასის ხაზოვანი წარწერები იკითხება პროტო-ქართველურ, საერთო-კოლხურ ენაზე.

4. საქართველოში აღმოჩენილი პროტო-ქართველური დამწერლობის შესახებ

საქართველოს ტერიტორიის მრავალ ადგილას (მაგ., დაბლაგომი და დაფნარი – სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ნოქალაქევი და ნანეფიშ ჭალე – სენაკის მუნიციპალიტეტი, სუფსანატანების აუზი – სოფ. ზემო ფარცხმა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ვანი და მთისძირი – ვანის მუნიციპალიტეტი, უფლისციხე – გორის მუნიციპალიტეტი, სარკინე, გრძელი მინდორი, ბაგინეთი, სამთავრო, მცხეთის აკლდამა, მოგვთაკარის სამაროვანი, კარსნისხევი, არმაზისხევი, სვეტიცხოველი – მცხეთის მუნიციპალიტეტი, ხევსურეთი, თუშეთი, თრუსოს ხეობა, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, კახეთი და სხვა.) წარმოებული არქეოლოგიური აღმოჩენებით მჟღავნდება, რომ პროტო-ქართველურ ტომებს ძვ.წ. მესამე ათასწლეულიდან დამწერლობა ჰქონდათ.

საქართველოში აღმოჩენილია ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმი: ჭურჭელი, ქვევრები, ამფორები, კრამიტები და სხვა, რომლებზეც დასტურდება ფრიად საყურადღებო პროტო-ქართველური წერითი ხაზოვანი ნიშნები (იხ. სურ. 5).



სურ. 5. საქართველოში აღმოჩენილი პროტო-ქართველური ხაზოვანი ნიშნები

პროტო-ქართველურხაზოვან ნიშნებს იკვლევდნენ: ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, ბ. კუფტინი, შ. ამირანაშვილი, ა. აფაქიძე, დ. ხახუტაიშვილი, ვ.თოლორდავა, გ. ლორთქიფანიძე, ვ. ლიჩელი, ჰ. ფენრიხი, გ. ყიფიანი, გ. გიგაური და სხვები.

ვახტანგ ლიჩელის შრომების მიხედვით, გერმანელი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი წერს, რომ მცხეთაში, ვანსა და სხვა ადგილებში აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმზე აღბეჭდილია წერითი ნიშნები, რომლითაც ქართველები მრგვლოვანამდე იყენებდნენ. იგი წერს: „ქართველებმა ხმელთაშუა ზღვის არეალიდან მედიტერანული წარმოშობის მარცვლოვანი დამწერლობა — თავიანთი პირველი წერითი სისტემა — საქართველოს არეალში განავრცეს. ...ფარნავაზის დროს მოხდა მარცვლოვანი დამწერლობიდან ანბანურ დამწერლობაზე, მრგვლოვანზე გადასვლა. მრავალი საუკუნის განმავლობაში ორივე ქართული დამწერლობითი სისტემა გვერდიგვერდ თანაარსებობდა. ...გაქრისტიანებით საბოლოოდ დამკვიდრდა ანბანური მრგვლოვანი დამწერლობა“ (დ. ბახტაძის თარგმანი).

მრავალი პალეოგრაფიული მასალის გათვალისწინებით ირკვევა, რომ კოლხური მარცვლოვანი დამწერლობა ოთხი ათასი წლის წინ ისახება, როდესაც პროტო-ქართველები ხმელთაშუაზღვიპირეთის, შავიზღვისპირეთის, მცირე აზიისა და კავკასიის ტერიტორიებზე განსახლებულნი იყვნენ.

5. დაბლაგომის დოქის პროტო-ქართველური ხაზოვანი წარწერის გაშიფრვა

პავლე ინგოროყვა თავის ნაშრომში ახსენებს ქართული ანბანის უძველეს ნიმუშებს, რომლებიც აღმოჩენილია კოლხეთის ტერიტორიაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. დაბლაგომის განათხარ ძეგლებზე.

1970-1972 წლებში სოფ. დაბლაგომში გამოვლინდა ძვ.წ. IV-III ს-ის სამარხი, რომელშიც



სურ. 6. ძვ.წ. IV-III ს-ის დაბლაგომის დოქის ხაზოვანი წარწერის ნიშნების შედარება

ვ. ლიჩელის მოსაზრებით, ეს ნიშნები მხოლოდ ძველი საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი; ამ ნიშანთა ნაერთი არის წარწერა და არაა გამორიცხული, რომ იყოს მიცვალებულის ან ღვთაების სახელი. ჰ. ფენრიხის აზრით, დაბლაგომის დოქის ნიშნებს არაფერი აქვთ საერთო ბერძნულ ასოებთან, რადგან ეს ამოუცნობი წერითი სისტემა ბერძნულ დამწერლობაზე გაცილებით ადრე არსებობდა. გარდა ამისა, იგი ამბობს, რომ წარწერა მარცვლოვანი დამწერლობის ნიშნებითაა შესრულებული.

ჩემს შრომებში წარმოვადგინე დაბლაგომის დოქის პროტო-ქართველური ხაზოვანი წარწერის ამოკითხვა, რომელიც შესაძლებელი გახდა A კლასის ხაზოვანი და სამხრეთ-აღმოსავლეთი იბერიული (ესპანეთი) დამწერლობების სათანადო მარცვლოვანი ნიშნების ფონეტიკური გაჟღერების საშუალებით. დაბლაგომის დოქის ხაზოვანი წარწერა ამოვიკითხე შემდეგნაირად: ტე-კუ-სი-კე/ა, რომელიც, ვფიქრობ, გარდაცვლილი მამაკაცის სახელს აღნიშნავს, რასაც ვ.ლიჩელიც ვარაუდობდა. ტეკუს-იკ-ე/ა, რომელიც საკუთარი სახელის მოფერებითი ან კნინობითი ფორმაა, იყოფა შემდეგ ნაწილებად: ტეკუს- ძირეულ საკუთარ სახელად და -იკ-ე/ა რთულ სუფიქსად. ალექსანდრე ღლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონში დამოწმებულია მამაკაცის სახელი ტეკუს-ა, რომელიც ნაწარმოებია ტეკუს- ძირეული საკუთარი სახელის აბსოლუტურ ბოლოში -ა სუფიქსის დართვის შედეგად. -იკ-ა რთული სუფიქსის შესახებ სამეცნიერო კვლევა ქეთევან გოდერძიშვილის წიგნშია წარმოდგენილი.

6. ჯუმითის ქვის პროტო-ქართველური ხაზოვანი წარწერის ნიშნის გაშიფრვა

1986 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯუმითში, ლეჟას უბანში დურუ ილარიონის ძე კვარაცხელიამ თავის საკარმიდამო ნაკვეთთან ახლოს აღმოაჩინა ჯუმითის ქვის პროტო-ქართველური ხაზოვანი წარწერა, რომელიც ჩხოროწყუს ისტორიულ მუზეუმში ინახება.

ჯუმითის ქვის ხაზოვანი წარწერა

ჯუმითის ქვის წარწერაში ამოვიცანი პროტო-ქართველური დამწერლობის ერთი ნიშანი, რომელიც გავაჟღერე როგორც კე მარცვალი (იხ. სურ. 7).

სურ. 7. ძვ.წ. XVI-XV ს-ის ჯუმითის ქვის ხაზოვანი წარწერის ნიშნის შედარება



7. პროტო-ქართველური A კლასის ხაზოვანი წარწერების დეშიფრირების შესახებ

ჩემი კვლევების მიხედვით, მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები:

A კლასის ხაზოვანი წარწერები შესრულებულია პროტო-ქართველურ, საერთო-კოლხურ ენაზე;

A კლასის ხაზოვან წარწერათა უმრავლესობა სამეურნეო-ადმინისტრაციული ტიპის ტექსტებია. ამ წარწერებში დასახელებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ხორბალი, „დიაი“ – ქერი, „დიარი“ – პური, ფქვილი, „ყიყინა“ – ლეღვი, სელი, ღვინო, ზეითუნის ზეთი, ზეთისხილი, სანელებლები და სხვა;

A კლასის ხაზოვან წარწერებში დასტურდება რელიგიური, საკულტო ან საოჯახო საქმისთვის განკუთვნილი ჭურჭელი: „კატი“, „კადი“, „კაპაი“, „ასამუნე“ და სხვა (იხ. სურ. 8, 9);



სურ. 8. პითოსის (ქვევრის) A კლასის ხაზოვანი წარწერა, ძვ.წ. XVI-XV სს.



სურ. 9. პითოსის (ქვევრის) A კლასის ხაზოვანი წარწერა, ძვ.წ. XVI-XV სს.

A კლასის ხაზოვან წარწერებში აღრიცხულია: წვრილფეხა საქონელი (ცხვარი, თხა, ღორი), მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (ხარი, ძროხა), პატარა ტანის ჩლიქგაუყოფელი ცხოველი (ცხენი) და სხვა;

A კლასის ხაზოვან წარწერებში წარმოდგენილია: არითმეტიკული ოპერაციების აღმნიშვნელი ტერმინები („კურო“ – შეკრება, „კირო“ – კლება), მთელი რიცხვები, წილადი რიცხვები;

A კლასის ხაზოვანი წარწერებში დადგენილია პელასგურ-კოლხური ქალღვთაების აღმნიშვნელი სახელი („ათაინაი“ და სხვა), კერძო პირთა სახელები („კიტუნე“, „ტიტიკუ“, „ნადარე“, „იკუტა“ და სხვა), ტოპონიმები („აია“, „კუტაი“, „ფაითო“, „ლასითი“, „იდა“, „დიკიტე“ და სხვა), ეთნონიმები („მაკარიტე“, „კუკუდარა“) და სხვა (იხ. სურ. 10).



სურ. 10. „აია“, „მაკრონთა დასახლება“ და „კოლხიდელი“ A კლასის ხაზოვანი წარწერებიდან, ძვ.წ. XVI-XV სს.

A კლასის ხაზოვან წარწერათა ავთენტურობა დიდი ფასეულობაა, რადგანაც ისინი წარმოგვიდგენენ ღვთაებათა, საკუთარ სახელთა სიებს, შინაური ცხოველების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და საკულტო-სარიტუალო ან საოჯახო დანიშნულების ჭურჭლის აღრიცხვას, სიტყვებსა და რიცხვებს, ჩაწერილს კრეტის ცივილიზაციის შემქმნელი ქალებისა და მამაკაცების მიერ, რომლებმაც შთამომავალობას ასეთი შესანიშნავი განძი დაუტოვეს.

მანანა ვაშაყმაძე – ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი

ძველი კოლხეთი
მითები და ღვთაებები

ანტიკური კოლხეთის ერთ-ერთი დაწინაურებული, პოლიტიკურ-ეკონომიური და რელიგიური ცენტრის – ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათლად გვიჩვენა კოლხეთის სამეფოს ადრეკლასობრივი ბუნება ყველა თავისი მახასიათებელი ნიშნით.

ვანის, ძველი ქალაქის შემადგენელი სტრუქტურების დეტალური ანალიზით, სავარაუდო პასუხები არსებობს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური ბუნების განსასაზღვრავად, თავისი არსებობისა და ისტორიის ყველა ეტაპზე.

ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებიდან, ძვ.წ. I საუკუნის შუა ხანებამდე, ვანი სატაძრო ქალაქს წარმოადგენდა. ქალაქში ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს, იგება ტაძრები, სამლოცველოები, შენდება საკურთხევლები, ფუნქციონირებს მთელი წყება ტაძარ-სამლოცველოებისა. როგორც არქეოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელი, პროფესორი, აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე თვლიდა, ვანი სატაძრო ქალაქს წარმოადგენდა და პარალელებსაც ავლებს: „კომანა ზელა პონტოში, ძველ ეგვიპტეში კარნაკი, ზევს უენასეუსის კატაონიის აპოლონის სამლოცველოები კაპადოკიაში, პესინუნტის ტაძარი, მიძღვნილი ღმერთთა დედისადმი, აპოლონ ლარენოსის რელიგიური თემი ფრიგიაში, სახელმწიფო ტაძარი კილიკიის ოლბიაში, რომლებიც არა მარტო რელიგიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ, არამედ პოლიტიკურსაც და ეკონომიურსაც, კონტროლს უწევდნენ მიწის უზარმაზარ ფართობებს და სიმდიდრეს.“

ერთ-ერთი სამლოცველო, რომელსაც ასახელებს სტრაბონი, კოლხეთში მდებარეობდა და იგი ქალღვთაება ლევკოთესადმი იყო მიძღვნილი. აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე თვლიდა, რომ ეს სამლოცველო ვანში მდებარეობდა და ვანის ნაქალაქართან უნდა გაიგივდეს.

მითი საკრალური ამბავია. სიტყვა „მითი“ – მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „mythos“, რაც „ამბავს“ ნიშნავს. ძველბერძნული მითები ყველაზე ცნობილ ამბებს მიეკუთვნებიან და ისინი მოგვითხრობენ უზენაესი ღმერთის ზევსისა, და ოლიმპოს მთის სხვა ღმერთების შესახებ. უკვდავ ღმერთთა ოდენობა ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ერთობ დიდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი მნათობი – მზე (ჰელიოსი) და მთვარე (სელენე), ყოველი ბუნებრივი მოვლენა – ქარები, მდინარეები, ღრუბელი, ძილი, სიკვდილი და ა. შ. მითოლოგისთვის ღვთიური სფეროსაგან განუყოფელია. ეს ყოველივე, როგორც ამას არქეოლოგიური მონაპოვარით დასტურდება ძველი ვანისათვის ძალზედ ახლობელი გახლდათ.

ვანის საქალაქო ცხოვრებაში, მოსახლეობის ყოფაში, ხელოსნობის ცალკეულ დარგებში აშკარად იგრძნობა ბერძნული გავლენა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს გავლენა მოსახლეობის რელიგიურ შეხედულებებშიც ადვილად შეჭრილიყო.

მითი უპირველესად, ამბავია, მაგრამ ესაა ამბავი, რომელიც, დაშიფრული სახით შეიცავს ადამიანთა რწმენას, ფასეულობებს და ოცნებებს. ყოველი მითი კონკრეტულ კულტურულ გარემოში ჩნდება. მითისთვის დამახასიათებელი საკრალური ნიშან-თვისებები უმთავრესია ამბის გასაგებად. მითების თხრობა-განსახიერება მიწიერი სამყაროდან მითების სამყაროში შებიჯებას ნიშნავს. მითი მრავალშრიანია და ღრმააზროვანი. მართლია ყველაზე კარგი მითი მისი მშობელი საზოგადოების კონტექსტში გაიგება, მაგრამ ამავდროულად ზოგადსაკაცობრიო საგანძურიცაა, ამიტომ ვფიქრობ თუ ჩვენ მითებს დავივიწყებთ, ან არაფრად ჩავაგდებთ ამით ბევრი რამ დაგვაკლდება.

ვანის ნაქალაქარზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული და გათხრილი იქნა მრავალი შენობა-ნაგებობა, აღმოჩნდა მრავალი უნიკალური და საინტერესო არტეფაქტი. მეცნიერთა ყურადღებას არ გამოპარვია, რომ ძვ. წ. III-I სს. კულტურულ ფენებში არ ჩანდა ადგილობრივ, რიგითი მოსახლეთა საცხოვრისები. დასახლებული უბნები ბორცვიდან მოშორებით, დაბლობში იქნა მიკვლეული, ვანის მიმდებარედ, მდინარეების რიონისა და სულორის შეერთების ადგილას. თვით გორაზე, მის სამივე ტერასაზე ყველა აქამდე გამოვ-

ლენილი ქვის ნაგებობა წარმოდგენილია საკულტო ნაგებობებით და განეკუთვნება ჩვ. წ. III-I საუკუნეს.

და ჩნდა კითხვა... მაშ რა ქალაქი იყო ეს- მცხოვრებლების გარეშე?

დიახ, მიუხედავად ყველაფრისა ეს იყო ულამაზესი და მდიდრული ქალაქი, საკულტო-სარიტუალო ქალაქი. ეს უსათუოდ ის ქალაქია, რომელიც მოხსენიებული აქვს სტრაბონს თავის ნაწერებში. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საუბარია სწორედ ჩვენს ქალაქზე, – ვანზე. ქალღმერთ ლევკოთეაში კი მოიაზრება ადგილობრივი ღვთაება, რომელსაც ბერძნები თავიანთ „თეთრ ქალღმერთთან" – ზღვის ღვთაებასთან აიგივებდნენ და რომელიც ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟია ძველი ელადის მითოლოგიაში.

მითები საკრალური ამბებია, რომელთაც ხშირად გაითამაშებენ, ან ყვებიან რელიგიურ რიტუალებში, ამიტომ თითქმის შეუძლებელია ზუსტი ზღვარი გაივლოს მითოლოგიას და რელიგიას შორის. მითოლოგთა უმრავლესობა ხატავს კულტურის გმირებს – ღმერთებსა და ნახევრად ღმერთებს, ზეკაცებს, რომელთაც შეუძლიათ ადამიანებს უბოძონ მათთვის მოპარული მზე, აჩუქონ ცეცხლი, ასწავლონ ნადირობა, მოსავლის მოყვანა, ოქროს მოპოვება-დამუშავება, კალათების დაწვნა, ქსოვა. ეს გმირები ხშირად დასაბამს აძლევენ რელიგიურ ცერემონიებს, სადაც გათამაშდება ხოლმე მითები, რომლებშიც წმინდა ცოდნაა შემონახული.

ლევკოთეა ნაყოფიერებისა და მოსავლის ქალღმერთად ითვლებოდა, ამას ადასტურებს მსხვერპლშეწირვის რიტუალები, რომელიც ძალიან ჰგავს ქალღმერთ დემეტრესადმი მიძღვნილ რიტუალებს.

მითების მიხედვით, ლევკოთეა დიონისეს დედობილად და ამავე დროს, მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველად ითვლებოდა. ამასთან ერთად, მას მიიჩნევდნენ მჭედელთა და მეტალურგთა, ავადმყოფთა და ფეხმძიმე ქალების მფარველად. ამ ქალღმერთის კულტი ძალზედ გავრცელებული იყო და ამისი უამრავი გამოვლინებებით გვხვდება.

ქალღმერთთა გამოსახულებები როგორც ქანდაკებების სახით, ისე ტერაკოტული ნიმუშებით ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში უხვად არის ფიქსირებული. პირველად ქალის თავი 1957 წელს აღმოჩნდა, ახვლედიანების გორის პირველ უბანზე, დიდ საკულტო შენობასთან დაკავშირებულ მცირე ნაგებობასთან.

ტერაკოტა ორ ნაწილად იყო გატეხილი, მათი შეწებებით ქანდაკებამ გარკვეული სახე მიიღო. ესაა ახალგაზრდა ქალის თავი. სახეს მოგრძო, ლამაზი ოვალი აქვს, მკაფიოდ გამოკვეთილი, ოდნავ მომღიმარი პირი და მომრგვალებული ნიკაპი. თვალები დიდი, გაზიდული და რელიეფურად ამობურცული ქუთუთოები, კეხიანი ცხვირი, თმა შუაზე გადაყოფილი და აქეთ-იქით გადავარცხნილი. განსაკუთრებით საინტერსოა ქალის თავსაბურავი, იგი წარმოადგენს დაწახნაგებულ სვეტისებრ შემაღლებას, რომელიც გვერდებზე გადავარცხნილი თმების უკან ეშვება.. თავსაბურავი და საერთო იერი გვაფიქრებინებს, რომ ეს ქალღმერთის ქანდაკების ნაწილია. ქანდაკება ზუსტად ყელის არეშია გადატეხილი.

როგორც ცნობილია, მაღალთავსაბურავიანი ქალრმერთების გამოსახულებები ძალზედ გავრცელებული იყო ანტიკურ კოროპლასტიკაში, კერძოდ: დედა ღმერთი, მიწის, ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების მფარველი ღვთაება დემეტრე, სწორედ მსგავს მაღალთავსაბურავში გამოსახული გვხვდება. ზოგიერთ შემთხვევაში პერესფინე (კორა) და აფროდიტეც მსგავს თავსაბურავშია. თუმცა ყველა ეს ღვთაება ნაყოფიერებას, დოვლათიანობასა და ბუნების აყვავებასთან იყო დაკავშირებული. ამიტომაცაა, რომ მიწათმოქმედების თანდათან განვითარებასთან ერთად, ქალღმერთი დემეტრე, მეორეხარისხოვანი ღმერთების რიცხვიდან ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სათაყვანოდ იქცა. მისი კულტი დაუკავშირდა დიონისეს კულტს და ძვ. წ.V ს.აუკუნიდან იგი თითქმის ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა.

ვანის ქალღმერთს თავისი ზოგადი ნიშნების მიხედვით, მრავალი ანალოგია ეძებნება. (ეს არის თმის ვარცხნილობა, თავსაბურავი, მოსასხამი, მაღალი, ოდნავ გვერდზე გადახრილი ყელი), მაგრამ მისი სახის გამომეტყველება და ნაკვთები საკმაოდ თავისებურია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნის გამო, ვანის ტერაკოტას დემეტრეს წრის ქალღმერთების ჯგუფს აკუთვნებენ.

მითი წმინდა ამბავია, თუმცა ამავე დროს კავშირშია საზოგადოების სოციალურ სტრუქ-

ტურასთან, მის შეხედულებებთან ოჯახის შესახებ, ხელოვნებასა და ხელოსნობის განვითარებასთან. ახლა ძნელი სათქმელია, რომელ ადგილობრივ ღვთაებას მიიჩნევდნენ ბერძნები ლევკოთეას სახით, თუმცა ერთი შეხედვით ეს იყო წყლის ღვთაება, წყლის ბინადართა მფარველი და შესაბამისად სტრაბონის მიერ სახელდებული ქალღმერთი ლევკოთეა, ნაყოფიერების ღვთაებაც გახლდათ.

ის, რომ ქალაქი-ტაძარი ვანი, სწორედ ამ ქალღმერთის სახელზეა აგებული და მას ეთაყვანებოდნენ, მოწმობს ქალაქის შესასვლელში, კარიბჭის წინ აღმართულ ქვის პიედისტალზე ამოკაწრული წარწერა: „გევედრები შენ მეუფეო ქალღმერთო“, რომელიც ქალაქის მფარველისადმია მიძღვნილი. ისევე როგორც ათენა პალადა ათენის მფარველად ითვლებოდა, აპოლონი-დელფოს, პოსეიდონი – კორინთოს, ჰერა – არგოსის და ა.შ.

ბერძნული ქალაქი-სახელმწიფოები, მაგალითად ათენი თავიანთ მოქალაქეთა ერთსულოვნებას მიზნისა და რწმენის ერთიანობით აღწევდნენ. ამ რწმენას კი მითოლოგია და რიტუალი კვებავდა. ყოველი ქალაქი-სახელმწიფო ერთ ღმერთს, ან ქალღმერთს ანიჭებდა უპირატესობას. ბერძნულ მითებს და ღვთაებებს დიდი რეზონანსი და მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასთან იყვნენ გადჯაჭვულნი.

კარგი მოსავალი მრავალ მითოლოგიას უდევს საფუძვლად. არსებობს უამრავი მითი, სადაც ადამიანებმა, ან ღმერთებმა განრისხებული ღმერთისა, თუ ქალღმერთისადმი თხოვნა-ვედრება უნდა აღავლინონ, რათა გული მოულბონ და მიწას სინათლე, წვიმა, ან ნაყოფიერება დაუბრუნონ. ვანის ანტიკური ქალაქის გათხრისას, კარიბჭის კომპლექსში, საკურთხეველის გათხრისას უხვად აღმოჩნდა სარიტუალო მსხვერპლშეწირვისთვის განკუთვნილი ჭურჭლები, ორ მათგანში შემორჩენილი იყო მარცვლეული, ისინი ფეტვით იყო სავსე და უსათუოდ ნაყოფიერების ღვთაებისადმი განკუთვილ შესაწირს წარმოადგენდნენ. ფეტვი მეგრულ და სვანურ ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დიდ როლს ასრულებდა ღვთაებებთან დაკავშირებულ რიტუალშიც.

ყურადსაღებია, რომ ქალაქში ლევკოთეას შვილობილის, დიონისეს კულტიც განსაკუთრებულად გავრცელებული და პოპულარული გახლდათ. ამის დასტურია, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული მრავალი არტეფაქტი. 1969 წლის ზაფხულში, ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, იქ სადაც ექსპედიცია არქეოლოგიურ კვლევებს აწარმოებდა, ერთ-ერთი ტაძრის ნანგრევებს მიაკვლიეს. სავარაუდოდ ტაძარი გვიანდელი ნაგებობის ადგილზე აუგიათ, მის შუაგულში აღმართული იყო ქვიშაქვის საკურთხეველი, ხოლო მის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი იქნა 40-მდე კოლხური ამფორა, იქვე, თვით საკურთხეველთან, უზარმაზარი ღვინის ჭურჭელი.

ჩვენთვის მეტად საიტერსო აღმოჩენა ეს იყო ცეცხლისგან ძლიერ დეფორმირებული ჭურჭელი, შესაძლებელია რამდენიმე ჭურჭელიც კი, რომლისაგანაც მხოლოდ სკულპტურული მოსართავები შემორჩა. მათ ხანგძლივი „მკურნალობის“ კურსი გაიარეს ლაბორატორიებში და საბოლოოდ ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებმა საუკუნეების შემდეგ დღის სინათლე იხილეს.

სტილი და დანიშნულება, ამ ოდესღაც დიდებული ჭურჭლისა აშკარად ბერძნულია. იგი სავარაუდოდ ფრინველის (არწივის) ბრჭყალებიანი კლანჭების გამოსახულებიან, ფეხებიან სადგარზე იყო განთავსებული. ასეთი „კლანჭი“ ექვსია ნაპოვნი. ამავე ჭურჭელს ამკობდა ბრიჯაოსგანვე ჩამოსხმული არწივის სამი გამოსახულება, ფრთებგაშლილი არწივები. რომელთა თითოეული დეტალები (ნისკარტი, თვალები, განსაკუთრებულია ღონიერი ქვედა კიდურები) დიდი მხატვრული ოსტატობითაა დამუშავებული. ჭურჭელს აგვირგვინებდა გამარჯვების ქალღმერთის „ნიკეს“ 18 სანტიმეტრიანი ქანდაკება.

ფრთოსანი ქალღმერთი ნიკე ისეა გამოსახული, თითქოს ეს-ესაა ზეციდან დაეშა. მარჯვენა ხელი ზე აღუმართავს, თავი ამაყად გადაუგდია უკან, ტანთ დიდებული კვართი მოსავს, ხოლო მოსასხამს ქარი უფრიალებს და ნაზად ვარცხნილი თმები ამშვენებს. ფრთოსანი ქალღმერთი ისეა გამოქანდაკებული, თითქოს ოლიმპოდან გამარჯვებულისათვის დაფნის გვირგვინით თავშესამკობლად წუთის წინ მოფრინდა. დაშვებულ მარცხენა ხელში კი, მას სავარაუდოდ ალაფისათვის განკუთვნილი ლატანი უჭირავს.

ერთობლიობაში უამრავი ნიშან-თვისებით, როგორიცაა; წაგრძელებული პროპორციები, შედარებით მომცრო თავი, წინ გამოწეული შიშველი ფეხით, ვანის ნიკე ძალინ დიდ მსგავსებას

ავლენს ქალღმერთის იმ მოდელთან, რომლის მოდელირება და სახე ძვ. წ. მეორე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და მცირე აზიის ოსტატთა მიერ შემუშავდა.

ჭურჭლის მოსართავებად განკუთვნილი იყო და გათხრებისას იქევე იპოვეს, ექვსი ცალი ჰორელიეფური გამოსახულება. ესენია დიონისეს წრის ღვთაებათა ნიღბები. ერთი მათგანი მოხუცი და წვეროსანი პანია – ტყის ღვთაება (ჩვენებურად ოჩოპინტრე), იგი გამოსახულია ცხოველის წაწვეტებული ყურებით, მაღლააპყრობილი და ფართოდ გახელილი თვალებით. შუბლზე გამოკვეთილი ჰორიზონტალური ღარებით (ნაოჭები), ყველაფერი ერთიანობაში პანის დაძაბულ და მრისხანე გამომეტყველებას უსვამს ხაზს. როგორც ჩანს პანის გამოსახულება იმ მომენტს ასახავს, როცა მისი ველური ყიჟინით ფერიებს და ყველას, ვინც სიმშვიდეს ურღვევდა, შიშის ზარს სცემდა (გამოთქმა „პანიკური შიში“).

სტილისტურად ნიღაბი ძალიან ჩამოგავს ანტიკური კულტურის ისტორიაში ცნობილ „წვეროსანი გალის“ თავს, რომელიც ჯგუფური კომპოზიციის ნაწილია და მიეკუთვნება ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევარს და, რომელიც ათენში პერგამონელი დიდოსტატების ნახელავს განეკუთვნება.

შემდეგი ბრინჯაოს ნიღაბი ახალგაზრდა სატირს გამოსახავს, ესეც დიონისეს წრის, და ტყის ღვთაებაა. სახეს თხის წაწვეტებული ყურები ამკობს, თავს კი, სუროს ფოთლების გვირგვინი უმშვენებს. სტილითა და შესრულების ხელწერით, „ჩვენი სატირი“, ახლოს დგას პერგამონული სტილის სატირთან, რომელიც ამჟამად კანზას-სიტის მუზეუმში, ამერიკაში ინახება და ამავე პერიოდს განეკუთვნება.

მესამე ღვთაება არიადნაა, სწორედ ის არიადნა, მინოსის ლაბირინთში, მინოტავრის მოსაკლავად მისულ თეზევსს რომ დაეხმარა. არიადნას თეზევსი ძალიან უყვარდა, მან თეზევს ძაფის გორგალი გადასცა და უთხრა ლაბირინთის კარზე დაემაგრებინა და სიღრმეში ისე შესულიყო. თეზევსმა მოკლა მინოტავრი და გამარჯვებულმა თან წაიყვანა არიადნაც, თუმცა თეზევსს არ უყვარდა იგი და შინისაკენ მიმავალმა ქალღმერთი კუნძულ ნაქსოსზე დატოვა. მოგვიანებით არიადნე დიონისემ შეირთო და მისი ქურუმიც გახდა.

ვანში ნაპოვნი ნიღაბი მშვენივრადაა შემონახული, ქალღვთაება გამოსახულია მაღლა აპყრობილი მზერით და შეკრული კოპებით, თავს მასაც ვენახის ფოთლებისა და მტევნების გვირგვინი ამშვენებს. აქვეა დიონისეს თანმხლები ამალის, კიდევ ორი წევრი: ორი მშვენიერი და მხიარული ფერიის ნიღბები. ორივეს კვლავ ვენახის ფოთლებისა და მტევნების გვირგვინი უმკობთ თავს. დამუშავების ტექნოლოგია აქ რბილი მოდელირებითაა გადმოცემული, წარბების რკალი, ქუთუთოები. თვალშისაცემია ლამაზი, მრგვალი სახე, ნახევრად ღია პირის მოხაზულობა და ნაზი ნიკაპი. მსგავსი ნიმუშები ასევე პარალელებს ავლენს პერგამონის მუზეუმში წარმოდგენილ თავის სკულპტურასთან, რომელიც პირობითად „მშვენიერი ქალის თავის“ სახელითაა ცნობილი და ძვ. წ. მეორე საუკუნის ბოლოს მიეკუთვნება.

რაც შეეხება მეექვსე ნიღაბს, იგი ძლიერ დაზიანებული იპოვეს. ამდენად მის პერსონალიაზე მსჯელობა ძნელია, თუმცა შემორჩენილი ფოთლების გვირგვინის ნაწილით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისეც დიონისეს წრის ღვთაებას ეკუთვნის.

აღწერილი სკულპტურული კომპოზიცია, წარმოადგენს ბერძნულ-ელინისტური ხელოვნების დიდებულ ნიმუშს და თავისი მხატვრული და გამომსახველობითი ოსტატობით, პლასტიკურობით სათავეს ძველი ბერძენი სკულპტორების ფიდიასისა და სკოპასის შემოქმედებიდან იღებენ.

არანაირ ეჭვს არ იწვევს მათი დათარიღება. ისინი აშკარა თანხვედრაში მოდიან პერგამონის ცნობილი საკურთხევლის მცირე ფრიზებთან, ანუ ძვ. წ.II- ს. მეორე ნახევარი. შედარებით უფრო რთულია დამზადების ადგილის დადგენა და დღეისათვის ეს საკითხი ღიად რჩება.

აღმოჩენის ფაქტი ძალზედ მნიშვნელოვანი და საინტერესოა. იგი მოწმობს, რომ ელინისტური ხანის ვანში, მოსახლეობისთვის ცნობილია დიონისეს კულტთან დაკავშირებული ბერძნული მითოლოგიურ-რელიგიური სახეები (ამას სხვა მონაცემებიც მოწმობენ, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ), მაგრამ პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს თვით ის გარემო, რომელშიც აღმოჩენილია დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებით შემკული სარიტუალო ჭურჭელი. ტაძარში აღმოჩენილი მთელი კომპლექსი: საღვინე ქვევრი, შესაწირი ამფორები (40 ცალი) მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ღვთაების დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებით მორთული სარიტუალო ჭურჭელი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ტაძარი მეღვინეობა-მევენახეობის კულტთან

იყო დაკავშირებული. არქეოლოგიური აღმოჩენით დადასტურებული ეს საინტერესო ვითარება ძალზე ჰგავს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ ქართულ საკულტო მარანს.

დადგენილია, რომ ქართული მარანი სალოცავ ადგილს წარმოადგენდა და არსებობდა საგანგებო საკულტო მარნები, სადაც მარჯვენა კუთხეში საზედაშე ქვევრები იდგა, ე.ი. ღვთაებისთვის შესაწირავად გამიზნული ღვინის ჭურჭლები.

ქართული მარანი, საჯვარი, საზედაშე-საკულტო ნაგებობაა, რომელიც სალოცავი ხატის როლს ასრულებდა, აქვე სრულდებოდა ლოცვა-ვედრებისა და მსხვერპლის შეწირვის რთული რიტუალი. ამ ტაძარში, ასევე აღმოჩენილია თირში ამოკვეთილი ორმოც, სავარაუდოდ იგი მსხვერპლად შეწირული პირუტყვისა და ფრინველის სისხლის ჩასაღვრელად იყო განკუთვნილი.

ღვინო უხსოვარი დროიდან იყო სიმბოლო ღვთაებრივი შეცნობისა, ხოლო ვაზი უკვდავების. სულ ცოტა 5000 წლის წინათ ახლო აღმოსავლეთში ღვინოს მიიჩნევდნენ არა მარტო წყურვილის მოკვლისა და თრობის საშუალებად, არამედ იმ ჯადოსნურ სითხედ, რომელიც ძირეულად ცვლის ადამიანს: ააგიზგიზებს მასში „სიცოცხლის კოცონს“, ახალისებს, რაღაც ჩაგმანულ ენერგიას ათავისუფლებს. მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთში ღვინო უკავშირდებოდა ნაყოფიერებისა და სიკვდილისშემდგომ სიცოცხლეს (მიცვალებულის სახსენებლად მიწაზე ღვინის დაპკურების ტრადიციაც აქედან მოდის). ათენში ღვინის დღესასწაულზე („ანტესტერიებზე“), მსმელთა თავისებურ შეჯიბრებაზე მონაწილეებს ტიკჭორას ურიგებდნენ, ვინც პირველი დაცლიდა გამარჯვებულიც ის იყო. აქ ისევე როგორც დიონისესადმი მიძღვნილ სხვა დღესასწაულზე პრიმიტიული ფორმულა მოქმედებდა: „ამავსებ ღვინით – აგავსებ ლხინით!“ მხიარულება მართლაც უზომო იყო, ხოლო მორალური ტაბუ მინიმუმამდე დაყვანილი. ანტიკურ დღესასწაულებში ღვინო, თრობა, – თავად ღვთაებასთან მიახლოების ფორმად აღიქმებოდა, ამიტომაცაა, რომ დიონისეს (რომაულში ბახუსის) თაყვანისცემელთა ღრეობა „ბაკხანალიად“ წოდებული, დღეს ზღვარსგადაცდენილ და თავაშვებულ დროსტარებას ნიშნავს.

ქრისტიანობამ განავრცო ეს ტრადიცია და ევქარისტიის რიტუალში (რომელიც ქართული „ზიარების“ – ბერძნულის შეასტყვისია და საღვთო წერილის მიხედვით თვით იესო ქრისტესგან დაწესდა, საიდუმლო სერობის ჟამს) პური ქრისტეს სხეულს განასახიერებს, ხოლო ღვინო („ზედაშე“), მის წმინდა სისხლს.

ქართულმა ცივილიზაციამ ღვინის კულტთან დაკავშირებული მრავალი რიტუალი გაითავისა და საკუთარ ყალიბში მოაქცია. ამის შედეგად შეიქმნა ქართული სუფრის უნიკალური ტრადიცია, რომელმაც თავის მხრივ ასზრდოვა განუმეორებელი ქართული მრავალხმიანობაც, ხელოვნებაც და კულტურაც.

ვანში აღმოჩენილი უამრავი ტერაკოტული ნიმუშებისაგან, ყურადღებას იპყრობს ტერაკოტული ნიღბები, რომლებიც დიონისეს და მის თანმხლებ ამალას სილენსა და სატირს გამოსახავდა. მონაპოვარშივე გვხვდება დიონისეს თანამგზავრის სილენის გამოსახულების დასამზადებელი ყალიბიც. სილენი ხვეული თმა-წვერით და შუბლზე გამოკვეთილი ე.წ. „როზეტით“. დიონისე იყო ყველაზე უფრო პოპულარული ბერძნული ღვთაება საკუთრივ საბერძნეთის ფარგლებს გარეთ. დიონისემ მოახერხა და დაიპყრო ხელოვნება და ლიტერატურა.

1957 წელს, იმავე ადგილას, სადაც ქალღმერთ დემეტრეს თავი იპოვეს, ტერაკოტული ნიღბის ორი ფრაგმენტიც აღმოჩნდა. ერთი ყურძნის მტევნის გამოსახულებას წარმოადგენდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. დიონისეს კულტთან დაკავშირებით ამგვარი, ნაწილობრივ საკულტო და ნაწილობრივ დეკორატიული დანიშნულების მქონე გამოსახულებები საკმაოდ ხშირია ელინისტური ხანის კოროპლასტიკაში.

მეორე ნატეხი თმის ფრაგმენტს გამოხატავს, იგი რელიეფური ხვიებითაა გადმოცემული და ტალღოვანი თმის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ მცირე ნატეხით ვვარაუდობთ, რომ მამკაცის ნიღბის ფრაგმენტია.

1962 წელს ვანში აღმოჩენილი ტერაკოტებიდან მრავლად არის დიონისეს, ან მისი წრის ღვთაებათა ნიღბები. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რქა და ბაფთა. ცნობილია, რომ რქებით დიონისეს წრის ღვთაებათა პირებს გამოსახავდნენ. ახლგაზრდა კაცების, ჭაბუკების სახით (სატირებს), როგორც ტყის ველური ძალების მფარველებს. ამ ღვთაებებისთვის, ელინისტურ პერიოდში, ტლანქი, ველური ნიშნების შერბილება დაიწყეს და

გამომეტყველებაც სრულიად მშვიდი, ჩაფიქრებული გაუხდათ. გამოსარჩევად კი, თმის ხვიებში პატარა რქებს, სუროს ფოთლებს და ნაყოფს გამოსახავდნენ, ან ბაფთით შუბლზე აფიქსირებდნენ.

ვანში აღმოჩენილ ტერაკოტულ ნიღბებს შორის, ძალზედ საინტერესოა 1966 წლის მონაპოვარი. ნიღაბი ნატურალურზე უფრო დიდი ზომისაა. საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი მასიური გვირგვინი. იგი სუროს ფოთლების რამდენიმე რიგისგან შედგება, სამ ადგილას ნაყოფიცაა გამოკვეთილი. თუ გავითვალისწინებთ სუროს ფოთლებს, ნაყოფს, გრძელ წვერსა და რქების არსებობას, უდავოდ რჩება, რომ ეს დიონისეა, და არა მისი რომელიმე თანამგზავრი.

დიონისე საერთოდ ერთ-ერთი პოპულარული ღვთაებაა ბერძნულ სამყაროში და მის ფარგლებს გარეთაც. დიონისე მისტერიების ცენტრალური ფიგურა იყო და მისი თაყვანისცემა საოცრად სწრაფად მკვიდრდებოდა. ვანის არქეოლოგიურ მონაპოვარში არსებობს უმრავი სასმისის ფრაგმენტები, სადაც დიონისეა გამოსახული.

დიონისეს კულტი, როგორც ყოვლისშემძლე ღმერთისა განაგრძობს არსებობას და უკვე მეხუთე საუკუნიდან განსაკუთრებით მკვიდრდება მისი საკულტო გამოსახულებანი, რომლებშიც ხაზგასმულია მისი მრავალმხრივი ძალა და შესაბამისად ატრიბუტებიც მაქსიმალურადაა წარმოდგენილი. უპირველესად ყურძნის მტევანი, ვაზის ფოთლებშემოხვეული კვერთხი, ღვინით სავსე სასმისი. თუმცა საერთოდ დიონისე მიწის დოვლათიანობის, ბუნების აყვავების მფარველი ძალა იყო, ამიტომა სუროც მისი ატრიბუტია, რომელიც ხელსაყრელი სინესტის დროს განსაკუთრებით სწრაფად იფურჩქნება და დიონისეს დაბადებასაც უკავშირდება მითში. ამდენად, დიონისეს სუროს გვირგვინით გამოსახვა ისეთივე ხშირია, როგორც ვაზის ფოთლების თავშემკობა.

ვანში დიონისეს ნიღბები საკულტო დანიშნულების უნდა იყოს, რადგანაც ასეთ ნიღბებს ღვთაებებისადმი განკუთვნილ სალოცავებში ჰკიდებდნენ, იქ სადაც თაყვანისაცემად მიდიოდნენ და შესაწირად ყვავილების გვიგვინები, სასმისებით ღვინო და ჭურჭელი მიჰქონდათ., კერძოდ ქოთნები. ამისთვის სპეციალური დღეც კი იყო გამოყოფილი – ქოთნების დღე.

ამ დღეს დიონისეს დედას, ტიონეს (სემელეს) სცემდნენ თაყვანს. აღსანიშნავია, რომ იქ სადაც ტერაკოტები აღმოაჩინეს, იქვე ორმოცამდე მცირე ზომის კოჭობი (სწორედ ქოთნის მოყვანილობის ჭურჭელი) დაფიქსირდა. ისინი ყველანი ერთი ზომისაა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ, სწორედ ზემოთ ნახსენებ შეწირვის წესთან გვაქვს საქმე. სავარაუდოდ, ადგილობრივ მოსახლეობას დიონისეს კულტზე გარკვეული წარმოდგენები ჰქონდა. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, ხოლო თუ უკანასკნელი აღმოჩენებით ვიმსჯელებთ, ღვინის სამშობლოც კი. არსებობს უამრავი მასალა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ადგილობრივ მოსახლეობას უდავოდ ჰქონდა წარმართობის ხანაში თავისი რელიგიური რწმენები და მათ შორის, ღვინის მფარველ და ნაყოფიერების ღვთაებებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდათ.

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებულ მდიდარ არქეოლოგიურ მასალაში უხად გვხვება ქალღვთაებათა გამოსახულებები, მედალიონები, სკულპტურული მოსართავები. მასალაც მრავალფეროვანია, ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, კერამიკა. ასევე მეტად მნიშვნელოვან აღმოჩენებს მიეკუთვნება ჰერაკლეს გამოსახულებიანი მედალიონი, თიხის ყალიბები ჰერაკლეს გამოსახულებებით. არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ამ ყალიბებს ძველ ვანში ამზადებდნენ.

ერთ-ერთი ყალიბის ფორმით, ამ მითოლოგიური პერსონაჟის მეთერთმეტე გმირობის ამბავია გადმოცემული. ჰერაკლეს ერთ ხელში ვაშლი უჭირავს, მეორეში კეტი. აშკარაა, რომ ჰერკლე გამოსახულია, როცა მან დედოფალ ომფალესათვის, ჰერესპიდების ბაღიდან ვაშლი მოიპოვა. ჰერაკლე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირია ბერძნულ მითოლოგიაში. ისიც ზევსის ვაჟია, რომელიც ალკმენემ, მიკენიდან თებეში ლტოლვილი ამფიტრიონის მეუღლემ შვა. ყველაზე ცნობილია მის მიერ ჩადენილი 12 საგმირო საქმე.

რით შეიძლება აიხსნას ბერძენი გმირის ასეთი პოპულარობა ძველ კოლხეთში.

ამ კითხვაზე პასუხს ისევ ძველ ბერძენ ავტორებთან ვპოულობთ. აი რას წერდა დურისი (ძვ.წ. 340-257 წწ.) „კავკასიაში მცხოვრებნი ზევსსა და ჰერას არ სწირავენ მსხვერპლს, რადგან სწორედ ისინი იყვნენ პრომეთეს დასჯის საქმეში დამნაშვენი. ჰერაკლეს კი, განსაკუთრებით მიაგებდნენ პატივს, რადგან მან განგმირა ის არწივი, რომელიც პრომეთეს გულს უკორტნიდა.“ შესაბამისად, კავკასიის მცხოვრებნი, პრომეთეს სცემდნენ თაყვანს, რადგან სწორედ მან აჩუქა

ადამიანებს ცეცხლი და შემდეგ ამისათვის მკაცრად ისჯებოდა. ძველ ქართულ ფოლკლორში არსებობს ძველი ბერძნული თქმულების მსგავსი ორეულის – ამირანის ლეგენდა.

ზემოთაღწერილი აღმოჩენები თვალსაჩინოდ მოწმობენ, რომ ვანის სატაძრო ქალაქი ბრინჯაოს ქანდაკებებით და სკულპტურული კომპოზიციებით იყო მორთული, ხოლო ქალაქის მთლიანად საკრალურ ხასიათზე მიუთითებს ასევე სხვა აღმოჩენებიც, მსხვერპლშეწირვის მრავალრიცხოვანი ნაშთები, სულ სხვადასხვა ფორმის მცირე ზომის საკურთხევლები, რიტუალური საგნები და ა.შ. განსაკუთრებით დიდ ინტერსს იწვევს ბრინჯოს ფირფიტაზე შესრულებული ბერძნული წარწერის ფრაგმენტი, რომელიც 1998 წელს აღმოჩნდა, შემორჩენილია 26 სტრიქონი. ფირფიტა წარმოადგენს საკრალურ დოკუმენტს, სატაძრო, საკანონმდებლო წარწარას, რომელიც პალეოგრაფიული და ენობრივი თავისებურებების საფუძველზე ძვ. წ.III -ს. უნდა ეკუთვნოდეს.

წარწერა მნიშვნელოვანია ფუნქციონალური თვალსაზრისითაც: რამდენადაც იგი სატაძრო საკანონმდებლო წარწერას წარმოადგენს. ეს კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ქალაქი სატაძრო ცენტრი იყო. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მე-14 სტრიქონში მოხსენიებული სიტყვა, რომელიც თ. ყაუხჩიშვილის აზრით დაკავშირებული იყო სატაძრო მონებთან. თუ ეს მოსაზრება და წარწერის იმ ნაწილის აღდგენა სწორია, მაშინ ჩვენ ხელთ გვაქვს პირდაპირი მოწმობა ელინისტური ხანის ვანში სატაძრო თემის არსებობისა, რომელიც კოლექტიურად ფლობდა სატაძრო მონებს – ჰიეროდულებს.

ასევე ყურადღებას იპყრობს მე-18 სტრიქონში მოხსენიებული ღვთაებათა ტრიადა: დედამიწა, მზე და მთვარე, თუმცა დაკარგულ ნაწილში გამორიცხული არაა მოხსენიებული იყოს სხვა ღვთაებებიც.

საინტერსოა, რომ არქეოლოგიური გათხრებისას ფიქსირებული რელიგიური წესები, რიტუალები და მსხვერპლშეწირვის ხასიათი (რომელთაგან ზოგიერთი ტაძრებშიცაა შესრულებული), ხშირად ახლო პარალელს პოულობს საქართველოს ეთნოგრაფიულ მასალებში. მასთან ერთად დადსტურებულია აგრეთვე ელინური კულტები და რწმენა-წარმოდგენები.

მითი ვითარდება დროთა განმავლობაში და ყოველი თხრობა შეიძლება ოდნავ განსხვავდებოდეს წინანდელისაგან. მითი უცვლელი არ უნდა გვეგონოს, რადგან მითის ძალა მის პლასტიკურობაშიცაა, და იმაში, რაც უფრო მეტს ვმსჯელობთ იმაზე, თუ რას ნიშნავს ესა, თუ ის მითი... მითი ღრმააზროვანია და შეიძლება ათასნაირად განიმარტოს.

ეპოქა მითთა და ღვთაებათა – იცვლებოდა, ისინი გაფართოვდნენ, სახე იცვალეს...

ოლიმპოს მთაზე დამკვიდრებულ ღმერთთა შესახებ წარმოდგენას და რწმენას 12 ოლიმპოელი ღმერთისა, რომელთაც დაუკავშირდა გამგებლობის გარკვეული სფეროები, ასევე ზევსის იმ უამრავ შვილებს, ნახევრად ღმერთებს არა ერთი მითი – თქმულებ ეძღვნება. გარდა ამისა არსებობდნენ უამრავი ურჩხულები, ზღაპრული არსებები ... მოგვიანებით ჰომეროსმა და ჰესიოდემ ასე, თუ ისე შეძლეს და „მოაწესრიგეს“ ბერძნულ ღმერთთა პანთეონი.

აღსანიშნავია, რომ ეს რწმენა არ იყო აბსტრაქტული, იგი ეფუძნებოდა ერთიანი კულტურული მემკვიდრეობისადმი კუთვნილების შესახებ არსებულ იმ ინფორმაციას, რომელმაც მითებისა და ლეგენდების სახით შემოინახა თავი. ამ ინფორმაციის თაობიდან თაობაზე გადაცემა ორი ძირითადი გზით ხდებოდა: ჩვეულებრივი თხრობით და პოეტ-მომღერალთა შემოქმედების წყალობით.

ერთ-ერთი უნმიშვნელოვანესი აღმოჩენა ვანის არქეოლოგიის ისტორიაში, 2007-წელს ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე თირის სწორკუთხა ორმოში მიკვლეული ულამაზესი ნივთები იყო. არქეოლოგიურ გათხრებს ამ უბანზე არქეოლოგი დიმიტრი ახვლედიანი აწარმოვებდა. რამდენიმე კვირიანი მუშაობის შემდეგ მეცნიერებმა თირის ფენაში გაჭრილ ოთხკუთხა ორმოს მიაკვლიეს. ორმოში სხვადასხვა საგნები, თუმცა ძირითადად ტაძრისთვის განკუთვნილი ინვენტარი ეწყო. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ნივთები საგანგებოდ შეინახეს, ორმოც სასწრაფოდ ამისათვის გაჭრეს და გაურკვეველი სიტუაციის გამო გულმოდგინებით დამალეს. აქ ძირითადად ბრინჯაოს ნაკეთობები ჭარბობდა: ჭრაქები: ერთ, სამ და ექვსფითილიანები. ერთ-ერთი შემკულია ზღვის ღვთაებებით, სერენებით. ბერძნული მითოლოგიით, სერენები ზღვებში ცხოვრობდნენ და თავიანთი ულამაზესი ხმითა და სიმღერებით ნაოსნებს ატყვევებდნენ („სირი-

ნოზის ხმა“ ტერმინიც აქედან დამკვიდრდა). ამ განძში სირენას გამოსახულებიანი ქანდაკება ცალკეც იყო, თუმცა სხვა ფორმით.

მეორე ჭრაქს, სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს დამხმარე, პატარა და ცელქი ეროტების ბრინჯაოს ულამაზესი ქანდაკებები ამშვენებდათ. ეროტები სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის პროცესში არიან გამოსახულნი. ფორმების გამოკვეთილი სრულყოფილება, დგომის დახვეწილობა, ჭრაქს ულამაზესს ხდის. მათ ასევე განსხვავებულ ელფერს სძენს მომწვანო კეთილშობილური პატინა, რომლითაც დაფარული იყო ყველა ეს არტეფაქტები.

აფროდიტეს გამოსახულებები და ზოგადად ქალღვთაებების ქანდაკებები, ფრაგმენტულად, სრულადაც, მედალიონების თუ მოსართავების სახით, მრავლადაა მიკვლეული ანტიკური ვანის ნაქალაქარზე და ისინი ვანის მონაპოვარშია დაცული. ერთ-ერთია მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენა, რომელიც XX საუკუნის 90-იან წლებში მოხდა ბრინჯაოს ქანდაკებების ულამაზესი ფრაგმენტებია: ქალის ორივე ხელის, ბარძაყის ფრაგმენტი მუხლითურთ, მარცხენა ტერფის და მარჯვენა მხარის ფრაგმენტები, სულ ხუთი არტეფაქტი.

ერთ-ერთი პოპულარული თემა ელინისტური პერიოდის ხელოვნებაში მითოლოგიურ სიუჟეტებთან ერთად, ქალღვთაებათა და საერთოდ ქალის სილამაზის ასახვა იყო. განსაკუთრებით გავრცელდა ქალღმერთ აფროდიტეს შიშველი ქანდაკებები. შეიძლება ვივარაუდოთ რომ ეს ფრაგმენტები ჯგუფური კომპოზიციის, ანდა დეკორატიული ქანდაკების ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც განკუთვნილი იყო ბაღის და საერთოდ სახლგარე მიდამოს მოსართავად.

სატაძრო ინვენტარიდან უსათუოდ განსაკუთრებული მონაპოვარად შეიძლეება მოვიხსენიოთ რკინის უზარმაზარი კანდელაბრები. აქვე იყო მითოლოგიური სიუჟეეტის მიხედვით გაკეთებული ულამაზესი ქანდაკება „განიმედეს მოტაცება“. ლეგენდის მიხედვით განიმედე ზევსმა ოლიმპოდან შეამჩნია, მან არწივის სახე მიიღო, დედამიწაზე დაეშვა და ეს მშვენიერი ჭაბუკი მოიტაცა. ჩვენი ბრინჯაოს ქანდაკება სრულადაა შემორჩენილი, იგი ოლიმპოს მთისკენ მიმაფრენ არწივს გამოსახავს, რომელსაც განიმედე ბრჭყალებში მოუქცევია და იტაცებს. ორმოში მოთვსებულ უამრავ ნივთებს (ამფორები, მონეტები, იარაღი ვერცხლის სარტყელი და სხვა) ზემოდან უზარმაზარი ბრინჯაოს ჭურჭელი ჰქონდა დახურული, რომელიც ძალიან ჰგავს ქრისტიანულ ტაძრებში ნათლობის რიტუალის შესასრულებელ ჭურჭელს: – ემბაზსს.

სხვადასხვა მითოლოგიური ეპიზოდი, მონაკვეთი, ამ მონაპოვარში განსაკუთრებით საინტერსოდ და სასიამოვნოდ (ვიზუალურად) გამოვლინდა, არგონავტების მითი, ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, ქვეყნის გარეთ ჩამოყალიბებულ და ჩატარებულ შორეულ საზღვაო ექსპედიციაზე მოგვითხრობს აღქმული ოქროს ქვეყნისკენ – კოლხეთისაკენ. ეს თქმულება – მითი, მდიდარი თავის მრავალრიცხოვანი ეპიზოდებით, ამბებით და ალბათ, ძველი სამყაროს ყველაზე უფრო პოპულარული მითია. ამ მითის სიუჟეტი, მისი გმირები, ღვთაებათა ისტორიები, როლებიც ჯერ კიდევ ჰომეროსის დროს იყო ცნობილი, საუკუნეების მანძილზე ასაზრდოვებდა უამრავ ხელოვანთა შემოქმედებას: ანტიკური პერიოდიდან-თანამერდოვეობამდე. კულტურა, რომელსაც მითოლოგია უდევს საფუძვლად თავის მითებში ხშირად ადამიანთა ავტოპორტრეტებს ქმნის და გვიჩვენებს, თუ რას აფასებდნენ, რისა სწამდათ და რა აწუხებდათ ამ ადამიანებს. მითები ადამიანთა სულიერსა და გონებრივ ცხოვრებას ასახავს და მითის შინაარსი ხშირად გზაა იმის გასაგებად, თუ როგორ აზროვნებდნენ ისინი.

თავისთავად მითი, სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა, „სიტყვას“, „ამბავს“. თანამედროვე მეცნიერებაში ამ ტერმინით ავღნიშნავთ მთელ კომპლექსს ღმერთთა და გმირთთა შესახებ არსებულ თქმულებებისა, რომლებშიც გადმოცემულია ხალხის მიერ ნაწილობრივ სიმბოლურად, რელიგიურად, ნაწილობრივ კი ისტორიულ-ქრონიკალურად აღქმული შორეული ლეგენდარული წარსული.

როგორც არქეოლოგია გვიჩვენებს, ბერძნული მითების ინფორმაციას მომხდარი ამბების შესახებ, საკმაოდ ხშირად რაღაც რეალური, ისტორიული ფაქტი ედო საფუძვლად. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ რეალურია მაგალითად მიკენურ ეპოქაში, კოლხეთისაკენ ლაშქრობის შესაძლებლობა, რაც არგონავტთა თქმულების საფუძველი გახდა.

ვინ იცის, რამდენი დაბრკოლება გამოიარა ბერძეთა ხომალდმა „არგომ“, ვიდრე კოლხეთის ნაპირებს მოადგებოდა. ელადელ გმირებს და მათ წინამძღოლს-ძლევამოსილ იასონს,

კოლხეთში არაერთი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ, სანამ ხელში ჩაიგდებდნენ ოქროს საწმის – რაღაც იდუმალი ცოდნისა თუ მარადიული ძალაუფლების სიმბოლოს.

ეს მითი, მითი"ოქროს საწმისის" შესახებ ქართული კულტურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ბავშვობაში იგი თავისი ზღაპრულობით გვხიბლავს, შემდეგ კი – გეოგრაფიული, ისტორიული, თუ ეთნოგრაფიული პარადიგმების სიღრმითა და სიმრავლით.

არგონავტთა მითს მრავალი კუთხით სწავლობდნენ და იკვლევდნენ. აქედან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მისი რეალური, ისტორიული ფესვების ძიება. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ არგონავტთა ამბავი მთლიანად მოგონილია, და რომ მიკენურ საბერძნეთში, როცა ბერძნებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ორმოცდაათნიჩბიანი გალერები, შეუძლებელი იყო შავი ზღვის სრუტეების გადაცურვა და ასეთი შორეული ნაოსნობის განხორციელება. მეორე ნაწილი მეცნიერთა კი თვლიდა, რომ მითში ისტორიული სინამდვილე აირეკლა. ერთი იმათგანი, ვინც არგონავტთა მითს რეალურ ისტორიულ საფუძველზე აღმოცენებულად თვლიდა ცნობილი ინგლისელი მოგზაური, მწერალი და მეცნიერი ტიმ სევერინი გახლავთ.

ტიმ სევერინმა მეცნიერული ჰიპოთეზების, მითების დამტკიცების მეტად ორიგინალური მეთოდი აირჩია: იგი აცოცხლებს მითს, ლეგენდას, ახდენს მის რეკონსტრუქციას. ასე დაამტკიცა მარშრუტი, ააგო იმ ეპოქის ხომალდი და 1984 წლის ზაფხულში, საბერძნეთის ქალაქ იოლკოსიდან, მრავალდღიანი ნაოსნობის შემდეგ, მდინარე რიონით, სოფელ ჭყვიშში ჩაუშვა ღუზა.

პირველ ყოვლისა, ტიმ სევერინი ვანის არქეოლოგიურ გათხრებს ეწვია. ექსპედიციას სათავეში მაშინ პროფესორო ოთარ ლორთქიფანიძე უდაგა. სევერინი დიდი ინტერსით გაეცნო ვანის ისტორიას, გულდასმით დაათვალიერა ვანის ნაქალაქარი, არქელოგიური ექსპედიციის ექსპონატების მუზეუმი (მაშინ არქეოლოგიური მუზეუმი ჯერ კიდევ არ იყო აგებული), ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მისი მოგზაურობის დასრულების მნიშვნელოვანი რეზიუმე გახლდათ რწმენა, რომ: „ვანის არქეოლოგიური მასალა დიდად დაეხმარებოდა მას არგონავტების მითის ისტორიოულობის საბოლოოდ დამტკიცებაში. საქართველოს ისტორიულ ძეგლებს, რომ ვეცნობოდი, მის წესჩვეულებებს და ტრადიციებს, ჩემთვის აშკარა გახდა თქვენს ქვეყანაში ოქროს საწმისის კულტის არსებობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში..." განაცხადა მან.

ტიმ სევერინის მოგზაურობამ დაამტკიცა არგონავტთა ლაშქრობის შესაძლებლობა იმ დროინდელი სანაოსნო-ტექნიკური თვალსაზრისით. საბედნიეროდ არქეოლოგიის თვალსაზრისითაც უამრავი მინაპოვარი არსებობს, როგორც ბერძნულ, ისე ქართულ არქეოლოგიაში. სწორედ, ვანში აღმოჩნდა ყველაზე სრულად და მრავალფეროვნად კოლხეთის „ოქრომრავლობის" დამადასტურებელი საბუთები, ცხვრის კულტის მტკიცების უამრავი არქეოლოგიური მასალა, ქანდაკება. კოლხეთის „ოქრომრავლობა" კი, ოქროს საწმისის შესახებ არსებული ლეგენდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და შემადგენელი ნაწილია.

ამრიგად, ერთი მხრივ, არის ტიმ სევერინის მიერ წარმატებით განხორციელებული ექსპერიმენტი, მეორე მხრივ კი-ქართველ არქეოლოგთა მიერ გამოვლენილი საკმაოდ მაღალი დონე ძველი კოლხური სახელმწიფოს არსებობისა, სწორედ იმ პერიოდში, როცა არგონავტთა ლაშქრობა ივარაუდება.

ხშირად მითი რელიგიისა და წარმოსახვის ნაზავად აღიქმება, ხოლო მისი კულტურული და პრაქტუკული აზრი უგულველყოფილია. ამიტომაც სათანადოდ ვერ ფასდება, თუ რა ღრმად აღწევს მითი საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია ერთმანეთს დავუპირისპიროთ წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაპოვარი, და მაშინ ერთი შეხედვით ლეგენდარული ხასიათის ამბები მითებსა და ღვთაებებზე სრულიად გასაოცარ თანხვედრაში მოდიან ერთმანეთთან.

ლიტერატურა:

1. ვანი I – „არქეოლოგიური გათხრები ვანში" – თბილისი, „მეცნიერება", 1971 წ.
2. ვანი II – „არქეოლოგიური გათხრები ვანში" – თბილისი ,"მეცნიერება", 1976 წ.
3. რ. გორდეზიანი „ბერძნული ცივილიზაცია" თბილისი „მერანი",1988 წ.
4. ნილს ფილიპი „მსოფლიოს მითოლოგია" „ქარჩხაძის" გამომცემლობა, 2012 წ.
5. О. Лордкипанидзе.Город-храм Колхиды..изд. Наука Москва. 1984
6. პ. ნაცვლიშვილი „მოგზაურობა „არგოთი", თბილისი 1985 წ.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი

ანტიკური ვანი და მისი გარე დასახლებები

საქართველოში ყველასათვის ცნობილია ვანისა და მისი ისტორიული წარსულის შესახებ. ამ პატარა რაიონს მართლაცდა დიდი ისტორია გააჩნია, რომელიც უხსოვარ დროიდან მოედინება დღემდე. შევეცდებით საზოგადოებას, დაინტერესებულ მკითხველს დამატებითი ინფორმაცია მივეცით რაიონის წარსულის, მისი უძველესი კულტურისა თუ ხელოვნების ძეგლების ისტორიის შესახებ.

ვანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ ჯერ კიდევ ქვის ხანაში დაუდგამს ფეხი ადამიანს. ჩანს, ამ დროისათვის თბილი და ზომიერი ჰავა იძლეოდა ამის საშუალებას. აქედან მოყოლებული აღნიშნულ ტერიტორიაზე სიცოცხლე არ შეწყვეტილა, პირიქით, ის თანდათან ვითარდებოდა. ვანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ხელწერაქვი და ობსიდიანის კაჟის იარაღები ნეოლითისა და ენეოლითისათვისაა დამახასიათებელი, რაც ადასტურებს აქ მოსახლეობის პირვანდელი საცხოვრისების გაჩენას. აღნიშნული ექსპონატები ინახებოდა ჯერ ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ხოლო შემდეგ ის გადაეცა ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდსაცავს, რომელიც აქვეა დაცულია.

რაც შეეხება პალეოლითის ხანის მასალებს, რაიონის ტერიტორიაზე არაა მოპოვებული, რადგან პალეოლითის ხანის ადამიანები ძირითადად გამოქვაბულებში ბინადრობდნენ. როგორც ჩანს, საამისო პირობები პირველყოფილი ადამიანებისათვის ვანის ტერიტორიაზე არ მოიძებნებოდა, რაც არ აძლევდათ მაშინდელ ადამიანებს ნებისმიერ სივრცეში ცხოვრების საშუალებას.

თუმცა, იმერეთში მრავლადაა პალეოლითის თუ ნეოლითის ხანის სადგომები გამოვლენილი: საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის ტერიტორიებზე, რასაც დღემდე იკვლევენ მეცნიერები და თანაც წარმატებულად.

რადგან ჩვენი მიზანია ვანის ნაქალაქარი და მასში შემავალი ნასახლარების (რა თქმა უნდა ნაწილის) შესწავლა, მინდა აღვნიშნო, რომ აქ ნეოლითიდან მოყოლებული ყველა დროა დაფიქსირებული. გამოვლენილია ენეოლითი, ადრე შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალები, თუმცა შეიძლება ითქვას შუა ბრინჯაოს პერიოდის მასალები ძალიან მწირედაა წარმოდგენილი. ადამიანთა ინტენსიური ცხოვრების დამკვიდრებამ ხელი შეუწყო ვანის (იმდროინდელ კოლხეთის) ტერიტორიაზე ანტიკური ქალაქის წარმოქმნის შესაძლებლობას, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში იწყებს ჩასახვას.

ვანის რაიონის დღევანდელი ტერიტორია კოლხეთის შიდა ტერიტორიას წარმოადგენს, ამიტომაც ის თავიდანვე სამიმოსვლო საქარავნო სტრატეგიულ ადგილად მიიჩნეოდა, იგივე აბრეშუმის გზად, რომელიც დასავლეთის ქვეყნებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა (ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს ინდოეთთან და ჩინეთთან), ასევე დამაკავშირებელ სანაოსნო სამიმოსვლოდ გამოიყენებოდა შავი ზღვა და მდინარე ფაზისი (რიონი). ასეთმა სტრატეგიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო კოლხეთის ტერიტორიაზე საქალაქო ცხოვრების გაჩენასა და მის შემდგომ განვითარებას, რომელმაც ანტიკურ და შემდგომ ელინისტურ ხანაში ხელოვნებისა და კულტურის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. სწორედ, ესაა ვანის ნაქალაქარის და რაიონის ტერიტორიაზე არსებული ნასახლარების სახით წარმოდგენილი.

თვით „ვანი“ ტერმინი – სავანეს ანუ მოსასვენებელ ადგილს ნიშნავს. რადგან აქ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალითა და მდინარე ფაზისის საშუალებით გადაადგილდებოდნენ მოვაჭრეები და ძველი ქალაქის მახლობლად ისვენებდნენ, რომელიც თავიდან ნავსაყუდს წარმოადგენდა, ამ პროცესებმა ხელი შეუწყო ჯერ მცირე დასახლებათა ჩამოყალიბებას, რასაც თან ვაჭრობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა მოსდევდა, ხოლო დროთა მსვლელობის შემდეგ ამავე ადგილზე ჩნდება უდიდესი და უძლიერესი სატაძრო ქალაქი, რომელიც მსოფლიოს სამეც-

ნიერო წრეებში „ვანის ნაქალაქარის“ სახელწოდებითაა ცნობილი. შესწავლისა და მეცნიერტა დასკვნის მიხედვით ვანის ქალაქი ძვ.წ.აღ. VIII-I საუკუნეებითაა დათარიღებული. თუმცა, სავარაუდოა საქალაქო ცხოვრების ჩამოყალიბებამდე გარკვეული წლების, არაა გამორიცხული ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაშიც ის სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა, რომელიც საქარავნო ეტლებით მომავალ მოვაჭრეთა დამხვდურ ადგილს წარმოადგენდა.

ამ გზით გადიოდა აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან დიდძალი საქონელი გასაცვლელად. ამასთანავე ვანის საკულტო საქალაქო ცენტრად ჩამოყალიბების აუცილებლობაც აქედან უნდა მომდინარეობდეს. შესაბამისად ის წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობათა მოქმედების საკულტო ქალაქს უკვე ძვ.წ.აღ III-I საუკუნეში, რადგან გზად მიმავალი მოვაჭრენი უხიფათოდ და მშვიდობიანად რომ მისულიყვნენ დანიშნულ ადგილას მსხვერპლს სწირავდნენ მათთვის სასურველ ღმერთებს და სრულად მონაწილეობდნენ რიტუალებში, რაზედაც აქ აღმოჩენილი უამრავი არქეოლოგიური მასალა იძლევა დასტურს.

ქალაქის შიდა საკულტო სივრცე დაახლოებით რვა ჰექტარს აღემატება. ქალაქი თავიდანვე საკულტო ხასიათის ნაშთებითაა წარმოდეგნილი, რომლის საზოგადოებრივი, ცხოვრებისეული დატვირთვა კიდევ უფრო ძლიერდება ძველი წელთაღრიცხვის V-III საუკუნეებში, როდესაც კოლხეთს ძლიერი მმართველები (ადმინისტრაცია) განაგებდა. სწორედ, ამ დროიდან იწყება კოლხეთში მაღალი ოსტატობით ოქრომჭედლობის ანუ უძვირფასესი საიუველირო ხელოვნების სკოლის დაარსება-აღორძინება, რომელთა ოსტატობაც მსოფლიოს აღფრთოვანებას იწვევდა და იწვევს დღესაც და ხაზგასმას აკეთებს იმ დროისათვის ქალაქის უმაღლეს კულტურულ დონეზეც, რამაც კოლხურ ოქრომჭედლობას სრულიად დამსახურებულად – მსოფლიოს ოქრომჭედლობის ხუთეულში დაუმკვიდრა ადგილი. ის არა თუ ტოლს უდებს მსოფლიოს ოქრომჭედლობის სკოლას, არამედ გადააჭარბებს კიდეც მათ ხელოვნებას, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მსოფლიო დონის სპეციალისტებს, რომელთა შეფასებამ უძველეს კოლხურ ოქრომჭედლობის სკოლას მსოფლიო აღიარება მოუტანა.

ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი საქარავნო გზის შესახებ, რომელიც კოლხეთზე გადიოდა. სწორედ, ამ გზის გასწვრივ იქმნებოდა დასახლებები და ქალაქები. ასეთი ნასახლარები ვანის ტერიტორიაზე დღეისათვის მრავლადაა წარმოდგენილი, თუმცა მათ შესწავლას დიდი დრო და ფინანსები სჭირდება, რომლის დაძიება აუცილებელიცაა. შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა სოფელი დახუნძლულია არქეოლოგიური მასალებით. მართალია, დაფნარი და გომის სოფლები დღეს ვანის რაიონს არ ეკუთვნიან, მაგრამ ისინი ანტიკურ ხანაში ვანის ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდნენ. აქ წამოდგენილი მასალები ვანის ნაქალაქარის თანადროულია, რომელიც შესწავლილია და მასალები გამოქვეყნებული აქვთ მეცნიერებს: ნ. კილაძეს, ვ. თოლორდავას და დ. გამყრელიძეს თავიანთ ნაშრომებში.

მთისძირის ნასახლარი, რომელიც მდინარე ფაზისის მარცხენა მხარეს ბორცვის კიდეებზე მდებარეობს, ვანის ნაქალაქარის შემადგენლობაში შედიოდა. აქ გასული საუკუნის 50-იან წლებში შემთხვევით აღმოჩენილია სამარხი, რომელიც შემდეგში მეცნიერთა მიერ იქნა შესწავლილი. წარმოდგენილია ოქროს სხივანა საყურე, კისრის რკალი-მონეტა, მძივები და ვერცხლის რიტონი ვაც-კაცის გამოსახულებით, რომელიც ვანის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული. სასმისი ძალზე დაზიანებულია, თუმცა ძალიან საინტერესო და მაღალგემოვნებით დამუშავებული, რომელიც ძველი წეთაღრიცხვის VII-IV საუკუნეებითაა დათარიღებული. ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩენები დაფიქსირდა დაბლა გომსა და დაფნარში. აღნიშნული ნასახლარები თანადროულია ვანის ნაქალაქარისა და მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს ანტიკური ხანის სამყაროსა და მისი მკვლევარებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვანის ტერიტორიაზე თითქმის არ მოიძებნება ისეთი სოფელი, რომელიც არქეოლოგიურად არ იყოს საინტერესო. სახელდობრ მინდა აღინიშნოს: სალხონო, ბზვანი, დიხაშხო, სულორი, ზედავანი, ტყელვანი-გადიდის კალთები, ყუმური, ტობანიერი, შუამთა, მუქედი, სალომინაო, უხუთი, ინაშაური, საპრასია-რომანეთი, ძულუხი, ბაგინეთი-ბაბოთი და საყანჩია. ამ სოფლების ჩამონათვალი ვანის ნაქალაქარის თანადროული პერიოდის

მასალებითაა ცნობილი. ცნობილი არქეოლოგის, აკადემიკოს, ბატონი ოთარ ლორთქიფანიძის დავალებით ვანის არქეოლოგიური ექპედიციის თანამშრომლები ნაქალაქარის პარალელურად დროგამოშვებით აწარმოებდნენ რაიონის ტერიტორიის არქეოლოგიურ შესწავლას. შესწავლის შემდეგ შედგა რაიონის ტერიტორიისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით არქეოლოგიური რუკა, სადაც აისახა თითქმის არსებული სოფლები მასალის პროფილირებისა და თარიღების მიხედვით.

შევეცდები ამჯერად მნიშვნელოვანი აღმოჩენების მიხედვით წარმოვადგინო სოფლების ის ნაწილი, სადაც უნიკალური ექსპონატების აღმოჩენა დადასტურდა.

სოფელი ინაშაური წარმოადგენს იმ სოფელთაგანს, სადაც შემთხვევით აღმოჩენილი იქნა ბრინჯაოში ჩასმული თამადის ქანდაკება, რომელიც ძვ.წ.აღ. VIII საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული. დღეისათვის ქანდაკება ძალზე პოპულარული გახდა.

ქანდაკება ნაპოვნია მოსახლეობაში, სადაც გენელიძეები და ფუტკარაძეები ცხოვრობენ რამოდენიმე მეტრში და ადგილს „ნამარხების გორას“ უწოდებენ აქაური მცხოვრებლები. ამჟამად, სადაც ქანდაკება იქნა ნაპოვნი, ჯემალ ფუტკარაძე სახლობს. თვით ქნადაკება, როგორც ამ ქანდაკების მეპატრონე ბეჟან გენელიძე გვიამბობს, დაახლოებით XX საუკუნის 70-იან წლებში უპოვია მიწის დამუშავების დროს ენუქი ხელაძეს (ამჟამად გარდაცვლილი) და მის შვილისშვილს შემდეგ გადაუცია საჩუქრად ბატონ ბეჟან გენელიძისთვის (თუ რატომ ამას არ გვისახელებს). ბეჟან გენელიძეს, როგორც კარგ თამადასა და მსმელს, შემდეგ ირკვევა, რომ თამადის გამოსახულება საჩუქრად მიუღია ენუქის ოჯახისგან. როგორც ბატონმა ბეჟანმა გვიამბო ქანდაკება 1984 წლამდე სახლში ბუხრის თავზე ჰქონია შემოდებული, როგორც საპატიო თამადა და ძველი ნივთი. 1984 წელს მოგეხსენებათ ირლანდიელმა მოგზაურმა ტიმ სევერინმა იმოგზაურა ძველი არგონავტების ნაკვალევზე იოლკოსიდან კოლხეთში საგანგებოდ აგებული ნავით (არგოთი). ისინი ბოლოს ეწვივნენ ვანსა და მდინარე ფაზისზე (რიონზე) ჭყვიშში ჩაუშვეს ღუზა. მე გადავწყვიტე, გვიამბობს ბატონი ბეჟანი, ეს ქანდაკება გადამეცა მუზეუმისათვის. ნაპოვნის შესახებ მუზეუმის ხელმძღვანელობას შევატყობინე რათა მოენახულებინათ ეს ქანდაკება. მაშინდელმა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა ლ. ძაგნიძემ თავის მეუღლესთან ნოდარ თურაზაშვილთან, რომელიც ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა კიროვის (დღეს ილია ჭავჭავაძის) სახელობის საშუალო სკოლაში და სოფლტექნიკაში მომუშავე ჯანიკო ფუტკარაძესთან ერთად მეწვივნენ სახლში. მე მათ ვუამბე ქანდაკების აღმოჩენის შესახებ და ავუხსენი, რომ მათთან ერთად თიხის ჯამი და ბრინჯაოს ისრის პირი იყო ნაპოვნი. ისრის პირი, მისივე თქმით, თავის ცოლს გადაუგდია, რადგან ძალზედ დაჟანგული ყოფილა, მოკლედ ისრის პირის ვინაობა მეცნიერებისათვის სამუდამუდ დაიკარგა, ხოლო რაც შეეხება თიხის ჯამს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დარჩენილა, რადგან ბატონ ნოდარ თურაზაშვილს და ქალბატონ ლ. ძაგნიძეს მხოლოდ ბრინჯაოს ქანდაკება გადაუცია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის 1984 წელს.

ამრიგად, 1992 წელს ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდში მუშაობისას, სრულიად მოულოდნელად, მუყაოს პატარა კოლოფში, წავაწყდი თამადის ქანდაკებას. ძალიან გაკვირვებული დავრჩი მოულოდნელობისაგან, თან ვიფიქრე ასეთი აღმოჩენა თუ ის ორიგინალი იყო, ფონდში უყურადღებოდ ვის უნდა შეენახა, ან რაიმე ინფორმაცია არ გაახმაურა... აშკარად ჩანს მისი სიძველე, რადგან ქანდაკებას სიღრმისეული ფორები ემჩნეოდა. იმწამსვე გადაწყვეტილება მივიღე, სასწრაფოდ ავედი ექსპედიციაში, სადაც ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე მუშაობდა. ბატონმა ოთარმა ნახვისთანავე დაადასტურა ქანდაკების სიძველე და მომენტალურად ჩაფიქრდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც ის კარგად შეათვალიერა მითხრა – საიდან მოიტანე ომარ ეს ქანდაკება? მე ვუამბე დაწვრილებით ამის შესახებ. ექსპედიციის ხელმძღვანელი ფიქრმა შეიპყრო, ვერ გარკვეულიყო ქანდაკების აღმოჩენისა თუ სადაურობის შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ ძლივს გაიხსენა მისი არსებობის შესახებ, თუმცა ქანდაკება არასდროს ენახა. ძალიან დაინტერესდა მისი მოპოვებისა და ადგილსამყოფელის მოკვლევის შესახებ, საამისოდ მთხოვა ადგილობრივ გაზეთ „განთიადის“ ნომერში გამომექვეყნებინა წერილი, იქნებ

ვინმე შეგვეხმიანოსო. მე ეს თხოვნა დავალებად მივიღე და მორიგ ნომერში მოვათავსე წერილი აღნიშნული ქანდაკების შესახებ გამოსახმაურებლად. დრო გადიოდა და ახალი არაფერი ისმოდა. წერილს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია, რომ არა ჩემი ინაშაურში სტუმრობა ბატონ რეზო გენელიძესთან, სადაც ბატონ ბეჟან მელაძეს შევხვდი. შესაძლოა ქანდაკების შესახებ ინფორმაცია დღესაც იდუმალებით ყოფილიყო მოცული, როცა გაიგო ბეჟანმა, მე მუზეუმის დირექტორი ვიყავი, ქანდაკების შესახებ ჩამომიგდო საუბარი თუ რა ბედი ეწია მასო, მომიყვა დეტალურად ქანდაკების შესახებ, რაც ჩემდა სასიხარულოდ შემთხვევით მოხდა. ასე გახდა ცნობილი თამადის აღმოჩენისა და მისი ადგილმდებარეობის ზუსტად დაფიქსირება, რაც ჩემს შემთხვევით ზუსტ მისამართზე მოხვედრამ განაპირობა.

ცოტა ხანში თამადის ქანდაკება არქეოლოგმა სულხან ხარაბაძემ თბილისში წაიღო გასაწმენდად და გამოსაქვეყნებლად. ასე დაიწყო თამადის ქანდაკების გაცნობა საზოგადოებამ, რომელიც ძვ.წ.აღ. VIII-VII საუკუნეებითაა დათარიღებული და დღეისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად ითვლება. ბატონმა ოთარმა თამადას მოსაფერებელი სახელი „სიმონი“ უწოდა, აწ გარდაცვლილი ბატონ სიმონ ჩიჯავაძის საპატივცემულოდ, რადგან ბატონი სიმონ ჩიჯავაძე ერთ-ერთი ცნობილი თამადა გახლდათ. აღმოჩენამ საფრანგეთში, ბორდოს გამოფენაზე საქართველო წარმოაჩინა, როგორც უძველესი ღვინის ქვეყანა. ამ გამოფენის სიმბოლო იყო ვანში აღმოჩენილი პირველი თამადა, რომელიც მსოფლიო ცნობადი სახე გახდა, რაც ჩვენი ერის სიამაყე და დიდი კულტურის შედეგრია.

თამადის ასლი (ძეგლის სახით) უპირველესად დაიდგა ჩვენს დედაქალაქში შარდენის ქუჩაზე, შემდეგ იმერეთის სატახტო ქალაქ ქუთაისში, ცენტრალურ მოედანზე და ბოლოს ჩვენი რაიონის ცენტრში, რომელიც დასტურს იძლევა საქართველოში უძველესი კულტურის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესახებ, მოსული ტურისტები თუ დამთვალიერებლები თამადის ქანდაკების ისტორიას ეცნობიან მუზეუმში მოსვლამდე.

მინდა ასევე შევეხო სოფელ სულორს, ამ სოფლის ერთ-ერთ საინტერესო მონაკვეთს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „საკაკილიის“ სახელით მოიხსენიებს. მოგეხსენებათ, იმერეთში მძივებს კაკილას ეძახიან – ამიტომაც ამ ადგილას, რადგან ხშირად მოსახლეობა საძოვრებად გამოყენების დროს მძივებს (კაკილებს) პოულობდნენ, სწორედაც, ადგილს „საკაკილია“ უწოდეს. დღეისათვის სამეცნიერო ნაშრომებში ეს ადგილმდებარებაც საკაკილიას სახელითაა მოხსენიებული.

1984 წელს, როდესაც ტიმ-სევერინმა მოაწყო ექსპედიცია ძველი არგონავტების ნაკვალევზე იოლკოსიდან კოლხეთში, საკაკლიაში შემთხვევით ნაპოვნი ბრინჯაოს ცული გახლდათ სიმბოლო ამ მოგზაურთა დასახვედრად, რადგან კოლხეთში მეტალურგიის განვითარება და მისი ტექნოლოგია იზიდავდა ბერძენ მოგზაურთ. სწორედ, ამიტომაც, კოლხური ცული, რომელიც დიდი ოსტატობით შეუქმნიათ კოლხებს, სიმბოლურად მიეძღვნა მათ მოგზაურობას. აღნიშნული ბრინჯაოს ცული დათარიღებულია ძვწ. VIII-VII საუკუნეებით, რომელიც საკულტო ხასიათისაა და წარმოადგენს ხელოვნების უიშვიათეს ნიმუშს, რომლის ზედა ნაწილი შემკულია საკულტო მნიშვნელობის ფიგურებით, კერძოდ, მამაკაცები ამხედრებულნი არიან ცხენებზე ჩირაღდნებითა თუ კაპარჭით ხელში. მეცნიერთა აზრით ეს სცენა დიდი დედის (ღმერთების დედის) მხლებლებს წარმოადგენენ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ციხესულორი, სადაც ყველაზე გვიან შეწყდა არქეოლოგიური სამუშაოები დაუფინანსებლობის გამო. სამუშაო, რომელიც მიჰყავდათ პროფესორებს გურამ ყიფიანსა და მადონა მშვილდაძეს, საბოლოოდ მისი დასრულება ბევრ სიახლეს იტყვის. თუმცა, რაც მიგნებულია, უაღრესად მნიშვნელოვანია.

უმნიშვნელოვანესია საყანჩიას ველი, რომელიც ვანის ნაქალაქარის თითქმის გაგრძელებას წარმოადგენს. აქ, ჯერ კიდევ, XX საუკუნის მეორე ნახევარში არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია გ. მიწიშვილისა და ვ. ლიჩელის ხელმძღვანელობით, სადაც უამრავი, არქეოლოგიისათვის, საინტერესო მასალებია აღმოჩენილი, რომელიც ასახულია საველე სამუშაოებში (ვანის ტომები), ამავდროულად მრავალჯერ შემთხვევით

აღმოჩენილი ექსპონატები იქნა დაფიქსირებული მოსახლეობის მიერ, რომლის პერიოდულად შეძენა ხდებოდა არქეოლოგიური ექსპედიციისა და მუზეუმის მიერ, სახელდობრ – ბრინჯაოს სამაჯურები, თიხის ჭურჭლები, აბანოს მილები, რომლებიც დაცულია ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდში.

90-იან წლებში კოლია დვალიშვილის ეზოში, მიწის დამუშავების დროს შემთხვევით ნაპოვნი იქნა ქვევრ-სამარხი. აღმოჩენის შესახებ მეპატრონის დავალებით გვამცნო ამავე უბანში მცხოვრებმა გივი ჩუბინიძემ, რომელიც, იმჟამად, ვანის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომელი იყო. მომხდარის შესახებ ჩვენს მიერ შეტყობინებული იქნა საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელობისათვის. ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ სიტუაციის გარკვევა და თანმდევი სამუშაოების შესრულება მუზეუმს დაავალა, რადგან თბილისიდან არქეოლოგების მოვლინება ვერ ხერხდებოდა. სამუშაოები პირნათლად წარიმართა, სადაც აღმოჩენილი იქნა 1 ცალი კოლხური თეთრი (მონეტა), რომელიც სამარხისათვის დამახასიათებელი გახლდათ, რადგან მითის თანახმად მას მიცვალებულებს პირის ღრუში უდებდნენ სიკვდილის შემდეგ, ერთ სამყაროდან მეორეში გადასაყვანად. მონეტასთან ერთად აღმოჩენილი იქნა ბრინჯაოს სამაჯურები, მინის, პარტის, სარდოლიკის მძივები და ბერძნული თითის შესანიშნავი კანთარასი, რომელიც თითის პირვანდელი სახით იყო შემორჩენილი. თვით ქვევრი, რომელიც სამარხის მოვალეობას ასრულებდა ბოლომდე იყო დაშლილი. ქვევრში დამარხვის წესი კი მესხური კულტურის წეს-ჩვეულებებთანაა დაკავშირებული, რომელიც ძვ.წ.III საუკუნიდან ვრცელდება კოლხეთში. მასალები მთლიანად იქნა აღწერილი და გადატანილი მუზეუმში, რომელიც მუზეუმის მშენებლობამდე იმყოფებოდა გამოფენაზე.

2017 წელს, ციხესულორის ნაციხარის დასავლეთ კალთის დაბოლოებაზე, ერთ-ერთმა მცხოვრებმა მ. ბარამიძემ იხილა ქათამი თავის ეზოში მიწას როგორ ქექავდა, ქათამი რომელსაც შეუმჩნევია ბრჭყვიალა ოქროს ნივთის ანარეკლი და ცდილობდა მის ამოღებას, ამ ამბის შემყურე მეპატრონე ნივთს მიუახლოვდა, რომლის ნაწილს ჯერ კიდევ მიწა ფარავდა, დარწმუნების შემდეგ დაიწყო მისი მიწისაგან ნელა განთავისუფლება, სიფრთხილე საჭირო იყო აღნიშნული ნივთის უსაფრთხოებისათის. ასე გვიამბობს მეპატრონე ნივთის აღმოჩენის სინამდვილეს ნივთისა, რომელიც, როგორც ჩანს, ძვ.წ.IV საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს, როგორც მთისძირში ნაპოვნი კისრის რკალია დათარიღებული. ნივთი შეძენისა და შესწავლის შემდეგ გამოეფინება ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციაში. ამ აღმოჩენის შემდეგ გავრცელდა გამონათქვამი – ვანში ქათმებიც არქეოლოგებად იბადებიანო...!

მინდა გავიხსენო ერთი ამბავიც, აქ მოსახლე ახვლედიანები ვანში შემთხვევით მოიპოვებდნენ ოქროს ნივთებს, ეს ამბავი საზოგადოებისთვის თანდათან ცნობილი ხდებოდა. ამის გამო ახვლედიანებს, სადაც ეხლა კარიბჭის არქიტექტურული ნაგებობაა, ძალიან ვიწრო გასასვლელთან, დაქირავებული პირი ვინმე შელია დაუყენებიათ. მას ევალებოდა უცხო პირი არ შეეშვა აღნიშნულ ტერიტორიაზე, რადგან აქ ბევრი დაინტერესებული ადამიანი ოქროს საძებნელად მოდიოდა. უფრო მეტიც, აქაური ახვლედიანების ქათმები და იხვები გაცილებით მეტად ფასობდა ბაზარზე, რადგან ხშირ შემთხვევაში ქათმები ზედაპირულად არსებულ ოქროს მძივებსა და ღილაკებს ყლაპავდნენ. მახსენდება ბენია მიქაძის (აწ.გარდაცვლილი) ნაამბობი – იხვები შედარებით კარგი გასაზრდელი იყო და ჩვენი ოჯახი ყოველწლიურად ვზრდიდით მას. მოგეხსენებათ, იხვები მდინარეს ეტანებიან. ხშირად, საქვაბიის ღელე, რომელიც ნაქალაქარს ჩამოუყვება სამხრეთ-აღმოსავლეთ მხრიდან, ჩემი იხვებისთვის დასამხარ ადგილს წარმოადგენდა. სტუმრის მოსვლისას კი შემწვარი იხვით კარგი გამასპინძლება შეიძლებოდა. ერთ დღეს, როდესაც ჩემმა მეუღლემ დაკლული იხვის გაკუჭვა დაიწყო, ალუმინის თეფშზე მეტალის დაცემის ხმა გაისმა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია. საოცრებაც ის იყო, რომ იხვს ოქროს დიდი მძივი გადაეყლაპა, რომელიც კუჭის არეში ჩარჩენოდა. აღნიშნული მძივი ორ გრამზე მეტს იწონიდა, მისივე თქმით ნივთი გაუყიდია, რომელიც მეცნიერებისათვის დაიკარგა. ასეთი შემთხვევის გამო ქათმები და იხვები ამ უბნიდან ძვირად იყიდებოდა, ხოლო

ახვლედიანები ქათმის ან იხვის დაკვლის შემთხვევაში კუჭსა და ნაწლავებს კარგად უსინჯავდნენ მოსალოდნელი შემთხვევის გამოსაყენებლად.

არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გახლდათ ვანის ნაქალაქარის გარშემო არსებული ნასახლარების გამოჩენა და მათი შესწავლა. ამის გამო, როგორც აღინიშნა, ხშირად ეწყობოდა გასვლითი ექსპედიციები ვანის რაიონის სოფლებში, ასეთი გახლდათ აგრეთვე სოფლების – მუქედისა და ტობანიერის ტერიტორიის დაზვერვის აუცილებლობა. ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის მიერ ეს საკითხი დაევალა მაშინ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებს ბატონ ბიჭიკო რამიშვილსა და ბატონ ომარ ლანჩავას, (დღეს პროფესორები) როგორც ვანელი, გზისა და ადგილის მაჩვენებელი მეც ამ სახელდახელო ექსპედიციაში აღმოვჩნდი. დაზვერვითი სამუშაოები ერთი კვირა მიმდინარეობდა დილის 7 საათიდან საღამოს 5 საათამდე მუქედისა და ტობანიერის გორაზე, იქ, სადაც უამრავი კერამიკული მასალა იქნა აღმოჩენილი, გაკეთდა სადაზვერვო ჭრილი, სადაც დადასტურდა კულტურული ფენები, აიკრიფა კოლხური კერამიკული მასალები, მათ შორის, ძალიან ბევრი იყო ბათქაში, რომელიც ადასტურებდა ხის წნული ნაგებობების არსებობას, იგი გარედან შელესილი უნდა ყოფილიყო თიხით, რაც მთავარია მუქედში დადასტურდა ქვიშა ქვის კარიერის არსებობა. ნაქალაქარზე აღმოჩენილი თლილი ქვის კედლების შემადგენლობა ზუსტად ემთხვევა მუქედის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ქვის ჯიშებს. ამავდროულად თვით მუქედში აღმოჩენილი არის ამავე ჯიშის ქვისაგან გათლილი სვეტის ბაზა, რომელიც ვანის მუზეუმშია დაცული.

საინტერესო ადგილს წარმოადგენს აგრეთვე ყუმურის ტერიტორია, სადაც დაზვერვების შედეგად, უამრავი არქეოლოგიური მასალაა მოკვლეული. უნდა აღინიშნოს, რომ ყუმურიდან მსხალთავაკის მიმართულებით სამიმოსვლო გზები მიედინებოდა მესხეთ-ჯავახეთისაკენ, რომელიც მთავარ სამიმოსვლო გზას უკავშირდებოდა. ასეთი სტრატეგიული გზის არსებობამ უამრავი ნასახლარები გააჩინა მის გასწვრივ.

მინდა შევეხო სოფელ ბზვანს. ბზვანიდან ზედა ბზვანში მიმავალ გზის მარცხენა ჭრილში, სადაც სასაფლაოს ტერიტორია იწყება, ნაპოვნია ელინისტური ხანის ქვევრის ნატეხები და თიხის ბათქაშები, რომელიც ძვ.წ.III-I საუკუნეებს მოიცავს, ხოლო ბზვანის გორაზე, რომელიც ბზვანის სკოლიდან მის აღმოსავლეთით მდებარეობს, სადაც პატარა ღელე მოუყვება ძირში, უამრავი ადრეფეოდალური ხანის საინტერესო მასალებია გამოვლენილი, ასევე ციხის ნანგრევი კედლებია შემორჩენილი, რომლის სიმაღლე მაშინ თითქმის 1-მეტრს შეადგენდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ელინისტური ხანიდან აქ ცხოვრების გაგრძელება დასტურდება

ასევე დიდძალი არქეოლოგიური მასალებითაა დახუნძლული გორა-ზეინდარი, უხუთი, საპრასია, ბაგინეთი და ბაბოთი. თუმცა, აქ არქეოლოგიური გათხრები ან რაიმე სამეცნიერო ჭრილი არ გაკეთებულა, საამისოდ კი თანხებია საჭირო, რომლის მოძიებაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

იმედი ვიქონიოთ ჩვენი ქვეყნის წინსვლა, მისი ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა, კიდევ უფრო მეტ დაინტერესებას გამოავლენს კულტურისა და მეცნიერების ინტენსიურად ასამოქმედებლად. საქართველო ხომ ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა გახლავთ, სადაც არგონავტებმა იმოგზაურეს, სადაც პირველად ველური ვაზი მოიშინაურეს და ხალხის სამასხურში ჩააყენეს, სადაც პირველად დაიწურა ღვინო, სადაც პირველად ჩამოისხა თამადის ქანდაკება, სადაც ყველაზე განსაკუთრებული და დახვეწილი სახის ოქრომჭედლობა და მეტალურგია განვითარდა. ქართული დამწერლობის ფესვები ხომ კიდევ დიდ სიამაყეს გვანიჭებს თითოეულ ქართველს, ესაა ჩვენი ქვეყანა, რომელიც ყველას იზიდავს მის გასაცნობად, თუ აქ მუდმივ დასამკვიდრებლად.

მაია ჭელიძე – ლინგვისტი

„მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?“

(ნაწილი მეორე)

გაგრძელება. დასაწყისი „მატიანე“№7

მოგახსენებთ, რომ სულ მცირე 4 000 წელია მოპარული ქრისტეს მოსვლამდე!

ნიშანდობლივია, რომ უდიდესი მეცნიერი, მკვლევარი რამაზ პატარიძე ნათლად ამბობს: იოანე ზოსიმე მოღვაწეობდა არა იმ პერიოდში, როგორც ჩვენ გვსმენია, არამედ, გაცილებით უფრო ადრე. ნუთუ იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება, რომელიც ქართულ ენას ოთხი დღის მკვდარ ლაზარეს ადარებს, დამთხვევაა?

4 000 მოპარული წელი რადიკალურად სხვაგვარად ალაგებს მსოფლიო კაცობრიობის ისტორიას. რაც ამ ტრიადამ მოგვცა, „ოქროს გასაღებია“. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შემდეგ ასეთი წიგნი აღარ დაწერილა. საინტერესოა ისიც, რომ წიგნი ქართულად, რუსულად, თურქულად და ინგლისურად დაიწერა. იგი ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს.

ბერძნები, ასირიელები, ეგვიპტელები ამტკიცებენ, რომ ქართველთა წარმომავლობა, ესაა შუმერული, ხეთური, სუბარული, პელაზგური, ლაზური, იბერიული... ინდო-ევროპიელი ბერძნების მიერ იქნა დაპყრობილი ის ტერიტორია, სადაც წინარე ქართველები, პელაზგები ცხოვრობდნენ და შემდგომ საბერძნეთი დაერქვა. მათ ველური ტომი იპყრობს და მისი კულტურის ბოლომდე მითვისება-მიტაცება ხდება. ასევე მოხდა ინდო-ევროპიელი რომაელების მიერ იმ ტერიტორიების დაპყრობა, სადაც წინარე ქართველები, ეტრუსკები სახლობდნენ და მას შემდეგ რომი დაერქვა – ეტრუსკებიც იგივე წინარე ქართული ტომები არიან, მაგრამ რომაელებმა თქვეს, რომ მათი კულტურა მთლიანად ეტრუსკების კულტურიდან გამომდინარეობს.

ევროპის ჩრდილოეთით, წინარე ქართველები ბასკების სახით იბერიის ნახევარკუნძულზე სახლობენ. უცნაური რამ მივიღეთ, არა?

უფრო აქეთ თუ წამოვალთ, საინტერესოა ხეთები. ხეთები და სუბარები წინარე ქართული ტომებია. ხეთებს ეგვიპტის ფარაონთან ბრძოლა აქვთ, ქრისტეს მოსვლამდე 1478 წელია და ხეთების მეფეა ხეტუშილ III რომელმაც ეგვიპტე დაიპყრო და დაპყრობილ ფარაონს ორთვლიანი საომარი ეტლი და ცხენი აჩუქა. ეგვიპტელები წერენ, რომ ცხენი და ეტლი ნანახი არ ჰქონდათ... საინტერესოა ისიც, რომ ასურული (ლურსმნული) დამწერლობით, მეფე ხეტუშილი ამბობდა სიტყვებს, რასაც დღეს ხშირად ვამბობთ: „ჩემმან მზემან“, „ვენახი მოვიყვანე“, „წყლის არხი გავიყვანე“ და სხვა. თუ სხვები დაპყრობისას წერდნენ „გადავწვი, გავანადგურე“, ქართულ ხასიათებში სხვა რამეს ვაწყდებით. ეს მცირე მაგალითებია, რის გამოც ისტორიის ეს ნაწილი დაგვიმალეს.

ქალდეველები ის ხალხია, ვინც პური და ღვინო მოიყვანა. სხვათაშორის, პურს ძველბერძნულად „პურეი“ ჰქვია... გადის 7-8 ათასი წელი, მოდის იესო და ამბობს: პური ხორცია და ღვინო სისხლია ჩემიო. ამას საკრალური და ეზოთერული დატვირთვა აქვს. უფალი ამბობს, ქართველი კაცის მიერ მოყვანილი პური და ღვინო სისხლი და ხორცია ჩემიო. გესმით, რას ვამბობ? – ამას დამალავდნენ, აბა, რას იზამდნენ?

ბერძნებს ლევან სანიკიძე „ისტორიაპარიებს“ უწოდებდა. ბერძნები მითოლოგიის დიდოსტატები არიან... პრომეთე, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოჰპარა, წამოიყვანეს და იალბუზზე მიაჯაჭვეს. კი, მაგრამ მათ მთა არ ჰქონდათ, ბატონო, აქეთ რომ არ წამოეყვანათ? ეს, რატომ, იცით? – ამირანია აქედან წაღებული. კარგად ვიცით, ქრისტეს მოსვლამდე 1300 წელს იაზონი რომ შემობრძანდა, პირველად მაშინ ნახეს შადრევანი ღვინისა, წყლისა და რძისა. მათ საოცარი კულტურა, შეუსწავლელი კოლხური ცივილიზაცია პირველად ნახეს...

უფალს ეროვნება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება – როდესაც უფალი ჯვარზე გააკრეს, მან ბოლო სიტყვებით მამას მიმართა: „ელი, ელი, ლამა საბაქათანი?“ (სულხან-საბას თუ ჩავხედავთ, ამობს „ელოი, ელოი“). ზოგმა ჩვენმა მეზობელმა, რადგან ქრისტემ „ელი“ თქვა, ჩათვალა, ქრისტე სომეხი იყოო. საქმე ისაა, რომ ეს არც სომხურ და არც ებრაულ ენაზე ნათქვამი არ არის. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მის ებრაულ წარმომავლობას ეს ფაქტი ნაცარს აყრის, არადა, ნამდვილად არ არის ებრაული ენა. მაშ, რა ენა არის? – ადამიანი, ფსიქოლოგიურად, ბოლო ამოსუნთქვისას მის ენაზე, დედა ენაზე საუბრობს. ეს ქალდეური ენაა. ხშირად, საუბარია არამეულ ენაზე. ამ ენას ვაჭრები და ხელოსნები იყენებდნენ და ძალიან ცდილობენ, ებრაელობასთან ახლოს იყოს, მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გამოდის ასე და გეტყვით, რატომ.

ძველ აღთქმაში, დანიელ წინასწარმეტყველთან, ნაბუქოდონოსორთან შეხვედრისას ვკითხულობთ, ქალდეველებმა არამეულ ენაზე უპასუხესო. ნეტარი ერონიმე სტრადონელი, რომელიც 380 წელს (ქრისტეს შემდეგ) მოღვაწეობდა, ამბობს, საფუძვლიანად შევისწავლე ებრაული და ქალდეური ენებიო, ე.ი ყოფილა განსხვავება? კიდევ ერთ რამეს დავუკვირდეთ, იოანე პეტრიწის მასწავლებლები, იტალოსი და დიადოხოსი იყვნენ. „თეოლოგიის მთავარი საფუძვლების“ ბოლოში ვკითხულობთ, ქალდეური, ელინური და ებრაელური ცივილიზაციების სიბრძნეთა საფუძვლებზე აღმოცენდა ახალი ქრისტიანული აზროვნებაო. ანუ, ქალდეური, ელინური და ებრაული სხვადასხვა ყოფილა, ხომ?

ქართველებმა ჩვენი უდიდესი კულტურა ვერ გავაცანით მსოფლიოს, „ფრომოუშენი“ არ გვივარგა, რაც სომხებს 5-იანზე აქვთ... და-ძმა უორდროპები რომ არა, მე-19 საუკუნემდე მსოფლიო კაცობრიობამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არა იცოდა რა.

დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს, მაგრამ იმავე სტროფში წერია „შენ, სიკეთეო ეგვიპტისაო“. წესით, ხომ უნდა თქვას „ისრაელისაო“, რატომ არ ამბობს? ამას ახლავე აგიხსნით – **<u>მსოფლიო კაცობრიობის ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე გვეუბნება, მთელი ეგვიპტის კულტურა კოლხეთის კულტურის გაგრძელებაა.</u>** კოლხებმა მეტი იციან ეგვიპტელებზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხეთზე. ჰეროდოტეს თუ დავუჯერებთ, მაშინ მსოფლიო ისტორია რადიკალურად იცვლება. სწორედ ეს მინიშნება აქვს დავით აღმაშენებელს, რომ მისი წარმომავლობა პროტოქართულია, უფალმა „ელოი, ელოი“ მის ენაზე, დედა ენაზე თქვა.

სომხური წყაროებიდან ვგებულობთ რომ ქალდეველების ეთნიკური ვინაობა აბსოლუტურად უეჭველია, ის ქართველი ხალხის ერთი ნაწილია. სომხები მოწმობენ, რომ ქალდეველი იგივე ჭანია, რომელმაც დღემდე შემოინახა თავი თურქეთში.

ახლა გეტყვით, რას ნიშნავს „ლამა“. სულხან-საბას მიხედვით – ვლამობ, ვაპირებ. ანუ ქრისტეს ნათქვამი ნიშნავს; „მამა, რატომ მიმატოვე, რატომ აპირებ ჩემს დატოვებასო“. სწორედ ამ სიტყვას ვაწყდებით სვანეთში, მე-19 საუკუნეში ერთ-ერთ დღესასწაულზე, მურყვამობაზე, სადაც სვანები თავიანთთვის გაუგებარ ენაზე ქალდეურ სიტყვებს ამბობენ. კერძოდ, „ელი ტელიფია (ხეთების ნაყოფიერების ღმერთი) იოხ, იოხ!“ ანუ ეხვეწებიან, მეოხ-გვყავიო. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ სვანეთში არის სოფელი ქალდეა, ციხე ქალდეა, გვარი – ქალდანი. მთელი თურქეთის ტერიტორიაზე თავიდან ბოლომდე სახლობენ ზანები, ჭანები, ლაზები...

ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველს ვაწყდებით, რომელიც ქალდეველია. ნაბუქოდონოსორის დროს ძალიან საინტერესო რამ ხდება – კედელზე გამოისახება წარწერა, მარჯვენა მტევანი წერს და მერე ქრება. ეს საოცარი ამბავია. მეფე პანიკაში ჩავარდა. იქ იყვნენ ებრაელებიც, ასურელებიც, მაგრამ წარწერა ვერავინ წაიკითხა გარდა ქალდეველისა. იქ ეწერა, შენი მეფობა მალე დამთავრდებაო. მართლაც, იმავე ღამეს მეფე ქალდეველებმა მოკლეს...

უფრო წინ თუ გადავინაცვლებთ – ნაბუქოდონოსორი თავის ხალხს ეუბნება, ქალდეველთა სწავლებანი, მეცნიერებანი, ენა უნდა შევისწავლოთ, ეს სხვანაირი ხალხიაო. აქვე ვიტყვი – სხვათაშორის, იესოს დაბადება მოგვებმა, ოღონდ ქალდეველმა მოგვებმა იწინასწარმეტყველეს. დანიელ წინასწარმეტყველი მე-3 თავში ამბობს: „მაშინ მაწევარმა ომახიანად დაიძახა: ხალხო, ტომნო და ენანო, თქვენ კერპთაყვანისმცემლობის პატივისცემა გებრძანათ. ამ დროს იყო რომ მოდგა ზოგიერთი ქალდეველი და იუდეველებს დაუწყეს ბრალის დადება“. გამოდის, რომ ქალდეველი და იუდეველი სხვადასხვაა.

თავი II – ქალდეველებმა მეფეს არამეულად უთხრეს.

თავი XIII – სუსანას სასამართლოზე ღმერთმა დანიელის სული გააღვიძა, რომელიც ქალდეურ ენაზე იყვირებს სიტყვას, რომელსაც ვერავინ გაიგებს.

კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა გითხრათ – დანიელ წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა, მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩებაო. იოანე ზოსიმე კი გვეუბნება, რომ მხოლოდ ამ ენით გაცხადდება მეორედ მოსვლა, მოსვლა ძე ღვთისაო. გვატყუებს ვითომ იოანე ზოსიმე? აქვე კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ იკვეთება – ეს ამბავი სინას მთაზე მოხდა, სწორედ იქ, სადაც მოსეს უფლის მიერ 10 მცნება მიეცა. დარწმუნებული ვარ, იოანე ზოსიმესთვის იმის თქმა, რომ ქართულ ენაზე გამოცხადდება მეორედ მოსვლა, ესეც უცილობლად უფლის ნათქვამია და არა ზოსიმეს მოგონილი. აქვე ერთ რამესაც გეტყვით – სინას მთიდან საგალობელის ჩამოტანით ქართველმა ერმა და მისმა მისიამ ერთმანეთი იპოვეს. ქრისტიანობის მსოფლიო ბედისწერაში ქართულ ენას ერის მისია ჰქვია.

ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს დამახასიათებელ შემდეგ განსაზღვრებას ვხვდებით – „ახალი ნინო“, – ამბობს იოანე ზოსიმე, რაც უშვებს „ძველი ნინოს“ არსებობას. რას ნიშნავს ეს?

აკადემიურ მეცნიერებაში სიტყვა „ნინო-ს“ ფუძე „ნინ“ ფონეტიკური სახესხვაობაა„ნენ“ და „ნან-ის“. ქრისტეს მოსვლამდე, ბერძნები კოლხეთში შემოდიან და საოცარ ძეგლს ხედავენ – ქალი ზის, ფერხთით ლომებია გართხმული, ხელთ კი კომბალი უკავია. ბერძნები ზევსის დედას მიამსგავსებენ. ეს ღვთისმშობელი იყო. რა თქმა უნდა, მარიამი არ ჰყავდათ მხედველობაში, რადგან ამ დროს ჯერ არ არსებობდა. სიტყვა „ღვთისმშობელი“ სახელ „მარიამამდე“ ადრინდელია. ფესტოს დისკოზე ნენ-ნანას საგალობელი წერია, ანუ „ახალი ნინო“ „ძველი ნინოს“ მოსახელეა...

საინტერესო ამბებს ვაწყდებით „გილგამეშიანშიც“. ის 1500 წლით ადრეა დაწერილი ვიდრე „ძველი აღთქმა“. საოცარ ამბებს ვაწყდებით – დედა ღმერთს, ღვთისმშობელს ერქვა (ნინ)-ხასარგ; მეორეს – (ნინ)-ტუმ, მესამეს – ინ-(ნანა). ეს დამთხვევებია?

ღვთისმშობლის მიძინება დღევანდელი თურქეთის, ყოფილი კოლხეთის ტერიტორიაზე, გნებავთ, შემდგომ ტრაბზონის იმპერიის, იზმირიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე მოხდა – ბევრმა არ იცის, რომ ეს ისრაელში არ მომხდარა. ესეც ერთგვარი მინიშნებაა. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ეს ტერიტორია წინარე ქართულია, მერე მოდიან ძველბერძნები, ინდოევროპელები. ჩვენ, ქართველები, იაფეტური მოდგმის ხალხი ვართ...

ებრაელი ღმერთი, იაჰვე, თავის ხალხს ქალდეურად ლოცვისკენ მოუწოდებდა... ახლა ყველაზე მთავარს გეტყვით, საიდანაც ძალიან დიდ ამბავს ვაწყდებით – ეს რომ წავიკითხე, გავვოგნდი! „თალმუდში“ წერია, თუ ებრაელს სურს რამე სთხოვოს ღმერთს ანგელოზებისგან საიდუმლოდ, ქალდეურად უნდა ილოცოსო. ამას ამბობს იაჰვე, ღმერთი ებრაელთა, რადგან მხოლოდ ეს ენა იცის მან. ეს უპირატესობაა, რომელიც ქალდეველებსა და ქალდეურ ენას ენიჭება. „თალმუდში“, ბოროტის შექმნა და გაყოფა სულად, ფორმად და სხეულად, თავიდან ბოლომდე ძველი ქალდეველებისგანაა ნასესხები, რა ვქნათ, ეს არ ვთქვათ?“

ვისაც მიზეზთა გამო რაიმეს დაჯერება არ სურს, მისი ნებაა...

საინტერესოა რონ უაიტის მიერ ჩატარებული სისხლის ანალიზის შედეგი და მისივე მოკლე განმარტება, რომელიც აბსულუტურად ხელმისაწვდომია ინტერნეტმომხმარებლისთვის ძიებით „ქრისტეს სისხლში მხოლოდ დედის ქრომოსომებია“.

რონ უაიტი (ტექსტის თარგმანი): – „მშრალი სისხლი მკვდარი სისხლია, ეს ყველამ იცის, ხომ ასეა? შეიძლება, ჩავატაროთ ფარაონთა და მათი მუმიების სისხლის ანალიზები, შეიძლება სხვადასხვა რამის გაკეთება, მაგრამ შეუძლებელია ქრომოსომებზე ანალიზის ჩატარება იმ მეთოდებით, რაც ჩემთვის ცნობილია.

რასაკვირველია, ვერ დავიჩემებ, რომ ყველაფერი ვიცი – სამყარო ხომ ვითარდება, მაგრამ მე ვიცი, რომ მკვდარ სისხლზე ქრომოსომული ანალიზის ჩატარება შეუძლებელია. შეიძლება დნმ-ის აღება, მაგრამ არა ქრომოსომების რაოდენობის დაზუსტება – ეს მხოლოდ ცოცხალი, სისხლის თეთრ უჯრედებზე კეთდება. ასე რომ, ამ ანალიზის ჩასატარებლად მე მივიტანე ეს სისხლი ისრაელის ერთ-ერთ ლაბორატორიაში, რადგან მანამდე გავიკითხე და მითხრეს, რომ სწორედ ეს ლაბორატორია იყო კარგი და სანდო.

მე ვუთხარი მათ: „გთხოვთ ჩაატარეთ ამ სისხლის ანალიზი და მითხარით მასზე ყველაფერი, რის თქმასაც შეძლებთ.“ მათ მიპასუხეს: „კარგით, ჩვენ მას აღვადგენთ, მარილის წყალში ჩავდებთ 72 საათის განმავლობაში, სხეულის ტემპერატურით, ცოტა ხანს მოვურევთ.“ ეს ჩვეულებრივი პროცედურაა. მე მათ ვთხოვე, დავსწრებოდი ანალიზის ჩატარების პროცესს, რაზეც დამთანხმდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მათ მითხრეს: „ეს ადამიანის სისხლია. ყველანაირი ანალიზი ჩავატარეთ და დავადგინეთ.“ მე ვთხოვე, აეღოთ სისხლის თეთრი უჯრედები, ემყოფებინათ ისინი გაზრდისთვის ხელსაყრელ გარემოში სხეულის ტემპერატურის მიხედვით 48 საათის განმავლობაში. მათ მე მითხრეს, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, რადგან სისხლი მკვდარი იყო. მე მათ ვთხოვე, გაეკეთებინათ ეს ჩემთვის და დამთანხმდნენ. კვლავ ვთხოვე დასწრება და დავრჩი იქ იმ დროს, როცა ამ სისხლის ხელახალი შესწავლა დაიწყეს. ვნახე, როგორ ათვალიერებდნენ მიკროსკოპის ქვეშ. უცებ, ერთმა თანამშრომელმა მეორეს დაუძახა, მერე უფროსს დაუძახეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ივრითზე საუბრობდნენ, მერე კი მე შემომხედეს და მითხრეს: „მისტერ უაიტ, ამ სისხლში მხოლოდ 24 ქრომოსომაა!“

ყოველ ჩვენგანს აქვს 46 ქრომოსომა, 23 დედისგან და 23 მამისგან. მათგან 22 აუტოსომა დედისგან და 22 – მამისგან, პლუს X ქრომოსომა დედისგან და ♀ ქრომოსომა მამისგან. ამ სისხლში კი იყო 23 ქრომოსომა დედისგან და მხოლოდ ერთი ♀ ქრომოსომა. ბავშვი ვერ შეძლებს განვითარებას თუ არ ექნება აუტოსომები დედისგან. მისი ყველა ფიზიკური მახასიათებელი მხოლოდ დედის მხრიდან განისაზღვრებოდა, დედის აუტოსომებით, მამრობითი სქესი კი ერთი ♀ ქრომოსომით განისაზღვრებოდა, რომელიც არ იყო ადამიანისგან მიღებული.

შემდეგ მათ თქვეს: „ეს სისხლი ცოცხალია“ და მკითხეს: „ვისია ეს სისხლი?“

მე კი ვუპასუხე: „ეს თქვენი მესიის სისხლია...“ მე დარწმუნებული ვარ, მათი ცხოვრება შეიცვალა...

აღსდგა კი იესო ქრისტე მკვდრეთით?

ერთი შეხედვით, თითქოს, ერთგვარად გვერდზე ვუხვევთ მთავარი სათქმელიდან, მაგრამ გონიერი მკითხველი ნამდვილად არ იფიქრებს ასე, რადგან ყველა საკითხი ერთმანეთზე მძივივითაა აცმული და რაც მეტად ჩავეძიებით, იქნებ მეტი რამ გავიგოთ?

წარმოგიდგენთ აკადემიკოს ალექსანდრე ივანეს ძე ბელეცკის (1884-1961) წერილს როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წერილს. იგი ხელმძღვანელობდა უძველესი ენებისა და კულტურის განყოფილებას უკრაინის მეცნიერებათა აკადემიაში და გახლავთ ავტორი შესანიშნავი წერილისა „ზოგიერთი შენიშვნა უკანასკნელი წლების ათეისტური ლიტერატურის გამო“, რომელსაც აქვე გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით (თარგმანი ვასილ ბურკაძისა).

უკრაინის კომპარტიის ცკ-ის დავალებით მე განვიხილე ანტირელიგიური პროპაგანდის შემცველი წიგნები, ბროშურები და წერილები. მთლიანობაში: 18 წიგნი, 41 ბოშურა და 62 საგაზეთო წერილი. ამასთანავე, მე დაჟინებით მომთხოვეს მთელის სიცხადითა და გადამჭრელობით გამომეთქვა ჩემი მსჯავრი ჩვენი ანტირელიგიური ლიტერატურის შესახებ. უნდა ვაღიარო, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ანტირელიგიური შრომის ყურადღებით გაცნობამ მე შემდეგ დასკვნებამდე მიმიყვანა: 1. ეს ლიტერატურა, პირველ ყოვლისა, გვაოცებს თავისი დაუჯერე-

ბელი წარმოჩენილობით. აქ, შეიძლება, ნახო ბევრი ისეთი დებულება, რომელიც 100-150 წლის წინათ გამოითქვა მეცნიერებაში და მას შემდეგ უკვე დიდი ხანია უარყოფილია 2. ბევრ შემთხვევაში საქმე გაცილებით უარესადაა, რადგან ვხვდებით ფაქტების უამრავ ძალზე უხეშ დამახინჯებას და სრულიად აშკარა გამონაგონს 3. ბევრი ანტირელიგიური ნაწარმოების ავტორი თავზარდამცემ უმეცრებას ამჟღავნებს, ხშირად, ელემენტარულ საკითხებშიც კი! ეს, კერძოდ, იმით აიხსნება, რომ ანტირელიგიურ თემაზე მწერალ აურაცხელ ადამიანს შორის ერთიც კი არ არის არათუ გამოჩენილი, უბრალოდ, რიგითი მეცნიერიც კი!

როგორც ვთქვი, მე მოვიხილე 120-ზე მეტი ათეისტური პროპაგანდის შემცველი წიგნი და წერილი. მიუხედავად ლიტერატურის ასეთი სიმრავლისა, მის მიმართ წარმოშობილი შენიშვნები შეიძლება გაუჭირვებლად დავიყვანოთ რამდენიმე პუნქტამდე, რადგან ამ ბროშურებისა და წერილების უდიდესი უმრავლესობა კეთილსინდისიერად იმეორებს ერთმანეთს...

თავს ნებას მივცემ, ჩემი ძირითადი შენიშვნები შემდეგი სახით დავაჯგუფო:

აღსდგა თუ არა მკვდრეთით იესო ქრისტე?

ეს მთელი რელიგიის, მთელი ფილოსოფიის, ყველა იმ მეცნიერების ძირითადი საკითხია, რომლებიც კაცობრივ მსოფლმხედველობებს შეეხება, რამეთუ მკვდრეთით აღდგომა მხოლოდ ღმერთს შეეძლო. მაშასადამე, საკითხი მკვდრეთით აღდგომის შესახებ, არის საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ღმერთი. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ ანტირელიგიური ლიტერატურის თითქმის ყველა ნაწარმოები ეფუძნება საკითხს მკვდრეთით აღდგომის შესახებ და ყველა ისინი, როგორც ვიცით, ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს სცემენ. ისინი, ალბათ, ვერცკი წარმოიდგენდნენ, რომ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის შემდეგ (მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი), ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა ფრიდრიხ ენგელსმაც კი აღიარა. თავისი თხზულების ხელახალი გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერს: „უახლესი კაპადოკიური აღმოჩენები გვაიძულებენ შევიცვალოთ შეხედულება მსოფლიო ისტორიის ზოგიერთ მცირერიცხოვან, მაგრამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე და იმან, რასაც ადრე მხოლოდ მითოლოგების ყურადღების ღირსად გვეჩვენებოდა, ამიერიდან ისტორიკოსების ყურადღება უნდა მიიპყროს. ახალი დოკუმენტები, რომლებიც იმორჩილებენ სკეპტიკოსებს თავიანთი დამაჯერებლობით, ღაღადებენ ისტორიის სასწაულთაგან უდიდესი სასწაულის სასარგებლოდ – სიცოცხლედ მობრუნების შესახებ იმისა, ვისაც ის გოლგოთაზე წაართვეს.“

ენგელსის ეს სიტყვები უცნობი რჩებოდა ჩვენში იმიტომ, რომ ისინი არასოდეს არ უთარგმნიათ რუსულ ენაზე მარქსისა და ენგელსის გამოცემებში. კაპადოკიურ აღმოჩენებს, რომლებმაც თვით ენგელსი დაარწმუნეს, მოჰყვა მთელი რიგი სხვა აღმოჩენებისა, ამასთან, მათზე არანაკლებ, არამედ, უფრო მეტად მნიშვნელოვანთა – ამათზეც ქვემოთ ვიტყვი.

ახლა კი მივუბრუნდეთ საბჭოთა ათეისტურ ლიტერატურას. რელიგიის მოწინააღმდეგეთა, კერძოდ, მკვდრეთით აღდგომის უარმყოფელთა საფუძველთ საფუძველი არის, როგორც ისინი გვარწმუნებენ, სიცრუე ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამომსვლელი ავტორი, ვინმე დულუმანი აცხადებს: – „იმ დროს, როცა საეკლესიო სწავლებით, დედამიწაზე იესო ქრისტეს უნდა ეარსება, ბევრი მეცნიერი და მწერალი ცხოვრობდა: იოსებ ფლავიოსი, ოსტინე ტიბერიადელი, პლექსიტუსი, სენეკა და სხვები, მაგრამ არც ერთ მათგანს სიტყვაც არ აქვს ნათქვამი ქრისტეზე.“

ეს ციტატა იმიტომ კი არ მოვიყვანე, რომ ამ დულუმანს აღნიშნული საკითხის ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარად ვთვლი, არამედ იმიტომ, რომ ზუსტად იგივეს იმეორებს ჩვენი ყველა ათეისტი. მართალია, ზოგან მცირედი ვარიაციებიც გვხვდება (მაგალითად, დულუმანის ჩამონათვალს უმატებენ კიდევ ლიბერიუს სუმიუსს, ტაციტუსს და ბალანდიუსს), მაგრამ ამით ამოიწურება ძველი დროის მწერალთა ჩამონათვალი, რომლებიც, ჩვენი ათეისტების მტკიცებით, იმ პერიოდში ცხოვრობდნენ და არაფერი დაუწერიათ ქრისტეს შესახებ.

აქ ჭეშმარიტებას მხოლოდ ერთი რამ შეესატყვისება – ქრისტეზე მართლაც არ წერდნენ არც ოსტინე ტიბერიადელი, არც ლიბერუს სემიუსი და არც ბალანდიუსი, მაგრამ არ წერდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ,,ძველი დროის მწერლები“ (როგორც მათ ანტირელიგიური

ლიტერატურა უწოდებს) ბუნებაში არასოდეს არსებულან! არანაირი ლიბერიუს სემიუსი არ არსებულა არც ძველ დროში და არც გვიანდელ პერიოდში, არსებობდა ლავრენტიუს სურიუსი, მაგრამ ის ქრისტეს დროს არ ცხოვრობდა, არამედ, ზუსტად 10 საუკუნის შემდეგ.

კიდევ უფრო დიდი გაუგებრობაა ,,ძველი დროის მწერალ" ბალანდიოსთან დაკავშირებით – არც იგი არსებულა როდესმე. იყო მონაზონი ბოლანი, მაგრამ ის 1 500 წლით გვიან ცხოვრობდა ქრისტეს შემდგომ, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თავისი თანადროული მოვლენების აღწერისას არ შეხებოდა ქრისტეს აღდგომას.

აგრეთვე მოგონილია ოსტინ ტიბერიადელი. ლიტერატურაში ცნობილია „ოსია მტკიცე", რომელიც პალესტინის მოვლენების დროს ცხოვრობდა, მაგრამ იგი მწერალი კი არა, ლიტერატურული პერსონაჟია – ძველი ბიზანტიური თქმულების გმირი.

ამრიგად, ეს „ძველი დროის მწერლები" ანგარიშში ჩასათვლელი არ არიან, მაგრამ მათ გარდა ჩვენი ათეისტები ახსენებენ იოსებ ფლავიუსს, პლინიუს უფროსს, ტაციტუსს. მათაც, როგორც ათეისტები ამბობენ, არანაირი მოწმობა არ დაუტოვებიათ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ.

დავიწყოთ იოსებ ფლავიოსით – როგორც ცნობილია, იგი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ისტორიული მოწმეა, თავისი ცხოვრების დროით, შეიძლებოდა სახარებაში აღწერილი მოვლენების კურსში ყოფილიყო. ფლავიოსი არ იყო იესო ქრისტეს მიმდევარი, ამიტომ არ გვაქვს საფუძველი მისგან რაიმე ისეთ გაზვიადებას ველოდოთ, რაც ქრისტიანობისთვის იქნება სასარგებლო. მაშ, მართლაც არაფერს ამბობს ფლავიოსი იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ? ვინც ამას აცხადებს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, თუნდაც ცალი თვალით ჩაიხედოს მისი თხზულებების ფრაგმენტების კრებულში. იქ შავით თეთრზე წერია: – „ამ დროს აღმატებული იყო იესო, მაღალი სიბრძნის კაცი, თუკი შეიძლება მას ადამიანი ვუწოდოთ, სასწაულებრივ საქმეთა აღმასრულებელი. როცა ჩვენში უპირატესთა დასმენით პილატემ ჯვარს აცვა იგი, ისინი დაბრკოლდნენ, რომელთაც პირველად შეიყვარეს იგი. მესამე დღეს იგი კვლავ გამოეცხადათ მათ ცოცხალი."

მაშ, როგორ შევუთავსოთ ამას ის განცხადებანი და მტკიცებანი, რომ იოსებ ფლავიოსი თითქოს სრულიად არ ახსენებს ქრისტეს?

ასი წლის წინათ ფლავიოსის ეს მოწმობა დააყენეს ეჭვქვეშ. საქმე შემდეგში იყო – თავიდან ცნობილი იყო ფლავიოსის ხელნაწერის მხოლოდ ორი ვარიანტი. ერთში სიტყვები „მესამე დღეს იგი გამოეცხადა მათ ცოცხალი" – იყო, მეორეში – არა. ამის საფუძველზე ბაუერმა, შემდეგ მისმა მიმდევრებმა გადაწყვიტეს, რომ პირველ ვარიანტში ეს სიტყვები, ალბათ, უბრალოდ მოგვიანებით იქნა ჩამატებული ქრისტიანთა მიერ. ასე წარმოიშვა ლეგენდა ინტერპოლაციის შესახებ იოსებ ფლავიოსთან, მაგრამ მოგვიანებით ნაპოვნი იქნა კიდევ სამი ვარიანტი და ამ გვიანდელმა აღმოჩენებმა სრულიად სხვა დასკვნამდე მიგვიყვანეს. განსხვავება პირველსა და მეორე ვარიანტს შორის აიხსნება არა გვიანდელი ჩანამატით, მინაწერით პირველ ვარიანტში, არამედ გვერდების ნაწილის დაკარგვით მეორე ვარიანტში, რომელშიც არ აღმოჩნდა მთელი ორი თავი, რაც ცხადი გახდა მოგვიანებით ნაპოვნი სამი ვარიანტიდან. მათში ფლავიოსის სტრიქონები იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ, სამივეშია.

ბერძენი გარმიზიოსი

ბერძენ გარმიზიოსს იუდეის მემატიანის ოფიციალური თანამდებობა ეკავა პონტოელი პილატეს დროს. მისი ცნობები ორი მიზეზის გამო იმსახურებენ ყურადღებას: პირველი — ისინი შეიცავენ ცნობებს იუდეის ისტორიის შესახებ; მეორე – გარმიზიოსი მკვეთრად გამოირჩევა თავისი გადმოცემის მანერით.

გარმიზიოსის მოწმობები იმითაცაა ღირებული, რომ იესო ქრისტეს აღდგომის დღიდან იგი იმ ადგილთან ახლოს იმყოფებოდა, თან ახლდა რა პილატეს ერთ-ერთ თანაშემწეს. აღსანიშნავია ისიც, რომ გარმიზიოსი ძალზე უარყოფითად იყო განწყობილი ქრისტეს მიმართ და როგორც თვითონ ამბობს, არწმუნებდა პილატეს ცოლს, რომ არ შეეკავებინა ქმარი იესოსთვის

სიკვდილის განაჩენის გამოტანისგან. თვით ჯვარცმამდე, გარმიზიოსი მას მატყუარად თვლიდა, ამიტომ, შაბათ ღამით, კვირის დადგომისას, საკუთარი ინიციატივით გაემართა უფლის საფლავისკენ, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო რომ მისი ჩვენებები ცრუ იყო; რომ მომკვდარი არასდროს აღდგება მკვდრეთით, მაგრამ საქმე სრულიად სხვაგვარად გამოვიდა.

გარმიზიოსი წერს: „მივუახლოვდით რა საფლავს ასორმოცდაათიოდე ნაბიჯზე, ჩვენ რიჟრაჟის სუსტ სინათლეში დავინახეთ საფლავთან მყოფი მცველები – ორი კაცი იჯდა, დანარჩენები კი მიწაზე იწვნენ. დიდი სიჩუმე იდგა. ჩვენ ნელა მივდიოდით და მალე საფლავისკენ მიმავალმა მცველებმა გადაგვისწრეს, რომელთაც უნდა შეეცვალათ იქ მყოფნი. ანაზდად ძალზე განათდა. ჩვენ არ შეგვეძლო გაგება საიდან იყო ეს ნათელი. შორს დავინახეთ რომ იგი მომდინარეობდა მოძრავი მბრწყინავი ღრუბლისგან. იგი საფლავისკენ დაეშვა და ჰაერში, მიწის ზემოთ, ადამიანი გამოჩნდა, თითქოსდა სანთლისგან შემდგარი. შემდეგ ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა, ოღონდ ცაში კი არა, არამედ მიწაზე. შეშინებული მცველები ზე წამოცვივდნენ და მაშინვე მიწაზე დაემხვნენ. ამ დროს საფლავისკენ, ჩვენგან მარჯვნივ, ბილიკზე ქალი მიდიოდა რომელმაც უცებ ყვირილი დაიწყო: „გაიხსნა! გაიხსნა!“ და ახლა უკვე ჩვენც დავინახეთ, რომ მართლაც, მღვიმის შესასვლელზე აფარებული ვეება ლოდი, თითქოსდა თავისით გადაიხარა და საფლავის მღვიმეში შესასვლელი გაიხსნა. ჩვენ ძალზე შეგვეშინდა. მერმე, გარკვეული ხნის შემდეგ სინათლე საფლავის თავზე გაქრა და ყველაფერი ისეთივე გახდა როგორიც ჩვეულებრივ იყო. როცა ჩვენ ყოველივე ამის შემდეგ აკლდამას (საფლავს) მივუახლოვდით, აღმოჩნდა, რომ მასში აღარ იყო იქ დაკრძალული ადამიანის სხეული.“

გარმიზიოსის ჩვენებები კიდევ ერთის მხრივ არის საინტერესო – იგი წერს, რომ იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯამდე მცირე ხნით ადრე იუდეაში მოიჭრა მონეტა კეისრის (ტიბერიოსი) დიდი გამოსახულებით ერთ მხარეზე და პილატეს მცირე გამოსახულებით მეორე მხარეზე.

იესო ქრისტეს გასამართლების დღეს, როცა პილატეს ცოლმა მსახურები გაგზავნა ქმართან, როგორც ეს სახარებაშია ნათქვამი, რომელთა მეშვეობით არწმუნებდა ქმარს, არ გამოეტანა ქრისტესთვის სასიკვდილო განაჩენი, თავის ბოლო წერილში იგი ეკითხებოდა ქმარს: რით გამოისყიდი დანაშაულს თუკი შენს მიერ განსჯილი მართლაც ღმერთის ძეა და არა ბოროტმოქმედი?

პილატემ ასე უპასუხა: „თუ ის ღმერთის ძეა, მართლაც აღდგება მკვდრეთით და მაშინ მე ავკრძალავ ჩემი გამოსახულების გაკეთებას მონეტებზე“. უნდა აღინიშნოს, რომ მონეტაზე გამოსახულების გაკეთება უდიდესი პატივი იყო გამოსახული პიროვნებისთვის.

... და პილატემ საკუთარი დაპირება შეასრულა, მან აკრძალა თავისი გამოსახულების აღბეჭდვა იუდეაში მოჭრილ მონეტებზე...

გარმაზიოსის ეს ცნობა დასტურდება იმ დროის ნივთიერი მტკიცებულებებით – რომაულ ნუმიზმატიკაში ცნობილია, რომ იერუსალიმში იმ დროიდან მონეტებს ჭრიდნენ მხოლოდ კეისრის გამოსახულებით...

ეიშუ სირიელის მოწმობა

სირიელი ეიშუ, ცნობილი მკურნალი, პილატესთან დაახლოებული და მისი მკურნალი, იმ დროის გამოჩენილი მედიკოსი იყო – ნატურალისტი, სახელგანთქმული აღმოსავლეთშიც და რომშიც. მან დატოვა ნაწარმოები, რომელმაც მთელი ეპოქა შეადგინა მეცნიერებაში, მხოლოდ ნაკლებად ცნობილმა ენამ შეუშალა ხელი მას, რომ სიცოცხლეშივე ყოფილიყო აღიარებული.

პილატეს დავალებით, შაბათ დღეს მან ორჯერ დაათვალიერა უფლის საფლავი და ისურვა თავის თანაშემწეებთან (ასევე მედიკოსებთან) ერთად ღამეც იქ გაეტარებინა.

ეიშუ წერს: „ჩვენ, ყველანი, მკურნალნიც და საფლავის მცველებიც, ჯანმრთელნი, მხნედ ვიყავით და არანაირი წინათგრძნობა არ გვქონდა. ამასთან, რა თქმა უნდა, სრულიად არ

გვჯეროდა რომ მკვდარი ადამიანი შეიძლება აღდგეს, მაგრამ იგი მართლაც აღდგა და ჩვენ ეს საკუთარი თვალით ვიხილეთ.“ და შემდეგ იგი აღწერს მოვლენას ისევე, როგორც სხვები.

ზოგადად, ეიშუ სკეპტიკოსი იყო. თავის შრომებში იგი გამუდმებით იმეორებდა გამოთქმას, რომელიც შემდგომში მოარულ ანდაზად იქცა აღმოსავლეთში ,,რაც მე თავად არ მინახავს, იმას ზღაპრად ვთვლი.“

ნიშანდობლივია, რომ ქრისტეს აღდგომის დამოწმებისთვის ჩვენ იმ დროის ებრაელ მწერლებთანაც ვპოულობთ მონაცემებს, თუმცა სავსებით გასაგებია, რომ ის ებრაელები, რომლებიც ქრისტიანები არ გახდნენ, უფრო მიაჩუმათებდნენ მისი მკვდრეთით აღდგომის ფაქტს, ვიდრე დაწერდნენ. მიუხედავად ამისა, იმ დროის დიდ ებრაელ ავტორებთან ჩვენ ვხვდებით ისეთებსაც, რომლებიც პირდაპირ წერდნენ ამ ფაქტის შესახებ. ესენი არიან: ქრისტე გალილეველი, მესოპოტამიელი, შაბრუნი-მამა, ფერნანდო სარეპტიდან, ნავინ ანტიოქიელი, მაფერკანტ იერუსალიმელი.

ებრაელ მაფერკანტის მოწმობა

მაფერკანტის სახელთან დაკავშირებულია ერთი ანეკდოტური ეპიზოდი რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ანტირელიგიურ ლიტერატურაში.

მაფერკანტი სინედრიონის (ებრაელთა მთავრობის) ერთ-ერთი წევრი იყო და მონაწილეობდა იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯაში, იგი ხაზინადარი იყო. სწორედ მისი ხელიდან მიიღო იუდამ ფული გამცემლობისთვის, მაგრამ როცა იესო ქრისტეს აღდგომის შემდეგ იუდეველთა შორის განგაში ატყდა, მაფერკანტი სინედრიონის წევრთაგან პირველი მივიდა მოვლენების ადგილზე საქმის გამოსაძიებლად და დარწმუნდა, რომ მკვდრეთით აღდგომა ნამდვილად მოხდა. ეს, ყოველივე აღწერილია მის მიერ თხზულებაში „პალესტინის მმართველთათვის“, რომელიც აღიარებულია ერთ-ერთ ღირებულ და უტყუარ წყაროდ პალესტინის ისტორიისთვის.

რომის ისტორიული ლიტერატურის უდიდესი მკვლევარის, აკადემიკოს ი. ვ ნეტუშილის (1850-1928 წწ) გამოთვლით. მთლიანობაში, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ სავსებით საიმედო მოწმობების რაოდენობა ორას ათს აღემატება, ჩვენი გამოთვლით კი, ეს რიცხვი უფრო დიდია, 230-ს აღემატება, რადგან ნეტუშილის მონაცემებს უნდა დავუმატოთ ის ისტორიული ძეგლები, რომლებიც მისი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ იქნა აღმოჩენილი.

სადუკეველთა უღელი

ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ებრაელი ერი ორი ძირითადი, ერთმანეთთან მტრული კასტის, ორი შეურიგებელი იუდაური სექტის – ფარისევლებისა და სადუკეველების უძლიერესი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რომელთა შორისაც დღემდე გრძელდება კონკურენცია.

დღეს, როცა უკვე შორს აღარ არის ანტიქრისტეს გამეფება (რომელსაც ისინი თავიანთ „მესიად“ მიიჩნევენ) ქრისტესაგან და მისი ეკლესიისაგან განდგომილ მთელ კაცობრიობაზე, მსოფლიო ამ ორ, ძალაუფლებას მოწყურებულ სექტას აქვს დაპყრობილი და განაწილებული.

იესო ქრისტეს არა ერთგზის გაუფრთხილებია თავისი მიმდევრები მათში ამ ღვთის საწინააღმდეგო და დამღუპველი სწავლებების დანერგვის საშიშროებაზე: „ჰრქუა მან კრძალვად... მოძღურებისაგან ფარისეველთაისა და სადუკეველთაისა“ (მათე 16,12) ახლა კი, მეორედ მოსვლის წინ, ჩვენ ვხედავთ ფარისეველთა უღელს დასავლეთში და სადუკეველთა უღელს – აღმოსავლეთში.

სადუკევლური – სახარების ტერმინოლოგიით, ანუ ათეისტური ცრუმეცნიერულით, უღმერთო ძალაუფლება რუსეთში ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე იყო ნაწინასწარმეტყველევი ღმერთის მრავალი სათნომყოფელის მიერ. მაგალითად, ბერმონაზონმა აბელ ვასილიევმა იმპერატორ პავლე I-ს გამოუცხადა დინასტიისა და მისი მეფობის ბედ-იღბალი ქვეყნის დასასრულამდე და უთხრა: „ხოლო რუსეთის სახელმწიფო ბედ-იღბალზე მე ლოცვაში მქონდა გამოცხადე-

ბული სამი სასტიკი უღლის შესახებ: თათართა, პოლონელთა და ჯერეთ მომავალ – უღმერთო ურიათა... და სადღა არიან თათრები, თქვენო უდიდებულესობავ? სადღა არიან პოლონელები? უღმერთო ურიათა უღელსაც იგივე მოელის. ამაზე ნუ დაღონდები, მეფევ ბატონო, ქრისტეს მკვლელები თავისას მიიღებენ."

გადავშალოთ „წმინდა წერილი" და უფრო დაკვირვებით განვიხილოთ ეს მებრძოლი იუდაური სექტა ღვთის შუქზე, რათა უკეთ გავიგოთ მისი თანამედროვე მიმდევრების მოქმედებები, სიტყვები და გეგმები.

„ახალ აღთქმაში" ნათქვამია: „იყო შფოთი სადუკეველთა და ფარისეველთა და განივლთა სიმრავლე იგი. რამეთუ სადუკეველნი იტყვიან არა არს აღდგომაი, არცა ანგელოზნი, არცა სული, ხოლო ფარისეველნი აღიარებენ ამას ყოველსა" (საქმე მოციქ. 23, 7-8); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესქატოლოგიის სფეროში, როცა სადუკეველები ამბობენ, რომ არ არის მკვდართა აღდგომა (მათე 22,23; მარკოზი 12,18; ლუკა 20,27), ამით უარჰყოფენ არა მხოლოდ სულის უკვდავებას და ანგელოზთა არსებობას, როგორც ღმერთის ერთგულთა, ასევე დაცემულთა, არამედ საერთოდ არაფრის გაგონება არ სურთ საუკუნო ცხოვრების შესახებ ღმერთთან.

ამიტომაც, ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სფეროში სადუკეველები ადამიანის შეუზღუდავი თავისუფლების დამცველები და მომხრეები არიან, ფიქრობენ რა, რომ ყველაფერი მის „თავისუფალ ნებაზეა" დამოკიდებული და არა ღმერთის განგებულებაზე.

რუსეთის დამპყრობი სადუკეველების უკვე მესამე თაობა თავს გვახვევს სწავლებას უანგარო სამსახურის შესახებ არა ღმერთის, არამედ ადამიანისადმი; და არა სამარადისო სიკვდილის შიშით ცოდვილთათვის და საუკუნო ნეტარების აღთქმით, არამედ ერთადერთი ქვეყნიური ჯილდოს, ცოდვიანი თვითნებობის სიტკბოების დაპირებით, რომელიც პრაქტიკულად განდევნის ღმერთს სადუკეველთა მონის ცხოვრებიდან.

მათი სწავლება მეტისმეტად მიმზიდველია ნებისმიერი ადამიანისთვის რომელსაც ქედმაღლური და თვითნებური აზროვნებისკენ აქვს მიდრეკილება, მიწიერი „ტკბობა" სწყურია და რომელიც წარმართულ „სამართლიანობას" ეძიებს.

როგორც ვხედავთ, ღვთის სიტყვის თანახმად, ფარისევლობა, რომელსაც დასავლეთის მთელი სამყარო უპყრია ხელთ, არის იუდაური სჯულისმიერი ნაციონალიზმის მახინჯი გამოხატულება, სადუკეველობა კი რომელმაც აღმოსავლეთის ხალხები დაიმონა და რომელიც ფარისევლობის სრული ანტიპოდია – წარმოადგენს კოსმოპოლიტური უსჯულო ინტერნაციონალიზმის წარმართულ გამოვლინებას.

„რუსეთი მკვდრეთით აღდგება უფლისთვის და სირცხვილეულ-იქმნებიან მისი მტრები!"

აკადემიკოსი ბელიცკი იქით იყოს და – თუ არ არსებულა, ვის საფლავს ახადეს მარმარილოს ფილა 500 წლის შემდეგ გასულ 2016 წელს?

როგორც ნაციონალ გეოგრაპჰიც იუწყებოდა, კვლევის მიზანს უფლის საფლავის პირვანდელი სახის შესწავლა წარმოადგენს. აღნიშნული კვლევა უფლის საფლავის სამლოცველოში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების ფარგლებში ტარდება და ყველა ჩატარებულ კვლევით სამუშაოს ვიდეოზე გადაიღებენ, რომელსაც სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის სახეს მისცემენ. რაც შეეხება მარმარილოს ფილის აღებას, ამ მომენტის ნახვა უკვე შესაძლებელია ინტერნეტ-სივრცეში.

არქეოლოგი ფრედერიკ ჰიბერტი: – „როდესაც მარმარილოს ფილა ოდნავ გადავწიეთ, დავინახეთ, რომ მის ქვეშ არსებული სივრცე ქვებით საკმაოდ მჭიდროდ იყო ამოვსებული. ამ ფაქტმა ძალიან გაგვაოცა. ჩვენ წინ ხანგრძლივი სამეცნიერო ანალიზი გველის რომლის შემდეგ შევძლებთ ვიხილოთ იმ ქვის პირვანდელი სახე რომელზეც, გადმოცემის თანახმად, უფალი დაასვენეს."

(როგორც ცნობილია, საფლავზე მარმარილოს მძიმე ფილის დადება 1555 წელს გახდა საჭირო, რადგან მრავალი მომლოცველი საფლავის ქვის ნაწილის წაღებას ცდილობდა.)

მხოლოდ თვალის გადავლებაა საჭირო ახალი აღთქმის პირველი ოთხი წერილისთვის. სახარების მწერლებმა დაინახეს რამდენად მნიშვნელოვანი იყო იესოს სიკვდილთან დაკავშირე-

ბული ფაქტები და სწორედ ამიტომაც აღნიშნა ხაზგასმით მოციქულმა პავლემ: – „...ხოლო თუ ქრისტეზე იქადაგება, რომ ის აღდგა მკვდრეთით, როგორღა ამბობს ზოგიერთი თქვენგანი, არ არის მკვდრეთით აღდგომაო? მკვდრეთით აღდგომა თუ არ არის, ქრისტეც არ აღმდგარა. ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია ჩვენი რწმენაც. მაშინ ჩვენ ვიქნებოდით ღვთის ცრუ მოწმენი, რადგან დავამოწმებდით ღმერთზე, რომ მან აღადგინა ქრისტე, რომელიც არ აღუდგენია, თუ მართლაც არ აღდგებიან მკვდრები... რადგან თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა, ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, თქვენი რწმენაც ფუჭია და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ... მაშინ ისინიც დაღუპულან, რომელთაც ქრისტეში განისვენეს. და თუ ჩვენ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს მოიმედენი, ყველა ადამიანზე საცოდავნი ვყოფილვართ, მაგრამ მკვდრეთით აღდგა ქრისტე, განსვენებულთა მთავარი. (1 კორინთელთა 15:12-20)

სახარება ქრისტეს აღდგომით იწყება. ქრისტიანობა არ არის უბრალოდ, ეთიკური სისტემა ან სავარაუდო ფილოსოფია. იგი არც არგუმენტების ხელოვნურ და უცნაურ წყობაზეა დაფუძნებული. მისი ფესვები ისტორიულ მოვლენებშია ფესვგადგმული და ცენტრალური ისტორიული მოვლენა იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაა.

ადრეული ეკლესიის ქადაგებებში – ორმოცდამეათე დღეს პეტრემ ძლიერად იქადაგა (საქმეთა 2:14-36) რომელშიც განაცხადა „რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი ვართ“. რა ფაქტის შესახებ საუბრობდა? პეტრეს ამ ქადაგების დროს სულიწმინდის გადმოღვრას დიდი შფოთვა მოჰყვა ხალხში. პეტრე ამ გამოვლინებას იმ ძალის წყაროს დამტკიცებად თვლიდა რომელიც ცოცხალი ქრისტე იყო (საქმეთა 2:32). საქმეთა წიგნში მოციქულთა ქადაგებებში ისევ და ისევ მეორდება ქრისტეს აღდგომის შესახებ საუბარი.

რომაელთა (8:11) არის დადასტურება, რომ ვინაიდან ქრისტე მკვდრეთით აღდგა, ერთ დღეს მისი მორწმუნეებიც აღდგებიან. უკვდავობის რწმენა იმის რწმენაა, რომ სიკვდილი არ ამთავრებს ადამიანის არსებობას. ქრისტეს აღდგომა გარანტიაა იმისა, რომ სიკვდილი დამარცხდა.

იესოს სიკვდილის რეალობა

ქრისტიანული რწმენა ისტორიულ მონაცემებზეა დაფუძნებული. ჩვენ არ მოგვეთხოვება ისეთი რამის რწმენა, რასაც დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნია. იესოს აღდგომის ძირითადი საკითხი მისი სიკვდილის რეალობიდან იწყება და რა სამხილები არსებობს იმისა, რომ იესო მართლა არსებობდა და მომკვდარა კიდეც?

სახარების ყველა ავტორი გასაგები ენით ამბობს რომ იესომ ფიზიკური სიკვდილი განიცადა. მათე ამბობს (27:50) რომ იესომ „სული განუტევა“. იგივეს ამბობს იოანე (19:30) „მიიდრიკა თავი და სული განუტევა“; მარკოზი (15:17) – „იესომ ხმამაღლა შესძახა და სული განუტევა“ და იგივეს ამბობს ლუკა. იესოს სიკვდილზე საუბრობენ ეპისტოლეების ავტორებიც: რომაელთა 5:6-8, 1 კორინთელთა, 2 კორინთელთა, გალათელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლოსელთა, თესალონიკელთა, ტიმოთეს, ებრაელთა, პეტრეს და იოანეს 3:16.

მთელ ახალ აღთქმაში უმნიშვნელო მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ რომელიმე მოწმე არ იყო დარწმუნებული მისი სიკვდილის ფაქტში. უპირველესი მოწმე ასისთავი იყო, რომელიც სასჯელის აღმასრულებელთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა. მისი ნათქვამიც „ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო ეს კაცი!“ (მარკოზი 15:39) თავადვე მოიცავს სიკვდილის დადასტურებას, რადგან იგი იესოს შესახებ წარსულ დროში საუბრობს.

იოანეს გადმოცემით, არსებობდა კიდევ ერთი თვითმხილველი, რომელიც იესოს სიკვდილს ადასტურებდა. მასში დეტალურად არის აღწერილი იესოს ფერდის განგმირვის მომენტი მისი სიკვდილის დასაჩქარებლად – მისი ფერდიდან სისხლი და წყალი წამოვიდა. სისხლის და წყლის განცალკავება აშკარა მანიშნებელია მისი სიკვდილისა. აღარ გახდა საჭირო რომ ჯარისკაცებს მისთვის წვივებიც გადაემტვრიათ, რადგან ის უკვე მკვდარი იყო...

იოსებ არიმათიელიც იესოს სიკვდილის მოწმე იყო. როდესაც მან იესოს გვამი გამოითხოვა

დასამარხად, პილატემ ასისთავისგან გამოითხოვა დასტური, ნამდვილად მკვდარი იყო თუ არა იესო, რადგან ჯვარცმულები ზოგჯერ სამ დღემდეც კი ცოცხლობდნენ სანამ სულს განუტევებდნენ. მარკოზი (15:43-45) ამბობს, ასისთავმა მოახსენა, რომ ჯვარცმა მართლაც დასრულდა, იესო მკვდარი იყო.

იესოს სიკვდილის მოწმეები იყვნენ ასევე: მარიამი, იესოს დედა, მისი და სალომე, მარიამ მაგდალინელი და სავარაუდოდ კიდევ ერთი ქალი, რომელსაც ასევე, მარიამი ერქვა. ისინი იესოს აგონიისა და სიკვდილის მოწმეები იყვნენ. ისინი იქ იმყოფებოდნენ როდესაც იესოს სხეული ჯვრიდან ჩამოხსნეს და სამარხში მიიტანეს (მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე) სწორედ ეს ქალები მივიდნენ კვირის პირველ დღეს და სპეციალური ნელსაცხები მიიტანეს იესოს სხეულისთვის, რაც გასაოცარი უნდა იყოს...

არცთუ დიდი ხნის წინ, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით მეცნიერები შეეცადნენ იესოს რეალური სახის აღდგენას. რამდენად საჭირო იყო აღნიშნული ქმედება, გადაჭრით ძნელი სათქმელია, თუმცა დოკუმენტური ფილმის ნახვა უკვე შესაძლებელია და „სახეც“ დადებულია...

ცარიელი სამარხი აღდგომის მნიშვნელოვანი ელემენტი ის უწყებაა, რომ დალუქული საფლავი გაიღო, ვიღაცამ ლოდი გადააგორა. კვირის პირველ დღეს, ადრიან დილას, მრავალი ადამიანი იყო მოწმე იმისა, რომ საფლავი აღარ იყო დაკეტილი და სულაც, ცარიელი იყო. ვის შეეძლო ტონიანი ლოდის შეუმჩნევლად გადაგორება იმდენი მცველის თვალწინ?

ოთხივე სახარება ამბობს, რომ სამარხი ცარიელი იყო; მღვდელმთავართა გუშაგები ამბობენ, რომ სამარხი ცარიელი იყო; იესოს რამდენიმე მოციქულმა ნახა, რომ სამარხი ცარიელი იყო... პოლ ლითლის მტკიცებით, რომელიც ყველა არგუმენტს განიხილავს, „ერთადერთი თეორია, რომელიც ადექვატურად ახსნის ცარიელი სამარხის საკითხს იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაა.“

წმინდა წერილებში არანაკლებ თორმეტი ფაქტია მოხსენიებული როცა იესო ადამიანებს გამოეცხადა თუ ამ რიცხვში მივათვლით იესოს შეხვედრას სავლესთან (პავლესთან) და თუ მარიამის დამოწმებას გამოვყოფთ სხვა ქალების დამოწმებისგან, რომელთაც იესო საფლავისკენ მიმავალ გზაზე გამოეცხადა.

იესოს გამოცხადების თანმიმდევრობა: 1. გამოეცხადა მარიამს რომელიც საფლავთან მივიდა პეტრესა და იოანეს წამოსვლის შემდეგ 2. სხვა ქალს რომელსაც იესო გზაზე შეხვდა 3. მოწაფეებს ემაუსის გზაზე 4. სიმონ პეტრეს 5. ათ მოციქულს 6. თერთმეტ მოციქულს 7. მოციქულებს ტიბერიის ზღვასთან 8. მოციქულებს გალილეის მთაზე 9. ერთდროულად, დაახლოებით, ხუთიათას მორწმუნე ძმას 10. იაკობს 11. მოციქულებს ამაღლების მთაზე 12. პავლეს.

ჰენრი თეისენი წერს: სამი რამ არის აუცილებელი მოწმობის სანდოობისთვის: მოწმეები უნდა იყვნენ კომპეტენტური თვითმხილველი მოწმეები; მათი რიცხვი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის; თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს კარგი რეპუტაცია. არიან თუ არ არიან ჩამოთვლილი მოწმეები ასეთები? ჩამოთვლილი მოწმეები სიზუსტით ამბობდნენ, რომ ისინი ესწრებოდნენ და ხედავდნენ ყველაფერს საკუთარი თვალებით. ისინი ამტკიცებენ, რომ მათი ინფორმაცია არ იყო სხვისგან მოსმენილი. ისინი საკმაო რაოდენობით იყვნენ და მრავალი სხვა ეპიზოდი. ერთ-ერთ ეპიზოდში, აღმდგარი ქრისტე ხუთასზე მეტ ადამიანს გამოეცხადა. ამასთანავე, იესო მათ ეჩვენებოდა სხვადასხვა დროსა და ადგილზე და სხვადასხვა პიროვნებებს.

არგუმენტი, რომელიც ქრისტიანობის კრიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ თავად ისტორიის მტკიცებულებაა. იესოს აღდგომიდან რამდენიმე აშკარა შედეგი გამოვლინდა რომელთა ახსნა სხვა მიზეზით შეუძლებელია, იესოს ნაწინასწარმეტყველები მართლაც აღსრულდა, რაც მისი აღდგომის გარეშე არ მოხდებოდა. ეს კავშირი განსაკუთრებით აღნიშნულია (საქმეთა 2:32-55) („აპოლოგეტიკა“)

რატომ იყო მნიშვნელოვანი, რომ მოკლედ გაგვეხსენებინა მაცხოვრის გარდაცვალება და მისი უეჭველი აღდომა, შემდგომ წერილებში განვავრცოთ.

კრებული „მატიანე“ თავისი არსებობის მანძილზე, მკითხველს გზადაგზა აცნობდა სხვადასხვა ხასიათის წერილებს, ქართველური ტომების მიერ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში შეტანილი წვლილის შესახებ. უეჭველია ისიც, რომ რეიტინგი ამ საკითხის მიმართ ინტერესის გამოხატვისა არათუ მდგრადი, არამედ საგრძნობლად მომატებულია. სწორედ, მკითხველთა თხოვნით ვაგრძელებთ საუბარს და მსჯელობას ამ მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ, რომელიც უდავოდ ახალს შესძენს აქამდე ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციულ მარაგს და მკითხველს.

*გთავაზობთ ჟურნალისტ **მარიამ შუბლაძის** ინტერვიუს მკვლევარ **კახაბერ ჭიღლაძესთან**.*

როგორ შეიტანეს ევროპაში ცივილიზაცია იბერიულმა ტომებმა და რით დასტურდება ქართული გავლენები ინგლისზე, ესპანეთსა და საფრანგეთზე

მკვლევარი კახაბერ ჭიღლაძე მრავალი წელია, რაც იბერიულ-კავკასიური ტომების განსახლების საკითხებზე მუშაობს. იგი ათი წელი ბასკეთში, ორი კი კუნძულ კრეტაზე ცხოვრობდა. უამრავი ინფორმაცია მოიძია და შეკრიბა იბერიელების მნიშვნელობაზე მსოფლიო მასშტაბით, რაც მეცნიერულად დადასტურებული და დასაბუთებულია.

კახაბერ ჭიღლაძე: ევროპაში მოგზაურობისას, კერძოდ, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთსა და ბრიტანეთში, ყურადღებას იპყრობს ისეთი დასახელებები და ტოპონიმები, რომლებიც მათი ენისათვის არაა დამახასიათებელი და, თუ ჩავეძიებით, ისტორიული წყაროებიდან გავიგებთ, რომ ისინი, ვისაც ამ ტერიტორიებზე კულტურა და ცივილიზაცია შეუტანია, იბერიული ტომები ყოფილან. ცხადია, ისეთ ადამიანს, რომელიც იბერიელად იწოდება (ქართველს) მეტის გაგების სურვილი უჩნდება და მეც დავიწყე ამ კულტურის სიღრმისეული შესწავლა. მრავალი წლის კვლევა-ძიების შემდეგ უამრავი საინტერესო და საკვირველი ფაქტი გამოვლინდა. იბერიულმა ტომებმა მსოფლიოს ხალხებს არა მარტო აგრონომია, მელიორაცია, ცხოველების მოშინაურება, წერა-კითხვა, მუსიკა, ცეკვა, რიტუალები, ვარსკვლავთმრიცხველობა, გეომეტრია, დროის კალენდრული აღრიცხვა ასწავლეს, არამედ მათ დაგვიტოვეს ცოდნა ადამიანის შექმნაზე, მის სულიერ არსზე და სამყაროს სტრუქტურაზე. მთელი ინფორმაცია ჩადებულია დნმ-ში, ეს გენეტიკური მეხსიერება მოათავსეს საკრალურ ნიშნებში და მათი ერთობლიობით შედგენილი ანბანი გადმოგვცეს ჩვენ.

– ეგრეთ წოდებული, მესამე იბერიის შესახებ გკითხავთ, რის საფუძველზე ადასტურებთ მის არსებობას?

– უდიდესი მასალა არსებობს ბრიტანეთის იბერიაზე. ამ რუკაზე ირლანდიის კუნძულს ჰიბერნია ეწოდება და ვიკიპედიაშიც მოცემულია, რომ ეს არის იბერიის ლათინიზებული სახელი. კუნძულზე რომ იბერები ცხოვრობდნენ, არაერთი ფაქტი მოწმობს. ბრიტანეთის ისტორიაში დაფიქსირებულია, რომ ამ კუნძულებზე ჩვენს წელთაღიცხვამდე 3 000 – 2 400 წლებში იბერიული ტომები დომინირებდნენ. ამ ტერიტორიებზე მათ შეიტანეს მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ზოგადად, ცივილიზაცია. ეს ბრიტანელების მიერაა დაწერილი და მათი ისტორიაა. საქართველოში დღემდე არ არის ამ საკითხზე დიდი ინტერესი. „როდესაც ბასკეთში ჩავედი, საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი, ბასკი ქართველოლოგი, ბილბაოს უნივერსიტეტის პროფესორი, ბასკური ენის აკადემიის აკადემიკოსი – შავიერ კინტანა[1] გავიცანი. მან „ვეფხისტყაო-

1. შავიერ კინტანა – ცნობილი ბასკი მეცნიერი, არაერთგზის იმყოფებოდა ვანში. მისი ინტერესის სფერო იყო ვანის არქეოლოგიური გათხრები. მეცნიერებათა აკადემიიდან მას მასპინძლობდა პროფესორი ილია ტაბაღუა.

სანი“ თარგმნა. ძალიან კარგად იცის ჩვენი კულტურა და მითხრა, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართველი მეცნიერები და შემდეგ კავშირი გაწყვიტესო. როგორც ჩანს, ზევიდან იყო ბრძანება[1], სამუშაო შეწყვეტილიყო, რადგან ბევრი რამ არ გამოევლინათ მეცნიერებს. პირიქითაც კი მოხდა: მეცნიერებს იმ მიმართულებით ამუშავებდნენ, თითქოს კავკასიისა და დასავლეთის იბერები სხვადასხვაა. არადა, გენეტიკური კვლევებითაც კი დასტურდება, რომ წარმომავლობა ერთი და იგივეა. არ ვიცი, რატომ არ ექცევა ყურადღება იტალიის ლიგურიას. სანამ რომაელები ასპარეზზე გამოვიდოდნენ, იქ მოღვაწეობდნენ ეტრუსკები, ანუ იბერიული ტომი. მათ სახელმწიფოს ლიგურია ერქვა და დედაქალაქი იყო სამდუქანი. იქვე მდებარეობდა, სადაც დღეს რომია და მთლიანად იბერიული ცივილიზაცია იყო გავრცელებული.

ასევე აღსანიშნავია ბრიტანული ტომი ცორიელტაუვი – ქორიელთავი და მათი მეფე ცარტიველიოს – ქართველიოსი, ამ ტომს ეკავა კუნძულის ცენტრალური ნაწილი. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ლეგენდარული მეფე არტური ცნობილია ასევე ლეგენდარული ხმლით – Excalibur-ით, ანუ ხალიბური. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე იბერიული ტომები დომინირებდნენ.ხალიბური ხმლის შემქმნელები, რა თქმა უნდა, იქნებოდნენ ხალიბები. უძველესი ქართული ტომელები, რომლებიც განთქმული იყვნენ მჭედლობით, ბერძნები ფოლადს დღესაც ხალიბდიკოსს ეძახიან. ბერძნულში ფოლადის აღმნიშვნელი ეს სახელი დამკვიდრდა.

– გამოდის, სახელგანთქმული არტურის ხმალი ქართველური ტომების შექმნილია?

– მათი ტომის სახელიდან გამომდინარე. არა მარტო ისინი, გერმანელები, პოლონელები და სხვები ფოლადს ეძახიან „მოსინიგ“, ,,მოსინგერ“ და ასე შემდეგ. „ქართული ტომის მუსკები“ – „მოსინიკების“ გამო, რადგან მათ და ხალიბებმა ასწავლეს მსოფლიოს რკინის მოპოვებისა და დამუშავების ხერხი და ამიტომაც ევროპაში რკინასა და ფოლადს მათი ტომების სახელები დაერქვა.

– ბასკეთში ყოფნის დროს რა აღმოაჩინეთ, რაც ქართულ გავლენას ადასტურებს?

– უამრავი რამ, საერთო სიტყვები, ცხოველთა სახელები: ქართულად – გოჭი, მოფერებით გოჭუნია და ესპანურად – გოჭინიო, ქართულად შოშია, ბასკურად – შოშუა, ქართულად –ბუ, ესპანურად – ბუო, ქართულად – ბატი, ესპანურად – პატო, ქართულად – ღორი, ბერძნულად – ღორუნი, ქართულად – კატა, ბასკურად – კატა, ლათინურად – ღატა, გატა, ქეთ. ქართულად – ძაღლი, იგივე, ჯოღორი (მეგრულად) და ბასკურად ჩაკური, ასევე, ჩიგარუ – ძველ ეგვიპტურად და ჯუკარუ – კორსიკაზე. ცხენის სახელიც მთელს ევროპაში იბერიულიდანაა გავრცელებული: ლაჩუალ, ასპა, ქური, ჰონი... და ასე შემდეგ. შავიერ კინტანამ მითხრა: „რა თქმა უნდა, თქვენი სახელები ბევრ რამეს ერქმევა, რადგან იბერიელები ჩამოხვედით აქ და ადგილობრივ ტომებს ცოდნა გაუზიარეთო. ამას იქაური მეცნიერები ამბობენ და ქართველმა მეცნიერებმა რატომ შეწყვიტეს მუშაობა, სრულიად გაურკვეველია. უმთავრესი კი ის არის, რომ გრამატიკაც მსგავსი გვაქვს. უდიდესმა გერმანელმა მეცნიერმა, ჰუმბოლტმა, კვლევა ჩაატარა ამის თაობაზე და მისი ნაშრომი გამოქვეყნებულია. ასევეა თვლის სისტემაც, ჩვენ და ბასკებს ოცობითი სისტემა გვაქვს, სხვებს კი – ათობითი. სამწუხაროდ, დღეს არც ამას ექცევა ყურადღება. რაც შეეხება ჰიბერნიას – მათი ენა დაკარგულია, ლათინიზირებულია, კვალი არსებობს და ერთ-ერთი ვაინახი მეცნიერი, რომელიც შოტლანდიაში ჩავიდა და იქაურ უნივერსიტეტში ასწავლიდა, გაკვირვებით აღნიშნავდა, რომ კავკასიურ და შოტლანდიურ ენებს შორის

---

1. XX საუკუნის 90-იანი წლების საწყისიდან საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. ამდენად კვლევის გაგრძელებაზე ვეტოს რუსეთი ვერ დაადებდა. როგორც სჩანს ეს უმნიშვნელოვანესი და საინტერესო საქმიანობა იმ პერიოდში შეწყდა, საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების სირთულეთა შედეგად(რედ).

საოცარი მსგავსებაა. მისი ნაშრომი „კავკასიის ალბანებიდან შოტლანდიელ ალბანახებამდე“ ამის ნათელი მაგალითია. იბერიული ტომები მარტო ირლანდიის კუნძულზე არ ყოფილან, მთელ ბრიტანეთში იყვნენ. იქ, სადაც ახლა სტოუნჰენჯია ის იბერიელი ქურუმების მიერ გაკეთებული მეგალითებია. მსგავსი მეგალითებია საფრანგეთშიც, ესპანეთშიც, კორსიკაზეც, საქართველოშიც... ირლანდიის ჰიბერნიაზე უამრავი რამაა გამოსაკვლევი. დღეს ჰიბერნიაში შემორჩენილია ტოპონიმები და მათივე ისტორიის წიგნი, სადაც თვითონვე აფიქსირებენ, რომ ცოდნა და ცივილიზაცია იქ იბერიელებმა შეიტანეს.

– რაც შეეხება შუმერებთან კავშირს?

– მოგეხსენებათ, რომ შუმერები და ქართველები ერთი და იგივე ტომები არიან. შუმერები საკუთარ თავს სანგიგებს ეძახდნენ, ანუ შავთავიანებს და უძველესი გადმოცემით, ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ სანგიგები ქართული ტომია, რომლებიც მცირე აზიაშიც სახლობდნენ და არიან სვანები. ქართულად დღესაც „სანგ“ ზანგს – შავს ნიშნავს... ერთი და იგივე ტომები იყვნენ. დღეს მსოფლიომ იცის, რომ ისტორია შუმერებიდან იწყება და მათ დაყვეს ვარსკვლავეთი ხომლებად. ეს ქართველი ქურუმების პრეროგატივა იყო, თუმცა ჩვენთან ყველაფერი დაფარული იყო... იბერიულ-კავკასიური მოდგმის მიღწევებსა და უნიკალურობაზე უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი გვირგვინია ქართული ასომთავრული ანბანი, რომელიც სამყაროს კოდია და უნივერსალური მატრიცას პრინციპზეა აგებული, როგორც დნმ და კაცობრიობის მიზანი უნდა იყოს, რომ ჩავწვდეთ ამ სიღრმეებს და შევიცნოთ ჩვენი არსებობის არსი.

ინტერნეტმასალა

ომარ ძაგნიძე – პროფესორი

კონსტანტინე (კოტე) ყიფიანის ლექსიკოგრაფული მოღვაწეობის შესახებ

კარგად ცნობილია რაფიელ ერისთავის (1824-1901 წწ) 167 გვერდიანი ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან (ერისთავი, 1884). „ეს ლექსიკონი, რომელიც ორი ათასამდე სიტყვას შეიცავს, იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ გარდა სამენოვანი დასახელებისა, ითვალისწინებს ქართული დიალექტების (იმერულის, გურულის, რაჭულის, ფშაურის, მთიულურის) და ერთ-ერთი ქართველური ენის (მეგრულის) მონაცემებს“ (ღამბაშიძე, 1986: 96).

კონსტანტინე (კოტე) ყიფიანმა (1894-1921 წწ)[1] დიდი შრომა გასწია ასევე ლექსიკონების შესადგენად. პირველ რიგში, იგი ცნობილია, როგორც ქართული სამსახიობო რეალისტური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე და მთარგმნელი (დავითაია, 1975: 57-75). კ. ყიფიანი თავისი სამწერლო და სასცენო მოღვაწეობით ცდილობდა, რომ ქართული ენის აღორძინებისთვის მებრძოლთა პირველ რიგებში მდგარიყო უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძისა (1837-1907წწ) და აკაკი წერეთლის (1840-1915წწ) გვერდით.

კ. ყიფიანი სწავლობდა თბილისის საუკეთესო პანსიონში, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, მოსკოვის გიმნაზიასა და სატყეო-აგრონომიულ აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1870 წელს (გომართელი, 1914:20-22). იმავე წელს „მოსკოვის უწყებებში“ დაიბეჭდა მისი წერილი საქონლისა და ცხვრის თურქულით დაავადებისა და მათი მკურნალობის შესახებ. კ. ყიფიანი მალე დაბრუნდა საქართველოში მამის ავადმყოფობის გამო და 1873 წლიდან შევიდა სახელმწიფო სამსახურში.

1879 წელს აღდგა ქართული პროფესიული თეატრი და კ. ყიფიანი თავის თანამზრახველებთან ერთად შეუდგა ქართული თეატრის აღორძინებას, ამასთან, მან დიდი წამატებით მიიღო მონაწილეობა 210 პიესაში.

1896 წელს გამოქვეყნდა კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი მეტად საყურადღებო ლექსიკონი, მისი 13 წლიანი მუშაობის შედეგი.

ამ ლექსიკონზე მუშაობისას კ. ყიფიანმა აღმოაჩინა, რომ ქართულში მოგვეპოვება მრავალი ისეთი სიტყვა, რომელთა რუსული შესატყვისი არ არსებობს. იგი ამ გარემოებას იმით ხსნიდა, რომ ნამდვილი, წმინდა რუსული სიტყვა სამი ათასი თუ იქნება, ას ორმოცდაათი ათასი კი უცხო ენებიდან არის გადმორუსულებულიო (იხ. მიხელსონი, 1883; ბურდონი და მიხელსონი, 1903). მისი აზრით, ქართული სიტყვები 200 ათასამდე იქნებოდა, (გომართელი, 1914: 62-63), რომელთაგან 58 ათას ხუთასი, მართლაც, ნამდვილად არსებობს (ქრლ, 2013:5).

---

1 ყიფიანთა გვარი მომდინარეობს საქართველოს მეფე ბაგრატ III-ის (975-1014) დროიდან. გადმოცემის მიხედვით (გომართელი, 1914 : 9-10), ბაგრატ მეფის დროს სვანეთის სოფელ წვირმისში ცხოვრობდა მორკინალი, მეომარი გიორგი გოგიაძე, რომელსაც ჰყავდა ათასი კაცი მორკინალი (გლადიატორი). ბაგრატ მეფემ, როცა გაიგო ოსმალეთის ხონთქრის სამზადისი იმერეთზე თავდასასხმელად, შიკრიკი აფრინა გიორგი გოგიაძესთან სვანეთში: ჩემო გიორგი, ახლავე შეიარაღდი შენი ათასი კაცით და ცხენის წყლის გადმოღმა მომეშველეო. გიორგიმ შიკრიკი გაისტუმრა დანაბარებით: მოახსენე იმერეთის მეფესა და ჩემს მბრძანებელს, რომ დაუყოვნებლივ გეახლები-თქო. გიორგი გაუდგა გზას თავისი მეომრებით და დაბანაკდა სოფელ მურს, ცხენის წყლის მარცხენა ნაპირას. აქედან ან შიკრიკი გაუგზავნა ბაგრატ მეფეს ქუთაისში და აცნობა – გეახელი მეფეო. გოგიაძეს მეფე ელოდა ქუთაისში, მაგრამ სტუმარს პატივი სცა და თავისი ამალით ჩავიდა სოფელ მურში. შეხვედრისას მეფემ გოგიაძეს მიაძახა, რა „ყიფიანი (ამაყი) რამა ხარო“. მას აქეთ გიორგი გოგიაძეს დაერქვა გოგიაძე-ყიფიანი. დროთა განმავლობაში გოგიაძე დაიკარგა და დარჩა ყიფიანი. გარდა ამისა (ჩხეიძე, 2001: 4), ხვანჭკარელმა ყიფიანებმა ხანგრძლივი ტექნოლოგიური ძიებისა და ცდების შედეგად მიიღეს სამარკო „ყიფიანების ღვინო“, რომელმაც სახელი გაითქვა რუსეთსა და ევროპაში. საერთაშორისო გამოფენაზე „ყიფიანების ღვინომ“ უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი“, ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურა.... ყიფიანების ტექნოლოგია საფუძვლად დაედო საბჭოთა პერიოდში „ხვანჭკარის“ წარმოებას. მაგრამ საბჭოეთისთვის მიუღებელი იყო ღვინოს დარქმეოდა თავადი ყიფიანების სახელი და ამიტომაც უწოდეს მას „ხვანჭკარა“.

ლექსიკონების შედგენის სურვილი კოტე ყიფიანს გაუჩნდა XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში. 1875 წელს მეფისნაცვალმა ის მიიწვია ბორჯომის მამულების უფროსი გამგებლის თანაშემწედ. იმ დროისათვის კოტე ყიფიანი ერთადერთი ქართველი იყო საქართველოში, რომელსაც უმაღლესი სამეურნეო განათლება ჰქონდა. ამ თანამდებობაზე დიდად გამოიჩინა მან თავი. კ. ყიფიანს ჰქონდა საინტერესო მეცნიერული დაკვირვებები, რომლის საფუძველზეც მან დაწერა მეცნიერული შრომები და შეადგინა ლექსიკონები (დავითაია, 1975: 14).

ბორჯომში მუშაობისას კ. ყიფიანმა ბოტანიკური ლექსიკონის შედგენის აუცილებლობა დაინახა, რაც ერთმა კურიოზულმა შემთხვევამ განაპირობა: ბორჯომის მამულების დასათვალირებლად ჩასულა თბილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგებელი, გენერალი მურავიოვი. გამგებლის ჩასვლისას გენერალს ახლდნენ ბორჯომის მამულების გამგებელი, მისი მოადგილე კოტე ყიფიანი და ადგილობრივი პოლიციის ქართველი ბოქაული. დაღლილებს დიდი მურყნის ხის ქვეშ დაუსვენიათ.

Какое это дерево? – უკითხავს გენერალს ბოქაულისთვის.

Мурковое дерево – უპასუხია ბოქაულს.

ამის გამგონე კ. ყიფიანს ხარხარი დაუწყია, რადგანაც მურყნის რუსული შესატყვისია ოლხა (олъха). მურავიოვი ჩაეკითხა მას, რაზე აგიტყდა სიცილიო. კოტეს აუხსნია სიცილის მიზეზი.

აი, ამ გარემოების შემდეგ განუზრახავს მას რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონის შედგენა. სადაც კი ბოტანიკასთან დაკავშირებულ სიტყვას გაიგონებდა, იწერდა უბის წიგნაკში ქართულად და რუსულად. 13 წელი უმუშავია კ. ყიფიანს ლექსიკონზე და შეუდგენია რუსულ – ქართულ – ლათინური ლექსიკონი, რომელშიც 2 ათას სამასზე მეტი ქართული სახელია მცენარეებისა.

ამგვარმა მუშაობამ იმდენად გაიტაცა, რომ მას განუზრახავს აკადემიური ლექსიკონის შედგენა (ყიფიანი, 1964: 110).

კ. ყიფიანს ბიბლიიდან დაუწყია – კითხულობდა და ცალკე იწერდა ყოველ უცნობ რუსულ სიტყვას. შემდეგ ეძებდა რუსული სიტყვის შესაბამის ქართულ შესატყვისს.[1]

ამგვარი მუშაობის დროს აღმოჩნდა, რომ ქართულში მრავალი ისეთი სიტყვაა, რომელთა რუსული შესატყვისი არ არსებობს.

აკადემიურ ლექსიკონზე კ. ყიფიანს 15 წელი უმუშავია.

ალექსანდრე სუმბათაშვილისათვის მიწერილი წერილით ირკვევა, რომ კ. ყიფიანს ჰქონია ნაშრომი ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ (საეკლესიო ხუროთმოძღვრება), რომელიც დაკარგულად ითვლება (დავითაია, 1975: 186-189).

ცნობილია ხელმოუწერელი რეცენზია კოტე ყიფიანის ბოტანიკურ ლექსიკონზე, რომელშიც ვკითხულობთ: „ბ-ნ კ. ყიფიანს შეუდგენია ქართულ-რუსულ-ლათინური და რუსულ-ქართულ-ლათინური ბოტანიკური ლექსიკონი. ლექსიკონში ორი ათასამდე სხვადასხვა მცენარის სახელწოდებაა წარმოდგენილი. წიგნი 3 ნაწილიანია: პირველში ანბანთრიგზე ჩამოთვლილია სახელწოდებანი მცენარეებისა, მეორეში კი, რომელიც ყველაზე საყურადღებოა, დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რომელი მცენარე რა ბოტანიკურ რიგს ეკუთვნის, სად მოდის, რა ადგილას უფრო ხეირობს; აღწერილია მისი აგებულება და ფერი. ჩამოთვლილია, რაგვარი ავადმყოფობისას გამოიყენება წამლად.

მეტად სასურველია, ეს ლექსიკონი მალე დაიბეჭდოს, როგორც ფრიად საყურადღებო და გამოსადეგი წიგნი. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ თვით შემდგენელს, ბ-ნ კ. ყიფიანს,

---

1. იმ დროს ქართული ენის ცოდნასა და ქართულად ლაპარაკს მაღალი საზოგადოება დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ქართული ენა „დაბალ ენად“ ითვლებოდა და მასზე საუბარს ერიდებოდნენ მაღალ წრეებში. კოტეს დედა, ნინო, რუსეთში იყო გაზრდილი და მისმა შვილებმა სისხლხორცეულად იცოდნენ რუსული ენა. ქართული ენა კ. ყიფიანმა ისწავლა პეტერბურგში, ისიც 16 წლისამ. მისი მასწავლებელი ქართული ენისა იყო მისივე უფროსი ძმა ნიკო, რომელსაც პატარაობიდანვე ეტყობოდა დიდი ნიჭი ენების შესწავლისა. პატარა კოტე ნიჭიერი ბავშვი გახლდათ და სწავლაც უყვარდა, მაგრამ მეტისმეტად ცელქი და მოუსვენარი იყო, რაც ხელს უშლიდა სწავლაში (გომართელი, 1914 : 18-19).

ეძნელებოდა მისი დაბეჭდვა, წიგნი ძლიერ მოზრდილი გამოვა და ამის გამო დაბეჭდვა იაფი არ დაჯდებაო.

„ბ-ნ ყიფიანს ჯაფა არ დაუზოგავს, 10 წელიწადზე მეტი უშრომია და ამდენი ხნის ჯაფისთვის იმის მეტს ჯილდოს არას მოელის, რომ თავის წიგნი დაბეჭდილი ნახოს“ (ივერია, 1889: 2).

კოტე ყიფიანის დამოკიდეულება ლექსიკონის შემდგენელისადმი კარგად ჩანს მისი შემდეგი პოზიციიდან: „ლექსიკონის შედგენა, მეტადრე ქართლისა, ერთი კაცის ხელთ არ არის და არც უნდა იყოს. ყველამ უნდა მივიღოთ შრომა და მონაწილეობა გამოცემაში და მეტადრე შედგენაში“ (გაჩეჩლაძე, 1959: 199).

ახლა განვიხილოთ კოტე ყიფიანის ლექსიკონი (ყიფიანი, 1896: 1-96) იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მას თვით ავტორი გვაწვდის. პირველ რიგში, გავეცნოთ ავტორის წინასიტყვაობას ლექსიკონისათვის, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ სპეციერული სიტყვარის შედგენის მიზანია შენარჩუნებულ იქნას ცოდნის აღნიშნული დარგებიდან ქართული სიტყვები, ტერმინები და გამოთქმები, რომელნიც ცოტა ვინმემ თუ იცის, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, და იშვიათად იხმარება თანამედროვე ლიტერტურაში“.

ბევრს ჰგონია, რომ აქ მოცემული ტერმინები არ არსებობს და თითქოს არც შეიძლებოდა არსებულიყო, მაგრამ ასეთი აზრის მცდარობას ადასტურებს 2 ათას ხუთასამდე ტერმინის შემცველი ეს ლექსიკონი.

ასეთი სიტყვარი უეჭველ სარგებლობას მოუტანს, როგორც სასწავლებლებში მყოფთ, ისე ყველა მკითხველს.

საზოგადოდ, კარგი იქნებოდა გვქონებოდა ასეთივე სიტყვარები ან სხვადასხვა ტექნიკური დარგებიდან კრებულები სიტყვიერებისა, რომელნიც საჭიროებენ სპეციალურ განსაზღვრებებს და წარმოადგენენ ტერმინებს.

ეს ლექსიკონი წარმოადგენს პირველ ცდას სპეციალური ტერმინების გავრცელებისა და მეტად სასურველია, ქართულ ინტელიგენციაში გამოჩნდნენ ამდაგვარი წიგნაკების შემდგენელნი. ავტორი გულწრფელად მიიღებს ყოველგვარ შესწორებას და საქმიან შენიშვნას ამ ლექსიკონთან დაკავშირებით.

ლექსიკონის ბოლო ნაწილში, 93-96 გვერდებზე, მოცემულია 131 ქართული სახელი იმ ფრინველის, თევზის, ცხოველის და ა.შ., რომელთაც ვერ მოვუძებნე შესატყვისი რუსული და ძალიან სასურველია მათი მოპოვება“ (კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი, 1896 წლის იანვარი, ტფილისი).

სანამ უშუალოდ ლექსიკონის დარგობრივი ნაწილების განხილვას დავიწყებთ, უნდა აღინიშნოს ამ ლექსიკონის გამორჩეული თავისებურება: ძალიან ბევრი რუსული ტერმინისთვის დაძებნილია რამდენიმე ქართული ტერმინი – რომელთაგან ყველას მითითებას არ ვაპირებთ და მივუთითებთ უფრო თანამეროვე ტერმინს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რაფიელ ერისთავის აზრს იმის შესახებ, რომ ქართული ენა, დიახაც, მდიდარია (ერისთავი, 1880, 212 : 1-2).

ასტრონომიის ტერმინები, გვ. 2-19

1. Астрономия – მუნეჯიბობა. 2. Астроном – მუნეჯიბი. 3. Астролог – ღადარინელი. 5. Анализ – აღლევა. 8. Афродита (планета) – ასპაროზ. 10. Блистание – ელვარება. 11. блистание звезд, видимое ночъю между облаками – იალციალი. 13. Блуждаюшие звезды – ვარსკვლავთმორბედი, ტატანა ვარსკვლავნი. 15. Венера (планета) – აფროდიტი. 16. Ея орбита – მელტავრო. 21. Виденный – ნაჩენი. 22. Время, час – ჟამი. 25. Вечерница[1] (сириус) – ხარი – პარია. 27.Внешний – გარეგანი. 32. Веста (планета) – ვესტა. 33. Век – უკუნი, საუკუნე.

---

1. სახელწოდება вечерница *კარგად გამოხატავს ვარსკვლავის თავისებურებას – ის ყველაზე ადრე გამოჩნდება ხოლმე ცის კაბადონზე სამხრეთ-დასავლეთით, ჰორიზონტის სიახლოვეს, როგორც კი ოდნავ მოსაღამოვდება, მისი ადრე გამოჩენა გამოწვეულია ვარსკვლავის უჩვეულო სიდიდით – ის 109-ჯერ დიდია მზეზე! ამის გამო მას საღამოს ვარსკვლავი შეიძლება ვუწოდოთ (ო. ძაგნიძე).*

35. Газ – მთებარე. 43. Горизонт – კინტრო. 45. Горетъ ясно – ვარვარი. 47. Диск – ბირთვი, დისკო. 50. Диаметр – საღერძე. 51. Дуга – ოდრიკალი. 61. Зимнее солнцестояние – დეკნა. 62. Зевс (планета) – მუშთარი. 66. Извилистый путъ – იკუნკლედი. 68. Истинный – საჭეშმო. 74. Козерог (зодиак) – თხისრქა. 75. Колебание – მიდმოება. 79. Конус – კონოსი. 82. Косой, непрямой – ელმადცერი. 85. Круг, кружок – ალყა. 86. Луна – მთვარე. 87. Ея орбита – ჭირანო. 91. Масса – სტერეონი. 97. Момент – მყისი. 99. Млечный путъ – ცის იკანკლედი, დათვის ფეხა, ირმის ნახტომი, იერუსალიმის გზა. 100. Меркурий (планета) – ერმი, ოტარიდი. 101. Меридиан – საშუადღეო ხაზი, მერიდიანი. 102. Меркурия орбита – ცერვანო. 103. Метеор – ცისიერი. 108. Медведица (созвездие) – ბრანგვი, რვილი. 110. Марс (планета) – არეა, არეას, მარიხი. 111. Его орбита – ჭიმჭიმელი. 112. Необозримый – თვალთ-შეუგამი. 113. Неделя (седъмица) – მსგეფსი. 114. Необитаемая – უშენი. 121. Овен (зодиак) – ვერძი, შიშაგი. 122. Отражение солнечных лучей от зеркала – თინათინი. 125. Орбита – მელტავრო.126. Обрашение – მიდმოქცევა. 127. Окружатъ – მოგარება. 128. Окруженный – მოგარებული. 129. Орион (созвездие) – ორიონი. 130. От времени до времени – ჟამითჟამად. 131. От начала мира – დასაბამიდგან სოფლისა. 132. Отклонятъ свет – მიდრეკა. 133. Поверхност наружностъ – საჩინო, ეპიფანია. 134. Поздний – მცხვედი. 136. Планета – ეტლი, ცთომილი. 146. Поворот солнца – ნაბუნიობა. 147. Равноденствие – ბუნიობა. 154. Радуга — ირისე, ცისსარტყელა, ცისმშვილდი. 160. Стрела – ბოძალი. 162. Сатурн (планета) – ზოჰალი, კრონოსი. 163. Его орбита – ალბასტრო. 164. Свод – კონქი. 165. Солнце – მზე. 166. Его орбита – კოჭიმელი. 172. Скорпион – ღრიანკალი. 176. Звезда не заходящая – დაუვალი ვარსკვლავი. 177. Телескоп – ჯოგრი. 178. Телец (зодиак) – კურო. 188. Центр – ცქიტი, კენტრო. 189. Цикл – კინკლოსი. 190. Час – ჟამი. 195. Юг – ონოტი, თემანი, სამხრეთი. 196. Юпитер (планета) – დია, მუშთარი, ზევსი. 197. Его орбита – კიმკიმლი.

ზოოლოგიის ტერმინები, გვ. 20-50

1. Зоология – ცხოველთა წოდება და აღწერა. 7. Акула – ზვიგენი, ნათელთევზა. 11. Аграмак – ცხენი ბედაური. 12. Аспид(змея) – ასპიტი, გველი, ჯარბი, ქოდქოდა, სავარცხელა, მძრომი. 13. Аулан(пт.) – ღაჟო, ჯინხვა. 19. Баклан(пт.) – თევზი ყლაპია. 21. Барашек(пт.) – ღალღა, ბუწი. 22. Барсук – მაჩვი, ზღვის ძაღლი. 25. Бекас(пт.) – ლაინი, ცხრატყავა. 26. Беркут(пт.) – ფსოვი, სვავი. 27. Бирюк – მგელი. 28. Бизон – ფაფარიანი ბუღა. 29. Божья коровка – მარიამ ჭია. 30. Блоха – რწყილი. 32. Бобр – თახვი. 37. Буйволенок – ზაქი. 38. Букашка – მუმლი. 43. Белуга – თართი. 47. Белчук – ლიფსიტა. 49. Валъдшнеп(пт.) – ტყის-ქათამა. 50. Вампир – მაჩქათელა. 51. Вандыш – ციმორა თევზი. 54. Вдод(пт.) – ოფოფი. 56. Верблюд – აქლემი. 57. Верблюдица – ჯამა, ხრდალი. 59. Вертиголовка(пт.) – ხეკოდა. 63. Волк – მგელი, ზები. 68. Вран(пт.) – ბუ. 69. Врух – კოტატი, ბუზანკალი. 70. Выдра – წავი. 71. Выжлец – მეძებარი ძაღლი. 74. Гагара(пт.) – ტყის ქათამა, გარიელი. 80. Галка (пт.) – ჭკა, ღალღა. 87. Глухаръ(пт.) – ყრუანჩელა.[1] 92. Голубъ(пт.) – მტრედი, ინაგა. 93. Голубъ дикий (пт.) – ქედანა. 96. Горлица (пт.) – გვრიტი. 98. Грач (пт.) – ყორანი. 103. Гусеница – მგრაგნელი ჭუა. 109. Долгопёр – მფრინავი თევზი. 110. Драхва (пт.) – სავათი. 111. Дрофа (пт.) – სავათი. 112. Дрозд (пт.) – მალაღური. 117. Дудак (пт.) – კოდალა, ხეკოდა,ხეკაკუნა. 123. Ешак – ჯორი. 126. Жавороннок (пт.) – ტოროლა. 127. Жаворонник (пт.) – მიმინო. 135. Жукъ навозный – ბოსტანა, ფანდურა ჭია. 142. Зелёная лягушка – ვასაკა. 155. Иволга (пт.) – მალაღური, გულყვითელა. 164. Канарейка (пт.) – იადონი, კანანერი. 165. Канюк (пт.) – კაკაჩა, ჭინო, ჩხიკვი. 171. Карас – კარხცანა, გოჭა თევზი. 176. Кедровка (пт.) – ჩხართვი. 177. Килъка – ჭიჭყინა თევზი. 183. Кобелъ – ხვადი ძაღლი. 185. Кобыла – ჭაკი (о лошади). 191. Козерог – ჯიხვი. 192. Козуля – ნიამორი, ქურციკი. 195. Кокош – კრუხი. 197.

---

1. ჩვენი აზრით, სახელი ყრუანჩელა (თუმცა აჯობებდა სახელი ყრუალა) კარგად გამოხატავს ამ ფრინველის თავისებურებას – მას უყვარს მაღალ ხეზე შემოჯდომა და სიმღერა, რომელიც თავად არ ესმის. ამით სარგებლობენ მონადირენი და მას სწორედ სიმღერის დროს ეპარებიან, რათა ფეხით ფიჩხის მტვრევის ხმა არ გაიგონოს!

Кондор (пт.) — ორბი. 204. Коршун – ძერა. 209. Косачъ (пт.) – როჭო. 228. Куница – კვერნა. 229. Курёнок – წიწილა. 257. Листовёрка – მგრაგნელი. 260. Лось – ცხენირემი. 279. Медведка – ბოსტანა. 284. Минога – სალამურა. 315. Мышёнок – წრუწუნა. 324. Носорог – მარტო რქა. 328. Овен – ვერძი, შიშაგი, მამალი ცხვარი, ერკემალი. 335. Овчарка – ქოფაკი, ცხვრის ძაღლი. 337. Однокопитное животное – ქაჩაჩი ცხოველი. 344. Орлец (пт.) – სამღვდელთავრო არწივი. 349. Ослица – ხრდალი. 350. Ослёнок – მუტრუკი, ჩოჩორი. 352. Омар – ასთაკვი. 353. Островид – ფოცხვერი. 359. Пардка (пт.) – ღალღა. 363. Перепёлка (пт.) – მწყერი. 365. Песчанка (пт.) – სკვინჩა, მესვია. 368. Пискарь – კლდისთევზა. 370. Плотва(рыба) – ნაფოტა თევზი. 371. Полип – ოთხოპოდი, სიპინი. 379. Птенец неоперившийся (пт.) – ღვლიპი, ღლიპი, ღლაპი. 381. Пудель – ფინა, ციბა, ციბაკი. 383. Птенец соколий (пт.) – ქულა. 391. Пила рыба _ სავარცხელა თევზი. 398. Ремез (пт.) – მალაღური. 401. Рогохвость (пт.) – ნემსიყლაპია. 402. Рысак – ჩორთით მოსიარულე ცხენი. 411. Сазан – კომბრი, კოჭა, ჭანარი. 414. Саламандра – ჯოჯო კლდისა. 418. Сверчок – ჭრიჭინა, ჭიჭინა. 425. Светоноска – ალვანა. 426. Севрюга – თართი. 228. Селёдка – ქაშაყი. 430. Сёмга – ორაგულა. 442. Синица(пт.) – წყალწყალა. 448. Совка (пт.) – ჭოტი. 449. Сокол (пт.) – შავარდენი. 469. Судак — ფარგა. 480. Собака борзая – მწევარი. 492. Тикат – წივწივა. 521. Форель речная – კალმახი. 522. Форель озерная – გელაქნური. 534. Чайка (пт.) – მეთოვლია. 554. Щур (пт.) – კვირიონი, მწიფობელა. 562. Яшерица – ხვლიხი, ჯოჯო, მსვენი. 563. Яловая корова – უშვი, ბერწი.

მინერალოგია – აღმონათხრედი საგანნი, გვ. 51-59

4. Адамант (драг. кам.) – ადამასი, ალმაზი, ადამანტი. 8. Аметист – ამეთვისტო. 11. Арсеник – დარიშხანა. 15. Базалт – ფილაქანი, ფიქალი, ჭეო. 18. Булыжник – სიპი. 20.Валун – რიყის ქვა. 22. Гагат – გიშერი. 27. Глинозём – აყალო მიწა. 29. Горькозём – მაგნეზია. 41. Золото – ოქრო. 42. Золото чистое – ოფაზი. 44. Известь – კირი. 52. Камень винный, кремортартер – ღვინის მარილი. 60. Квасцы – შაბი. 64. Коралл – მარჯანი, ძოწი. 66. Кремен – ტალი, კაჟი, საღრტილი. 70. Кругляк – ჩიკორი. 78. Лазурь – ცაფერი, ლაჟვარდი, ცისფერი-ქვა. 80. Лал – ლალი. 81. Латун – სპილენძი, მოწითალო რვალი. 89. Минерал – აღმონათხრედი. 96. Натр – ბავრუკი, ბორა. 102. Пемза – სპონდიო, მჭადა ქვა, თირი, ქვა ყომრალი, შირმის ქვა. 103. Перламутр – სადაფი, მარგალიტის ნიჟარა. 108. Плоский камень – სალა ქვა. 114. Подводный камень – ბრაგა. 116. Рубин – ბალახში. 123. Селитра – გვირჯილა. 129. Сода – ბორაკი. 136. Соль озерная – ხაშური. 137. Соль морская – ვეძა. 154. Фаянс – ქაშანური. 157. Хрисолит – ოქროს ქვა.

ტერმინები და ტექნიკური სიტყვები, გვ. 60-91

3. Адвокатура – სვინდიკოსობა. 4. Акробат – მუშაითი, ჯამბაზი. 8. Аклиматизация – დაბუნებება. 10. Анализ – აღლევა. 14. Архитектура – ხუროობა. 15. Архитектор – ხუროთმოძღვარი. 16. Артель – არიფანა. 17. Атом – სტომი. 19. Барельеф – მუდასილი. 24. Башмак – მაშია. 32. Бензин – ბანჯვინი, ბენჯვინი. 42. Вершок – გრე. 43. Внешний – გარეშეობა, გარეგანობა, გარესკნელი, გარეთი, გარეგანი, გარი. 46. Виноторговец – ხამარი. 55. Волокита – დრანჯი. 57. Высокомерный – ამპიწი. 58. Вино разведенное водою – დგვითი. 62. Ветеринар – ბაეტარი, პეიტარი. 85. Гермафродит – აკუმი. 88. Гимнаст – სპარეზი. 89. Гимнастическая арена – ასპარეზი. 111. Делимость – განწვალებულება. 114. Движимый – იძვრისი, მოძრავი. 129. Здравомыслящий – კეთილმჭობელი. 138. Земляк – მექვეყნე. 162. Коневодство – ჯინიბობა. 177. Ко¬робль – დრომონი. 182. Клеенка – მუშამბა. 184. Карниз – ლავგარდანი. 191. Клеймить – დაშანთვა. 192. Количество – ამარი. 223. Ловкость – ჩაუქობა. 225. Лунатик – ცისადცისადი. 228. Лихвенный процент[1] – ვახში, ვასხი. 230. Мародерство – თარეში. 237. Мозаика – საროთი. 241. Мотыга – თოხი. 244. Музыкант – მუთრიბი. 259. Место для игр –

1. лихвенный процент *ქართულად არის მევახშური პროცენტი (რქლ, 1956: 693).*

სამორინო. 282. Недостаток – ზადი,ზადირე¬ბა. 283. Обозрение моря – დასვინაღრება. 284. Общтукатурить – შემოგოზვა. 287. Оптом – ბოლად. 297. Опиум – ბანგი, ბეუშტარი. 317. Подошва обуви – ლანჩა. 329. Пер¬чатки – თათმანი, ქურო. 334. Перпендикулярно – შვეტი. 349. Половой орган – ივი. 358. Подражать – აყოლა. 387. Практика – საქმითი სწავლა. 406. Путеводитель – ბელადი, ეტიკი, ბადრაგა. 416. Работа – ოფო. 422. Разглашать – განთქმა. 437. Резина – გომიზი, გომფისი. 439. Ростовщик – მევახშე. 442. Рогатка – გისსონი. 459. Рычаг – აზარმაცი. 471. Сбор хлеба – კალმასობა. 472. Сбор вина – მუჩირობა 473. Сбор винограда – რთველი. 478. Сосредочить – დაყურსება. 564. Ткальный инструмент – დგიმი. 572. Тиски, пресс – გირაგი. 574. Ткань – ანასვი, ანაქვსი. 575. Тоннель – დრანი. 585. Узор – ნახში. 625. Царство – სუფევა. 652. Шипучее вино – ახტაშირა. 665. Юг – ონოტო, სამხრეთი, თემანი. 666. Юриспудент – სჯულის მეცნიერი. 667. Ярмарка – არბოობა.

ქართული სიტყვები, რომელთაც ვერ შევუსაბამე რუსული სიტყვები, გვ. 93-96

ასეთი ქართული სიტყვების რაოდენობა 131-ია, მაგალითად: 10. ბოლოშავა (ფრ.). 22. თა-გადირი (ვარსკვლავი). 35. მწერჩიტა (ფრ.). 48. ოლოლი (ფრ.). 67. სიპიანი (თევზ). 88. ქაფშია (თევზ.). 96. ღობემძვრალა (ფრ.). 113. ცხრამუცელა (ფრ.). 116. წიწკანა (ფრ.). 118. წრიალა (ფრ.). 121. ჭინჭრაქა (ფრ.). 127. ხიხაური (ფრ).

გამოყენებული ლიტერატურა:

ბურდონი და მიხესონი, 1903 – Бурдон и Михельсон, Словорь иностранных слов, вошедших в употребление в русском языке. Издание десятое, Москва;

გაჩეჩილაძე, 1959 – პ. გაჩეჩილაძე, „ქართული ლექსიკოგრაფია ლექსიკოლოგიის ისტორი-ისათვის“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI;

გომართელი, 1914 – ივ. გომართელი, „კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი“, თბილისი;

დავითაია, 1975 – ეთერ დავითაია, „კოტე ყიფიანი“, თბილისი;

ერისთავი, 1880 – რაფიელ ერისთავი, „რაოდენათ მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს?“, „დროება“, – 212;

ერისთავი, 1883 – რაფიელ ერისთავი, „წერილი რედაქტორთან“, „დროება“, №251;

ერისთავი, 1884 – რაფიელ ერისთავი, „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკო-ნი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“, თბილისი;

ვაშაყმაძე, 1962 – შ. ვაშაყმაძე, „რაფიელ ერისთავი — ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქ-მედება“, თბილისი;

ივერია, 1889 – გაზ. „ივერია“, №180;

მ-ჭ-ხ-ძე, 1884 – „დროება“, №201.

მიხელსონი, 1883 – Михельсон М.И., Объяснительный словарь иностранных слов, вошедших в употребление в русский язык. Издание девятое, С.-Петербург-Москва;

რქლ, 1956 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, თბილისი;

სანინელი, 1884 – „დროება“, №223;

ქრლ, 2013 – ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი;

ღამბაშიძე, 1986 – რ. ღამბაშიძე, „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, თბილისი;

ყიფიანი, 1964 – კოტე ყიფიანი, „მოგონებები-წერილები“, თბილისი;

ყიფიანი, 1896 – Русско-Грузинский словарь по Астрономии, Зоо¬ло¬гии, Минералогии и разных терминов и технических слов , Тифлис;

ჩხეიძე, 2001 – თენგიზ ჩხეიძე, „ყიფიანების საგვარეულო ღერბი“ გაზ. „საპოვნელა“, №12.

აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი
თამილა მჟავანაძე – ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის სპეციალისტი

სოფელი მთისძირი

დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის მქონე ვანი, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IX–VI საუკუნის პირველ ნახევარში კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, რომელსაც ეკავა ბორცვი (დღეს „ახვლედიანების გორის“ სახელითაა ცნობილი), იგი მოიცავს 8,5 ჰა ფართობს. აქ იყო მმართველი ზედაფენის რეზიდენცია.

დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიაზე XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ორი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული – საჩინო და სალომინაო იყო განლაგებული. საჩინო მოიცავდა მდინარე ყუმურისა და სულორის ხეობებს, ხოლო მდინარე კვინისწყალის ხეობა და მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია მდინარე კორისწყლამდე, სალომინაოს ეკავა.

როგორც ირკვევა ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ვანის ქვეყანა და საჩინო თითქმის ერთ ტერიტორიად მოიაზრებოდა.

სახელწოდება „ვანი“ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში არაერთგზის გვხვდება. უმთავრესად კი, დასავლეთ საქართველოში. გარდა ტოპონიმიკური მნიშვნელობისა სიტყვა „ვანი“, ამჟამად, ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარება, რაც საცხოვრებელ სახლს, ბინას ნიშნავს. სიტყვა „ვანი“ გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაშიც, როგორც ორიგინალურში, ისე თარგმნილშიც V-VI საუკუნეებიდან.

აკადემიკოსი სერგი ჯანაშია კი „საქართველოს ისტორიაში“ სახელწოდება „ვანის“ საშუალებით ერთის მხრივ თანამედროვე საქართველოს აკავშირებს ძველ ქალდ-ურარტუელებთან და მეორე მხრივ – დასძენს: „...ბანა და ფანასკერტი (სამხრეთ საქართველოს დიდრონი ცენტრები ფეოდალურ ხანაში), ვანი (ანტიკური საქართველოს თვალსაჩინო ცენტრი), ამჟამად დაბა ქუთაისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს.

სახელი „ვანი“, როგორც დასახლებული პუნქტი, წერილობით წყაროებში XVIII საუკუნის 70-იან წლებში გვხვდება. გვიანფეოდალურ ხანაში დღევანდელ ქალაქ ვანის ადგილას ორი პუნქტი ყოფილა განლაგებული – საჩინო და საბეკა, ხოლო ქალაქის ერთი ნაწილი საკუთრივ, სოფელ ვანს, დღევანდელ ზედა ვანს ეკუთვნოდა. შედიოდა თუ არა სოფლის შემადგენლობაში „ახვლედიანების გორა“, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, ძნელი სათქმელია.

ისტორიულად ცნობილია, რომ საჩინოსა და საბეკას ციხე-დარბაზთა გარდა, ჩიჯავაძეთა გვარეულობა საჩინოში კიდევ რამდენიმე სასახლეს, ციხე-დარბაზს ფლობდა (სოფელ ზედა ვანში, ისრითში).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „საჩინოს“ ქვეყანა ორად იყოფოდა – ზემო და ქვემო საჩინოდ. ამ უკანასკნელში მდინარე ყუმურის ხეობის სოფლები – საპაიჭაო, ტობანიერი, შუამთა (აქვე იგულისხმება მთისძირი) და ჭყვიში შედიოდნენ.

პროფესორი მიხეილ ნიკოლეიშვილი თავის ნაშრომში – „დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან” მიუთითებს, რომ 1858 წელს სამხედრო ინჟინერი ფოლკენგაგენი კავკასიის მეფის ნაცვალს ბარიატინსკის სთავაზობს რიონის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ რკინიგზის ხაზის გაყვანის პროექტს, ფოთიდან ყვირილამდე, მარშრუტით – ფოთი-მუხაღრუა (დღევანდელი გომი) ამაღლება – (სოფელი ვანის რაიონში) ვარციხე – ყვირილა (ყვირილა – დღევანდელი ზესტაფონის

რაიონი). იმპერიის ხელისუფლებამ პროექტი მოიწონა, მაგრამ სიძვირის გამო ვერ განხორციელდა. როგორც ჩანს, რკინიგზის მშენებლობა შემდეგში დაიგეგმა რიონის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე და განხორციელდა კიდევაც.

მიუხედავად იმისა, „ვანის“ დასახლებანი ასცდა მათ ტერიტორიებზე სარკინიგზო ხაზის გაყვანას. ფაქტია, ახლადგაყვანილი სარკინიგზო ხაზი, რომელიც ვანის ცენტრალური დასახლებებიდან არც ისე შორსაა, უნდა ჩავთვალოთ ამავე დასახლებული პუნქტებისათვის საქონელგაცვლის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად, ხოლო ორი არტერია მდინარე რიონისა და მის გასწვრივ სარკინიგზო მიმოსვლისა უნდა განვიხილოთ, იმ დროისათვის, როგორც „ვანის“ სივრცეზე ვაჭრობა, აღებ-მიცემობის გააქტიურების წამყვან საშუალებად. თუმცა, XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მდინარე რიონი თანამიმდევრულად კარგავს ამ ფუნქციას.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან „ვანის“ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ან ყალიბდება და ფუნქციონირებას აფართოებს რამდენიმე სოფლის, ვიხმაროთ პირობითად გამოთქმა – „სავაჭრო ცენტრი“. აქედან უფრო აქტიური და შედარებით ადრეულიც ჩანს ე. წ. „წიქვაძის ფონი“, ციცხვები ან ციცხვების დასახლება, რომელიც პრაქტიკულად მიერთებულია რიონის სამდინარო არტერიაზე, ცნობილი იმ სახელით, რომლითაც ზემოთ მოვიხსენიეთ და 1900-იან წლებამდე წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულ მრავალრიცხოვან სოფელს. მრევლი გაერთიანებული ყოფილა ჭყვიშში მოქმედ „წმინდა გიორგის“ ეკლესიაში. ესაა დაახლოებით დღევანდელი ჭყვიშის, შედარებით, დასავლეთის ტერიტორია, ჭაგანისა და დღევანდელი სოფელ მთისძირის ტერიტორიის ნაწილი, რომელთა ცხოვრების პრიმატი დაკავშირებული იყო როგორც სამიმოსვლო, ასევე სამეურნეო თვალსაზრისითაც მდ. რიონზე – მრავალმხრივი გამოყენების მდინარეზე და, ალბათ, მოსახლეობის მრავალრიცხოვნებასაც ეს ხელსაყრელი ფაქტორი განაპირობებდა. (ო. კაპანაძე – „სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოების მიხედვით“, კრებული „მატიანე“, №12, 2018 წ,. გვ 35).

გამოჩენილი პოეტი ტიციან ტაბიძე (დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში) თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „ორპირი უხსოვარი დროიდან რიონის ნავსადგური იყო. მახსოვს, სამდინარო გემები შემოდიოდნენ ორპირში და გაჰქონდათ სიმინდი და ხმელი ხილი.

უფრო მოწიფულ ასაკში ორპირი და რიონის დელტა მაგონებდა მითს. მამაც ოქროსმაძიებლებზე – არგონავტებზე, რომლებიც ამ მიდამოებში გადმოსახლდნენ, დააძინეს დრაკონი და კოლხეთის მეფე აიეტს ოქროს საწმისი და მზეთუნახავი ქალი მედეა მოსტაცეს“ (ტ. ტაბიძე, ტ-1. „ლიტერატურა და ხელოვნება“, გვ.1).

დასავლეთ საქართველოში რუსეთის ფეხმოკიდებას რიონზე ნაოსნობის გაცხოველება მოჰყვა.

კ. ბოროზდინი იგონებს XIX საუკუნის 50-იანი წლების ამბებს. „...მაისის 23, როცა მე სტუმრად ვიყავი გეგიძესთან, მისი სახლის აივანზე იჯდა რამდენიმე მგზავრი, ფოთში მიმავალი. ლაპარაკობდნენ მეორე დღისთვის ნავის დაქირავების შესახებ. ამ დროის შორი-ახლოდან ზარბაზნის დაცლის ხმა მოისმა. ნეტავ, რა ამბავი უნდა იყოს? აქ ზარბაზანს რა უნდა?...

თვალის დახამხამებაში გამოვცვივდით ნაპირზე და დავინახეთ პირველი და სრულად მოულოდნელი ორთქლმავალი გემი, რომელიც დიდის ხმაურით მიაპობდა რიონის ტალღებს“.

მაგრამ ვიდრე ცეცხლის გემები ამოუყვებოდა რიონს, მანამდე ბრტყელძირა კოლხური ნავებით მოცურავდნენ ვაჭრები, უმეტესად ბერძნები, და ჭყვიშამდე აღწევდნენ. სოფლის ყურეში, რომელსაც „წიქვაძის ფონი“ ეწოდება, გაჩნდა დუქნები და სავაჭრო ფარდულები. საჩინოს თემიდან, რომელიც გამოირჩეოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სიუხვით, აქეთკენ მოედინებოდა სიმინდითა და აბრეშუმის პარკით დატვირთული ურმები, მოჰქონდათ კაკლის ხეები და ათასგვარი ნედლეული, მერე იტვირთებოდა უზარმაზარი ნავები და თავქვე ფოთისა თუ ყულევისაკენ მიცურავდნენ.

ჭყვიში პატარა სამდინარო ნავსადგურად იქცა. ამ გარემოებამ, ცხადია, გავლენა მოახდინა სოფელსა და მის მცხოვრებლებზე. რა თქმა უნდა, მის მახლობელ სოფლებზეც.

ფართო სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში სოფელი ორპირი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა.

ორპირი (დასახლებული პუნქტია რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან) მდინარე რიონის საშუალებით აქტიურად იყო ჩაბმული სავაჭრო საქონელმიმოქცევის პროცესში „შედარებით გაბარიტიანი სამდინარო გემებისათვის ნაოსნობა განისაზღვრა ჯერ ორპირამდე, შემდეგ... გუბისწყლამდე, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ნაოსნობის წიქვაძის ფონამდე (ჭყვიშამდე) განხორციელებისათვის. თანამედროვეთა გადმოცემით „წიქვაძის ფონში“ (ჭყვიშში) ამოდიოდა ისეთი დიდი ნავები, რომელთაც თავსა და ბოლოში ცეცხლი ენთო და კვამლი ამოდიოდა“. ჭყვიშიდან ხდებოდა აქ სხვადასხვა სოფლებიდან თავმოყრილი საქონლის ორპირის მიმართულებით გატანა და იქედან მზა ნაწარმის შემოტანა. ჭყვიშში გადიოდა საქარავნო გზაც, რომელიც გამოყენებული იყო ტვირთგადაზიდვისათვის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან „წიქვაძის ფონი“, როგორც საკომუნიკაციო პუნქტი, ძალზე გააქტიურებულია. ჭყვიშის ტერიტორიაზე აგებული იქნა სავაჭრო ობიექტები, ფარდულები, სამიკიტნოები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიმღები პუნქტები და სხვა. სადაც, ძირითადად, ვაჭრობას ეწეოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა და ფენა აქტიური ადამიანებისა, რომელთაც კონტაქტები ჰქონდათ დამყარებული ბაზრებთან, მოვაჭრეებთან და მათი დახმარებით ახერხებდნენ შეძენილი საქონლის (პროდუქციის) გაგზავნას სასურველ ობიექტამდე.

მთელი რიგი ვანის სოფლები, მათ შორის მთისძირიც, იყო აქტიური მონაწილე სავაჭრო ურთიერთობისა და აღებ-მიცემობის განვითარების ამ პროცესში (იხ. ო. კაპანაძე – „ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან“, 2012 წელი, გვ126-135).

მე-20 საუკუნის 60-იან წლებიდან საქართველოში შეიქმნა „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოება „ропит“. ამ პერიოდიდან გარკვეულ დრომდე ნაოსნობის ინტენსივობა რიონზე საკმაოდ გაიზარდა. მდინარე რიონის სანაოსნო არტერიამ გარკვეულ წილად სამხედრო დანიშნულებაც შეიძინა.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია ახორციელებდა ძველი ქალაქის ირგვლივ მდებარე სასოფლო ტერიტორიების გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლას, რომლის უმთავრესი მიზანი იყო ერთი მხრივ – „ქვეყნის“ ისტორიულ-კულტურული განვითარების უმთავრესი ეტაპების დადგენა, ხოლო მეორე მხრივ – ვანის ძველი ქალაქის გავლენის ზონის განსაზღვრა. ამ თვალსაზრისითაც მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები სოფელ მთისძირშიც.

„ვანი“ საქალაქო ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო „მთისძირი“ მისადმი დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაში შედიოდა. ბუნებრივია, რომ ყველა საქალაქო ცენტრს ასეთი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიით, თავის გარშემო ექნებოდა გარკვეული თავდაცვითი სისტემა, რომელიც მის უშიშროებას ემსახურებოდა. ამდაგვარი „გამამაგრებელი“ სოფელი, ჩვენი აზრით, იყო ძველი „მთისძირიც“. ასეთი „გამამაგრებელი“ სოფლები ალბათ, განლაგებული იყო ქალაქისაკენ მიმავალი კომუნიკაციების ჩასაკეტ-გადასაღობად. „მთისძირი“ კი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, კონტროლს უწევდა მდინარე რიონის ხეობაზე გამავალ გზას, ხოლო მეორე მხრივ – მდინარე ყუმურის ხეობიდან მომავალ ერთ-ერთ გზას კეტავდა. სწორედ, ამიტომ, სოფელ მთისძირს ბორცვ-გორების ტრასაზე ედგა სასიმაგრო-საცხოვრებელი ნაგებობები.

სოფელ მთისძირის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო შემთხვევით აღმოჩენილით, ჯერ კიდევ 1952 წელს. ამ წელს სოფელ მთისძირში მცხოვრები გლეხი, კაკო სტურუა, წაბლა ღელეში წასწყდომია სამარხს ძვირფასი ნივთებით, რომელიც დაბა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის გადაუცია. მალე ახლადაღმოჩენილ უიშვიათეს ნივთებთან დაკავშირებით სოფელ მთისძირში მივლინებით ჩავიდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო ხოშტარია, რათა გაცნობოდა აღმოჩენის ადგილს. სამარხი მან ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნით დაათარიღა. ფიქრობენ, რომ ის ეკუთვნოდა წარჩინებულ პირს, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდა ვანის ქვეყნის სასოფლო ერთეულების მართვა-გამგეობაში.

სოფელ მთისძირის წაბლა ღელის ე.წ. „ნაშუების“ ორმოსამარხი გარკვეულ წარმოდგენას

გვიქმნის სამოსახლოს მცხოვრებთა დამარხვის წესზე. ამ სამარხებზე ფაქტობრივად, მხოლოდ გადარჩენილი ნივთების მიხედვით შეიძლება მსჯელობა. უდავოა, რომ აქ მდიდრული სამარხი უნდა ყოფილიყო. ოქროს ე.წ. სხივანა საყურის გარდა (კაკო სტურუას დედის თქმით) ორი ოქროს სამაჯურიც ყოფილა, რომელმაც, სამწუხაროდ, მუზეუმამდე ვერ მიაღწია.

ოქროს სხივანა საყურე ინახებოდა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, შემდეგ ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. საყურე შედგება რგოლისაგან, რომელზედაც „სხივებია" დამაგრებული. ამ რგოლზე მიმაგრებულია გადაჭრილი სამკუთხედის მსგავსი ფირფიტა. ეს სამკუთხედი მიმაგრებულია რგოლზე. სხივანა საყურის ზომებია: სიგრძე 8 სმ, დიამეტრი რგოლისა, რომელზეც „სხივებია" დამაგრებული 3,5 სმ-მდეა.

სოფელ მთისძირის „ნაშუების" სამარხში აღმოჩენილი ნივთებიდან, აგრეთვე, საინტერესოა ვერცხლის ყანწ-რიტონი. სამწუხაროდ, იგი ძალზე დაზიანებულია. საყურადღებოა ორი ფრაგმენტი: ერთი – ვაც-კაცის გამოსახულება, რომელიც ჩამაგრებულია ყანწის მსგავსი ჭურჭლის გადანატეხში, ხოლო მეორე – სუროს გამოსახულებიანი გაბრტყელებული ფირფიტა, რომელსაც დაკარგული აქვს პირვანდელი ფორმა. ფიგურას – ადამიანის თავი, თხის რქები, ყურები და ქვედა კიდურები აქვს.

ყანწ-რიტონის პირ-გვერდის ზედა ნაპირს წრიულად დაუყვება მცენარეული ორნამენტი, რომელიც სუროს გამოხატავს. საფიქრებელია, რომ აქ გამოსახულია კოლხური სურო. ცნობილია, ეს სურო დაკავშირებული უნდა იყოს დიონისეს კულტთან და ხშირად გვხვდება ხოლმე დიონისესა და, განსაკუთრებით, მისი თანმხლები სილენის, მენადების და სატირების გამოსახულებებზე.

რიტონი, ძირითადად, იხმარებოდა ღვინის სასმისად. ცხოველის რქას ადამიანი დიდი ხანია იყენებს სასმისად, რომელსაც ყანწს ეძახიან. საქართველოში აგრეთვე მეღვინეობის ძალიან ძველი ფესვები გვაფიქრებინებს, რომ ყანწ-რიტონი აქ სასმისების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა.

გამოსახულება-ფიგურები ყანწ-რიტონით ხელში საქართველოს გარეთ ბევრგანაა დადასტურებული. ყანწ-რიტონის საკრალურ-რელიგიურ დანიშნულებაზე მიგვანიშნებს აგრეთვე მისი „სიუხვის რქად", ყანწად წარმოდგენა. „სიუხვის ყანწი" არის სიმდიდრისა და დოვლათის ფრიად გავრცელებული სიმბოლო.

ყანწ-რიტონის სამარხეულ ნივთებში შეხვედრის სიხშირე გვავარაუდებინებს, რომ ყანწ-რიტონის ერთ-ერთი საკრალური ფუნქცია იყო, მისი გამოყენება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში (სამარხში ჩატანება, ან სულის მოსახსენებელ დღეებში განსვენებულის საფლავზე ყანწ-რიტონით მოსაგონარის შესმა).

მთისძირის ყანწ-რიტონი არის ადგილობრივი ხელოსნის ნახელავი, რომელიც განიცდიდა მაშინდელი აღმოსავლური ხელოვნების გავლენას, ხოლო სიუჟეტი ადგილობრივი რელიგიური წარმოდგენების ნაყოფია.

სოფელ მთისძირში აღმოჩენილი კერამიკული მასალა წარმოადგენას გვაძლევს ხელოსნობის ისეთი დარგის განვითარებაზე, როგორიცაა მეთუნეობა.

ძველი „მთისძირის" სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ქვევრებისა და დერგების ნატეხებით. როგორც ჩანს, კერამიკის ეს სახე ფართოდ იყო გავრცელებული ძველი მთისძირის მოსახლეობაში. ქვევრებს მარცვლეულის, ღვინის, ზეთისა და სხვა სითხის შესანახად იყენებდნენ.

სამშენებლო კერამიკა მთისძირში წარმოდგენილია კრამიტით და აგურით. აქ ორი პერიოდის კრამიტი გვხვდება 1. ელინისტური ხანის კრამიტი, გვერდებაკეცილი, ბრტყელი (სოლენის ტიპის), ეს კრამიტი ვანის ნაქალაქარზე ნაპოვნ კრამიტს ჰგავს, მხოლოდ კეცი ზოგჯერ განსხვავებულია.

2. გვხვდება საშუალო საუკუნეების კრამიტი. იგი ელინისტური ხანის კრამიტისაგან იმით განსხვავდება, რომ ნაკლებად მასიურია, გადანაკეცი გაცილებით თხელი აქვს. ორივე სახის კრამიტი მხოლოდ ნატეხების ფორმით შემოგვრჩა.

საშუალო საუკუნეების აგურებიც, რომელთა ნაშთები ადეიშვილების გორის ფერდობზეა

ნაპოვნი, სისქე აგურისა 4-5 სმ-მდე მერყეობს. ამგვარი აგური ხშირად იხმარებოდა იატაკის მოსაგებად.

ხსენებული ტერიტორიებიდან არქეოლოგიურად ყველაზე უფრო საყურადღებოა ორი პუნქტი. პირობითად ეს პუნქტები A და B აღვნიშნეთ. A ადეიშვილების გორა, სადაც საშუალო საუკუნეების საფორტიფიკაციო ნეგებობის ნაშთებია. ეს სამხედრო მნიშვნელობის ძველი ნაგებობა განლაგებული იყო გორაზე და ზემოდან დაჰყურებდა მთელ გარემოს. გორის წვერიდან ხელისგულივით მოჩანს მდინარე რიონის ხეობა. ადეიშვილების გორას სამხრეთიდან ეკვრის გეფერიძეების ნამოსახლარი. აქ სამარხების ნაშთებია დადასტურებული. B წაბლა-ღელე, რომლის შუა წელზეც, ე.წ. „ნაშუებში", ჯერ კიდევ 1952 წელს შემთხვევით აღმოჩნდა მდიდრული ნივთები, სამარხეული ინვენტარის ნაშთები. (ნ. ხოშტარია - მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტომი მეორე, თბ., გვ 149-161).

ეს ნაშთები ყველაზე უფრო თვალნათლივ A და B პუნქტებში ჩანს. აქ დადასტურდა წინარე ანტიკური, ანტიკური და საშუალო საუკუნეების არქეოლოგიური მასალა.

ამგვარად, მთისძირში დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება: წინარეანტიკურ, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში მთისძირში, როგორც ჩანს, ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობდა, თუმცა ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვანაირი ინტენსივობით ხასიათდება. არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ აქ ნგრევა (ელინისტური ხანის ბოლომდე) ვანის ძველი ქალაქის პარალელურად ხდება. მთისძირი რამდენჯერმეა განადგურებული. იმპორტი და ადგილობრივი (ტარა) კერამიკა მოწმობს, რომ მთისძირი ჩაბმული იყო კოლხეთთან ბერძენთა ვაჭრობის ორბიტაში. არ არის გამორიცხული ის გარემოება, რომ მთისძირი ელინისტურ ხანაში ვანის სასოფლო-სამეურნეო დასახლებას წარმოადგენდა. საფორტიფიკაციო ნაგებობების (ანტიკური ხანა, საშუალო საუკუნეები) აღმოჩენით სრულიად აშკარა ხდება მთისძირის სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობა ე.წ. ვანის ქვეყნისათვის. ჩანს, გვიან ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებშიც მთისძირი არ კარგავს თავის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას.

მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები მნიშვნელოვან მასალას იძლევა დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის.

სოფელ მთისძირის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის ერთი მცირე ნაწილი, კერძოდ უცხოური კერამიკა, წარმოდგენას გვიქმნის იმ სავაჭრო ურთიერთკავშირებზეც, რომლის ორბიტაში მთელ კოლხეთთან ერთად ჩაბმული იყო ძველი მთისძირის მოსახლეობაც. ეს უცხოური ნაწარმი, ძირითადად, წარმოდგენილია კერამიკული ტარით (ამფორები) და საოჯახო მოხმარებისათვის განკუთვნილი შავლაკიანი ჭურჭლით.

აი, როგორ გამოიყურებოდა დღევანდელი ვანის რაიონი XVI- XVIII საუკუნეებში. ამ რუკაზე სოფელი მთისძირი, როგორც დასახლებული პუნქტი, ცალკე არ არის აღნიშნული.



ორიოდე სიტყვით არ შეიძლება არ შევეხოთ მთისძირის მოსახლეობის ჩართულობას 1905-1907 წლების რევოლუციურ პროცესში, რომელსაც, ძირითადად, მართავდა საქართველოში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტია.

რევოლუციური მოძრაობის გააქტიურების საქმეში დიდ როლს ასრულებდნენ პროპაგანდისტები და აგიტატორები, რომლებიც ანტისახელისუფლო, არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ. მათი კონკრეტული ვინაობის დადგენა, ერთეული გამონაკლისის გარდა ძნელია, რადგან არალეგარულად, კონსპირაციულად უწევდათ ასეთი მისიის შესრულება.

სოფლებში ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტები, „წითელი რაზმები". ანალოგიური ვითარება დასტურდება სოფლების: შუამთის, მთისძირის, ჭყვიშის დასახლებებში (ეს სოფლები ტობანიერის თემში შედიოდნენ – ა. თ.).

„ვანის" ცალკეულ დასახლებებში რევოლუციური საქმიანობით დაკავებულნი იყვნენ: დავით ლორთქიფანიძე – პროფესიონალი რევოლუციონერი, გიორგი ნანაძე, გიორგი კოპალეიშვილი, ესტატე კოპალეიშვილი (ჭყვიშიდან – ა. თ), როგორც თანამგრძნობი და ხელშემწყობი"... (ო. კაპანაძე, „ვანი, ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან", გვ.209).

„ვანში" მის მომხრეთა შორის არიან: სიმონ თავაძე, შემდეგში ცნობილი მწერალი, ალექსანდრე მინაშვილი, კოწია გამყრელიძე... ივლიანე აბრამიძე, ალექსანდრე ზაქრაძე, იპოლიტე ჩაჩუა, ტარასი ნადირაძე და სხვები" (შ. გიორგაძე „ვანი და ვანელები", გვ.66).

სოფელ მუხაღრუადან, სოფელ მთისძირიდან „წითელი რაზმის" აქტიური წევრები იყვნენ წითელაშვილი და თავაძე, მიხა ჟვანია... მიხა ჟვანიას, როგორც გამოჩენილი რევოლუციონერის სახელი, კარგად ცნობილია მთელი რაიონის მოსახლეობისათვის.

სოფელ საპაიჭაოს საშუალებით სამსონ წითელაშვილის წითელრაზმელები გურიაში მოქმედ ანტისამთავრობო რაზმებს უკავშირდებოდნენ. აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეს სოფელი სხვა სოფელთან ერთად იყო წითელაშვილის სამოქმედო არეალი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გამოჩენილი პოეტის, ტიციან ტაბიძის მამას, იუსტინე ტაბიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა წითელაშვილთან და მის რაზმელებთან. ის გულითა და სულით ემხრობოდა რევოლუციას და დიდ დახმარებას უწევდა რევოლუციონერებს იარაღით, საბრძოლო მასალით მომარაგების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ 1905-1907 წლების რევოლუცია დამარცხდა, ის იყო ერთგვარი გენერალური რეპეტიცია რევოლუციურად განწყობილი მასებისათვის, საწინდარი 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების გამარჯვებისა.

სოფელი მთისძირი წარმოადგენს ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულს. იგი მდებარეობს ვანი-სამტრედიის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე, ზღვის დონიდან 70 მეტრ სიმაღლეზე, რაიონის ცენტრიდან მოშორებულია 10 კმ-ით, ხოლო ქალაქ სამტრედიიდან 16 კმ-ით.

სოფელ მთისძირს აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფელი შუამთა, სამხრეთ-დასავლეთით სოფელი კორმაღალი, დასავლეთით სოფელი გომი, ჩრდილოეთით – ახალსოფელი (ქალაქი სამტრედია), ჩრდილო-აღმოსავლეთით ჭყვიში (წიქვაძისფონი).

სოფელი არის ვაკე და გორაკ-ბორცვიანი. მთისძირისა და ჭაგან-ჭყვიშის საკუთრებაში დღესდღეობით 668 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა. აქედან 519 ჰა კერძო საკუთრებაა, ხოლო სახნავი სახელმწიფო მიწა 1ჰა-ს შეადგენს, მრავალწლოვანი ნარგავები გაშენებულია 46 ჰა-ზე (კერძო სექტორი). საძოვარი სულ 163 ჰა, აქედან კერძო 15 ჰა, სახელწიფო 148 ჰა, საკარმიდამოდან სახნავი 76.0 ჰა, მრავალწლოვანი გაშენებულია 164 ჰა-ზე.

სოფლის ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 13,9^{0}C, იანვარი 4,1^{0}C, ივლისი 23,4^{0}C. ნალექები 1380 მმ წელიწადში. უხვი ნალექი მოდის შემოდგომასა და ზამთარში. თოვლის საფარი დაბლობზე საშუალოდ 10-12 სმ სისქისაა და მისი ხანგრძლივობა წელიწადში ორ კვირას აღემატება. მაღალ მთებში თოვლის სისქე ორ მეტრზე მეტია და წელიწადში 3-4 თვე დევს.

სოფლის ბოლოში, ნიკა ხუჭუას სახლის გვერდით გაკეთებულია ჭაბურღილი, საიდანაც უწყვეტ ნაკადად ამოედინება სამკურნალო გოგირდოვანი წყალი, რომლის ტემპერატურა 50^0 აღემატება.

სოფელს სამხრეთით აკრავს სტურუების, გეფერიძეების, ადეიშვილებისა და კაცაძეების ტყე, ხოლო აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით შემოსაზღვრულია ქარსაფარი ზოლით.

დღევანდელი სოფლის საზღვრების ე.წ. „ჩამკეტი“ მოსახლეებია: ჭიჭიკო ჯულაყიძე (აღმოსავლეთით), დავით ტყეშელაშვილი (დასავლეთით), ჩრდილო-დასავლეთით: გოჩა შენგელია, გურიკო არველაძე, ხოლო ჭყვიშის მხარეს აღმოსავლეთით მამუკა ორმოცაძე, თამაზ ადეიშვილი.

სოფელ მთისძირში გაედინება პატარა მდინარე ნასერალა, რომელიც ერთგვარი წყალგამყოფია მთისძირისა და მისი შემადგენელი მეორე სოფლის ჭაგან-ჭყვიშისა. ერთ დროს მდინარე იმდენად წყალუხვი იყო, რომ მასზე წისქვილიც იყო გამართული. კარგად გვახსოვს ეს ხის წისქვილიც და მეწისქვილე ცალფეხა კოსტაც.

ამჟამად, სოფელში ფუნქციონირებს რამდენიმე სავაჭრო ობიექტი, პურის საცხობი, ორი ელექტრო წისქვილი. კარგ მდგომარეობაშია ელექრტო და გაზმომარაგება. მთისძირის ცენტრიდან ჭაგან-ჭყვიშისაკენ (ჟღენტების უბნისაკენ) მიმავალი გზა ასფალტირებულია, საუბნო გზები კი ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია.

აგრეთვე, 90-იანი წლებიდან სოფელში ფუნქციონირებდა მეორადი საბურავების დამამზადებელი საწარმო, რომელიც შექმნეს კერძო მეწარმეებმა: ბუჭუნა ახობაძემ, დურმიშხან მჟავანაძემ და გელა კიკაბიძემ. სამუშაოებს ასრულებდნენ: ძმები – დაზმირ და ოლეგ მჟავანაძეები, ზაზა ნიკოლეიშვილი, მამუკა ცინცაძე, გია ჯოგლიძე, ოლეგ ონიანი.

მთისძირი, ისევე როგორც ჭაგან-ჭყვიში, სხვადასხვა დასახელების უბნებით მოიხსენიება დღესაც. მაგალითად: ცნობილია – ახობაძეების, სტურუების, ნიკურაძეების, გეფერიძეების, კიკაბიძეების, ადეიშვილების, სულაქველიძეების, მამფორიების უბნები; ჭაგან-ჭყვიშში – შენგელიების, კლარჯეიშვილების, ბექაიების, კალაძეების, ჟვანიების, ხუჭუების, ჟღენტების უბნები.

მთისძირის უბნები საკუთრივ მთის ძირშია განლაგებული, ხოლო ჭაგან-ჭყვიშის უბნები ვაკეზე, ფართოდ გაშლილ ვრცელ ველ-მინდვრებზე. აქ ნიადაგი ფრიად ნაყოფიერია და სიმინდის, ბოსტნეულის უხვ მოსავალს იძლევა.

სოფელ მთისძირში პირველი კოლმეურნეობა 1930 წელს შეიქმნა, რომლის პირველი თავმჯდომარე მელქისი ანდღულაძე იყო. მალე ჭაგან-ჭყვიშშიც ჩამოყალიბდა არტელი, რომლის თავმჯდომარედ შალვა ჟვანია აირჩიეს.

ბატონი შალვა 1941 წელს ომში გაიწვიეს, თუმცა თავმჯდომარის ადგილი დაჯავშნული იყო, მამამ (მიხა ჟვანიამ) ისურვა მისი შვილი ერთ-ერთი პირველი წასულიყო თავისი ქვეყნის დასაცავად, რათა ამით ერთგვარი მაგალითი მიეცა სხვათა შვილებისთვის. მის მოვალეობას წლების მანძილზე აგრონომი არტემ კალაძე ასრულებდა.

სოფელი მაშინ შუამთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის (თავმჯდომარე მიხა ჟვანია) შემადგენლობაში შედიოდა. მოკლე ხანში მთისძირისა და ჭაგან-ჭყვიშის კოლმეურნეობები გააერთიანეს და სათავეში ჩაუყენეს აკაკი ნიკოლეიშვილი.

სხვადასხვა დროს მთისძირის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდნენ: ამფილოქე მამფორია, ჟორა (გიორგი) ჩომახიძე, დავით სულაქველიძე, ანზორ ნაფეტვარიძე, გიული ჩახუნაშვილი, გიგლა დიასამიძე, იორამ გეფერიძე, ლიანა მამფორია, ბადრი კორძაძე, რუსუდან აბჟანდაძე, კონსტანტინე სტურუა, მალხაზ კაცაძე.

1996 წლის ბოლოს მოხდა მთისძირის კოლმეურნეობის რეორგანიზაცია, რომლის საფუძველზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „მთისძირი“ და მის დირექტორად დაინიშნა მალხაზ კაცაძე.

სოფელში მეტად განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა,

მევენახეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა... უხვად მოჰყავდათ მარცვლეულის კულტურები: სიმინდი, მუხუდო (სოიო), (სოიოს, როგორც საკვები კულტურის გავრცელებაც ისტორიულ დროში სოფელ მთისძირს უკავშირდება და ამაზე სათანადო მასალებიც არსებობს), საჭმელი ლობიო, მოჰყავდათ ხორბლი, ითესებოდა ქერი, და შვრია. ბოსტნეული კულტურებიდან აღსანიშნავია – ხახვი, პომიდორი, კიტრი, ბოლოკი, კომბოსტო, იწევდნენ მიწის თხილსაც.

მთისძირის კოლმეურნეობას ჰქონდა ოთხი მეცხოველეობის ფერმის შენობა წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვისთვის. ერთი მდებარეობდა ჟღენტების უბანში, ზეინკალ დავით შენგელიას სახლის მარჯვენა მხარეს. იქ, ძირითადად, მეწველ საქონელს აბინავებდნენ, მეორე – ახალფართობის (ნავენახარის) ბოლოს დასავლეთით, (თეთრ ბოსლად იხსენიებენ დღესაც, რადგან თეთრი თლილი ქვებისგან იყო აგებული), გათვალისწინებული იყო არამეწველი საქონლისათვის. მესამე მეცხოველეობის ფერმის შენობა მდინარე ნასერალას მარჯვენა მხარეს მდებარეობდა, პანტელეიმონ და ოლიფანტე შენგელიების სამოსახლოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით, 800 მეტრის დაშორებით (აქ „შერეული“ საქონელი ბინავდებოდა).

მესამე მეცხოველეობის ფერმიდან, თითქმის ერთ კილომეტრში, ჩრდილოეთ მხარეს, ზედ გზასთან მეღორეობის ფერმის შენობა იდგა.

ამ ფერმის მოწინავე მუშაკები იყვნენ: დიომიდე და გერმანე ხუჭუები, ჟორა თევზაძე და სხვ. მათ შრომა-გარჯით არც სახელოვანი მწველავები: მაკარო ნიკოლეიშვილი, ვლადიმერ ხუჭუა, ამირან ხუჭუა, შოთა კაპატაძე, ჟუჟუნა თევზაძე, ანგელინა თევზაძე-მჟავანაძე, რუდიკო თავაძე, კაკო სტურუა ჩამოუვარდებოდნენ.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კოლმეურნეობას ჰქონდა ცხენსაშენი, როგორც გადმოგვცემენ 80 ცხენზე მეტი რაოდენობით. იმ დროისათვის ეს მოტივირებული იყო სამხედრო მოთხოვნილებით. კავალერიისათვის თითოეულ კოლმეურნეობას ცხენები უნდა გაეზარდა. უხუცესები იგონებენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობას ორი ვეება დროგის ცხენი აჩუქეს თავის დროგიანად. მედროგედ ყოფილა მუხლჩაუხრელი მშრომელი კაცი, კოლმეურნე – შოთა კალაძე.

ჭაგან-ჭყვიშში კოწია ბექაიას სახლის გვერდით, ხოლო ავთანდილ წითელიშვილისა და დემურ კლარჯეიშვილის კარმიდამოს წინ ყოფილა ტყელვანის ქვით ნაგები დიდი ორსართულიანი შენობა, სადაც აბრეშუმის ჭია გამოჰყავდათ, ამიტომ ამ ადგილს „საჭიპინიას“ ეძახდა ხალხი, შემდგომში ეს ტერიტორია მანქანა-ტრაქტორების სადგომად იქნა გამოყენებული, დღეს კი აქ მინი სტადიონია.

სოფლის კოლმეურნეობას მოსავლის დასაბინავებლად ორი ბეღელი ჰქონდა. ერთი მთისძირის ცენტრში, იქ, სადაც, ამჟამად, გ. ქიქოძის სახელობის ტაძარი ფუნქციონირებს და მეორე ჭაგან-ჭყვიშში, კალისტინე კალაძის (ამჟამად იქ ვანო კალაძე ცხოვრობს) სახლის მარჯვენა მხარეს, სადაც დღეს ელექტროწისქვილი დგას.

სოფელ მთისძირში, მის შემადგენლობაში შემავალ ჭაგან-ჭყვიშში, 2014 წლის მონაცემებით 450-მდე კომლი ცხოვრობს, დაახლოებით 1150 სული, ამათგან 99% ქართველია. მიგრაციის პროცესმა საგრძნობლად შეამცირა მოსახლეობის რაოდენობა. უმუშევრობამ, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ აიძულა ადამიანები მიეტოვებინათ საკუთარი სახლ-კარი და სამოწყალოდ, ხელზე მოსამსახურედ დადგომოდნენ გადამთიელებს.

მთისძირში ხანგრძლივად მცხოვრები გვარებია: ადეიშვილები, გეფერიძეები, სტურუები, ნიკურაძეები, არველაძეები, კლარჯეიშვილები, სულაქველიძეები, კიკაბიძეები.

ამ 15-20 წლის წინათ მთისძირში, აგრეთვე ჭაგან-ჭყვიშში ჩამოსახლდნენ, აჭარიდან – ქედისა და ხულოს რაიონებიდან მეწყერულ ზონაში მოხვედრილი ოჯახები: მამულაძეები, გაბაიძეები, სურმანიძეები, თავდგირიძეები.

1912 წლისთვის სოფელში ფუნქციონირებდა ორკლასიანი სასწავლებელი. 1947 წლიდან 1972 წლამდე არსებობდა ჯერ შვიდწლიანი, ხოლო შემდგომ რვაწლიანი სასწავლებელი (სკოლის დირექტორი დავით ტაბიძე).

1972 წლიდან დაარსდა მთისძირის საშუალო სკოლა, რომელსაც 45 წელზე მეტი სახელოვნად ხელმძღვანელობდა ბადრი კორძაძე.

აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მთისძირის არასრული, შემდგომში საშუალო სკოლის ღირსეული პედაგოგები: თინა ალფაიძე, ოლია არველაძე, ვერა აბუთიძე, თამარ ამაღლობელი, სევერიანე ალფაიძე, რუბენ არველაძე, ანზორ გიორგაძე, მარგალიტა გიორგაძე, ნანული თავაძე, ანიკო კიკაბიძე, ლილი კვარაკვახიძე, ვახტანგ კორძაძე, ნაზი კოკაია, ვენერა კოპალეიშვილი, თამარა მამფორია, ოლია სულაქველიძე, პაშა სულაბერიძე, პლატონ შენგელია, ოლია შარაშენიძე, ამირან შენგელია, გალინა ფარცხალაძე, ვიქტორ ღრუბელაშვილი, ქეთევან ხუნდაძე, თინა უღრელიძე, ნადია ძოძუაშვილი, ამირან ჯიმუტია, ვლადერინა ნინუა... ჩამოთვლილი ძველი თაობის პედაგოგებიდან დღესდღეობით მხოლოდ თამარ ამაღლობელია ცოცხალი, თითქმის საუკუნესაა მიტანებული.

ამჟამად, სკოლაში განახლებული კოლექტივი წარმართავს სასწავლო პროცესს ქალბატონ ნათელა სირაძის ხელმძღვანელობით: ახალგაზრდა მასწავლებლების გვერდით პენსიონრებიც მოღვაწეობენ: სვეტლანა კიკაბიძე, ნათელა სვანაძე, ციცინო კოპალეიშვილი, მარინა ჯიქია, მაგული სურმანიძე, ირინა ჩიხლაძე, ინეზა ბაღდავაძე, იური კორძაძე, სერგო ნუცუბიძე, ლია ჩაჩანიძე, დეგული კორძაძე, მანანა ტაკიძე, ახალგაზრდა პედაგოგებია: მაკა ღვინიანიძე, მარინა ნაფეტვარიძე, სოფიო მინაშვილი, თეონა მეფარიშვილი, რუსუდან გავაშელი, ეკა რამიშვილი, ლუდა მელაძე, თამაზ ჟღენტი, ლია ნიკოლეიშვილი, რომანი სულაბერიძე...

1977 წელს მთისძირის სკოლის მოსწავლეებმა ვ. კიკაბიძემ, ა. ახობაძემ, კ. გეფერიძემ, ო. კაპატაძემ, თ. ჟღენტმა, ა. სტურუამ, ბ. თავაძემ, ბ. კოპალეიშვილმა, დ. ჟღენტმა, კ. თავაძემ მინი ფეხბურთში რაიონის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს (ხელმძღვანელი ფიზკულტურის მეთოდისტი ამ დარგის შესანიშნავი სპეციალისტი „სულორის“ ყოფილი ნახევრამცველი სერგო ნუცუბიძე).

1978 წელს „ტყავის ბურთის“ პრიზზე ფეხბურთში რაიონის საშუალო და რვაწლიან სკოლებს შორის გამართულ შეჯიბრზე დაბის მესამე ზონაში უმცროს ასაკობრივ ჯგუფში მთისძირის საშუალო სკოლის ფეხბურთელები პირველ ადგილზე გავიდნენ.

1982 წელს რაიონის სკოლებს შორის ჩატარებულ საჭადრაკო ტურნირში ჩემპიონი გახდა მთისძირის საშუალო სკოლა, მოჭადრაკეთა გუნდში შედიოდნენ: არჩილ ჟღენტი, მამუკა გეფერიძე და ირინა გეფერიძე, იმავე წელს სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა სარაიონო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

1983 წელს მთისძირის საშუალო სკოლის მოჭიდავეთა ნაკრების წევრებმა დ. არველაძემ, გ. თევზაძემ, ვ. კლარჯეიშვილმა, ზ. ალფაიძემ, ო. შენგელიამ, ა. რამიშვილმა სარაიონო გუნდურ შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავეს.

1986 წელს რაიონის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს მიერ ჩატარებულ სარაიონო შეჯიბრებაზე მთისძირის კოლმეურნეობის კოლექტივმა 7 სპორტული სახეობიდან ოთხი პირველი, ორი – მეორე, ერთი მესამე ადგილი დაიკავა.

ნამდვილად ხელშესახებ წარმატებას მიაღწია მთისძირის საშუალო სკოლამ 1998 წელს. მხიარულთა და საზრიანთა იმერეთის ჩემპიონატში სკოლის გუნდმა „სატირიკოსმა“ (ხელმძღვანელები იური და გელა კორძაძეები) მეორე ადგილი დაიკავა.

2000 წელს იმერეთის განათლების სამხარეო სამმართველოს ინიციატივით ჩატარდა მხატვრული თვითმოქმედების სასკოლო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ამ ზონის 76 სკოლა. ფრიად სასიხარულოა, რომ ამ ოლიმპიადაზე მთისძირის სკოლამ (გუნდის ხელმძღვანელი იური კორძაძე) პირველობა არავის დაუთმო.

2012 წელის 5 ივნისს სკოლის ფეხბურთელ გოგონათა გუნდმა რაიონის მასშტაბით გამართულ მინი ფეხბურთში პირველი ადგილი დაიკავა, გუნდის წევრები – თათია ივანიაძე, ანა ნიკურაძე, სალომე ბუბუტეიშვილი, თეკლა შენგელია, ქრისტინა ჟღენტი, ირინა ნადირაძე, სოფიკო კალაძე, მარი გიორგაძე, ანა ტყეშელაშვილი, თათია ივანიაძეს, რომელმაც 8 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, გადაეცა საუკეთესო მოთამაშის სიგელი, ხოლო ანა ნიკურაძეს – საუკეთესო თავდამსხმელის.

1970-იან წლებში მთისძირში არასრული საშუალო სკოლის ხის შენობაში განთავსებული იყო

საბავშვო ბაღი, რომელსაც განაგებდა ქალბატონი ზინა ტოხვაძე. მისი თანამშრომლები იყვნენ: ლოლა ახობაძე, ცაგო კაკაბაძე, მაგული გიორგაძე.

1984 წელს ექსპლოატაციაში შევიდა კაპიტალური, თანამედროვე ინვეტარ-მოწყობილობით აღჭურვილი სკოლამდელი აღზრდის ახალი დაწესებულება. საბავშვო ბაღის უფროსი ვერიკო არველაძეა. ბაღს ემსახურება ორი აღმზრდელი – სალომე ადეიშვილი, ინგა გიორგაძე; ორი აღმზრდელის თანაშემწე – ხათუნა კიკაბიძე, ლალი კოპალეიშვილი; ორი ძიძა – შორენა ბუბუტეიშვილი, ნათია კაცაძე; ერთი მზარეული – ირმა კამლაძე; სამნეო ნაწილის გამგე – ნინო დავითაძე; მუსიკის მასწავლებელი – ინგა სარალიძე; ექთანი – მაყვალა არველაძე.

სოფელს აქვს სასოფლო კლუბი, რომელიც, ამჟამად, მოთავსებულია მთისძირის ადმინისტრაციული ერთეულის ახალ შენობაში. ძველი კლუბის შენობა, ღვთისმშობლის სახელობის დანგრეული ეკლესიის მასალებით აშენებული, მდებარეობდა დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა საჯარო სკოლაა. ამ კლუბის დანგრევის შემდეგ იგი კოლმეურნეობის გამგეობის ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე განათავსეს, ხოლო ზედა სართული გამგეობის აპარატმა და ბიბლიოთეკამ დაიკავა. სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკას განაგებდნენ: თინა ჟვანია, ჟუჟუნა ადეიშვილი და მარინე ჟღენტი. სამწუხაროდ, დღესდღეობით, სოფელი ბიბლიოთეკის გარეშეა დარჩენილი. ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის, არაგონივრულ, უხეირო გადაწყვეტილებას შეეწირა ბიბლიოთეკაც და სამკითხველოც.

ადრეულ პერიოდში მთისძირის ვოროშილოვის სახელობის საკოლმეურნეო კლუბთან არსებობდა მომღერალთა გუნდი, რომლის ლოტბარიც ვლადიმერ ჩაჩუა გახლდათ. სოფელში დღესაც ამბობენ: ვალოდიამ ისეთი სიმღერა იცოდა, თვით ბულბულსაც გააწბილებდაო. (აკაკი თევზაძე – გაზეთი „შემოქმედის გზა“, 2006 წელი).

სწორედ, ამ „ბულბულზე“ გვინდა მცირე ინფორმაცია მოგაწოდოთ: ვლადიმერ ჩაჩუა 1920 წელს დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ ოფეთში. სწავლობდა სამტრედიის რკინიგზის საშუალო სკოლაში, შემდეგ აქვე მიიღო საბუღალტრო განათლება. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მღეროდა მაშინ ცნობილ მომღერლებთან – კავსაძესა და ჭკუასელთან ერთად.

დედაქალაქიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენს რაიონში მცხოვრებ მთისძირელ ულამაზეს ქალიშვილზე დაქორწინდა და აქვე დაიდო ბინა. ორი წელი მთისძირის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში იმუშავა ბრიგადირად, ხოლო 1965 წლიდან ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სწავლული აგრონომია, ხელმძღვანელობდა საცდელ მეურნეობას, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ცნობილია, რომ მთისძირის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში მომღერალთა გუნდი გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა. ხანდაზმულებს – სერგო კიკაბიძეს, ჟორა და დავით კაცაძეებს, ვლადიმერ ჩაჩუას, მამა-შვილს – შალვა და ნიკოლოზ ლეჟავეებს, მიხა მამფორიას, ბარნაბა არველაძეს, თეოდოტი თავაძეს, ჟორა ადეიშვილს, ოთარ მამფორიას მხარს უმშვენებდნენ ახალგაზრდები: ქეთევან თავაძე, ხიტული და ლიანა მამფორიები, გივი არველაძე, ლენა ბექაია, მერი და ნაზი ნუცუბიძეები, მიშა ადეიშვილი, ნოდარ კაკაბაძე, შალვა სტურუა, ზინა ტოხვაძე, ელენე ნიკურაძე, ელგუჯა გვენეტაძე, გურამ თევზაძე და სხვები. სხვადასხვა დროს კოლეურნეობის ამ მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდნენ: სერგო კიკაბიძე, ნოდარ კაცაძე, პავლე თუთარაშვილი, ხოლო ბოლო დროს თვით ვლადიმერ ჩაჩუა.

ვლადიმერ ჩაჩუას ლოტბარობის დროს გუნდმა მრავალ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია, მისი ანსამბლი ოლიმპიადებზე მუდამ მოწონებას იმსახურებდა...

„სიკვდილივით მარადია სურვილი – მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა“ სწორედ, რომ სიმღერის ასეთი მძაფრი სურვილი ამოძრავებდა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ვლადიმერ ჩაჩუას (სამწუხაროდ, 2003 წელს გარდაიცვალა).

ვლადიმერის ბიოგრაფიაში ერთ-ერთ ლამაზ, წარმატებულ ფურცლადაა ჩაწერილი ის წლები, როცა იგი ქალაქ სამტრედიის უხუცესთა ფოლკლორულ ანსამბლ „სანავარდოში“ მიიწვიეს სოლისტად (ხელმძღვანელი ბენია მიქაძე). წლების განმავლობაში აქ მოღვაწეობდა მეგო-

ბრებთან ერთად, არა ერთი დავიწყებული ხალხური სიმღერა მოიძია და გააცოცხლა, როგორც ნამდვილ შემოქმედს შეეფერებოდა – მოკვდა „... სიმღერებში ტბის სევდიან გედად“.

მეორე სახელგანთქმული მთისძირელი მომღერალი ჟორა (გიორგი) კაცაძე გახლდათ. ახალგაზრდებმა მას მოფერებით „ბერმუხა“ შეარქვეს.

ილიკო კაცაძის ოჯახში თითქმის ყველა მღეროდა და ჟორაც საკმაოდ იყო დაჯილდოებული ამ ნიჭით. წლების განმავლობაში მთისძირის საკოლმეურნეო გუნდში მღეროდა, ხოლო შემდეგ სამტრედიის უხუცესთა ანსამბლ „სანავარდოში“. ის ფანატიკურად იყო შეყვარებული ეროვნულ საუნჯეზე – ფოლკლორზე.

უხუცესთა ანსამბლი დაუცხრომლად იღწვოდა ძველი ქართული ხალხური სიმღერების გასაცოცხლებლად. მართლაც, რომ შესაშური იყო მათი თავდადება და გულმოდგინება. ამ დიდ საქმეში ღირსეული წვლილი მიუძღვის ჟორა კაცაძეს, მისი მონაწილეობით შესრულებული სიმღერები: „იმერული მაყრული“, „გრძელი ღიღინი“, „სუფრული“, „ჩემო ბებია“, „ვახტანგ მეფე“, „ჩონგურული“, „მრავალჟამიერი“... დღესაც აღტაცებისა და სიყვარულის ცეცხლით აღაგზნებს ჩვენს გულებს.

ანსამბლმა „სანავარდომ“, სადაც ჟორა კაცაძე მღეროდა იმდენად გაითქვა სახელი, რომ 1983 წელს მაშინდელმა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გრამფირფიტების საკავშირო ფირმამ ჩაიწერა და გაყიდვაში გამოუშვა მათი რეპერტუარი.

„დაწყება უნდა სიმღერას და დამთავრება კი არა“... ბატონი ჟორას დაწყებული სიმღერა გრძელდება (აკაკი თევზაძე, წერილი მთისძირელი „ბერმუხა“, გაზეთი „შემოქმედის გზა“, 2006 წელი, ოქტომბერი, №3).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ საესტრადო ანსამბლ „არგოს“ სოლისტი გიგა ბუბუტეიშვილი, რომლის სიმღერებმაც შორს გაითქვეს სახელი. სოფელში აგრეთვე იყო ნათელა, შურა და ლამარა გვარძელაშვილების საოჯახო გუნდი, რომლებიც ფანდურზე ასრულებდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

სოფელ მთისძირის კოლმეურნეობის მომღერალთა გუნდთან ერთად არსებობდა ფეხბურთელთა მშვენიერი გუნდი. თავად ვეტერანი ფეხბურთელი ბიჭიკო შენგელია დიდი სიყვარულით იხსენებს ძველ მოთამაშეებს: თეოდოტი შენგელიას, ტიტე მამფორიას, ჟორა შენგელიას, შოთა არველაძეს, შოთა ნუცუბიძეს, ნოდარ კიკაბიძეს, ამბერკი ორმოცაძეს, ვლადისლავ კლარჯეიშვილს, ჭიჭიკო შენგელიას, გივი გეფერიძეს, ძმებს პეტრე და კლადია ბუბუტეიშვილებს...

ის შემდგომი თაობის საფეხბურთო გუნდის წევრი იყო. მასთან ერთად თამაშობდნენ: ბესარიონ მჭედლიშვილი, ვლადიმერ კოპალეიშვილი, რევაზ ორმოცაძე, ძმები – ბადრი და სულიკო კიკაბიძეები, თემურ სტურუა, თეიმურაზ ხუჭუა, მიშა ხუჭუა, სოსო ხუჭუა, იოსებ ერისთავი, გიგლა გეფერიძე, ავთო კიკაბიძე, გურამ სოსელია, იაშა კალაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი და სხვ. არაერთგზის მიუღწევიათ წარმატებებისათვის საკოლმეურნეო გუნდებს შორის შეჯიბრებაში.

1982 წელს მთისძირის ფეხბურთელთა საკოლმეურნეო გუნდმა სპორტის ამ სახეობაში რაიონის სოფლებს შორის გამართულ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა (პირველ ადგილზე სოფელ სალხინოს გუნდი გავიდა), ხოლო 1986 წელს დიხაშხოს საკოლმეურნეო გუნდთან გამართული ფინალური მატჩი მოიგეს და პირველი ადგილიც სამართლიანად დაისაკუთრეს.

ამ გამარჯვების სულისჩამდგმელები იყვნენ ცნობილი ფეხბურთელები: სერგო ნუცუბიძე (მთავარი მწვრთნელი), როსტომ კიკაბიძე, ავთო ახობაძე, დარისპან (კოკი) შენგელია, გურამ არველაძე, თამაზ ჟღენტი, შიო სულაქველიძე, ბადრი ბუბუტეიშვილი (მეკარე), ზურაბ ადეიშვილი, კობა მინაშვილი, კოტე გეფერიძე, გელა კიკაბიძე, შალვა ნიკურაძე, კობა თავაძე, ბადრი თავძე, გუნდის მენეჯერი გახლდათ ტიტე მამფორია.

სოფელში ცხოვრობს 263 პენსიონერი, 32 ოჯახი არის სოციალურად დაუცველი, 25 ოჯახი მიტოვებულია და ნასახლარად არის ქცეული, მაგრამ, რაც მთავარია, სოფელი მაინც არ განიცდის დემოგრაფიულ დაბერებას.

2009 წელს სოფელ შუამთას გამოეყო სოფელი მთისძირი და ცალკე საკრებულოც ჩამოყალიბდა. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს მთისძირის თემის რწმუნებულად დაინიშნა რევაზ ჟღენტი, მისი თანამშრომლები იყვნენ ნანი აბრამიძე, ზურაბ ადეიშვილი, დარისპან შენგელია, თამარ ბიბილეიშვილი.

რევაზ ჟღენტი 2013 წლის ბოლომდე კეთილსინდისიერად ემსახურა თავის სოფელს. 2014 წლის 18 თებერვალს ის შეცვალა არჩილ ჟღენტმა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელია მთისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო 2017 წლიდან ამავე მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებული.

2011 წელს აშენდა სოფლის საკრებულოს ახალი თანამედროვე შენობა, სადაც განთავსებულია სასოფლო კლუბი (100 კაცის ტევადობით), სამედიცინო ამბულატორია, რომელსაც ემსახურება, კვალიფიციური ექიმი სოფიო ბიბილეიშვილი და ექთანი – ნანა ყუბანეიშვილი.

მთისძირის ერთ-ერთი უხუცესი წევრი, ალექსანდრე ბურკაძე, დაბადებული 1928 წელს, იგონებს: „1944 წლიდან ვცხოვრობ ამ სოფელში. მთისძირის (სოფელი) კოლექტივი ორად იყო გაყოფილი, საკუთრივ მთისძირში თავმჯდომარე აკაკი ნიკოლეიშვილი გახლდათ, ხოლო ჭაგანჭყვიშში – ამფილოქე მამფორია (შემდგომში რაიაღმასკომის თავმჯდომარე).

სოფლის განკარგულებაში შემდეგი სახელწოდების სახნავ-სათესი ადგილები შედიოდა:

1. სილები (კეჭინარა) – სილიან ადგილზე მიგვანიშნებს, რომელიც ჟღენტების სამოსახლო იყო.
2. ბაბაგანი – შენგელიების სახნავ-სათესი იყო, ექიმ ბესარიონ შენგელიასა და დავით მუშკუდიანის სახლებს შორის მდებარე ტერიტორიაა, რომელსაც დღესდღეობით „ბჟოლების“ სახელით მოიხსენიებენ. ტოპონიმ „ბაბაგანს“ შეიძლება ასეთი ინტერპრეტაცია მივცეთ: მდინარე რიონით ხშირად იტბორებოდა აღნიშნული ტერიტორია, წყალში ფეხით რომ გასულიყვნენ ფონი უნდა ეპოვნათ. ბაბა განზე გაჰყევი და ფონი მოუძებნე წყალს – ასე არიგებდა მრავალჭირნახული, ასაკოვანი ადამიანი შვილს თუ შვილიშვილს.
3. სასკინტია ანუ საჩიტია – ბურკაძეების, შენგელიების, ხუჭუების სამფლობელოა. ტოპონიმი საჩიტია მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე იმდენი ფრინველი იყრიდა თავს, ფაქტიურად, მთელი წლის მოსავალს ანადგურებდა.
4. ახალ ფართობად გოგირდის წყლების ჩრდილო-დასავლეთით, ყოფილი ფერმის შენობის ირგვლივ მიმდებარე ტერიტორია იგულისხმება, იგი გრძელდება აგრეთვე დავით ძოძუაშვილისა და იაშა ბუბუტეიშვილის საკარმიდამოების უკანა ნაწილში.
5. მილიციის ფართობი (შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებისათვის იყო განკუთვნილი) სახელწოდებაც აქედან მიიღო, მდებარეობს სტადიონის დასავლეთით.
6. „ჯოჯუების“ ფართობი მდებარეობს რამაზ ხუჭუას სახლის ჩრდილო-დასავლეთით. აქვე საქონლის საძოვრად სოფელს გამოყოფილი ჰქონდა დიდი ველი და პატარა ველი.

როგორც აღვნიშნეთ, დღევანდელი სოფელი განლაგებულია გორების ძირში. ტოპონიმი „მთისძირი“ ახალია და დაკავშირებულია მის მდებარეობასთან. ადრე, დაახლოებით 40-50 წლის წინათ, აღნიშნული მოსახლეობა ხსენებული გორების გადაღმა ცხოვრობდა. ამ ტერიტორიას მთისძირლები საძოვრად და სავენახადაც იყენებენ. იგი მოიცავს რამდენიმე გორას და მათ შორის, მდებარე დაბლობს. მთისძირის მოსახლეობა ამ გორებს შემდეგნაირად იხსენიებს: „ნაქცევი გორა“ (სადაც, ამჟამად, თანამედროვე სასაფლაოა), „ადეიშვილების გორა“ (მდებარეობს „ნაქცევი გორის“ ჩრდილოეთით), „მთისძირის გორა“ (მდებარეობს „ადეიშვილების გორის“ დასავლეთით), „ნაბამბევის გორა“ (მდებარეობს „მთისძირისა“ და „ნაქცევი“ გორების დასავლეთით), ადეიშვილებისა და მთისძირის გორებს შორის ჩამოდის გეფერიძეების ღელე, ხოლო მთისძირისა და ნაბამბევის გორებს შუა – წაბლა-ღელე. ეს ღელეები წყალმარჩხია და მდინარე რიონისაკენ მიედინებიან.

1921 წლის აპრილში საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილების, „სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ“, შედეგად განხორციელდა სოფლად მოქმედი ტაძრების ნგრევა. ამ საშინელმა პერიოდმა სოფელ მთისძირის ორი მოქმედი ეკლესია – „გაენათისა“ და „ღვთისმშობლის“ სახელობის შეიწირა.

ვანის ისტორიულ სოფელ მთისძირში აგებული ღვთისმშობლის შობის ეკლესია საკმაოდ ამაღლებულ ადგილზე მდებარეობდა. ამ ადგილიდან ისე, როგორც დღეს, იმერეთის მომაჯადოებელი ბუნების პანორამა სრულყოფილი მშვენიერებით იშლებოდა. ტაძრის გარშემო დიდი მოცულობის ტერიტორია მუხნარის უღრანი ტყით ყოფილა დაფარული.

ტოპონიმი მუხაღრუა//მუხაყრუა უდავოდ მუხის სახელწოდებიდან მომდინარეობს. ამ ადგილას ორი დიდი ღრუიანი მუხა ყოფილა. გადმოცემით აქ მოსული მიწის მზომელი რუსი სოფლის სახელით დაინტერესებულა. გარკვეული პასუხი რომ ვერ მიუღია, ღრუიანი მუხისთვის შეუხედავს და უკითხავს მისი სახელი. უპასუხნიათ – მუხა ღრუიანიაო. „ნუ მუხაკრუა“ ეწოდოს ამ სოფელსო და ასე ჩაუწერია.

სავარაუდოდ, ეს ადგილი დასახლებულია 1757 წლის შემდეგ. „ხრესილის ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და ერთგულების გამო მეფე სოლომონ პირველს ოკრიბიდან (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) სოფელ მუხაღრუას ნაწილში გადმოუსახლებია შემდეგი გვარის გლეხები: გვენეტაძეები, სულაქველიძეები, ნიშნიანიძეები, ალფაიძეები, ბერეკაშვილები, ძოძუაშვილები, გიორგაძეები; ხონიდან კი მაჭარაძეები, ყუბანეიშვილები (ეს უკანასკნელნი სასულიერო წოდებისანი არიან XIX საუკუნის ოციანი წლებიდან – ე.გ.).

(ე. გვენეტაძე, ს. ყუბანეიშვილი – სოფელ მუხაღრუას ეკლესიის ისტორიიდან“, გვ.13).

თავის დროზე ღვთისმშობლის შობის ეკლესიის გარშემო მდებარე მიწები იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს გელათის მონასტრისათვის შეუწირია, ამიტომაც ხალხი აღნიშნულ ეკლესიას დღემდე „გაენათის ეკლესიად“ მოიხსენიებს.

1944 წელს უღმერთოთა მსახვრალ ხელს ვერც გაენათის ტაძარი გადაურჩა, კარის გამოკეტვაც არ აკმარეს, მიდგნენ და ქვა-ქვაზე არ დატოვეს. „ნგრევის შემოქმედნი“ ყოფილან სოფელ ტობანიერის აღმასკომის თავმჯდომარე და ერთი ადგილობრივი კომუნისტი. დანგრეული ქვები ჩაუდვიათ ტობანიერის სკოლის მშენებლობის საძირკველში, აუშენებიათ სოფელ მთისძირის კოლმეურნეობის კანტორა. ამ ეკლესიის ერთი ზარი აუტანიათ „საბალახო მთაზე“, მეორე დიდი ზარი, რომლის ხმაც გადმოცემით გელათსა და ჯუმათშიც კი ესმოდათ, დაუმარხავთ კოლმეურნეობის კანტორის ეზოში“. (ედიშერ გვენეტაძე, სოლომონ ყუბანეიშვილი – „სოფელ მუხაღრუას ეკლესიების ისტორიიდან“, 2015 წელი, გამომ. „მერიდიანი“, გვ. 30-31).

მუხაყრუას (მუხაღრუას) ღვთისშობლის შობის ეკლესიაში 1807-1831 წლებში მოღვაწეობდნენ შემდეგი სასულიერო პირები:

1. მღვდელი ანდრია მათეს ძე ყუბანეიშვილი
2. მღვდელი მარკოზ ანდრიას ძე ყუბანეიშვილი
3. დიაკონი ნიკოლოზ ანდრიას ძე ყუბანეიშვილი
4. დიაკონი იოსებ ანდრიას ძე ყუბანეიშვილი

ხოლო ბოლო 1900-1922 წლებში აქ წირვა-ლოცვას აღავლენდნენ:

1. მღვდელი ტარასი ლუკას ძე თევზაძე
2. მედავითნე პავლე დიმიტრის ძე ყუბანეიშვილი
3. მედავითნე მარკოზ სანიკიძე
4. მედავითნე მოსე ლაზარეს ძე თევზაძე
5. ეკლესიის მამასახლისი ნიკოფორე ოქროპირის ძე სულაქველიძე
6. ეკლესიის მამასახლისი ნიკიფორე (სოლომონ) ლევანის ძე გვენეტაძე
7. ეკლესიის მამასახლისი იოსებ ალექსანდრეს ძე გიორგაძე.

დიდად სასიხარულოა, რომ მთისძირელი მორწმუნე ახალგაზრდების: პაატა მამფორიას, რევაზ არველაძის, ალეკო გვენეტაძის, ძმებ ავთანდილ და ტარიელ გიორგაძეების და სხვათა ინიციატივით დანგრეული „გაენათის“ ეკლესიის ადგილზე დასასრულს უახლოვდება ახალი ტაძრის მშენებლობა, სადაც სულ მალე აღევლინება წირვა-ლოცვა.

გადმოცემით ვიცით, რომ მთისძირის სასაფლაოს ეზოში (ეს სასაფლაო მდებარეობს სტადიონის ჩრდილოეთით მარცხენა მხარეს) იყო ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, საკმაოდ დიდი მოცულობის ხის მრგვალი ნაგებობა, 60 სანტიმეტრიანი ქვის ფუნდამენტით და ირგვლივ რკინის ოთხკუთხა, კვადრატული სვეტებით, რომელიც ბოლშევიკებმა დაანგრიეს 20-30-

იან წლებში და სანაცვლოდ ააგეს სასოფლო კლუბი მთისძირის ცენტრში. ამ საქმის ჩამდენი ადამიანები უფალმა განიკითხა და სათანადო რისხვაც დაატეხა თავზე.

XXI საუკუნის დასაწყისში ამავე სასაფლაოს ეზოში ზურაბ არველაძის შვილების მიერ, მათი ტრაგიკულად დაღუპული ძმის, კობას ღირსმოსაგონებლად აგებული იქნა პატარა სამლოცველო (ნიშა), სადაც ყოველდღიურად სანთლებს უნთებენ სხვა განსვენებულთა ნათელ ხსოვნასაც.

ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ 2004 წელს სოფელ მთისძირის ცენტრში საფუძველი ჩაეყარა ახალი ტაძრის მშენებლობას (ამ მშენებლობის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი ვანიდან პაატა ლეჟავა).

2008 წელს დასრულდა ამ ტაძრის მშენებლობა, ამავე წლის 27 ნოემბერს ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მღვდელმთავარმა, მიტროპოლიტმა ანტონმა აკურთხა ტაძარი, რომელიც ატარებს ქართველი სასულიერო მოღვაწის, მეცნიერისა და პედაგოგის, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და განმანათლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელის, მრავალი დანგრეული ტაძრის აღმდგენის, ქრისტიანობის განმტკიცებაზე განუხრელად მზრუნველის, საქართველოს მართლამადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის თავდადებული მებრძოლის, იმერეთის ეპისკოპოსის (1860-1896 წ.წ) გაბრიელ ქიქოძის სახელს. 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა იგი წმინდანად შერაცხა.

წმინდა გაბრიელ ქიქოძის სახელობის ტაძარში გახსნის დღიდან წირვა-ლოცვას აღავლენს მამა აბო (კახა ასათიანი).

2010 წლის 2 ივლისს მთისძირის ტაძარს ეწვია უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე.

კათალიკოს-პატრიარქის მიერ მამა აბო აყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში და მიეცა ოქროს ჯვრის ტარების უფლება, ხოლო ეკლესიის მრევლს დაურიგდა სამახსოვრო საჩუქრები. მისი ლოცვა-კურთხევა არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს აწ და მარადის.

სოფელი ამაყობს თავისი სახელოვანი შვილებით. აქ დაიბადნენ: **მიხა ჟვანია** – ძველი რევოლუციონერი, შუამთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე; **ვიქტორ სულაქველიძე** – ქართველი სამხედრო მეცნიერი და სამხედრო ინჟინერი. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გენერალ-მაიორი. ვიქტორ სულაქველიძე ცნობილია, როგორც ლაზერული პისტოლეტის ავტორი. ხვეწდა და აუმჯობესებდა საბჭოთა საკონტინენტშორისო ბალისტიკური რაკეტების საბრძოლო (ბირთვული) ქობინებს, რათა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე აფეთქების შემდეგ გაძლიერებულიყო გამა და ზემაღალი სიხშირის გამოსხივება. წლების მანძილზე იყო მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის კათედრის გამგე; **გიორგი სულაქველიძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ოკეანოლოგიის კათედრის გამგე წლების მანძილზე, პროფესორი. მას გამოქვეყნებული აქვს 5 მონოგრაფია და 150-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. მისი ოთხი მონოგრაფია გადათარგმნილია ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ, პოლონურ და სხვა ენებზე, სხვადასხვა ხელსაწყოებისა და მეთოდების შექმნისათვის მას ხუთი საავტორო მოწმობა აქვს მინიჭებული. ის იყო იალბუზზე ლეგენდარული ასვლის, იქედან ფაშისტური გერმანიის დროშის ჩამოხსნისა და საბჭოთა დროშის მწვერვალზე აღმართვის მონაწილე; **ამირან არველაძე** – მაიორი, ღირსების ორდენოსანი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, საბრძოლო დამსახურებისათვის მიღებული აქვს საკავშირო მთავრობის ჯილდოები, მედლები, სიგელები; **დომენტი ახობაძე** – ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე; **ვასილ თევზაძე** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის სპეციალისტი, პოეტი; **მურმან კიკაბიძე** – ფილოსოფოსი, თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის დოცენტი; **გიორგი ახობაძე** – კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი, გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი წლების მანძილზე, პოეტი და საზოგადო მოღვაწე; **პაატა ლეჟავა** – ყოფილი პარლამენტარი, რომლის ინიციატივით, ძალისხმევით მთისძირის ცენტრში აშენდა გაბრიელ ქიქოძის სახელობის ტაძარი, სადაც დღემდე წირვა-ლოცვას აღავლენს დეკანოზი მამა აბო (კახა ასათიანი), უკეთილშობილესი, უსპეტაკესი, ღრმად განათლებული ადამიანი; **გურამ სოსელია** – ვანის რაიონის სოფელ სულორის პირველი საბჭოთა მეურნეობის დირექ-

ტორი, რაიონის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი; **სერგო ნუცუბიძე** – პროფესიონალი ფეხბურთელი, საფეხბურთო გუნდის „სულორის“ ერთ-ერთი წამყვანი უცვლელი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, მთისძირის საკოლმეურნეო გუნდის მწვრთნელი, ამავე სოფლის საჯარო სკოლის სპორტის დამსახურებული მასწავლებელი; **გიორგი ჟღენტი** – შესანიშნავი პოეტი, მასწავლებელი; **ავთანდილ მიხეილის ძე შენგელია** – შესანიშნავი მასწავლებელი და გამომგონებელი; **კონსტანტინე არველაძე** – 1924 წლის აჯანყების მონაწილე, დახვრეტილ იქნა ხელისუფლების მიერ; **ვახტანგ ახობაძე** – პოეტი, გამომცემელი; **სულიკო არველაძე** – სატრანსპორტო მილიციის კაპიტანი, სესანიშნავი პროზაიკოსი; **რობერტ არველაძე** – ვანის გამგებლის პირველი მოადგილე; **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსები ორდენოსანი, ვანის საპატიო მოქალაქე; **ივანე ახობაძე** – ვანის უშიშროების უფროსი; **დავით კაკაბაძე** – ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, შემდგომში ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, **რამაზ არველაძე** – ვანის საკრებულოს წევრი. **შორენა კალაძე** – საყოველთაოდ ცნობილი მოჭადრაკე, ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატი, მრავალი საკავშირო ტურნირის მონაწილე, საქართველოს გოგონათა ასაკობრივ ტურნირში აღებული აქვს მე-3 ადგილი; სოფელი ამაყობს თავისი ვეტერანი მოჭადრაკეებით: **გრიგოლ ქორიძე, რუბენ არველაძე, ივერიკო მამფორია, ამირან შენგელია, ზემირან კაკაბაძე,** მათ სარაიონო პირველობაზე არაერთხელ ისახელეს თავი; ზურაბ გვენეტაძე – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში, საკავშირო სპარტაკიადების მრავალგზის გამარჯვებული, ვანის სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორი წლების მანძილზე; **შორენა მამფორია** – ვანის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი (ყოფილი), საბავშვო ბაღების გაერთიანების ყოფილი დირექტორი; **დოდო გეფერიძე** – მთისძირის მოწინავე კოლმეურნე. სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოებისა და მედლების მფლობელი; **ალეკო გვენეტაძე** – შუამთის თემის რწმუნებული (2006-2013წწ); **ლავრენტი სულაქველიძე** – პოდპოლკოვნიკი; **თენგიზი სულაქველიძე** – მაიორი, ყოფილი ბავშვთა ოთახის ინსპექტორი, ვანის საპასპორტო მაგიდის გამგე; **ილია სულაქველიძე** – ვანის მართლამადიდებლური გიმნაზიის რექტორის მოადგილე.

რაიონს საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი მოწინავე მევენახეებმა: ჭიჭიკო ჯულაყიძემ (ლენინის ორდენისა და შრომის წითელი დროშის ორდენის მფლობელი); ვალერიან რამიშვილმა (ორგზის ლენინის ორდენოსანი); მიხა მამფორიამ (ლენინის ორდენოსანი); შალვა მამფორიამ – შრომის წითელი დროშის ორდენოსანი; მეაბრეშუმეებმა – აგრაფინა ნიკოლეიშვილმა, ლენა გიორგაძემ, ალექსანდრა გვენეტაძემ – მიღებული აქვთ სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოები; სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკებმა: ალექსანდრე ჟღენტმა – წლების მანძილზე მთისძირის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ, საწყობის გამგემ; თენგიზ ჟღენტმა – კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა; ბრიგადირებმა – შალვა არველაძემ (შემდგომში საწყობის გამგე), ნოდარ ნიკურაძემ, ნიკოლოზ ლეჟავამ, ვაჟა ჟღენტმა, პოლიკარპე მჟავანაძემ, ჭიჭიკო თევზაძემ; მექანიზატორებმა – შოთა ნუცუბიძემ, გრიგოლ ბურკაძემ, ზურაბ არველაძემ, პავლე კალაძემ, ემელიანე სოსელიამ, შალვა ხუჭუამ...

მთისძირიდან (ჭაგან-ჭყვიშშიდან) გახლდათ ექიმი-თერაპევტი ვლადიმერ შენგელია (მამის კვალს აგრძელებს შვილი ბესარიონ შენგელია, ექიმია მისი მეუღლე), ცნობილი ღვაწლმოსილი სტომატოლოგი შოთა კალაძე; მიხეილ გეფერიძე – რენტგენოლოგი.

მე-19 საუკუნის დასასრულიდან სოფელში ფართო გასაქანი მიეცა ინდივიდუალური მეწარმეობის განვითარებას. სოფლის მშრომელთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ: ხარაზები – ბიქტორ შენგელია და სერგო ლეჟავა; მჭედლები – მამა-შვილი ონისიმე და იოსებ თევზაძეები, ძმები – ოთარ და ივერიკო მამფორიები, ზეინკალი დავით შენგელია, დურგლები – ძმები პეტრე და ნოდარ ბუბუტეიშვილები, ლეო და მიტუშა ახობაძეები, სერგო კლარჯეიშვილი. პირველი ტრაქტორისტი (მექანიზატორი) ვლადიმერ არველაძე. პარიკმახერები: იოსებ ერისთავი და რომან ახობაძე; მეანე – თამარ კახაძე-შენგელია; ექთანი – ჟუჟუნა თვალავაძე-შენგელია; რაიონის ცნობილი რენდგენოლოგი – მიშა გეფერიძე; ექიმი-ვეტერინარები – ნო-

დარ კაკაბაძე, მამია კიკაბიძე, ვასილ შენგელია და მანანა კაკაბაძე, ამ საქმეს დღესდღეობით ღირსეულად აგრძელებს დაზმირ კოპალეიშვილი. სოფლის ექიმები (ექიმბაშები) ალფეზ კლარჯეიშვილი, ძმები პანტელეიმონ და ოლიფანტე შენგელიები, მათივე დამზადებული მალამოთი მკურნალობდნენ სხვადასხვა სახის მოტეხილობებს, ნაღრძობებს, ამჟამად, მათ ხელობას საფუძვლიანად ფლობენ კობა შენგელია და ტრისტან ახობაძე – პოლიციის მაიორი, ამჟამად პენსიონერი; ქართული ცეკვის მასწავლებლები: თეოდოტი ლეჟავა და შალია გეფერიძე; სოფლის ავტორმთქმელები – კლადია ბუბუტეიშვილი, ჭიჭოკო შენგელია, მიშა კლარჯეიშვილი; თერძი (მკერავები) – მარო კლარჯეიშვილი, ნორა სულაბერიძე. ამჟამად, ახალგაზრდა მკერავები არიან მავლინა გვარძელაშვილი, მიმოზა ჯიქია; ფოსტის გამგე – ელენე ნიკურაძე; ფოსტალიონი – ზინა კიკაბიძე.

მთისძირიდან, ჭაგან-ჭყვიშშიდან დიდ სამამულო ომში 160 კაცზე მეტი იქნა გაწვეული. აქედან 111 კაცი არ დაბრუნებულა, ხოლო 47 კაცი დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად იხდიდნენ ვალს ქვეყნის, სოფლისა და ოჯახის წინაშე. დღესდღეობით არცერთი მათგანი არ არის ცოცხალი, მაგრამ ცოცხლობს მათი უკვდავი სახელი.

მათი სახელის უკვდავსაყოფად თავდაპირველად საჯარო სკოლის ეზოში (გზის განაპირას) იქ, სადაც, ამჟამად დიდი ჭადარი დგას, აღმართული იყო მემორიალური დაფა ომში დაღუპულთა სურათებით. შემდგომ ეს მემორიალი გადაიტანეს კოლმეურნეობის გამგეობის შენობების წინ, მაგრამ შემდგომ ესეც გამგეობის შენობასთან ერთად დაანგრიეს და მათ ადგილზე მთისძირის საკრებულოს შენობა აიგო. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღდგენილ იქნას (აიგოს) სოფლის ცენტრში სამამულო ომში დაღუპულთა, ომიდან დაბრუნებულთა და მერე გარდაცვლილთა მემორიალი.

ქვეყნის ნათელი მომავლისთვის ბრძოლას შეეწირნენ მთისძირელი ძმები: ვლადიმერ და ავთანდილ ბოლქვაძეები. ვლადიმერი, სამტრედიის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორი, უფროსი ლეიტენანტი გმირულად დაიღუპა თავზეხელაღებულ ბოროტმოქმედთან შეტაკების დროს. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებული იქნა ღირსების ორდენით, ქალაქ სამტრედიის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა მისი სახელი.

უმცროსი ძმა ავთანდილი, ცნობილი ფეხბურთელი, უთამაშია ვანის, სამტრედიის, ნიჟნინოვგოროდის საფეხბურთო გუნდებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა სამმართველოში მუშაობდა ათმეთაურად. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და ქების სიგელი.

ჭაგან-ჭყვიშშისა და მთისძირის პირველი მოსახლეები იყვნენ: არველაძეები, კლარჯეიშვილები, შენგელიები, ხუჭუები, ჟვანიები, კალაძეები, როგორც სოფლის უხუცესი ბიჭიკო შენგელია გადმოგვცემს – კლარჯეიშვილები სამტრედიის სოფელ ჭაგანიდან (კულაშიდან პირველი სოფელია) გადმოსახლებულან, ხუჭუები – მელაურიდან... ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ თვალავაძეები, ბექაიები. სხვა გვარის ხალხიც მომრავლდა სოფელში: თევზაძეები, კვერნაძეები, მჟავანაძეები, ტყეშელაშვილები, მეფარიშვილები....

დღეს სოფელი მთისძირი განახლებული ცხოვრებით ცხოვრობს, იწერება ახალი ისტორია.

ჩვენს მოკრძალებულ ნაშრომს „მთისძირის ისტორია“ არა აქვს სრულყოფილების პრეტენზია. იქნებ ბევრი რამ მნიშვნელოვანი გამოგვრჩა კიდეც მხედველობის არედან, მაგრამ, რაც მთავარია, ვეცდებით მომავალში გავითვალისწინოთ საქმიანი შენიშვნები და რჩევები დაშვებული ხარვეზების შესავსებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. გამყრელიძე – მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები, ვანი III, გვ 58.
2. ო. კაპანაძე – „ვანი, ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან“.
3. შ. გიორგაძე – „ვანი და ვანელები“
4. ბადრი სვანაძე – „ვანი ოქრომრავალი ქვეყანა“, ტ. I-II.
5. თამაზ ბერაძე – ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან.
6. ნოდარ ტაბიძე – „გალაკტიონი“, თბ., 2000 წ.

შალვა შარაშენიძე – ისტორიის მაგისტრი

ჩემი სოფელი

„ჩემი სოფელი“ – აქედან იწყება ჩემი თვალსაწიერი ცხოვრებისეული ჰორიზონტისა, აქაა წარსულის ფესვი, თვითმყოფადი აწყმო და მომავლის კარიბჭე. ჩემი სოფლის თავში არსებული ბექობიდან თვალნათლივ ჩანს ღვთის მადლით ბოძებული მშვენიერება იმერეთისა. გაზაფხულზედ შავჩოხიან კოლხეთის დაბლობზე ორლესულივით ლივლივებს მდინარე რიონი, დასავლეთით ვერცხლისფრად მოჩანს შავი ზღვის კიდე, რომელშიც დაისზე ნელ-ნელა მეწამულისფრად ეშვება ჩამავალი მზე, სამხრეთით დაბურულ ტყეებსა და ასწლოვან ხეებს კავკასიონის ტყუპისცალი მცირე კავკასიონი აბოლოებს ალპური საძოვრებითა და სანადირო სანახებით. ტყის მასივები ძირითადად ფართოფოთლოვანი ტიპით განისაზღვრება, აქ ვხვდებით მუხას, წაბლს, ნეკერჩხალს, ვერხვს, წიფელს, კოპიტს, ლაფანს, აკაციას, რცხილას, მურყანს, წიწვოვანთაგან ნაძვსა და ფიჭვს; ნადირთაგან დათვს, მგელს, ტურას, მელას, კვერნას, მაჩვს, შველს, კურდღელს და ნუტრიას.

გადიდის ადმინისტრციული ერთეულის საზღვრებს წარმოადგენს ჩრდილო-აღმოსავლეთით ზედა ვანი, ტყელვანი, ზენობანი, ისრითი, დიხაშხო, სულორი. სამხრეთ-დასავლეთით სამხრეთ-იმერეთის მთისწინეთის ალპური ზონის ნაწილი, ყუმურის თემში შემავალი უბნები: დუცხუნი, პატელესოული, დიდღელე, კაკასუბანი. ვანის მუნიციპალიტეტში შემავალი გაიდიდის თემი ორი სოფლისაგან შედგება, საკუთრივ გადიდი და ონჯოხეთი. გადიდი სამხრეთ იმერეთის მთისწინეთში მდინარე ღელასკურას (ღელესკურის) შუა დინებაში ზღვის დონიდან 360-მეტრზე, ხოლო ონჯოხეთი მდინარე ჭიშურას სათავეში ზღვის დონიდან 408-მეტრზე მდებარეობს.

გადიდის თემი მცირემიწიან სოფელთა რიცხვს მიეკუთვნება, სამურნეო მიწებისა და საძოვრების საერთო ფართობი 502 ჰექტრით განისაზღვრება, აქედან კერძო საკუთრებაში 198 ჰექტარი, სახელმწიფო მფლობელობაში 304 ჰექტარი, მრავალწლოვანი მცენარეებით დაფარულია 44 ჰექტარი (ბუნებრივ სიმდიდრეს განეკუთვნება ხე-ტყის რესურსი მურყანის სახით, აგრეთვე ქვის კარიერი).

აღნიშნული სოფლის წარმოშობის ისტორია უძველეს წარსულში უნდა ვეძებოთ. მართალია, ამასთან დაკავშირებით ნივთმტკიცება არ არსებობს, მაგრამ მისი გამორიცხვაც შეუძლებელია, რადგან როგორც სოფელში, ასევე მის მომიჯნავე ტერიტორიაზე მეცნიერული კვლევა-ძიება დღემდე საფუძვლიანად არ ჩატარებულა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სოფლის წარმოშობა ანტიკურ ან მომდევნო პერიოდს უკავშირდება, რადგან დღევანდელი ქალაქ ვანის ტერიტორიაზე ე.წ. ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან შვიდი კილომეტრით დაშორებული ტერიტორია, ამ შემთხვევაში სოფელი გადიდი უთუოდ ათვისებული უნდა ყოფილიყო. ამ თემაზე საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული ისტორიკოსს – თამაზ ბერაძეს. მისი მსჯელობით დღევანდელი ვანის მუნიციპალიტეტი (გვიან ფეოდალური ნომენკლატურით საჩინო) პირდაპირი მაგისტრალით იყო დაკავშირებული სამცხესთან, მთავარი გზა ოძრხეში იწყებოდა. მეცნიერის ცნობით აღნიშნული მაგისტრალი მეფის წყაროს გავლის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით მიემართებოდა, ჯაჯის ანუ ჭაჭიეთის ტბას ჩრდილოეთიდან უვლის, აქედან ერთი ბილიკი სუფსის ხეობისაკენ ეშვება, მთავარი მაგისტრალი კი ჩრდილოეთის მიმართულებას იღებს. იგი ჯერ წაბლარას ხევისა და სუფსის წყალგამყოფ ქედს მიუყვება, შემდეგ კი წაბლარის ხევის, კორისწყლის, კვინისწყლის და სუფსის წყალგამყოფ ქედს. იგი გაივლის მთებს: ქვაბიღელე, ქვაჭიშკარა, ლობოროტი, სათაფლია, ულეველა, ლამაზი გორა და გზაბოძალისაკენ ეშვება[1] (გზაბოძალი გზათა შესაყარს ნიშნავს და მდინარე სულორის სათავეს ზევით მდებარეობს). ამ გზით სარგებლობდა ადამიანთა მრავალი თაობა უძველესი დროიდან.

1. თამაზ ბერაძე. ვანი III, ვანის ისტორიული გეოგრაფიიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ გზაბოძლიდან ეს მაგისტრალი რამდენიმე სოფელს უკავშირდება: უხ-უთს, ძულუხს, სულორს, ყუმურს (გაილოურს) და გადიდს. აქედან ყველაზე მოხერხებული და მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით სოფელ გადიდზე გამავალი გზა უნდა ყოფილიყო.

გზაბოძლიდან გადიდზე მიმავალი გზა გაივლის ჩიხნარს, ნადუქნევს, დათვის საწუმპის წვერს, ბეჟიეს თავს, კენჭისაყარს, მრგვალგორს, სახადს (სახედს). სახადის თავზე გზა ორად იყოფა: ერთი სოფელ სულორში მიდის, ხოლო მეორე გადიდში, შემდგომ მიემართება შემდეგი ადგილე-ბის გავლით: სახადის ძირი, ნაბოჭკები, ბოსტანიე, დიდაღმართი, ქვასაყური, იოური, წყარო, ლანგირი, ფშალნარი, ჭალსასირის თავი, ჭალსასირე, საკანაფო, ბესლარი, ჯიხური, კალო, საგანო[1], ბაღჩა, არწიოული. გადიდზე გამავალი უმოკლესი გზა, რომელსაც ამჟამად მხ-ოლოდ მონადირე და ალპურ საძოვარზე მიმავალი მწყემსი იყენებს, ანტიკურ და მომდევნო პერი-ოდში უთუოდ გამოყენებული იქნებოდა, რაც ზემოთ განხილულ ფაქტთან ერთად საფიქრებელს ხდის აღნიშნული სოფლის ტერიტორიის ათვისების შესაძლებლობას. ეს გზა გამოიყენებოდა ადრე ანტიკურ და ელინისტურ ხანაშიც. ვანის დაწინაურება მნიშვნელოვან გზათა შესაყარზე არსებო-ბამ განაპირობა. აღნიშნული სახმელეთო გზის გარდა ნიშანდობლივი გახლდათ მდინარე რიონის სამდინარო გზა, რომლის მეშვეობით ვანის სიახლოვეს ზღვიდან შედარებით დიდი ზომის ხომალ-დების შემოსვლა ხერხდებოდა. ელინისტური მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალს ოძრხე, ვანს არსებული უმოკლესი გზით უკავშირდებოდა (ვანიდან ოძრხემდე სულ 60 კილომეტრია).

სოფლის სახელწოდების წარმოშობასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო ვარაუდს გამოთქვამს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, კერძოდ იგი სოფელ გადიდის სახელწოდებას იბე-რიის (ქართლის) სამეფოს დედაქალაქ მცხეტაში მდგარ უძველეს ქართულ წარმართულ ღვ-თაებას „გა“-ს უკავშირებს.[2]

ცნობილი მეცნიერი, არქეოლოგი ოთარ ლორთქიფანიძე გადიდისა და ონჯოხეთის სახ-ელწოდების შესახებ შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს – „გა“ ზმნისწინი, რომელიც მეგრულ-ჭანურად გორას ნიშნავს, „დიდი“ თავისთავად დიდს ე.ი. გადიდი – დიდი გორა, ხოლო, რაც შეეხება ონჯოხეთს ასობგერათა შენაერთი „ჯოხ“ მეგრულ-ჭანურად საყივარს ნიშნავს ანუ დასაძახებელ ადგილს და რადგან ეს სოფელი მაღლობზეა (ონჯოხეთი) სახელწოდება ონჯოხ-ეთი აქედან წარმოიშვა.

საინტერესოა გადიდისა და ონჯოხეთის სახელწოდების შესახებ არსებული ხალხური გად-მოცემა. XI საუკუნეში ზედა ვანის ეკლესიის აგების შემდეგ მღვდელმთავართ განუზრახავთ შეერჩიათ ისეთი მაღალი ადგილი ზედა ვანს ზემოთ, სადაც აიგებოდა ციხე-ეკლესია, რო-მელიც იქნებოდა ხალხის თავშესაფარი და სამლოცველოც. მერესთან[3] მისულნი შეჰყოლიან ახლანდელი პერანგას გორის[4] ვიწრო ხეობას. აღნიშნული გორის თავზედ რელიეფი თან-დათანობით დიდდება, ამ ფაქტთან დაკავშირებით მღვდელმთავართ უთქვამთ რაც უფრო მაღლა მივიწევთ ტერიტორია გადიდდაო და ხსენებულ ადგილს ზემოთ არსებული გაშლილ-გა-დიდებული ტერიტორიისათვის უწოდებიათ გადიდი, რომელსაც დღესაც გადიდის გორა ჰქვია. აქ არსებულა XI საუკუნის ქვის ეკლესია, სადაც 2014 წელს აიგო ახალი ტაძარი. ტერიტო-რიის მოკვლევის მიზნით საეკლესიო პირთ ონჯოხეთშიც გაუგზავნიათ მაცნენი, რომლებიც ისევ დაბრუნებულან მერეში, ასულან ონჯოხეთში, ეხლანდელი ნაწისქვილევის გორით,[5] სადაც

---

1. საგანოდან გზა ონჯოხეთისაკენ ეშვება და გაივლის თხმელარვანს, ნამაცხვარევს, სასირეს, ტყელ-ქვას, დიდ-ქვას, ბეროულს. ბეროულით იწყება სოფელ ონჯოხეთის დასახლება, ერთ-ერთი უბნის ,,მიქელთაძეების“ სახით.

ნამაცხვარევი გადიდ-ონჯოხეთის საზღვარზე არსებული ვაკე ადგილია, სახელწოდება შემდეგი ფაქტიდან მომდინარეობს: ძვე-ლად ალპური ზონის საზაფხულო საძოვრებიდან გვიან შემოდგომაზე საქონელსა და ცხვარს თანდათანობით ქვემოთ ერეკებოდნენ, აღნიშნულ ვაკეზეც აბინავებდნენ გარკვეული დროით, რის გამოც ხსენებულ ტერიტორიას ნამაცხვარევი ეწოდა, გადმოცემით ვი-ცოდი, რომ ამ ადგილს გარკვეული პერიოდი ბაბუაჩემი ან გარდაცვლილი შალვა შარაშენიძე ფლობდა. ყოველივემ ჩემში ინტერესი აღძრა მემკვიდრეობა აღვადგინე, ნაკვეთი დავირეგისტრირე და თხილის ბაღი გავაშენე, ვცდილობ ჩემმა მემკვიდრემ 7 წლის ბერიკამ არ დაივიწყოს წინაპართა ნაკვალევი და ამ საკარმიდამოს თუ მკრეხელობად არ ჩამითვლით, ბერიკაული ვუწოდე.

2. ზედა ვანისა და გადიდის გეოგრაფიული საზღვრის სახელწოდება.

3. გადიდის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი გორის სახელწოდება

4. ონჯოხეთის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი გორის სახელწოდება.

5. ონჯოხეთის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი გორის სახელწოდება.

გაუვალ მუხის ტყეში დიდი რაოდენობით ყოფილა მცენარე ონჭო, რომელიც დღესაც უხვად მოიპოვება, ამიტომ ამ ადგილისათვის უწოდებიათ ონჭოს ქედი, შემდგომ აღნიშნულ სახელს სახეცვლილება განუცდია სიტყვა ონჯოხეთით.

ეს გადმოცემა ონჯოხეთის საჯარო სკოლის დირექტორმა ბატონმა დუშიკო ორმოცაძემ გადმოგვცა, რომელიც მას ბაბუამ ალუბა ორმოცაძემ მოუთხრო, ის გარდაიცვალა 100 წლის ასაკში 1987 წელს.

ისტორიული წყაროებისა და მატერიალური ძეგლების სიმწირე ამ ეტაპზე შეუძლებელს ხდის აღნიშნული სოფლის წარსულის ქრონოლოგიურ ჭრილში წარმოჩენის შესაძლებლობას. ჩვენი მოკრძალებული ცდა ამ შემთხვევაში ემყარება იმ აღმოჩენილ მასალებს, რომელიც ამ-ჟამად მოიპოვება. თავისი მნიშვნელობით საინტერესოა XI საუკუნის ეკლესიის სამშენებლო წარწერა შესრულებული ასომთავრულით შვიდი სტრიქონი, ამოკვეთილი ქვიშაქვის სქელ ფილაზე. ზომა 17,9 X 57 X 19-28 ფილის მარხცენა და მარჯვენა გვერდები ატკეჩილია, ხოლო ზედა ნაწილი გადარეცხილი. ამის შემდეგ წარწერა შემონახულია ნაკლული სახით, შესრულებულია საშუალო სიღრმის კვეთით, სტრიქონთა სწორხაზობრიობა არ არის დაცული, ასოების სიმაღლე 3,5-4,5-5 განკვეთილებისაა და ქარაგმების ნიშნები არ ახლავს, ჩამოტანილ-ია 1950 წელს სოფელ გადიდის სასაფლაოდან. იგი თავდაპირველად ინახებოდა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ამჟამად კი, ოთარ ლორთქიფანიძის

სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. აღნიშნული ეკლესიიდან მხოლოდ საძირკველი გახ-ლდათ შემორჩენილი[1] იმდროინდელი ტაძრის სიდიდე და გეოგრაფიული მდებარეობა მის მნიშ-ვნელობაზე მიუთითებს, რადგან იგი რამდენიმე სოფლის საზღვარზე მდებარეობს (სულორი, ზენობანი, ისრითი, სალხინო, ზედა ვანი) რაც თავის მხრივ საკვლევი სოფლის მნიშვნელობასა და სიძლიერეზე მეტყველებს. ხსენებული ეკლესიის გარდა გადიდიში ე.წ. კურდღელაურის სასაფლაოს ტერიტორიაზე არსებობდა XII საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ბაზილიკური ტიპის ქვის ეკლესია, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების რუკაზეა აღნიშნული.[2] ამ ეკლე-სიის ქვების ნაწილი გამოყენებულია გადიდის საჯარო სკოლის ხის ნაგებობის საძირკვლის საყრდენებად, ქვები შემორჩენილია სასაფლაოს ტერიტორიაზეც.

რაც შეეხება ონჯოხეთს, აქ არსებობდა გვიან შუა საუკუნეებში წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია. სასაფლაოს ტერიტორიაზე პირსაწერის გორაზე, გადმოცემის თანახმად ონჯოხე-თის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია აუგიათ XVII საუკუნეში ქვის საძირკველზე, იატაკიც ქვისგან ყოფილა ნაშენი. ეკლესია დაუნგრევიათ 1922 წელს. ქვის საძირკველი გამოუყენებიათ აქვე არსებული სკოლის შენობის საყრდენებად, რომელიც მთლიანად განადგურდა 1990 წელს ონჯოხეთის ახალი კაპიტალური სკოლის მშენებლობის დროს.[3] ონჯოხეთის ხსენებულ ეკლ-ესიაში მოღვაწეობდა მღვდელი კირილე ნამიჭეიშვილი სოფელ ტყელვანიდან, რომელსაც დახ-მარებას უწევდა ეკლესიის მოვლა-პატრონობაში ონჯოხეთში მცხოვრები ალუბა ორმოცაძე. ეკლესიის დანგრევის შემდეგ აქ არსებული ნივთები, მათ შორის ხატები, ჯვრები, წიგნები, სანათლავი პატარა ზარი, რომელიც, ამჟამად, ონჯოხეთის საჯარო სკოლაში არსებობს და ამცნობს სწავლის დაწყების პროცესს მომავალ თაობას, იმ დროისათვის შეუნახავთ ალუბას-თან, შემდგომ აღნიშნული ნივთები ღამით წაუღია მღვდელს – კირილეს, სანათლავი და ზარი დაუტოვებია, რადგან მგზავრობისას შესაძლებელი იყო ენახათ, რისთვისაც იმდროინდელ ვი-თარებაში მკაცრად დასჯიდნენ. 1923 წელს ეს ზარი ალუბას სკოლისთვის გადაუცია, რამაც თავის მხრივ განაპირობა ზარის დღემდე შემონახვა.

გვიან ფეოდალურ ხანაში გადიდი ვანელ ლორთქიფანიძეთა სამფლობელოში შედიოდა.

---

1. რომელზეც 2014 წელს აიგო ახალი ღვთისმშობლის ტაძარი.

2. რუკა შედგენილია ვახტანგ ცინცაძის მიერ.

3. „ოჯახის სამახსოვრო წიგნის შთამომავლობის“ ავტორის შოთა ორმოცაძის ცნობით ხსენებული ეკლესიის დანგრევის შემდგომ ეკლესიის ხის მასალები გადაუტანიათ გადიდ-ონჯოხეთის საზღვარზე არსებულ „ბეროულის“ ვაკეზე ადმინისტრაციული შენობის ასაგებად, მაგრამ მოსახლეობას უქმე დღეებში ბეხუ გოგორიშვილის იქ არყოფნის დროს, ღამის დარაჯისთვის მოუპარიათ და ონჯოხ-ეთის ცენტრის გზაჯვარედინზე სასაფლაოს მხარეს სკოლის მეორე შენობა აუგიათ, ხოლო ნაეკლესიარზე დარჩენილი ქვის მასალით „გვარას“ ღელეში წყაროს წყლის აუზი მოუწყვიათ.

ფეოდალურ პერიოდში სოფელ გადიდში მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

სასულიერონი – კილაძე; საეკლესიო გლეხები – ქიმუცაძე; საბატონო გლეხები – ბელთაძე, ბუაძე, გუგუციძე, ზამთარაძე, თოდუა, კიკვაძე, კიკუტაძე, ლაგაძე, მიქელთაძე, მსხილაძე, მხეიშვილი, ორმოცაძე, სოხანეიშვილი, ქიმუცაძე, შარაძენიძე (შარაშენიძე), ჩახუნოვი (ჩახუნაშვილი), ხარზაბეგიშვილი (ხაზარბეგიშვილი).1

სოფლის სამეურნეო ცხოვრების განვითარებაზე მიუთითებს ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული არაერთი საბუთი, მაგალითად ონჯოხეთისა და გადიდის სანადელო მიწებისა და გლეხთა სია, რომელშიც გაწერილია გლეხთა მიერ ჩაბარებული სიმინდის, ლობიოს, ჩალისა და ღვინის რაოდენობა.

ერთ-ერთ ისტორიულ დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი გადიდსა და ონჯოხეთში როგორი იყო სახნავი მიწა, მამული, ტყე, მოსავლის რა რაოდენობა მოდიოდა ერთ ქცევაზედ, (სიმინდი, ღვინო, ჩალა), რა ღირდა ერთი ქცევა სახნავი, მამული, ტყე. მოგვყავს უშუალოდ დოკუმენტი:

გადიდი – სახნავი: – 30 მან. 40 ბათ. 30 მან. 30 ჩაფ.; მაჭარული – 30 მან. 50 ბათ.;
ჭაკიტოური – 25 მან. 40 ბათ. 30 ჩაფ.;
ნასაკირევი – 30 მან. 40 ბათ. 20 ჩაფ.; ჩიდილას ადგილი – 30 მან. 20 ბათ.;
ტყე: – წაბლარა – 10 მან. – საყანე ამაში 20 ბათ.; ბახუტას ნალიები – 20 მან. – ყანა 60 ბათ.;

ონჯოხეთი – მამული: – გვარა და ჩიტიბოური – 15 მან. 5 ჩაფ.; სახნავი: – საკანაფო, დიდიგორი სხვ. – 50 40 მან. ბათ. საშუალო 30 ბათ.
მამული – ბეჟიას სეული – 30 მან. 40 ჩაფ. 25 ბათ.; ჩიყოური – 50 მან. 50 ჩაფ. 30 ბათ. – კარგი მამული.;
მამული – 20 ბათ. 10 მან.

მარცვლეულ მცენარეთა მოყვანის კულტურაზე მეტყველებს სოფელში არსებული არაერთი ქვის საცეხველი, აგრეთვე პატარა ნაკადულის სწორი ზედაპირის მქონე კლდის კალაპოტში ამოჭრილი წყალზე მოწყობილი საცეხველი.

მევენახეობის განვითარებაზე მიუთითებს საბუთი, რომელშიც აღწერილია ონჯოხეთის სახასო ადგილების სია. გადასახდელი ღვინის რაოდენობა აღნიშნულია თითოეულ კომლზე ჩაფობის მიხედვით.[2] საინტერესო და აღსანიშნავია ონჯოხეთში მცხოვრები ოლეგ მიქელთაძის კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთში დაცული მრავალსაუკუნოვანი ქვის საწნახელი.

საბჭოთა პერიოდის მეურნეობის პირობებში მარცვლეულ კულტურათა ხვედრითი წილი კიდევ უფრო გაიზარდა. სოფლის ცენტრიდან 5-7 კილომეტრის რადიუსში არსებული ტერიტორია მთლიანად საყანეებად იქნა ქცეული. გაშენდა ვაზი, ხეხილი (ვაშლი, მსხალი, ტყემალი), რამდენიმე ჰექტარი ჩაი, გადიდის გორასა და ნამაცხვრევში, რომელიც საუკეთესო ხარისხით გამოირჩეოდა.

მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთები: ხის დიდი და პატარა ზომის ჯამები, მარცვლეულის შესანახი კოდები, თიხის ხალმები, დოქები, ქვევრები, საჩეჩელი, ნაკვერჩხლის უთო, სპილენძის საოჯახო ჭურჭელი, საწნახელი, უნაგირი, სათოფურებიანი ნალია, გადასატანი და წყალზე მოწყობილი მარცვლეულ კულტურათა საცეხველები, სასხლავი, ნამგალი, ნაჯახი, წალდი, ფიწალი, ყავრის სახდელი დაშნა; საოჯახო ავეჯი: მაგიდა, საწოლი, სკამი და კარადა.

შინაური ცხოველებიდან აშენებდნენ – ძროხას, თხას, ცხვარს, ღორს. ფრინველთაგან – ქათამს, ინდაურს. მისდევდნენ მეფუტკრეობასაც.

დღეისათვის სოფლის ტერიტორიაზე ვაზისა და სხვა კულტურულ მრავალწლოვან მცენარეთა ოდენობა მკვეთრად შემცირებულია. 1970 წლიდან გადიდის კოლმეურნეობა შევიდა სულო-

1. მერაბ კეზევაძე. ქართული გვარსახელები იმერეთში XIX საუკუნის 40-იან წლებში. გვ. 10-11.
2. ქ.ი.მ. 5391

რის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში, როგორც გადიდის აგროუბანი. საბჭოთა მეურნეობის პერიოდში არსებული ხეხილის ბაღებიდან მხოლოდ მცირე რაოდენობაა შემორჩენილი კერძო საკუთრების სახით. კულტურულ მრავალწლიან მცენარეთა გაშენების საქმეში სასურველია თანამედროვე ახლად გამოყვანილი ჯიშების განაშენიანება, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით. დღესდღეობით სოფლის ძირითად შემოსავალს თხილის კულტურა წარმოადგენს, მაგრამ აქ სერიოზული პრობლემაა. თხილს აზიურ ფაროსანასთან ერთად მკვეთრად აზიანებს სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი დაავადებანი (თხილის ქერქიჭამია, ფუზარიოზი და სხვა სოკოვანი დაავადებები, ბაქტერიული სიდამწვრე, ნაცარი, კვირტის ტკიპა, გულის სიდამპლე, შავი ხარაბუზა).

სოფელ გადიდში მესამე წელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სურსათის უვნებლობის სააგენტოს სპეციალისტთა მიერ მიმდინარეობს ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, რამაც მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო.

გადიდსა და ონჯოხეთში ადამიანთა საცხოვრისს იმერული ოდა სახლი წარმოადგენდა. მაგალითისათვის მოგვყავს ისიდორე შარაშენიძის სახლი, რომელიც, ამჟამად, თბილისში მოღვაწე დავით შარაშენიძეს ეკუთვნის (დავითი ისიდორეს შვილიშვილია), სახლი წაბლის ხის ფიცრებისგან არის ნაშენი, ხოლო იატაკი და ჭერი ნაძვისაგან. იგი თავდაპირველად დახურული გახლდათ ყავრით, რომელსაც ხდიდნენ ალპურ ზონაში არსებული წიწვოვანი ტყეების მასივში. იმ დროისათვის იმერეთის ტერიტორიაზეც მოიპოვებოდა წიწვოვანი ტყე. მხედველობაში გვაქვს სამხრეთ იმერეთის მთისწინეთს ზემოთ არსებული დღევანდელი ვანის, კონკრეტულად, გადიდის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ალპური ზონა, რომელსაც ესაზღვრება გურიის ალპური ზონის ტერიტორია. დღეისათვის აღნიშნულ ტერიტორიაზე წიწვოვანი ტყე მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი, ხოლო გურიის მხარეს წიწვოვანი ტყე დღესდღეობითაც მრავლად მოიპოვება. სახლებს ადგილობრივი მასალისაგან აგებდნენ, ყავარსაც ადგილზე ხდიდნენ და ცხენებით ეზიდებოდნენ. სახლები საოცარი სიფაქიზით არის ნაგები, აღნიშნულ სახლს ამშვენებს ქვის ბუხარი, რომელიც ნატიფად ნაშენია, შემკული გახლავთ სხვადასხვა ორნამენტით. არის შემთხვევა, როდესაც ერთ ბუხარს გააჩნია ორი სანთები პირველ და მეორე სართულზე, აგრეთვე სხვადასხვა ოთახში არსებული შედარებით პატარა ზომის ბუხრებს საერთო ფუძე და საკვამური გააჩნია. სახლებს უმეტეს შემთხვევაში აქვთ აივანი, რომელიც ძირითადად ორნამენტირებულია.

პირველი სართულის აივნის ხის ბოძების საყრდენად გამოყენებულია ქვის საძირეები.

სოფლად მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოფლის ალპური საძოვარი, აგრეთვე ალპურ ზონამდე არსებული ფართო ფოთლოვანი საკმაოდ დიდი ტყის მასივი, რომელიც სხვადასხვა სახის ბალახეულითა და მაყვლით არის დაფარული. შესაძლებელია ძროხის, ცხენის, თხის, ღორის მოშენება. სოფელს დღესაც გააჩნია მწყემსთა მომთაბარული ტრადიცია. გაზაფხულზე სოფლის მკვიდრთ საქონელი საზაფხულო საძოვარზე მიჰყავთ და მორიგეობით უვლიან (მორიგეობის პროცესს „სმენას“ – ცვლას უწოდებენ). ღამით პირუტყვს ჭოკებით შემორაგულ „ქართაში“ ამწყვდევენ, ხბოებისათვის აგებენ ძელურ ბინას, რასაც სახბორეს უწოდებენ. ადამიანის სადგომს ძელური ჯარგვალი წარმოადგენს ხის საწოლებითა და შუა ცეცხლით. „ცვლაში“ ორი ან მეტი ადამიანი ერთიანდება, საინტერესოა მათ შორის შრომის განაწილების მეთოდი. უვლიან პირუტყვს, ამზადებენ ყველს, სულგუნს, ნადუღს, მოაქვთ შეშა და წყალი. ჯარგვალი დახურულია ყავრით. ყავრით დახურული კაცის სადგომი დღესაც შემორჩენილია ალპურ საძოვრებზე. ყავრის, საწნახელის, უღლის, მიწის სახნავი კავის და სხვა სამეურნეო ნივთების დამზადების ხელოსნობით განთქმული გახლდათ სოფელ გადიდში მცხოვრები აწ გარდაცვლილი ცნობილი მეურნე და მომთაბარე რაჟდენ (რაჟიკო) ცხვარაძე,[1] რომელიც 2016 წელს გარდაიცვალა. მომთაბარენი თანადროულად ამზადებდნენ ნაძვისა და ფიჭვის მორებს და სახლის სახურავის ლარძაყინებს (ნივნივებს), რომლებსაც ხარით ეზიდებოდნენ სოფლამდე, აგროვებდნენ ცეცხლის სანთებ საშუალებას კვარს.[2] ჯარგვალში მყოფებს ტრადიციულად ევალებოდათ სტუმრის შესადარისი პატივით მიღება. როდესაც მწყ-

1. სამეურნეო ყოფა-ცხოვრების ნაკეთობათა ხელობის მცოდნენი იყვნენ ოთარ და ბიჭიკო ბელთაძეები.

2. კვარი მზადდება დიდი ხნის წინათ მოჭრილი წიწვოვანი ხის ამონაჭერი ძირებისაგან

ემსობის რიგი იცვლებოდა, რამდენიმე ახლომდებარე ბინაში არსებული მომთაბარენი ერთად იკრიბებოდნენ პურის საჭმელად, რომელიც ხშირად აისამდე გრძელდებოდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ზაფხული მთაში გავატარე, მამაჩემს საქონელი ჰყავდა მთაში და მთხოვა დავხმარებოდი. მოვემზადეთ წასასვლელად, ტვირთი ცხენზედ მოვკიდეთ, რაც აუცილებელი იყო მთაში ცხოვრებისათვის, მაგრამ მრჩებოდა არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ, ლიტერატურა წიგნების სახით უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად. მეორე ცხენი შევკაზმეთ, სათუთად შეკრული წიგნები მოვკიდეთ და გზას შევუდექით. მზე გადახრილიყო, ბინაზე რომ მივედით ჩემი გაკვირვება საოცარმა ბუნების ხედებმა განაპირობა, ბინაზე მყოფების გაკვირვება კი ცხენზედ მოკიდებულმა წიგნებმა.

ბინის წესი და საქმე შევისწავლე, არ ვზარმაცობდი, მაგრამ თვალი მაინც წიგნებისაკენ გამირბოდა. არასოდეს დამავიწყდება ჩვენს სოფელში მცხოვრები მომთაბარე კარგი კაცების როინ ორმოცაძისა და ავთო მიქელთაძის თანადგომა, ისინი ჩვენი ბინის ახლოს ცხოვრობდნენ. როინი ერთ დღეს ჩვენთან მოვიდა და ბიჭებს უთხრა – შალვა ხელის შეწყობას იმსახურებს, შრომასთან ერთად ნახეთ როგორი მონდომებულია სწავლისადმიო.

ნაბადი მოიტანა, სერზე არსებული ასწლოვან წიფლისაკენ მიმითითა და მითხრა – ნაბადი გამეფინა და წიგნი მეკითხა. ყველამ მოიწონა როინის საქციელი და ხელს მიწყობდნენ მეტი დრო დამეთმო წიგნებისათვის. მე რაჟდენ ცხვარაძესთან და გოდერძი კიკუტაძესთან ერთად ვცხოვრობდი, მომთაბარეებმა მთაში ქცევის წესებთან ერთად ნადირობაც შემასწავლეს. ნადირობისას სანისლიის მედიდური და საოცარი სანახებისგან აღქმულმა ბუნების სილამაზემ ლექსიც დამაწერინა:

ნადირობა დაესიზმრა ადამს
ჭიუხვს ელვა ანათებდა მწყრალი,
არჩვის რქებზედ არეკლილი სხივი
ნამქერს სწყდება, როგორც მინანქარი.
ქარვის ფერი შეპარვიათ ცაცხვებს
დრო დამდგარა ფერიცვალებისა,
მონადირევ შეგეწიოს ღმერთი
გიფარავდეს მადლი სამებისა.

სოფლად მომთაბარული ტრადიცია დღესდღეობითაც არის შემორჩენილი, რამდენიმე კომლი ზაფხულობით ალპურ საძოვარზე აძოვებს პირუტყვს.

XIX საუკუნის 30-იან წლებამდე სოფელი გადიდი ქუთაისის მაზრის დვალიშვილების თემში შემავალი სოფელი იყო, ასეთივე სტატუსი გააჩნდა მას მენშევიკების მმართველობის პერიოდშიც და უფრო ადრეც, როდესაც შეიქმნა თემსაზოგადოებები. 1933 წელს ჩამოყალიბდ სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (გადიდის საბჭოს სახელწოდებით), რომლის პირველი თავმჯდომარე იყო ბეხუ გოგორიშვილი. შემდეგ წლებში აქ თავმჯდომარეობდნენ: გიორგი ჭკუასელი, იოველ შარაშენიძე, ივანე გოგინაძე, ნიკოლოზ კორძაძე, ვალიკო

შარაშენიძე, გიორგი ხარძეიშვილი, სერგო გურგენიძე, შემდეგში ვანის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გიორგი ბელთაძე, შოთა სანადირაძე, ამბროსი შარაშენიძე, ლადიკო შარაშენიძე, ოლეგ მიქელთაძე. 1990 წლიდან საკრებულოს ხელმძღვანელობდა ქეთევან დვალიშვილი, მურთაზ თოდუა, დუშიკო ორმოცაძე, ჯენერი ბელთაძე, ომარ მხეიძე. ამჟამად, გადიდის ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებულია ელგუჯა ბელთაძე, სპეციალისტი შალვა შარაშენიძე.

სოფელი მოსახლეობის ოდენობით შედარებით მრავალრიცხოვანი იყო XX საუკუნის 50-იან წლებში. აქ ცხოვრობდა 500-მდე კომლი, 1900 მცხოვრებით. 1926 წლის აღწერით 211 კომლი 1098 სულით, ამჟამად 250 კომლი 600 მცხოვრებით. სოფელს პირველი ნებაყოფლობითი განსახლება შეეხო 1944 წელს, როდესაც ადიგენის რაიონში ჩასახლებული იქნა რამდენიმე კომლი. XX საუკუნის 50 წლებში ქვეყნის ზემდგომ ინსტანციებში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე აპირებდნენ სოფლიდან ხობის რაიონის აუთვისებელ ტერიტორიაზე მოსახლეობის გადიდიდან ჩასახლებას, რაც ვერ განხორციელდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე XX საუკუნის 50 იანი წლებიდან ოჩამჩირისა და გაგრის რაიონებში საკუთარი სურვილით

ჩაასახლეს 24 კომლი. 1970-იან წლებში, ვანის რაიონის მაღალმთიან ზონაში მეწყერული მოვლენების განვითარების საფუძველზე, რამდენიმე კომლი განსახლდა ვანის რაიონის ტერიტორიაზე. 1989 წლიდან გადიდის თემში საცხოვრებლად ჩამოასახლეს აჭარიდან 27 ოჯახი, რომელთაგან ამჟამად დარჩენილია ოთხი ოჯახი.

გადიდის თემი 12 უბნისაგან შედგება – ჭალის, დაკიბულას, ორჯუმალის, არწიოულის, კოპინოურის, მხეიძეების, კალოსპირის, მიქელთაძეების, ორმოცაძეების, ბარგალოურის, გუგუციძეების და წიქედას უბანი. სოფლად მცხოვრებ ძირძველ გვარებს წარმოადგენდნენ: ბელთაძეები, ომოცაძეები, შარაშენიძეები, ქიმუცაძეები, ხარძეიშვილები, გუგუციძეები, ლაგაძეები, მსხილაძეები. შემდეგში შემოსახლებული გვარებია: დვალიშვილები, ადეიშვილები, კიკუტაძეები, სოხანეიშვილები, თოდუები, გიორგაძეები, მახარაძეები, ნამიჭეიშვილები. ამჟამად, სოფლის 600 მცხოვრებიდან 120 პენსიონერია, რომელიც შრომისუნარიანი მოსახლეობის 20% შეადგენს. სამწუხაროდ, სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას, სახელმწიფო სოციალურ დახმარებას სოფელ გადიდიში 31 ოჯახი იღებს. სოფლად ახალგაზრდული შემადგენლობის დინამიკა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: 1 დან 10 წლამდე – 41; 10-დან 18 წლამდე – 60; 18-დან 40 წლამდე – 200.

1941-1945 წლებში, მეორე მსოფლიო ომში გადიდ-ონჯოხეთიდან 300 კაცი გაიწვიეს, ამათგან ნახევარი მშობლიურ კერაზე ვერ დაბრუნდა.

გადიდსა და ონჯოხეთში ბიბლიოთეკების სახით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები XX საუკუნის 50-იანი წლებიდან არსებობდა. ფუნქციონირებდა სასოფლო კლუბი 1970 წლიდან. დღეისათვის სოფელში ბიბლიოთეკა არ არსებობს, კლუბის ნაგებობა დაზიანებული და უმოქმედოა. სოფელში არ ფუნქციონირებს არცერთი სახის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. გადიდის თემში ორი სკოლა ფუნქციონირებს გადიდისა და ონჯოხეთის. ადრეულ პერიოდში აქ სოფლის ორწლიანი სკოლა მღვდელს, ვიქტორ გერსამიას დაუარსებია. სოციალისტური სისტემის არსებობის პერიოდში, XIX საუკუნის 80-იან წლებში სკოლის სასწავლო მატერიალური პირობები გაუმჯობესდა. გადიდის სკოლას სხვადსხვა დროს არაერთი ღირსეული პიროვნება ხელმძღვანელობდა: ილია ჯულაყიძე, გიორგი სვანაძე, გიორგი თევზაძე, ვანო უღრელიძე, ევგენი ბელთაძე, ზაურ ხარძეიშვილი, ორათეულ წელზე მეტია სკოლის დირექტორია ოლეგ მიქელთაძე. ბატონი ოლეგი გახლავთ თანადროულად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. 1900-იანი წლების დასაწყისში გადიდის სამრევლო სკოლაში (რომელიც ორ სოფელს აერთიანებდა) სწავლობდა 34 მოსწავლე, 1960-იან წლებში 182, ხოლო ამჟამად ექვსი მოსწავლე.

საინტერესო ისტორია აქვს ონჯოხეთის საჯარო სკოლას. პირველი ოთხკლასიანი კერძო სკოლა აქ 1901 წელს ერიკა ორმოცაძის სახლში გაუხსნია ტყელვანელ მღვდელს კირილე ნამიჭეიშვილს, იგი ყოფილა ამ სკოლის მასწავლებელიც და დირექტორიც. შემდეგში სკოლა სახელმწიფოს ჩაუბარებია და დირექტორად ზესტაფონიდან ვანში მასწავლებლად ჩამოსული ვარლამ უკლება დაუნიშნავთ. შემდეგ წლებში სკოლის დირექტორები იყვნენ: ვლადიმერ ივანიაძე, ლავრენტი უღრელიძე, გიორგი თევზაძე, გალინა ბელთაძე, მიხეილ აბრამიძე, მურმან მიქელთაძე, მინდია მიქელთაძე, მაია გოგლაძე, ამჟამად სკოლის დირექტორი დუშიკო ორმოცაძეა. 1990 წელს ონჯოხეთის სკოლაში 25 მოსწავლე იყო. 1960-იან წლებში – 160, ამჟამად 3 მოსწავლე სწავლობს.

სოფლის ინტელიგენცია ძირითადად გადიდსა და ონჯოხეთის პედაგოგიური კოლექტივის სახით წარმოგვიდგება.

წლების მანძილზე არაერთი თაობა აღზარდეს გადიდისა და ონჯოხეთის საჯარო სკოლებში მოღვაწე პედაგოგებმა: ოლეგ მიქელთაძემ, ნინა ბელთაძემ, გიგა ქიმუცაძემ, გოდერძი კიკუტაძემ, ინგა ქარდავამ, ზემინარ შარაშენიძემ, თამარ შარაშენიძემ, ნატო შარაშენიძემ, ნინო ხარძეიშვილმა, ჟატუა მხეიძემ, ლამზირა მიქელთაძემ, ამირან შარაშენიძემ, დუშიკო ორმოცაძემ, რობერტ ხარძეიშვილმა, მამუკა ორმოცაძემ, იმედა ბელთაძემ, თემურ პაიჭაძემ, ომარ აბრამიძემ, გულნაზი მუმლაძემ, ირინა ბაიაჯანმა.

ონჯოხეთლები იყვნენ ცნობილი ავტორმთქმელები: მინაგო და ალუბა ომოცაძეები, შოთა ადეიშვილი, ხოლო გადიდში სულიკო შარაშენიძე. (ამჟამად გარდაცვლილები არიან).

სოფლის ადმინისტრაციული ნაგებობის ერთ ოთახში განთავსებულია საექიმო ამბულატო-

რია, რომელშიც მოღვაწეობს მაღალკვალიფიციური ექიმი თინა ღვინიანიძე, ექთანი აქსანა მამასახლისი.

გადიდის სკოლებში აღიზარდა არაერთი წარმატებული და ცნობილი მამულიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ვიშნევსკის მედლის კავალერი შოთა თოდუა, რომელიც ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ვანის რაიონის ცენტრალურ, 1963-1964 წლებში ვანი-ბაღდათის გაერთიანებულ სამედიცინო სფეროს, შემდეგში კი კვლავ ვანის საავადმყოფოს. მანვე განახორციელა სამუშაოდ ადგილობრივი კადრების მოზიდვა, საავადმყოფოს მატერიალური ბაზის მოწესრიგება. წარმოშობით გადიდლები არიან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და-ძმა დოდო და თენგიზ ბელთაძეები. თენგიზისა და დოდოს მამა, გენადი ბელთაძე, თავის დროზე იყო ნოე ჟორდანიას მდივანი;[1] მიხეილ ხარძეიშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ვანის რაიონის არა ერთ სკოლას, შემდეგში მთლიანად ვანის რაიონის განათლების სისტემას, იყო ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე; ლევან შარაშენიძე ყოფილი პარტიის ვანის რაიკომის მდივანი. წარმოშობით გადიდელები არიან (ონჯოხეთიდან) სოსო მიქელთაძე – აჭარის საგუნდო კაპელას მთავარი დირიჟორი (1977-1988 წლები) და მისი ძმა არჩილ მიქელთაძე გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ მთავარი რედაქტორი, რომელიც ასევე ლექციებს კითხულობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე. გადიდელი იყო ქუთაისის სპორტსკოლის დირექტორი თემურ ქიმუცაძე. წამყვან ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდნენ ვანის რაიონულ მმართველობაში სიმონ ხარძეიშვილი, თამაზ ქიმუცაძე.

გადიდელი გახლდათ აწ გარდაცვლილი ცნობილი მედიკოსი ონკოლოგი, პროფესორი რაიბულ თოდუა, რომლის გზას განაგრძობს შვილი – კახა თოდუა. სხვათა შორის, გადიდელი თოდუების ამ ოჯახიდან ხუთზე მეტი ექიმი-მეცნიერია აღზრდილი, როგორც ითქვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შოთა თოდუა, მისი ძმიშვილი რაიბულ თოდუა, რაიბულის ვაჟი კახა თოდუა. ამ ოჯახიდანაა კიდევ ერთი ექიმი ამბროსი თოდუა, რომელიც სამამულო ომის დასკვნით ეტაპზე ბრძოლის პირობებში დაიღუპა და ბატონი შოთას ქალიშვილი ინა თოდუა. ექიმი იყო ასევე ბატონი შოთას მეუღლე გალინა თოდუა.

წარმოშობით გადიდიდან გახლავთ აკადემიკოსი მედიცინის დარგში ომარ ხარძეიშვილი, აკადემიკოსი მათემატიკის დარგში გურამ ბელთაძე – პროფესორი, ჯემალ შარაშენიძე –ფილოლოგი, პროფესორი; ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია თინათინ შარაშენიძე[2]; პაატა ბელთაძე – ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონული კორდინატორი, (პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები), შრომის სოციალურ და ქალთა უფლებების მიმართულებით, ევროპის ომბუცმენტთა ინსტიტუტის წევრი, გაეროს სპეციალიზებული სააგენტოს შრომის, საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული ექსპერტი, მრავალი საერთაშორისო თუ ეროვნული მასშტაბით განხორციელებული, ფუნდამენტური კვლევის მონაწილე და ავტორი, რედაქტორი წიგნებისა: ,,შრომის, სამართლის კომენტარები“ და ,,შრომით დავებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა.“ ზურაბ შარაშენიძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლექტორი (ბიო-ფიზიკოსი); ალექსანდრე შარაშენიძე – ქ. თბილისის მერიის მთავარი სპეციალისტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; დავით ალექსის ძე შარაშენიძე – ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ თანამშრომელი; კონსტანტინე შარაშენიძე – საქართველოს ეროვნული ბანკის წამყვანი სპეციალისტი; გუბაზ შარაშენიძე – ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს კომერციული ანალიტიკოსი; დავით შარაშენიძე – თბილისის ურولოგიის ეროვნულ ცენტრში მოღვაწე ექიმი (ურولოგი); დავით შარაშენიძის შვილები – არჩილ შარაშენიძე ონკო-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; გიორგი შარაშენიძე – ურولოგიის ეროვნული ცენტრის ექიმი-ურولოგი. ლაშა მიქელთაძე – შინაგან საქმეთა სამინისტროს ვანის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი; მინდია მხეიძე –სამშენებლო ორგანიზაცია „ორბის“ დირექტორი;

1. იგი ნოე ჟორდანიას საფრანგეთში არ გაჰყოლია.

2. კრებული მატიანე №3, ოლეგ მიქელთაძე, გიგა ქიმუცაძე — სოფელი გადიდი.

იაგო მხეიძე – სამშენებლო ორგანიზაცია ,,რეტროს“ დირექტორი; თინა ქიმუცაძე, წლების მანძილზე მოღვაწეობდა გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმებში. იგი აღნიშნულ პოეტთა სახლ-მუზეუმებთან არსებული ლიტერატურული გაერთიანება „საჩინოს“ წევრია, გივი შარაშენიძე – ქიმიკოსი, მუშაობს მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში, „ავერსის“ კლინიკაში, ,,გემანულ ჰოსპიტალში“ (ბავშვთა რეანიმაციის განყოფილებაში); მარგო მსხილაძე – ქ. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში მოღვაწე მეცნიერ-თანამშრომელი. მისი მოღვაწეობა აღნიშნულ დაწესებულებაში 50 წელს ითვლის. მას გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ მასალებზე. აკაკი ბელთაძე – იურისტი, შსს სამინისტროს სპეცდანიშნულების დანაყოფის აკადემიისა და თბილისის ბიზნეს-სკოლის კურსდამთავრებული, შპს „ლიგოს“ დირექტორი საქართველოს ადამიანთა და პატიმართა უფლებების დაცვის საზოგადოების მონიტორინგისა და ანალიტიკური სამსახურის უფროსი (დასავლეთ საქართველო); გრიგოლ მახარაძე – საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია, ავიაციის შეიარაღების ტექნიკოსი; მარუსა (მაია) ორმოცაძე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; ჯენერი ბელთაძე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღრიცხვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი; ონისე ნამიჭეიშვილი – საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი.

თუ წინათ სოფელში არსებულ ორ საჯარო სკოლაში 400-მდე ბავშვი სწავლობდა დღეისათვის ორივე სკოლაში 9 მოსწავლე სწავლობს. ათწლეულობით ნაშენ საკარმიდამოებს და ბაღვენახებს გასაუკაცრიელებლად სამიოდე წელიც კი ჰყოფნის, მტკივნეულია სოფლად ეკალბარდებით დაფარული გაჩანაგებულ საკარმიდამოთა არსებობა.

მიგრაციულ პროცესს უმუშევრობა, აგრარულ სექტორში შრომის არასათანადო პირობები და დღეისათვის სოციალურ-კულტურული პირობების არაჯეროვანი დონე განაპირობებს.

გარდა ზემოთქმულისა სოფლად, კონკრეტულად გადიდში, შესაძლებელია ტურისტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა. ე.წ. გადიდის გორაზე არსებობდა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის მოსწავლეთა დასასვენებელი ბანაკი „მზიანეთი“, რომლის მშენებლობა დაიწყო 1967 წელს მაშინდელი ვანის რაიკომის პირველი მდივნის გივი ყიფიანის ინიციატივით, რომელიც სრული დატვირთვით საქმიანობდა 1991-წლამდე.

შენების პროცესში მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები გაიღო საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების გაერთიანებამ. ეს დახმარება ეტაპობრივად გრძელდებოდა 1990 წლამდე. 1980-იანი წლების დასაწყისიდან დღის წესრიგში დადგა ბანაკის მთლიანი რეკონსტრუქციის საკითხი, აიგო სამსართულიანი კაპიტალური ნაგებობა, 52/12-ზე, მასში განთავსებული იყო სასადილო დარბაზი, კლუბი, საწყობები და 10 საცხოვრებელი ოთახი (120 საწოლით), მოეწყო საცურაო აუზი 13/6-ზე, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, 120 ტონიანი წყლის რეზერვუარი, ხის 12 საცხოვრებელი კოტეჯი, ქვედა ტერასაზე საფუძველი ჩაეყარა ახალი კაპიტალური ნაგებობის საძირკველს 24/12-ზე მოცულობით[1]. განზრახული იყო დასასვენებელი ბანაკის ფუნქციონირება სრული მოცულობით წლის მანძილზე. ამას უკავშირდება აქვე უნიკალური საბაგირო გზის დაპროექტება-აგება, რომლის სიგრძე ოთხ კილომეტრს აღწევდა, სამუშაო დამთავრდა 1990 წელს. საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად ბანაკი მთლიანად გაიძარცვა და ფუნქციონირება შეწყვიტა.

დასასვენებელი ბანაკის ტერიტორიაზე არსებობდა XI საუკუნის ქვის ეკლესია, რომელიც შუა საუკუნეებში კვლავ აღდგენილ იქნა ბანაკის შენების დროს. როგორც ჩანს აღნიშნულ ნაშენებს არ შეხებიან, რასაც მოწმობს ტაძრის დღესდღეობით შემონახული ოვალური ფორმის 50-60 სანტიმეტრის მწყობრის მქონე გალავნის ნაშთები. აქ აღდგენილია ძველ საფუძველზედ ღვთისმშობლის სახელობის ახალი ტაძარი, რომლის მომიჯნავე ტერიტორიაზე 0,5-1,0 კილომეტრში შესაძლებელია დასასვენებელი სახლის მშენებლობა, შესაბამისი ინფრასტრუტურის მოწყობა. ხსენებულ ტერიტორიულ სივრცეში მთისა და ზღვის ჰავის ერთობლიობა შესანიშნავ კლიმატს ქმნის დასვენებისათვის, რასაც თან ერთვის საოცარი ხედი კავკასიონის კოლხეთის

---

1. ეს მონაცემი აღებულია 1997 წლის მდგომარეობით, ჩემს მიერ ადგილზე შესაბამისი მასალის მოკვლევის საფუძველზე, რაშიც დახმარება გამიწია აწ. გარდაცვლილმა დასასვენებელი ბანაკის დარაჯმა ალექსანდრე (საშურო) მხეიძემ.

დაბლობის და მცირე კავკასიონის სახით. თანადროულად შესაძლებელია საცხენოსნო ტურიზმის განვითარებაც, რადგან სოფელი გადიდი ალპური ზონით უკავშირდება ბაღდადს, კერძოდ საირმეს, გურიასა და აჭარას. გადიდიდან სამხრეთ საქართველომდე, კონკრეტულად ოძრხემდე ალპური ზონის გზით მხოლოდ 60 კილომეტრია. ხსენებული მარშრუტით შეგვიძლია უნიკალური ბუნების სილამაზით შემკულ სავანეში მოგზაურობით სულიერი სიმშვიდისა და სიჯანსაღის მოპოვება, შესაძლებელია სამონადირეო მეურნეობის მოწყობა. შესასწავლია მდინარე ღელესკურა თევზის მოშენების მიზნით, სოფლის მეურნეობის დარგებიდან – მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის განვითარება. ზემოთ აღნიშნული დღესდღეობით მხოლოდ იდეაა, რომელიც სათანადო მიზნის შესაძლებლობებისა და შრომის შემდგომ მიღწევადია.

სოფლად მრავალჯერ განხორციელდა ცენტრალური და საუბნო გზების შეკეთება, მაგრამ გზის საფარს რელიეფიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად აზიანებს წვიმის შემდეგ წარმოქმნილი ნიაღვარი, გზებზე მოწყობილი არხების ნაშალი ქვა-ღორღით შევსების გამო, რომელიც პერიოდულად იწმინდება.

2007 წელს აიგო გადიდის ადმინისტრაციული ნაგებობა.

2015 წელს აღდგენილ იქნა რამდენიმე ხიდე-ბოგირი და წყლის სანაპირო ზოლთან არსებული გზის სამაგრი ჯებირი.

2016 წელს განხორციელდა დახურული სადენებით და თანამედროვე ტიპის მრიცხველებით მოსახლეობის ელექტრო-ენერგიით უზრუნველყოფა. გარკვეულ მონაკვეთზე შეიცვალა მთავარი ძაბვის საყრდენები და სადენი (ელექტროქსელების სპეციალისტებთან ერთად ქსელის მოწყობაზე და გამრიცხველიანებაზე მუშაობდნენ სოფლის მკვიდრნი – რაულ მხეიძე, ტარიელ ჯულაყიძე, ბაჩუკი ჯულაყიძე, ავთო ბელთაძე, ავთანდილ ბელთაძე, კობა ბელთაძე, ლაშა ბელთაძე, ლაშა ჯულაყიძე).

2019 წელს სოფლის ცენტრალური გზის 2,0 კმ-ის მონაკვეთზე დაიგო ბეტონირებული გზა.

2019 წელს შ.პ.ს. „ცისფერი ალის“ მიერ შედგენილ იქნა სოფელ გადიდის და ონჯოხეთის გაზმომარაგების ქსელის გენ-გეგმა. ამ საკითხზე მუშაობდნენ: გრიშა მაჭარაშვილი, ტარიელ მახარაძე, შოთა ალელიშვილი.

უაღრესად მნიშვნელოვანია სოფლად მონასტრის აგება. მონასტრის აღდგენა-აგების იდეა ეპარქიის დაარსების დღიდან წარმოიშვა. ის მომწიფდა და დააჩქარა მორჩილ გოჩა (შემდეგში ბერი გრიგოლი) ჩახუნაშვილის მოღვაწეობამ, რომელიც 2007 წლიდან დამკვიდრდა სოფელ გადიდში. თავდაპირველად მორჩილი გოჩა, გია ბელთაძის კუთვნილ სახლში ცხოვრობდა, სადაც მოწყობილი ჰქონდა სამლოცველო. შემდეგ იგი გადაადგილდა ყოფილი საბაგირო სადგურის შენობაში. აქ საცხოვრისის და სამრევლოს მოწყობაში მას ეხმარებოდნენ გია ბელთაძე, რაული მხეიძე, მალხაზ მხეიძე, რომან მხეიძე, გარდა ამისა მრავალი ღვთის მორწმუნე ადამიანი სოფელ ტყელვანიდან, ზედავანიდან, გადიდიდან, ვანიდან...

მორჩილმა გოჩა ჩახუნაშვილმა გადიდის გორაზე აღმოაჩინა შუა საუკუნეების მამათა მონასტრის საძირკველის ნაშთები. ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტის მეუფე ანტონის ლოცვა-კურთხევით გადაწყვეტილ იქნა ძველ საძირკველზე ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის აგება. საძირკვლის გაწმენდის პროცესში აღმოჩენილ იქნა ადამიანთა ნაშთები, რომლებიც შესაბამისი წესის აგებით საერთო საფლავში დაკრძალეს.

2014 წლის 30 ივნისს სამღვდელო დასთან და მრევლთან ერთად აღესრულა ტაძრის საძირკვლის კურთხევა ეპარქიის მთავარხუცესის, არქიმანდრიტ მაკარისა (აბესაძე) და ოლქის მთავარხუცესის დეკანოზ პეტრე გიორგაძის ხელმძღვანელობით.

კერძოდ, ძველ საძირკველზე აშენდა ახალი ტაძარი. ტაძრის მშენებლობას ხელმძღვანელობდა დეკანოზი პეტრე გიორგაძე და მის მშენებლობაში ჩართული იყო ვანის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა ტაძრის მოძღვარი მრევლთან ერთად.

ტაძრის მშენებლები იყვნენ მუქედის მკვიდრნი გოგიტა კორძაძე, დიმიტრი მინაშვილი, ფირუზ მინაშვილი. არქიტექტორი გახლდათ ჰამლეტ ბრეგვაძე. მათ თავიანთი შრომა უანგაროდ გაიღეს ტაძრის მშენებლობაში.

ტაძრის ქვედა ნაწილი მოაპირკეთა გადიდის მკვიდრებმა, ძმებმა — მინდია და იაგო მხეიძეებმა, ზედა ნაწილის ქვა (12000 ლარი) შემოსწირა ბიზნესმენმა ბეჟან წაქაძემ, ქვის ოს-

ტატი გახლავთ პაატა მორალიშვილი – ჭოგნარიდან, აგრეთვე მუშაობდნენ მამუკა ქურციკიძე, გოჩა გოგავა, იასონ ალფაიძე, ვლადიმერ მორალიშვილი, ირაკლი კუგუსი.

განუზომელია იმ ლოცვა-კურთხევის მნიშვნელობა, რომელიც მეუფე ანტონმა მოგვცა გადიდისა და ონჯოხეთის მოსახლეობას, რომელიც უკავშირდება შემდეგ გარემოებას – საბერო მორჩილ გოჩას (შემდგომში მამა გრიგოლი) თხოვნა მონასტრის მშენებლობასთან დაკავშირებით შემწეობაზე გავაცანით გადიდ-ონჯოხეთის მოსახლეობას გადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტმა შალვა შარაშენიძემ და რწმუნებულმა ელგუჯა ბელთაძემ. მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი თხილის საკარმიდამოდან მოგროვების შესახებ. ჩვენი ორგანიზებით აკრებილი თხილის (რომელშიაც სოფლის სამარშუტო ტაქსის მძღოლი ალეკო მსხილაძე დაგვეხმარა) თანხამ 3500 ლარი შეადგინა. მამა პეტრესა და მამა გრიგოლის თანხლებით ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტ მეუფე ანტონს ვეწვიეთ და მოვახსენეთ სოფლის აზრი, რომ მათ სურდათ მონასტრისთვის ხატის შეწირვა. მეუფემ გვითხრა: გვესმის თქვენი, სოფლის გულისხმიერი სურვილი, მაგრამ ამჟამად ტაძრის დროულად დამთავრება სასწრაფოდ მოითხოვს კანკელის გაკეთებას. ამიტომ ამ შემოწირულობით მართლაც გაკეთდა კანკელი, ხოლო კანკელის მეორე იარუსი გაკეთებულ იქნა მეფუტკრეთა ჯგუფის შემოწირულობით (მინდია ქავთარაძე, ზვიად სანიკიძე, მამა პეტრე გიორგაძე).

ტაძრის ტრაპეზი შეიწირა საერთო შემოწირულობიდან, სამკვეთლო – ჟანა მხეიძისგან. აღსანიშნავია შემოწირულობა ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით:

მეუფე ანტონი – 5000 ლარი.

თემურ და ზაზა ბაღდავაძეები – 10 000 ლარი.

კულტურის განყოფილება – 1000 ლარი.

ვანის საკათედრო ტაძრის სამრევლო – 10 000 ლარი.

გადიდის გორზე ახლადაგებული ტაძარი, ღვთისმშობლის სახელობისაა. წელს იგეგმება აღნიშნული ტაძრის კურთხევა, რომელმაც უნდა შემოიკრიბოს სოფლის მკვიდრი — მრევლი, რაც თავის მხრივ ააღორძინებს სოფლის სულიერ ცხოვრებას, შეკრავს სოფელს და ხელს შეუშლის მიგრაციას.

ტაძართან ახლოს აღიმართა ჯვარი, რომლის აღმართვის იდეა ეკუთვნის ვანის მკვიდრს ბიჭიკო პაიკიძეს, ვანის მუნიციპალოტეტის საკრებულოს წევრს, ახალგაზრდა ბიზნესმენს. ჯვრის სიმაღლე 33 მეტრი განსაზღვრა ვანი-ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონმა. ჯვრის სიმაღლე ქრისტეს ასაკის ტოლია, როდესაც იგი ჯვარს ეცვა კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდლად.

ჯვრის აგებას საოცარი ენთუზიაზმით უხელმძღვანელმა სულხან ჯოჯუამ. კონსტრუქტორები იყვნენ ქუთაისელი ავთანდილ სინაურიძე და ვანელი არქიტექტორი ჰამლეტ ბრეგვაძე. ჯვრის უშუალო შენება განახორციელეს სოზარ მიქელთაძემ, ვალერი მიქელთაძემ, თემურ სანადირაძემ, დავით ქორქაშვილმა.

პარალელურად აქვე იგეგმება გრიგოლ ხანძთელის სახელობის მამათა მონასტრის დაფუძნებაც. ეს უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესია, თუმცა აუცილებლად აღესრულება ღვთის შემწეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქუთაისის ოლქი ციფრებში ქ. 1930
2. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული „მატიანე“ №3
3. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ისტორიული საბუთი №5391
4. გაზეთი „საჩინო“ 2006 წ. №7-8
5. ოჯახის სამახსოვრო წიგნი შთამომავლობას 2013. შოთა ორმოცაძე
6. ბადრი სვანაძე. ვანი – ოქრომრავალი ქვეყანა IV, 2015 წ.
7. თამაზ ბერაძე. ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან. ვანი III, 1977წ.
8. ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII.
9. მერაბ კეზევაძე. ქართული გვარსახელები იმერეთში XIX საუკუნის 40-იან წლებში.

მაკა შათირიშვილი – გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული
ლუიზა ტაბიძე – გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
რეცენზენტი – აკაკი თევზაძე, გ. ტაბიძის პრემიის ლაურეატი, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის თანამშრომელი

ქალაქ ვანის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლა

ვანი მდინარე სულორსა და ჭიშურას შუა გაშენებული, ხელისგულივით გაშლილი, განფენილი ქალაქია. მაღლობიდან გადმოჰყურებს თეთრი ქვით ნაგები არქეოლოგიური მუზეუმი, საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილი „ახვლედიანების გორა“ – მიწის ქვეშ მოქცეული დიდი ისტორიული წარსულითა და კულტურით. ...ვინ მოთვლის რამდენ საიდუმლოებას აეხადა ფარდა 1896 წლიდან დღემდე ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო ხოშტარიას მეშვეობით (1947 წ.). შემდეგ პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით (1966-2002 წ.). ისევ გრძელდება არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი. ვინ იცის რა საგანძური იმალება ამ მიწის ქვეშ, ვინ იცის რა საოცრების მხილველნი გავხდებით, როცა სათანადოდ გაიშიფრება ვანის უმდიდრესი ისტორიული წარსულის ამსახველი ფოლიანტები. მშვენივრად წერს გ. ტაბიძის პრემიის ლაურეატი – პოეტი აკაკი თევზაძე პროფ. ოთარ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ ლექსში:

„მიწის გულში დამარხული საიდუმლო განძია,
წინაპართა ჩვენთა ძვლები, როგორც განძი აქ არი,
დღენიადაგ რუდუნებით ფიქრი დაგიქანცია,
ლუსკუმივით გაგიხსნია ზეცა ნაქალაქარის
დროა წარსულს ხავსიანი საბურველი ახადე,
იხმე სამარხებიდან გარდაცვლილთა ლანდები,
აქ ყოველი მტკაველი მიწა ისე ღაღადებს,
როგორც ძველი ცხოვრების მწველი ფოლიანტები.
სიხარულის ცრემლი გდის სევდის დაუფარავად
და ყოველდღე ახალი საოცრებით ინთები, –
კვლავ ანტიკურ ხანაში მისდევს წელთა ქარავანს
ფიქრი შენი – გრძნეული გზების ლაბირინთებით.“

ქალაქის ცენტრში აღმართულია ჩვენი რწმენის და გადარჩენის სიმბოლო – ქრისტიანული ჯვარი, იქვე კულტურის ცენტრის შენობა წამომართულა. ლამაზ სკვერში კი მკვიდრად ნაგები ეკლესიის ფირუზისფერი გუმბათი ოქროს ჯვრით თითქოს ზეციურ სამყაროს ერთვის და მის უკან ამაყად დგას ჩვენი სასიქადულო თანამემამულის, სწორუპოვარი პოეტის გ. ტაბიძის სახელობის საჯარო სკოლა. აქ, ახლო, ღმერთსა და კაცს შორის ხდება იდუმალი, ჰარმონიული სულიერი შერწყმა, ისმის ნაზი საგალობლები... ამ დალოცვილ საჩინოს უძველეს მიწაზე დააბიჯებდა მეფე – მგოსანი, შეუდარებელი გალაკტიონი. აქ თითქოს იდუმალება უნდა სუფევდეს, რომ ამ კავშირს ზეციური მადლი კვებავდეს, აქვე ახლოს ისმის გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეების ანცი გოგო-ბიჭების ჟრიამული... აქ იჭედება ქვეყნის მომავალი, ვაჟკაცდება და იწრთობა ქართული გენი, იზრდებიან სამშობლოს მომავალი დამცველები. ამ სკოლაში ვსწავლობდით ჩვენც, ვინც ამ ისტორიის კვლევა ვიკისრეთ.

შევუდექით თუ არა X კლასში ისტორიის შესწავლას – პირველივე პარაგრაფში მითითებული იყო, რომ შეგვექმნა ჩვენი სკოლის ისტორია. მასწავლებელ ლუიზა ტაბიძის ხელმძღვანელობით მე და ჩემმა თანაკლასელებმა დავიწყეთ საჭირო მასალების, წყაროების მოძიება, დავუკავშირდით იმ პირებს, რომლებიც ჩვენი სკოლის შექმნის მომსწრენი იყვნენ, მათ დაწვრილებით გვიამბეს – თუ როგორ და რა პირობებში შენდებოდა სკოლა. სკოლის აღმშენებლობისათვის მრავალი კეთილი ადამიანი გარჯილა. გვეამაყება, რომ ვართ გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯა-

რო სკოლის მოსწავლეები. გვსურს, ჩვენი სკოლის ისტორიას გაეცნოს ფართო მასები, თუნდაც ამავე სკოლის მოსწავლეები, რათა წარმოდგენა ჰქონდეთ – როგორ იქცა იგი თანამედროვე ინვენტარით, კაბინეტ-ლაბორატორიებით აღჭურვილ სკოლად.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ „1930 წელს შეიქმნა ვანის რაიონი, როგორც ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული." საგანმანათლებლო საკითხმა შეიძინა ახალი განზომილება, როდესაც განათლების საკითხთა სრულყოფით ინტერსდები ოფიციალურ ლიტერატურასა და დოკუმენტურ მასალებს ეცნობი, იბადება კითხვა – სამწუხაროდ, ხომ არ გახდა იმ დროისათვის ქართველთა, ვანელთა მიდრეკილება იმდაგვარად ინდიფერენტული, რომ ვერ გააცნობიერა საერთო განათლების ყადრი, ძალა და მადლი.

საქართველო თავისი საგანმანათლებლო კერებითა და პოტენციალით საგრძნობლად ჩამორჩებოდა ევროპის ქვეყნებს და ამის ახსნა მრავალ განზომილებიანი ფაქტორებითაც შეიძლება.

გერმანელი მოგზაური დოქტორი იოჰან გიულდენშტედტი (XVIII საუკუნე) წერდა: „...საერთოდ ქვეყენაში არსადაა სკოლები, ყველას მინდობილი აქვს, რომ თავის ბავშვს თვითონ ასწავლონ, ამიტომ ხნიერთა საკუთარი უცოდინარობისა და შესაძლებლობების ნაკლებობის გამო ეს საქმე სავალალო მდგომარეობაშია და იგივე სწავლა უბრალო ხალხთან სრულიად გამორიცხულია. ეს სახელმწიფო ვერ უწყობს ხელს სკოლების, კულტურის, ხელოვნების საერთო განვითარებას."

ვანის სინამდვილეშიც ასეთი ატმოსფერო იყო შექმნილი. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებისთვისაც კი. საქართველოში და განსაკუთრებით მის პერიფერიულ ნაწილებში განათლების დონე ძალზედ დაბალი იყო, ამიტომაც უცოდინრობის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრა და სოციალურ საფუძველზე სახალხო განათლების მთელი საქმის ძირეული გარდაქმნა უპირველეს გადასაჭრელ ამოცანად იქცა 1921 წლის აპრილში შექმნილი განათლების სახალხო კომისარიატისათვის.

„1921 წელს საქართველოს სსრ განსახკომის[1] მიერ გამოყოფილმა კომისიამ დაამუშავა რესპუბლიკის მთლიანი შრომის სკოლის დებულება," რომლის საფუძველზეც საქართველოში უნდა განხორციელებულიყო ორივე სქესის ბავშვებისთვის უფასო, საყოველთაო პოლიტექნიკური განათლება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაშლა, სწავლების მშობლიურ ენაზე გადაყვანა, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ახალი საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის ძირითად პრინციპებს შეადგენდა" (პროფესორი ქრისტინე მეძველია ჟურნალი „მატიანე" №4, 2015 წ. გვ.65).

წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები დაარსდა ვანის რაიონის (მაშინდელი ვანის თემსაზოგადოებების) მთელ რიგ თემებში, სოფლებში და მასწავლებლებიც დაინიშნა. მაგალითად: ტობანიერში – ვლადიმერ გიორგაძე, უხუთის თემის სოფელ ძულუხში – პედაგოგი ამბერკი დიასამიძე, დვალიშვილების თემის სოფელ გადიდში პედაგოგად გრიგოლ შარაშენიძე მოღვაწეობდა, ვანის თემში პედაგოგი სევერიანე დიასამიძე, საპაიჭაოს თემის სოფელ მუქედში მინა დიასამიძე და მეთოდე ბიბილეიშვილი.

წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები რამდენი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა ვანში, საარქივო საქმეებში მითითებული არ არის. ინტერნეტ სივრცეში განთავსებული მასალების მიხედვით წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები 1934 წლამდე ჩანს.

შეგვიძლია დავასკვნათ რომ მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან განათლების სფეროს განვითარებამ საქართველოში, დაახლოებით, სასურველ მიჯნას მიაღწია, ძირეული ცვლილებები მოხდა ამ სისტემაში.

გვინდა ორიოდე სიტყვით შევეხოთ მოცემულ პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მშენებლობას ვანში, რადგანაც იგი უნდა ქცეულიყო სკოლებთან ერთად დამხმარე

1. განათლების სახელმწიფო კომისარიატი.

და აუცილებელ საშუალებად პრობლემის მოწესრიგების გზაზე. 1922 წლამდე რაიონში არ იყო არც ერთი პროფესიული დონის ბიბლიოთეკა, ფიქსირდება 3-4 კერძო ბიბლიოთეკა, რომლებიც ასევე კერძო შემოწირულობებით არსებობდნენ, უმცირესი წიგნადი ფონდით.

1934 წელს ვანში გაიხსნა პირველი საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც ხელმძღვანელობდა იულია მაღლაკელიძე, შემდგომში ქალბატონი ვენერა აბრამიძე. 1950-იან წლებში განსაკუთრებული მასშტაბები მიიღო საბიბლიოთეკო მშენებლობამ. ამ დროისათვის მუშაობას შეუდგა შვიდი ახალი ბიბლიოთეკა: ჭყვიშში, ინაშაურში, დუცხუნში, დიხაშხოში, გადიდში, ფერეთასა და ბზვანში. გაიხსნა სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაც. 1965 წელს, მას შემდეგ რაც აღდგენილ იქნა 1962 წლის ბოლოს გაუქმებული ვანის რაიონი, სასკოლო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მშენებლობა კიდევ უფრო აღორძინდა.

1921 წლიდან მოყოლებული 1940 წლამდე რაიონის თითქმის ყველა სოფელში მოქმედებდა საშუალო ან არასრული საშუალო სასწავლებელი. ამის შესახებ მასალებს დაწვრილებით შეგიძლიათ გაეცნოთ ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეში“ (№4, 2015 წ., გვ.58-59).

ქ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული კავკასიის სასწავლო ოლქის ანგარიშიდან, რომელიც დათარიღებულია 1885-1887 წლებით, ვგებულობთ, რომ ვანის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში არის მასწავლებლად (ზედამხედველად) ძაგნიძე ლუარსაბი, ხოლო მეორე საარქივო წიგნში წერია: 1881 წლიდან არის მასწავლებლად ბაქრაძე ფილარეტ ალექსისი ძე. ჩანს ეს იყო პირველი უმაღლესი დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი. ამას ადასტურებს ცნობილი მფრინავის პოლკოვნიკ ანანია ნიკოლეიშვილის ძმის სიმონის მოგონება, რომ ის ჩაირიცხა მითითებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში 1914 წელს და ეს სასწავლებელი ექვემდებარებოდა მაშინდელ შესაბამის უწყებას. (იხ ი. ჭავჭავაძის (ყოფილი კიროვის) სახელობის სკოლის ისტორია“).

ომარ კაპანაძე თავის ნარკვევში „საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის ტენდენციები „ვანის“ სოფლების მიხედვით,“ – აღნიშნავს: „1922 წელს აქ უკვე ფუნქციონირებდა ვანის შრომის სკოლა (დირექტორი იოსებ ნადირაძე), იგულისხმება ვანის თემსაზოგადოების ცენტრი. ამ სკოლას ევალებოდა „ვანის თემში“ (სოფლები: დიხაშხო, სალხინო, ზედავანი, ტყელვანი, ონჯოხეთი) არსებული სკოლების კოორდინირება. 1926-27 წლებში არსებული გიმნაზიის ბაზაზე იხსნება ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელიც, როგორც აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე აღნიშნავს, იმავდროულად იყო ერთადერთი საშუალო ტიპის სასწავლებელიც, ხოლო 1932 წელს ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი გადაიტანეს სოფელ შუამთაში...“ (ო. კაპანაძე, „მატიანე“ №4, გვ.59).

როგორც საარქივო ჩანაწერებიდან ჩანს, აგრეთვე ამ პერიოდის მოსწავლეების სიტყვიერი განცხადებებიდანაც ირკვევა 1921-დან 1923 წლის ოქტომბრამდე ვანში არსებობდა სკოლა – ვანის მთლიანი შრომის სკოლის სახელწოდებით. ამ წლების პედაგოგიური საბჭოს ოქმებიც ამასვე ადასტურებს.

1923 წელს 8 წლიანი სკოლა გადაკეთდა 9 წლიან შრომის სკოლად, რომელიც ფუნქციონირებდა ხსენებული სახელწოდებით 1928 წლამდე.

1932 წლიდან სკოლა არსებობს ვანის სანიმუშო „კოლახსკოლის“ სახელწოდებით, რომელიც მოქმედებაშია 1933 წლამდე. პრაქტიკულად საუბარია ერთსა და იმავე სკოლაზე სხვადასხვა სახეცვლილებით.

1932 წლიდან დღემდე არსებობს ზოგადასაგანმანათლებლო საშუალო (ამჟამად საჯარო) სკოლა, რომელსაც 1936 წელს მიენიჭა ს. კიროვის სახელი.

„სკოლა ჩემი ხელმძღვანელობით აშენდა. 1934 წლის 20 აგვისტოს დამთავრდა მშენებლობა. ეს იყო დიდი გამარჯვება, დიდი ზეიმი, ასეთი სიხარული ჩემს ცხოვრებაში ბევრი არ განმიცდია. რაიონის ხელმძღვანელობამ ბრძანებით მადლობა გამომიცხადა და დამაჯილდოვა ორითვენახევრის ხელფასით – ხუთასი მანეთით“ – იგონებს მაშინდელი ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ბატონი დავით ლორთქიფანიძე (შემდგომში სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი).

რაიონში იმჟამად მხოლოდ ერთი საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა, შემდეგში სასკოლო მშენებლობა ფართოდ გაიშალა და 1960-იანი წლებისათვის უკვე ფუნქციონირებდა 15 საშუალო, 13 არასრული და დაწყებითი სკოლების მთელი ქსელი. თუმცა, მაშინდელი დაბა ვანის სინამდვილეში, ერთადერთი კიროვის საშუალო სკოლა ვერ აუდიოდა მზარდ მოსწავლეთა კონტინგენტის მომსახურეობას. ამას დაემთხვა რაიონის გაუქმებაც და დადგა დღის წესრიგში ახალი სკოლის გახსნის საკითხი.

„ძნელ პერიოდში ნაშობი სიკეთე" – ეს სიტყვები მიუსადაგა ბატონმა მიხეილ ხარძეიშვილმა დღევანდელი გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სკოლის დაფუძნების საშვილიშვილო საქმეს. როცა მოკრძალებით ვთხოვე მოეთხრო გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის დაარსების ისტორია, მან საკმაოდ ვრცელი მასალა გადმომცა და არ შეიძლება ამ მასალით არ ვისარგებლოთ, რადგანაც თავიდათავი, ინიციატორი სკოლის დაარსებისა ბატონი მიხეილი გახლდათ. „გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდში, მანამდე კი სახელოვანი წარსულისა და შესანიშნავი მდებარეობის მქონე ვანის რაიონი მიუერთეს მასზე ორჯერ მცირე, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის გეოგრაფიულად ძნელად მისაწვდომ მაიაკოვსკის რაიონს. ამ აქტს გარკვეული ცვლილებები მოჰყვა განათლების სფეროშიც, განათლების განყოფილების თანამშრომლები საარსებო საშუალებების გარეშე დარჩნენ. ბატონი მიხეილ ხარძეიშვილი იგონებს: „მეთოდური კაბინეტის 12 თანამშრომლიდან მხოლოდ ორი კაცი – მე და დავით ლორთქიფანიძე გადაგვიყვანეს ახლად რეფორმირებულ რაიონში სასკოლო ინსპექტორებად. ვანი-მაიაკოვსკის სავსებით უვარგისი გზის გავლას, ძველი, ამორტიზირებული ავტობუსით, თითქმის ორი საათი სჭირდებოდა, ამიტომ დილაუთენია ვდგებოდით რომ სამსახურში დროულად გამოვცხადებულიყავით. ამ გზის გავლის პროცესში მე და დავითი სულ იმაზე ვბჭობდით, როგორ დაგვეძლია თავს მოხვეული პრობლემები, ან რა შეიძლება გაკეთებულიყო სამსახურის გარეშე დარჩენილი ჩვენი მეგობრების დასასაქმებლად. დიდი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ არსებობდა პირობები და საჭიროება ვანის ცენტრში მეორე საშუალო სკოლის გასახსნელად. პირობებში ჩვენ ვგულისხმობდით გამოუყენებლად დარჩენილ პარტიის ვანის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის შესანიშნავ შენობას. საჭიროება კი, როგორც ითქვა, განპირობებული იყო ვანის ერთადერთი კიროვის სახელობის საშუალო სკოლის მეტისმეტად გადატვირთულობით. მაშინ ამ სკოლის თითოეულ კლასში 3-4 პარალელური ჯგუფი იყო, რომელთა განთავსების საშუალებას სასკოლო შენობის მოცულობა ორჯერზე მუშაობის პირობებიც ვერ იძლეოდა. ერთი სიტყვით – გვქონდა სასკოლო შენობა, გვყავდა მასწავლებელთა კადრები და მოსწავლეთა ჭარბი კონტინგენტი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი ნაოცნებარის რეალობად ქცევას ხელს ვერაფერი შეუშლიდა. ამის შეგნებამ მე და დავითი დადებითი ემოციებით აგვავსო და მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილების ახალი გამგის კაბინეტში ღიმილით შეგვიყვანა. გამგემ – ვასო გიორგობიანმა ჩვენი ღიმილი რაიონის გაერთიანებით გამოწვეულ სიხარულად ჩათვალა და ჩვენს შრომა-საქმიანობაში სიახლეთა დანერგვის დასაწყისი მოგვილოცა. ტრადიციული მოკითხვა-მიკითხვის შემდეგ ვანის ზონაში პირველ რიგში გადასაჭრელ ამოცანად რაიონის ცენტრში მეორე საშუალო სკოლის გახსნის აუცილებლობა დავაყენეთ, რაზედაც, ჩვენდა სამწუხაროდ, განყოფილების გამგის ვასო გიორგობიანის კატეგორიული უარი მივიღეთ, რის მოტივადაც მან დაასახელა: 1) სკოლების დაფინანსების ბიუჯეტში მოცემულ პერიოდში (თებერვალში) ცვლილების შეტანის შეუძლებლობა. 2) შენობაში, სადაც ჩვენ მეორე საშუალო სკოლის გახსნას მოვითხოვდით, ვ. გიორგობიანის თქმით, პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი პლატონ აბესაძე და რაიაღმასკომის თავმჯდომარე შოთა ჯოგლიძე, რაღაც „ცეხის" გახსნას აპირებდნენ. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩვენ ადგილზე მხარდამჭერების ძებნა უიმედოდ ჩავთვალეთ და გადავწყვიტეთ მიგვემართა განათლების სამინისტროსათვის. ფრიად არახელსაყრელ პირობებში რაიონის ხელმძღვანელობის წერილობით შუამდგომლობისა და თხოვნის გარეშე გავრისკეთ სასწავლო წლის ნახევარზე მეტის გავლის შემდეგ, ყოველგვარი ბიუჯეტის გარეშე დაგვეყენებინა საკითხი განათლების სამინისტროს წინაშე და მიგვეღწია ახალი დამოუკიდებელი საშუალო სკოლის დაფუძნებისათ-

ვის. ჩემი და დავითის რამდენიმე წუთიანი საუბრის შემდეგ ამ საქმის მოგვარება მე დამეკისრა. ქ. თბილისში ჩასვლისთანავე, პირველ რიგში, მივმართე განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსს ალექსანდრე კვაჭაძეს, რომელთანაც დიდი ხნის ნაცნობობა და მეგობრობა მაკავშირებდა. მე, როგორც განათლების განყოფილების გამგის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელ ინსპექტორს, განათლების სისტემის ქსელის ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცება წლების განმავლობაში მქონდა დავალებული. ბატონი ალექსანდრე დაგვპირდა სრულ მხარდაჭერას, თუ მინისტრი თამარ ლაშქარაშვილი არ იქნებოდა წინააღმდეგი. ამ საქმის მოგვარებაში ფასდაუდებელი სამსახური გამიწია საქართველოსა და სსრ კავშირის მასშტაბით პედაგოგიკის დარგში სახელგანთქმულმა მეცნიერმა, სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა დავით ონისიმეს ძე ლორთქიფანიძემ, რომელიც თავის მხრივ ძალზე მტკივნეულად განიცდიდა ვანის რაიონის გაუქმებას. მან ამ ძნელბედობის დროს გვერდში ამოიყენა თავისი ახლო მეგობრები, ასევე პედაგოგიკის დარგში „მძიმე წონის“ ანტელექტუალი, განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, ბატონი უშანგი ობოლაძე, რომლის კაბინეტში დაიწერა ვანის რაიონის ცენტრში მეორე საშუალო სკოლის გახსნის ბრძანება და დირექტორად დაინიშნა ვანის რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე გრიგოლ სამსონის ძე ძაგნიძე. მაიაკოვსკის რაიკომს და აღმასკომს რაიმე რეციდივები რომ არ მოეწყოთ, ბატონმა უშანგი ობოლაძემ და ბატონმა დავით ლორთქიფანიძემ საქმის კურსში შეიყვანეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილება. მართალია იყო წინააღმდეგობები, როგორც რაიონის, ასევე კიროვის სახელობის საშუალო სკოლის ხელმძღვანელობიდან, მაგრამ ამაზე ლაპარაკი უადგილოდ მიგვაჩნია“.

სკოლის მშენებლობის პროცესი

თავდაპირველად გაიხსნა რვაწლიანი სკოლა. სკოლას გადაეცა რაიონის ცენტრში არსებული საქ. კ. პ. ვანის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის შენობა. ვინაიდან დასახელებული შენობა სკოლისათვის არ იყო გათვალისწინებული, ჩატარდა მისი რეკონსტრუქცია, მოეწყო საკლასო ოთახები, შეძენილი იქნა საჭირო რაოდენობით სასკოლო ინვენტარი, შეიქმნა ფიზიკის, ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორიები, მოეწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები.

მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომმა 1963 წლის 27 ივნისს (ოქმი №15) მიიღო გადაწყვეტილება, დაბა ვანის 8 წლიანი სკოლის საშუალო სკოლად გადაკეთების შესახებ, რომელიც საქ.სსრ განათლების სამინისტროს შუამდგომლობით დაამტკიცა საქ.სსრ მინისტრთა საბჭომ და 1963-1964 სასწავლო წელს რაიონის ცენტრში დაფუძნდა მეორე საშუალო სკოლა, რომელსაც ეწოდა ღირსეული თანამემამულის, პოეზიის ტიტანის, გალაკტიონ ტაბიძის სახელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის ისტორიული პლენუმის შემდეგ აღმოფხვრილ იქნა რაიონების გამსხვილების მავნე პრაქტიკა და 1965 წლის პირველი იანვრიდან ვანის რაიონი აღდგენილ იქნა თავისი უფლებებით, რამაც უდიდესი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია ვანელ მშრომელთა შორის. შეიქმნა ხელმძღვანელი ორგანოები. საქ. კომპარტის ვანის რაიკომის მდივნად არჩეულ იქნა გამოცდილი პარტიული მუშაკი გივი ყიფიანი, მეორე მდივნად – გიორგი ჩახუნაშვილი. მშრომელთა დეპუტატების ვანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ კი დამტკიცებული იქნა ენერგიული მუშაკი ოთარ გიორგაძე.

რაიონის აღდგენასთან დაკავშირებით ვანის რაიკომისა და რაიაღმასკომის ყოფილი შენობა ისევ დაიკავეს ხელმძღვანელმა ორგანოებმა და სკოლა დროებით შესახლებული იქნა სასწავლო პროცესისთვის გამოუსადეგარ სამ: საბავშვო ბაღის, პიონერთა სახლისა და სტამბის ყოფილ შენობაში. ამრიგად, სკოლას მუშაობა მოუხდა ურთულეს პირობებში, თუმცა ეს მდგომარეობა, საბედნიეროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა. რაიონის ხელმძღვანელობის, განსაკუთრებით კი, პირველი მდივნის გ. ყიფიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან მოკლე დროში დაიგეგმა და დაიწყო ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა. სკოლის მშენებლობის დაჩქარების საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ვანის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების

გამგემ ბატონმა მიხეილ ხარძეიშვილმა (ჩვენი რაიონის მაიაკოვსკის რაიონისაგან გამოყოფის შემდეგ დაინიშნა ბატონი მიხეილი აღნიშნულ თანამდებობაზე). არ არის გასაკვირი, რომ ბატონი მიხეილი, რომელიც აღნიშნული სკოლის დაარსების იდეის ავტორი გახლდათ, არანაკლებ დაუღალავი ენერგიით ჩაერთო სკოლის ახალი შენობის აგების საქმეში.

მშენებლობას აწარმოებდა ქალაქ ქუთაისის მეოთხე სამშენებლო სამმართველო (მმართველი – ინჟინერი ნოდარ ჩაგიევი, უფროსი ინჟინერი გივი ჩუბუნიძე). სკოლის მშენებლობას აქტიური დახმარება გაუწია ქვედა ვანის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ჯემალ პროკოფის ძე აბრამიძე), ტობანიერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ელეფთერ იასონის ძე ღვინიანიძე, სოფელ ბზვანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე თეიმურაზ ხარძეიშვილი) და ცეკავშირის საწარმოო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა (დირექტორი რუბენ ისაკის ძე პაპიაშვილი).

სკოლის მატერიალური ბაზა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლის მშენებლობა დამთავრდა ძალიან მოკლე დროში (დაიწყო 1965 წლის ზაფხულში და დამთავრდა 1966 წლის სექტემბერში) ერთ წელიწადში. 1966-1967 სასწავლო წლისათვის გაშვებული იქნა ექსპლოატაციაში. (სამსართულიანი შენობა ორი კორპუსით). იგი შედგებოდა 22 ოთახისაგან, ამათგან 14 იყო საკლასო ოთახი, ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორია მეორე სართულზე განთავსდა, ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორია – მესამე სართულზე. სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, პიონერთა ოთახი, ბიბლიოთეკა – პირველ სართულზე. შემდგომში ცალკე აიგო შენობა ბუფეტისათვის. სკოლა უზრუნველყოფილი იქნა ავეჯითა და საჭირო რაოდენობის ინვეტარით, რომლის ღირებულება საინვენტარო ჩანაწერით შეადგენს 125721 მანეთს. მიუხედავად ამ დიდი სიხარულისა, რომ ახალი სკოლის შენობის ექსპლოატაციაში გასვლას ზეიმობდა მთელი პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და მშობლები, მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდის გამო სწავლების პროცესის ნორმალურად გამართვისათვის ოთახები არ შეიქნა საკმარისი, ამიტომაც სკოლა გადავიდა ორცვლიან სწავლებაზე. საჭირო იყო აუცილებლად მესამე კორპუსის მიშენება. საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა 1980-იან წლებში კვლავ დაექვემდებარა საფუძვლიან რეკონსტრუქციას.

კადრები

1963-1964 სასწავლო წლიდან 8 წლიანი სკოლის საშუალო სკოლად გარდაქმნასთან დაკავშირებით სკოლა დაკომპლექტებულ იქნა მაღალკვალიფიციური კადრებით. საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა გრიგოლ სამსონის ძე ძაგნიძე. დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში – ამბროსი მელიტონის ძე შენგელია, დირექტორის მოადგილედ საწარმოო სწავლების დარგში – კონსტანტინე მიხეილის ძე რამიშვილი, შემდგომში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში, შემდეგ ამ თანამდებობაზე დურმიშხან ხელაძე დანიშნეს.

სკოლა 1963 წლის აპრილში დაკომპლექტებული იქნა 12 კლასით და 277 მოსწავლით, აქედან I-IV კლასებში სწავლობდა 103 მოსწავლე, V-VIII კლასებში 174 მოსწავლე. რვა კლასი დაამთავრა 9 მოსწავლემ.

1964-1965 სასწავლო წელს, როცა 8-წლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად, სკოლა დაკომპლექტდა 14 კლასითა და 368 მოსწავლით. პირველ კლასში ჩაირიცხა 28 მოსწავლე. სკოლას ამ წელს გამოშვება არ ჰქონია, 1965-1966 სასწავლო წელს სკოლა დაკომპლექტებულ იქნა 15 კლასით, 405 მოსწავლით. საშუალო სკოლა დაამთავრა 86-მა მოსწავლემ. ოქროს მედლით დაჯილდოებული იქნა 5 მოსწავლე: შანიძე ჯონი, ჩიკვაშვილი ეფრემი, ჟვანია ბადრი, ტრაპაიძე ელიზა, ხარძეიშვილი ნუნუ. ვერცხლის მედლით კი 2 მოსწავლე: შენგელია იური და ნიკოლეიშვილი ციალა.

1966-1967 სასწავლო წელს სკოლა დაკომპლექტებულ იქნა 14 კლასით, 404 მოსწავლით. პირველ კლასში ჩარიცხულ იქნა 27 მოსწავლე. 8 კლასი დაამთავრა 30-მა მოსწავლემ. სა-

შუალო სკოლის ატესტატი მიიღო 53-მა მოსწავლემ. ვერცხლის მედლით დაჯილდოებულ იქნა ლორთქიფანიძე ზეინაბი. 1967-1968 სასწავლო წელს სკოლა დაკომპლექტებულ იქნა 16 კლასით, 402 მოსწავლით. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი მიიღო 63-მა მოსწავლემ. ოქროს მედლით დაჯილდოებული იქნა 2 მოსწავლე: ლასხიშვილი ნელი და მოშიაშვილი შოთა.

როგორც ვხედავთ, კონტინგენტის მატება შესამჩნევია და იგი, საბედნიეროდ, გრძელდებოდა გასული საუკუნის 90-იან წლებამდე. შემდეგ კი საოცარ კლებას ჰქონდა ადგილი, რომელიც ქვემოთ აღინიშნება.

სკოლას თავისი არსებობის პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა სპორტში, სკოლის ფეხბურთელთა გუნდი ორი წლის მანძილზე ვ. მარღანიას სახელობის თასის მფლობელი და რაიონის სკოლების ფეხბურთელთა შორის ჩემპიონი იყო. სკოლა გამოირჩეოდა თავისი შედეგებით ფრენბურთში, კალათბურთში, ჩოგბურთში და მძლეოსნობაში. მძლეოსნობაში თავი ისახელეს: ჯონი შანიძემ, ო. ნიკოლეიშვილმა, ც. ხელიძემ, ჭიდაობასა და სიმძიმეების აწევაში ზ. დვალიშვილმა. მაგიდის ჩოგბურთში და-ძმა ქ. და დ. ტრაპაიძეებმა. ველოსპორტში – იზოლდა შენგელიამ და თ. ჩახუნაშვილმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში და მეორე ადგილი დაიკავეს. სკოლა სამართლიანად ამაყობდა სახელოვან ფეხბურთელთა გუნდით.

აღნიშნული წარმატებების პერიოდში სკოლას ხელმძღვანელობდა ცნობილი პიროვნება ბატონი გრიგოლ ძაგნიძე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია – ორიოდე სიტყვა ვთქვათ რაიონისა და სკოლის წინაშე მის დამსახურებაზე.

გრიგოლ სამსონის ძე ძაგნიძე დაიბადა 1908 წელს სოფელ სალხინოში, იმ პერიოდისათვის საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. 1937 წელს დაამთავრა ქალაქ ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე, წლების მანძილზე მუშაობდა ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. 1959 წელს დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით და ორი მედლით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვანის რაიონის მაიაკოვსკის რაიონზე მიერთებამ ბატონი გრიგოლი უმუშევარი დატოვა. არ იქნება ზედმეტი თუ ვიტყვით, რომ გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის დაარსებაც რამდენადმე ბატონ გრ. ძაგნიძის დიდმა ავტორიტეტმაც განსაზღვრა. ბატონ გრიგოლს ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი – ქალბატონი დოდო ძაგნიძე და ზურაბ ძაგნიძე. ქალბატონი დოდო პროფესიით ექიმი-კარდიოლოგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე მთელი შემართებით იდგა რაიონის მოსახლეობის ჯამრთელობის სადარაჯოზე, ხოლო ძმა ზურაბი ინჟინერია. ინტერესმოკლებული არ იქნება თუ მოვიტანთ ქალბატონი დოდოს მოგონებას ღირსეულ მამაზე.

„ბატონ გრიგოლს არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობის, თითქმის არასდროს უწევდა ხმას. გამორჩეული ტემბრის ხმა ჰქონდა, საკმარისი იყო საუბარი დაეწყო და რაგინდ აღელვებული არ უნდა ყოფილიყო მსმენელი, მაშინვე ექცეოდა მისი გავლენის ქვეშ. საოცრად კეთილი ადამიანი იყო, არასოდეს არავის არაფერი შურდა. ყველა პედაგოგს ურჩევდა პირადი პრობლემა, განცდა, ტკივილი სკოლის გარეთ დაეტოვებინა და სკოლაში გაღიმებული, მშვიდი და გაწონასწორებული შესულიყო. ბატონი გრიგოლი იყო არაჩვეულებრივი, უბადლო თამადა, როგორ სუფრასთანაც არ უნდა დაგესვათ თამადად – ყველა ტიპის ადამიანის ხასიათს მოერგებოდა და მისი შეუდარებელი სადღერგძელოებით, სიმღერით სწრაფად იპყრობდა სუფრის წევრების ყურადღებას.“

ბატონი გრიგოლი პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა გ. ტაბიძის სახელობის №2 საშუალო სკოლის დირექტორად. ვის არ სმენია მისი ნათქვამი: „დირექტორს კიბეზე ასვლა რომ გაუჭირდება, იგი უნდა მოეშვას ამ საქმესო“. მალე მის ადგილზე თამარ ლასხიშვილი დაინიშნა. გრიგოლმა, რა თქმა უნდა, ყოველგვარი სინანულის გარეშე დატოვა თანამდებობა. მას ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია და ღვაწლმოსილი, ვალმოხდილი მიებარა მშობლიურ მიწას. წავიდა ჩვენგან ეს დიდებული პიროვნება, ნამდვილი პედაგოგი და ახალგაზრდების ჭკუის დამ-

რიგებელი. ხოლო მე ლუიზა ტაბიძემ, როგორც ამ წერილის ერთ-ერთმა ავტორმა შემიძლია გავიხსენო ჩემთვის ფრიად შთამბეჭდავი ფაქტი:

„როცა ინსტიტუტი დავამთავრე, ბატონ მიხეილ ხარძეიშვილის რეკომენდაციით მუშაობა დავიწყე ვანის კომკავშირის რაიკომში საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, მაგრამ საოცრად მსურდა სკოლაში მქონოდა ისტორიის გაკვეთილები. ბატონმა მიხეილმა სთხოვა ბატონ გრიგოლს – ხომ არ ექნებოდა რამდენიმე საათი ახალგაზრდა პედაგოგისათვის, მან მაშინვე დათმო თავისი მეათე კლასის ისტორიის გაკვეთილები და, სწორედ, მისი ასეთი კეთილშობილური მოქმედებით ფეხი შევდგი ამ სკოლაში. სულ მალე პენსიაზე გავიდა ბატონი მიხეილ გოგოძე (ისტორიის მასწავლებელი) და 1968 წლიდან საერთოდ გადავედი ისტორიის მასწავლებლად სრულ განაკვეთზე. ესეც უდიდესი ჰუმანური საქციელი იყო ბატონ გრიგოლ ძაგნიძისა.

ბატონი გრიგოლი უაღრესად განათლებული ადამიანი იყო. მუდამ მხნე, აუღელვებელი, იუმორის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, საოცრად ხავერდოვანი ხმა ჰქონდა, კარგი გემოვნება და მახვილი სმენა, ამიტომაც სიმღერაც ლაზათიანი გამოსდიოდა.

ბევრი რამ ვისწავლეთ ბატონი გრიგოლისაგან. ეხლაც ჩამესმის მისი სიტყვები: უსაზღვროდ გვყვარებოდა მშობელი ხალხი და ქვეყანა, მისი ისტორია, მისი ენა და კულტურა. „თუ შენი სოფელი, შენი სამშობლო არ გიყვარს, აბა, კურილიის კუნძულებს როგორღა შეიყვარებო“.

სასიამოვნოა რომ გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლა ღირსეულად აგრძელებს გრ. ძაგნიძის დაწყებულ საქმეს“.

ბატონ გრიგოლ ძაგნიძის საქმე პირნათლად გააგრძელა თამარ კლიმენტის ასულმა ლასხიშვილმა, დაიბადა 1933 წელს, წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ქალაქ ვანის №1 საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. 1970 წელს გადაყვანილი იქნა გ. ტაბიძის სახელობის №2 საშუალო სკოლის დირექტორად. ქალბატონმა თამარმა ჩვეული ენერგიით განაგრძო ბატონ გრიგოლ ძაგნიძის დაწყებული საქმე. მის დროს ძალიან დიდი წარმატებები ჰქონდა სკოლას, როგორც სწავლა-აღზრდის საქმეში, ასევე შრომით საქმიანობაში.

ქალბატონ თამარის დირექტორობის პერიოდში არ ყოფილა მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტიური დათვალიერება სარაიონო, ზონალური თუ რესპუბლიკური მასშტაბით, რომ ჩვენს სკოლას ყოველთვის წარმატებები არ ჰქონოდა. ამ საქმეში დიდი წვლილი აქვს სკოლის დააარსებიდან დღემდე უცვლელ ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელს გია გრიშაშვილს, იგი დღესაც წარმატებით ხელმძღვანელობს ამ საქმეს. რაც შეეხება სიმღერის გუნდს ამ პერიოდში მას ხელმძღვანელობდა ქუთაისელი ლევან ტყაბლაძე, თბილისიდან – გურამ ნამჩევაძე. ქალბატონ თამარ ლასხიშვილის შემდეგ, რომელიც 1981 წლის სექტემბრამდე ედგა სკოლას სათავეში, სკოლას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ შემდეგი დირექტორები: ალექსანდრე ნადირაძე – ფილოლოგი; გია მიქელთაძე – ისტორიკოსი; მურმან ეფრემიძე – ფიზიკოსი; პაატა ნარიაშვილი – ისტორიკოსი; ზურაბ ხელაძე – მათემატიკოსი, რადგან ზურაბ ხელაძე ზემოთ ჩამოთვლილი დირექტორებიდან ყველაზე დიდხანს ხელმძღვანელობდა გ. ტაბიძის №2 საჯარო სკოლას, ამასთან ერთად იყო გამორჩეული პიროვნებაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო ვრცლად ვისაუბროთ მისი სასკოლო ცხოვრების შესახებ.

1989 წლიდან 2015 წლამდე მოღვაწეობდა სკოლის დირექტორად ღირსმოსაგონარი ზურაბ ხელაძე (გარდაიცვალა 2016 წლის 18 ივლისს). გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე პედაგოგიურმა კოლექტივმა გაზეთ „საჩინოში“ გამოაქვეყნა ზურაბ ხელაძეზე მოგონება, სადაც ნათქვამი იყო – „იგი მუდმივად გვიტარებდა ზნეობის გაკვეთილებსო“. დიახ, პირველი რაც მაგონდება მის შესახებ გახლავთ მაღალი ზნეობა, შინაგანი კულტურა, მაღალი ინტელექტი და აკადემიური სტილი, როგორც სამსახურეობრივ, ისე პირად ცხოვრებაში. 90-იან წლებში, როცა ჩვენს ქვეყანაში ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი ჩამოშლილი გახლდათ, მისი ხელმძღვანელობით ჩვენს სკოლას შენარჩუნებული ჰქონდა როგორც გარეგნული, ისე შინაარსობრივი დონე. სკოლის კურსდამთავრებულის ვალოდია მსხილაძის შეწევნითა და ძალისხმევით

სკოლას რემონტი ჩაუტარდა. „ეს იყო არა მარტო სკოლისათვის, არამედ ირგვლივ მცხოვრები ადამიანებისათვისაც იმედის ნაპერწკლის გაჩენა.“

ზურაბ ხელაძის მოღვაწეობის პერიოდში პედაგოგიური კოლექტივი იყო ერთიანი, ერთი მიზნისაკენ მიდრეკილი და ეს მიზანი იყო სკოლის გაძლიერება, როგორც ინფრასტრუქტურის, ისე კადრების მხრივ. ჩვენი სკოლის პედაგოგები რაიონში პირველები ერთვებოდნენ ყოველ ახალ წამოწყებასა და ინიციატივებში. ჩამოსათვლელი ძალზე ბევრია, როგორც კურსდამთავრებულთა წარმატების მხრივ, ასევე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. ზურაბ ხელაძის ხელმძღვანელობისას სკოლას რამდენჯერმე აქვს მოპოვებული სახელმწიფო გრანტი. №2 საჯარო სკოლაში შეიქმნა რაიონში ერთადერთი ე.წ. „ჯეოსელის“ საკლასო ოთახი, სახელმწიფო გრანტით სკოლამ შეიძინა ,,ლოტო-კონოს ლაბორატორია“.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ სკოლაში წლების განმავლობაში მოხერხდა ახალგაზრდა თაობის შემოყვანა. ჩამოყალიბდა სკოლისათვის დამახასიათებელი კულტურა და ტრადიციები, რაც შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სკოლის ხელმძღვანელის ის პიროვნული მახასიათებლები, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ.

არ შეიძლება არ მოვიგონო ზურაბ ხელაძის დიდი ძალიხმევა, რომ სკოლას სააქტო დარბაზისათვის გადაცემოდა საქალაქო საბჭოს ძველი ადმინისტრაციული შენობა.

ხშირად მსმენია მის შესახებ, რომ იგი „სკოლისათვის იყო დაბადებული“, მაგრამ ვინც მას იცნობდა – ყველამ იცის, რომ ნებისმიერ საქმეში ჯერ იყო თავისთავისადმი მომთხოვნი და მერე სხვებისადმი, სამართლიანი და თავმდაბალი, კომპეტენტური ხელმძღვანელი. წლების მანძილზე ვანის ახალგაზრდობის ლიდერი (კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი) დიდად საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა პარტიის ვანის რაიკომშიც.

იყო რაიონული საკრებულოს დეპუტატი. ქალაქ ვანის საპატიო მოქალაქე, ნაადრევად წავიდა ჩვენგან, მაგრამ მას გაჰყვა თანამოქალაქეების, თანამშრომლებისა და მოსწავლეების, რაიონის საზოგადოების უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა.

გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლა ამჟამადაც რაიონის სკოლების ავანგარდში დგას. სასწავლებლის დირექტორს, ქალბატონ თეონა ადეიშვილს, პედაგოგიური მუშაობის საკმაო გამოცდილება გააჩნია. იყო ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი ქალაქ რუსთავის კერძო სკოლაში „მნათობი“ (2001-2006 წწ.), შემდეგ ინიშნება ამავე სკოლაში ორგანიზატორად, პარალელურად ასწავლის ქიმია-ბიოლოგიას (2007-2008 წწ.). 2009 წლიდან სამუშაოდ გადმოვიდა მშობლიური რაიონის სსიპ ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლაში. 2012-2016 წლებში აღნიშნული სკოლის ინკლუზიური განათლების მენეჯერია, ხოლო 2016 წელს ინიშნება გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლის დირექტორად. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, აქვს კომპიუტერული პროგრამების ღრმა ცოდნა.

სასწავლო პროცესს სკოლაში ახალგაზრდა დირექტორის ხელმძღვანელობით დღეს სანიმუშოდ წარმართავენ: სასწავლო ნაწილის გამგე, გამოცდილი და კვალიფიცირებული პედაგოგი ქალბატონი მანანა ქიმუცაძე, ლიტერატურის მასწავლებლები: ინული ადეიშვილი, ია არაბიძე, ლორიტა გრიშაშვილი, ვალერიანა ჩიხლაძე, ქეთევან ძაგნიძე.

სკოლაში საგნების სწავლებას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ანხორციელებდნენ ისტორიკოსები: ნატო მჟავია, ბელა ბოლქვაძე, ნინო მამასახლისი; მათემატიკოსები: გია დვალიშვილი, მზია ხელაძე, ნონა ძაგნიძე; გეოგრაფიის მასწავლებელი: ირმა შაპოვალოვი; ინგლისურის მასწავლებლები: ეკა ბურკაძე, ნინო სანიკიძე, სოფო მინაშვილი; გერმანულის მასწავლებელი – ენძელა შენგელია, რუსულის მასწავლებელი – ლია წულუკიანი, ქიმიის მასწავლებელი – ელზა ხურციძე, ფიზიკის – მასწავლებელი – ირინე ლორთქიფანიძე, ფიზაღზრდის მასწავლებლები: ნონა მამასახლისი, ვალერი როხვაძე – ცნობილი მწვრთნელი მძლეოსნობაში, იგი წლების მანძილზე წარმატებულად წვრთნის ვანის სარაგბო გუნდს, მისი აღზრდილები თამაშობენ ქვეყნის სხვადასხვა კლუბებში, ხოლო ზოგიერთ მათგანს ჩატარებული აქვს თამაშები ქვეყნის ნაკრებშიც, მუსიკის მასწავლებელი თამარ ებანოიძე, ხელოვნების – მალხაზ კიკვაძე; სპეცმასწავლებლები: თამთა ბელთაძე, რუსუდან აბრამიძე.

დაწყებითი კლასების მასწავლებლები: ლილი ეფრემიძე, ნინო ბიბილეიშვილი, ნათია დვალიშვილი, ლელა დვალიშვილი, თეა ნიკოლეიშვილი... მოსწავლეთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფას ემსახურება ექიმი მზია ხელაძე, ტექნიკური მუშაკები: მზია ხურციძე, ავთანდილ ძაგნიძე. წიგნის პროპაგანდას ეწევა, ბიბლიოთეკარი – ნათია ფრუიძე, მოძრაობის წესებსა და უსაფრთხოებას მიხეილ პირველაშვილი ასწავლის.

მომავალი თაობების სწავლა-აღზრდის საშვილიშვილო საქმეში გ. ტაბიძის №2 საჯარო სკოლის პედკოლექტივი თავის ღირსეულ სიტყვას ამბობს.

ახლახან სკოლას ჩაუტარდა სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, განხორციელდა 2 მილიონიანი პროექტი, რის შედეგადაც მივიღეთ ევროპული დონის სკოლა თანამედროვე ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვილი. სკოლას გააჩნია 20 კეთილმოწყობილი საკლასო ოთახი, სპორტდარბაზი, სააქტო დარბაზი, ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიები, სამზარეულო, ექიმის ოთახი, ბიბლიოთეკა.

ბოლო წლებში სკოლამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სპორტის სხვადასხვა სახეობებში. მაგალითად, ჭადრაკში (ათ წლამდე ასაკში) ვასილ შაპოვალოვი გახდა ჭადრაკის ფედერაციის თასის მფლობელი 10 წლამდე მოჭადრაკე ვაჟთა შორის, იმერეთის ჩემპიონი 12 წლამდე მოჭადრაკე ვაჟთა შორის, საქართველოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი 10-დან 12 წლამდე მოჭადრაკე ვაჟთა შორის, ევროპის ჩემპიონატების ორგზის მონაწილე და საერთაშორისო ტურნირების (თურქეთის, ბათუმის, თბილისის) მრავალგზის გამარჯვებული. ასევე დიდი მიღწევები აქვს მეცხრე კლასის მოსწავლე – მარიამ ბელთაძეს (მწვრთნელი – ავთანდილ ძიგვაშვილი), მძლეოსან გოგონათა გუნდმა სირბილში დასავლეთ საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ხსენებული სკოლის კურსდამთავრებული ნიკა ძიგვაშვილი არის სანტიაგოს უნივერსიტეტის 100%-იანი გრანტის მფლობელი. სასწავლებელში შექმნილია ფიზიკოსთა კლუბი, რომელიც მონაწილეობდა საქართველოს საჯარო სკოლებს შორის გამართულ ინოვაციების კონკურსში, შექმნეს მაღალი მედეგობის მეხანძრის ტანსაცმელი, რის გამოც დამსახურებულად დაიკავეს მეორე ადგილი. მე-12 კლასის მოსწავლემ თიკა ბერიშვილმა გაიმარჯვა ამერიკულ პროგრამაში „ფლექსი“. ის ერთი წლით გაივლის სწავლებას აშშ რომელიმე პრესტიჟულ სკოლაში.

სიამაყის გრძნობით გვავსებს ისიც, რომ ამ სახელოვანი სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე თორნიკე თევზაძე, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქართველოში ინგლისურენოვან ბანაკში, 600 (ექვსასი) მოსწავლიდან საუკეთესო ოცეულში მოხვდა და, როგორც ეროვნული ოლიმპიადის გამარჯვებული, მიემგზავრება ინგლისში სამი კვირით, ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე.

სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი (ნიკო კეცხოველის პრემიის ფარგლებში) მიმდინარე პროექტებში. დიდი სიხშირით ხორციელდება მწვანე აქტივობები, რის გამოც მიღებული აქვთ მადლობის სიგელები და დიპლომები.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლის ხუთმა მასწავლებელმა: ქეთევან ძაგნიძემ, თეონა ადეიშვილმა, ირმა შაპოვალოვმა, ნატო მჟავიამ, ლელა დვალიშვილმა გაიარეს გარე დაკვირვების გაკვეთილები.

სკოლაში ფუნქციონირებს ოთხი კლუბი; „ფიზიკოსთა კლუბი“, „მკითხველთა კლუბი“, სამოქალაქო განათლების კლუბი – „მთიები“, „პიკა“ – პატარა აღმომჩენთა კლუბი.

2016 წელს ამ სკოლაში 330 მოსწავლე სწავლობდა, 2018-2019 წელს – 390, ხოლო ახალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონტინგენტი, ხელმძღვანელობის ვარაუდით, შესაძლებელია 450-მდე გაიზარდოს. აქტიური სასკოლო ცხოვრება კვლავაც გრძელდება.

ინდირა გოგოძე – ჟურნალისტი
გიორგი ივანიაძე – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტი
აკაკი კორძაძე – პედაგოგი, მუქედის საჯარო სკოლის დირექტორი

მუქედის თემი

მუქედის თემი ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც მოიცავს ორ სოფელს: ქვედა მუქედი და ზედა მუქედი. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 50-160 მეტრზე. ვანის ცენტრიდან თემის ცენტრამდე (ქვედა მუქედი) 9 კმ-ია, ხოლო სოფლის ბოლო წერტილამდე – „საწურბლიამდე“ 12 კმ. (გადმოცემის თანახმად, ამ ტერიტორიაზე ხალხი წურბელებს იჭერდაო). თემი განფენილია იმერეთის სამხრეთი მთისწინეთის მუქედის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ყუმურის ხეობაში, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება გაღმა ვანი – დიასამიძეების უბანი (მიეკუთვნება ქალაქ ვანის ადმინისტრაციულ ერთეულს), სამხრეთ-დასავლეთიდან – სოფლები მიქელეფონი და ტობანიერი, ხოლო ჩრდილოეთიდან – სოფელი შუამთა. თემის საერთო ფართობი 230 ჰექტარს შეადგენს. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით თემის მოსახლეობა შეადგენს 580 ადამიანს, მათ შორის 288 კაცი და 292 ქალი.

სოფელ შუამთიდან 1,5 კმ. გავლის შემდეგ ე.წ. „გოგიტელას გორიდან“ (როგორც ამბობენ, აქ მდ. ყუმურის პირას ცხოვრობდა თურმე ვინმე გოგიტა და ადგილსაც „გოგიტელას გორი“ უწოდა ხალხმა) იწყება სოფელი ქვედა მუქედი და გრძელდება ზედა მუქედით 6კმ-ზე „საწურბლიამდე“.

გადმოცემის თანახმად, თემის სახელი წარმოშობილია „მუხების ქედიდან“, რადგან წინათ ამ ტერიტორიაზე გაუვალი მუხნარი არსებულა და რიგ საარქივო წყაროებშიც სახელწოდებაც ამნაირადაა დაფიქსირებული. ისტორიულად ეს ტერიტორია ჩიჯავაძეების სამფლობელოში შედიოდა და, გადმოცემის თანახმად, ახლად ჩამოსახლებულ აზნაურ გოგოძეთა ოჯახისათვის უბოძებიათ, რომელნიც რიგ მიზეზთა გამო რაჭიდან ჩამოსახლებულან და ამ ტერიტორიაზე დასახლებულან. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როდესაც თავად-აზნაურობამ ძალაუფლება დაკარგა, შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, საკუთრებაში არსებული მიწები რეალიზაციაში მოაქციეს და მიწების გასხვისება დაიწყო, აზნაურ გოგოძეებს პირველი ადგილ-მამული ივანიაძეების გვარისთვის მიუყიდიათ, ამიტომ მაღლობ-ქედებისაგან შემდგარ სოფელში ამ გვარს შედარებით ვაკე ადგილი აურჩევია და იქ დასახლებულან. ამ ფაქტმა თითქოს საფუძველი დაუდო სოფელში გვართა ცალკ-ცალკე უბნებად განსახლებას და დღეს ამ გვარსახელიანი უბნებით ადვილია სტუმრად მოსული კაცის დაკვალიანება. დღეისათვის თემში ძირითადად ცხოვრობენ შემდეგი გვარები: ქვედა მუქედში – რამიშვილები, გუმბერიძეები, ბოლქვაძეები, მსხილაძეები, მინაშვილები, კორძაძეები და ივანიაძეები, ხოლო ზედა მუქედში – ნანობაშვილები, კორძაძეები, გოგოძეები, ხუციშვილები, ოჩხიკიძეები, ჭაფოძეები და თევზაძეები. საერთო გვარის ოჯახები გვერდი-გვერდ ცხოვრობენ და შესაბამისად თემშიც უბნები გვარების მიხედვითაა სახელდებული: ქვედა მუქედში არის რამიშვილების, გუმბერიძეების, მინაშვილების, მსხილაძეების და ივანიაძეების, ხოლო ზედა მუქედში – კორძაძეების, ნანობაშვილების, ოჩხიკიძეების, ხუციშვილების და გოგოძეე-

ბის უბნები. დასტურდება, რომ სოფელი იმდენად მრავალრიცხოვანი და მჭიდროდ დასახლებული იყო, გვართა საგნებლებით უფრო ხერხდებოდა ოჯახებისა და პიროვნებათა იოლად პოვნა. აქედან, ზედა მუქედში მცხოვრები კორძაძეების საგნებელია „კატაჭედიები", „კიტამუნები" და „ღელე-ღელემჭერიები". ქვედა მუქედში კი მინაშვილების საგნებელია „მეტუტიები", „ნაცარქექიები", ხოლო ივანიაძეების – „ლელო". სოფლის ტოპონიმებია: გაბურდულები, ლუბრენი, ტუბუცა, კვახედა, „აბანოს ხრამი", „ივანიაძეების წყარო".

საქართველოში მიმდინარე პროცესები სოფლის ცხოვრებაზეც ადეკვატურად აისახებოდა – 1917 წლის რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ. საარქივო დოკუმენტური მასალები იძლევიან დასკვნებს იმაზე, რომ სოფლის მაცხოვრებელნი ჩართულნი ჩანან 1905-07 წლების რევოლუციაშიც. დაფიქსირებულია ფაქტები, სოფლის ტერიტორიაზე არალეგალური შეკრებების ჩატარებისაც და იყვნენ ცალკეული პირებიც, რომლებიც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ მითითებული რევოლუციის პროცესებში.

გასაბჭოება მუქედში 1930 წელს მოხდა. რადგან სოფლის ადმინისტრაციისათვის შენობა არ გააჩნდათ, სინო ბახტაძისათვის ჩამორთმეული პატარა მარანის შენობა დაიდგა კანტორად. 1930 წელს მუქედში შეიქმნა ორი კოლმეურნეობა: ზედა მუქედის – მ. კალინინის სახელობისა და ქვედა მუქედის – ე. ტელმანის სახელობის. კოლმეურნეობის თავმჯდომარეები იყვნენ ივანე კორძაძე და სიმონ გეგიძე. 1947 წელს გაერთიანდა ზედა და ქვედა მუქედის კოლმეურნეობები და მისი თავმჯდომარე გახდა პეტრე ხუციშვილი. 1974 წელს ჩამოყალიბდა შუამთის საბჭოთა მეურნეობა, რომელშიც გაერთიანდა მუქედის, შუამთის და ციხესულორის კოლმეურნეობები (შემდგომში აგრო უბნები).

1930-იანი წლებიდან (ვანის რაიონის შექმნიდან) 1990 წლამდე მუქედის თემს ხელმძღვანელობდნენ: 1. პარმენ კორძაძე, 2. პოლიკარპე ნაფეტვარიძე, 3. იონა კორძაძე, 4. მიშა ნაფეტვარიძე, 5. აპოლონ ბაზიარი, 6. გიგლა ლორთქიფანიძე, 7. კოლია რამიშვილი, 8. შალვა რამიშვილი, 9. ემელიანე მამფორია, 10. ლავრენტი ივანიაძე, 11. დავით ოჩხიკიძე, 12. გიორგი კორძაძე, 13. ვილგემ სულაბერიძე, 14. გივი სურგულაძე, 15. მამია ოჩხიკიძე, 16. დავით მინაშვილი, 17. მურად შარაშენიძე, 18. ნოდარ ქართველიშვილი.

1990 წლიდან 1998 წლამდე მუქედის თემის სათავეში იყვნენ: 1. ანზორ ივანიაძე, 2. ცეზარ ოჩხიკიძე, 3. თამაზ ქიმუცაძე, 4. რამაზ აბულაძე (აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტი), 5. ოთარ ბენიამინის ძე ნანობაშვილი და 6. ნაირა ადეიშვილი-კორძაძე.

1998 წელს საქართველოში ჩატარდა პირველი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომლის შედეგებითაც მუქედის თემის საკრებულოში არჩეულ იქნენ: ნათელა კორძაძე, გიორგი ივანიაძე, ივანე კორძაძე, ივანე გეგიძე, ცეზარ ოჩხიკიძე, მზია რამიშვილი და მირანდა გოგოძე. საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნათელა კორძაძე, რომელმაც ამ პოსტზე 2002 წლამდე იმუშავა. 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად მუქედის თემის საკრებულოში არჩეულ იქნენ: გიორგი ივანიაძე, ივანე გეგიძე, ნუგზარ ნანობაშვილი, ჯემალ მსხილაძე და ცეზარ ოჩხიკიძე. საკრებულოს თავმჯდომარე და იმავდროულად თემის გამგებლები იყვნენ: გიორგი ივანიაძე (2002-2004) – დღეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ივანე გეგიძე (2004-2006). 2006 წლიდან თემის ხელმძღვანელს (ყოფილი ,,გამგებლის რწმუნებული", ამჟამად „მერის წარმომადგენელი") ნიშნავს ვანის მუნიციპალიტეტის მერი. 2006 წლიდან დღემდე ამ თანამდებობაზე მუშაობს ავთანდილ გუმბერიძე.

2006 წლიდან მუქედის თემი ირჩევს საკუთარ წარმომადგენელს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. თემს საკრებულოში წარმოადგენდნენ: ნუგზარ ნანობაშვილი (2006-2010), ლაშა გუმბერიძე (2010-2014) და ივანე კორძაძე (2014-დან – დღემდე).

მუქედის თემში ფუნქციონირებს ერთი თორმეტწლიანი საჯარო სკოლა (ზედა მუქედში) და საბავშო ბაღი (ქვედა მუქედში).

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, კერძოდ, 1942 წლის ზაფხულზე სოფელში გაიხსნა საბავშვო ბაღი. ომის დროს სოფელს მუშახელი უჭირდა, ძირითადად ქალებს დააწვა მძიმე ტვირთი ოჯახსა თუ კოლექტივის ველ-მინდვრებზე (აქვე აღვნიშნავთ, რომ დიდ სამამულო ომში სოფლიდან გაიწვიეს 270 და დაბრუნდა 140 ადამიანი). ამიტომაც კლიმენტი გუმბერიძემ და ლუბა კორძაძემ (მაშინდელ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით) გადაწყვიტეს ბაღის გახსნა და გახსნეს კიდეც ქვედა მუქედის ცენტრში მდებარე გიორგი ახობაძის სახლში, რასაც სოფელი დიდი სიხარულით შეხვდა. საბავშვო ბაღმა 3-4 წელი იარსება და ომით გამოწვეული უმძიმესი მატერიალური პირობების გამო ფუნქციონირება შეწყვიტა. გავიდა წლები და დღის წესრიგში დადგა საბავშვო ბაღის აღდგენის საკითხი. ამ იდეის ხორცშესხმის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მაშინდელი განათლების განყოფილების გამგეს პავლე კორძაძეს, შუამთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ოთარ გიორგაძეს, რომელიც სარემონტო მასალებით დაეხმარა ბაღს. ასევე საქმეში აქტიურად იყო ჩართული სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დავით მინაშვილი. საბავშვო ბაღი 1976 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა. ბაღის გამგედ დაინიშნა ნათელა საულისასული კორძაძე, რომელიც დღესაც ამ ბაღის გამგეა (ბაღს 1998-2002 წლებში ხელმძღვანელობდა აწგარდაცვლილი მზია რამიშვილი). თავდაპირველად ბაღი ერთჯგუფიანი იყო, 3-6 წლის ასაკამდე ბავშვებით დაკომპლექტებული. ბაღი დღესაც ფუნქციონირებს, თუმცა არ გააჩნია საკუთარი შენობა და დროებით შეხიზნულია თემის ადმინისტრაციულ შენობაში (ადრე განთავსებული იყო სოფლის მაღაზიის ყოფილ შენობაში). დღეისათვის საბავშვო ბაღს მხოლოდ 10 აღსაზრდელი ჰყავს. 1988 წელს, რაიონის ფინანსური მხარდაჭერით, სოფელ ქვედა მუქედის ცენტრში საფუძველი ჩაეყარა ახალი ორსართულიანი კაპიტალური ბაგა-ბაღის მშენებლობას, რომელიც ძირითადში დასრულების სტადიაში შევიდა 1990 წლისათვის, სადაც გათვალისწინებული იყო მაქსიმალური პირობები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღზრდისა და მოვლისათვის. 1990 წლის ბოლოდან საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური ფორმაციის ცვლილებების შემდეგ, მის დამთავრებაზე არავის უზრუნია. დასრულებული შენობა თითქმის გაიძარცვა და მისი რესტავრაცია ფაქტიურად რთულია. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლისთვის დაგეგმილია სოფელ ქვედა მუქედის ცენტრში ახალი თანამედროვე ბაღის მშენებლობა.

მუქედში, გასაბჭოებისა და კოლექტივიზაციის ჩამოყალიბებისთანავე, შეიქმნა კულტურის ერთი კერა ქოხსამკითხველოს სახელწოდებით, რომელსაც პედაგოგი ოლია გუმბერიძე ხელმძღვანელობდა, 1941 წლიდან კი - ვენერა გოგოძე. სასოფლო კლუბი უფრო მოგვიანებით გახსნილა და შეთავსებით კვლავ ქ-ნ ვენერა გოგოძეს გაუგრძელებია მუშაობა 1961 წლამდე. შემდეგ ბიბლიოთეკა და კლუბი გაიყო. ბიბლიოთეკის გამგედ კვლავ ვენერა გოგოძე იყო. შემდეგ კი იყვნენ მამედ გუმბერიძე, იზოლდა გიორგაძე. სოფელს ერთი ბიბლიოთეკა ვეღარ აკმაყოფილებდა და მოსახლეობის მოთხოვნით ზედა მუქედში სკოლასთან ახლოს კიდევ ერთი ბიბლიოთეკა გაიხსნა, რომელსაც ტობანიერელი გულნარა უღრელიძე ხელმძღვანელობდა. 1995 წელს მოხდა ბიბლიოთეკების შემცირება და ზედა მუქედის ბიბლიოთეკა შეუერთდა ქვედა მუქედისას. ვენერა გოგოძე ბიბლიოთეკას ემსახურა 1982 წლამდე, ხოლო შემდეგ ინგა ივანიაძემ გააგრძელა მუშაობა, 1994-2000 წწ. ბიბლიოთეკის გამგე დალი გვენეტაძე იყო. დღეს კი ეს კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრები, სამწუხაროდ, აღარ არსებობენ.

1890 წლამდე სოფელში სწავლა-განათლების მიღების საშუალება ფაქტობრივად არ არსე-

ბობდა, მუქედელ ბავშვთა, იმ პერიოდისათვის მცირე კონტინგენტს, წერა-კითხვა შუამთაში, გომში ან ვანში უნდა ესწავლათ. ღვთის წყალობით გამოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სკოლის დაარსებას და მოსახლეობის სწავლა-განათლების საქმეს. ამას ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიის უმაღლეს ინსტანციებში მიღებულმა გადაწყვეტილებამაც, რომლის საფუძველზეც სასულიერო დაწესებულებანი დაავალდებულეს ხელი შეეწყოთ სამრევლო ერთ-ორ კლასიანი სკოლების დაარსებისათვის. მუქედში ამ საქმის ინიციატორი კი გახდა ივანე სოლომონის ძე კორძაძე, ამ პატრიოტი ადამიანის შესახებ ცნობებს გვაწვდის მისივე შვილი (აწგარდაცვლილი) ლუბა ივანეს ასული კორძაძე-გუმბერიძისა.

ივანე სოლომონის ძე კორძაძე დაიბადა 1850 წელს სოფელ მუქედში ღარიბი გლეხის ოჯახში. დედა ადრე გარდაეცვალა და მამასა და დედინაცვალს აღუზრდია. მიუხედავად ხელმოკლეობისა, ივანეს დიდი ინტერესი გამოუჩენია სწავლისადმი და ქალაქ ქუთაისში მოუხერხებია შესაბამისი განათლების მიღება. სოფელში დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე და ალისტრახო კორძაძეების და გერმანე გოგოძის ოჯახებში შეუკრებია ახალგაზრდობა და წერა-კითხვას ასწავლიდა მათ. მეტად საინტერესო ისტორია უძღვის წინ ამ სკოლის დაარსებას. აქ არსებულ ეკლესიას სამრევლო სკოლის დაარსების უფლება არ ჰქონია, მაგრამ ივანეს დიდი შრომისა და ჯაფის მეოხებით მიზნისათვის მაინც მიუღწევია. ქუთაისის გუბერნიის განათლების ინსპექტორი, ვინმე კაზნაჩოვი მას „გრანდ ოტელში“ დაუთვრია და წინასწარ მომზადებულ საბუთებზე ხელი მოუწერინებია, სკოლის შენობის შესაძენად კი საკუთარი ყანა დაუგირავებია. 1890 წლიდან მას ეკლესიასთან ახლოს აუგია ერთსართულიანი პატარა შენობა და სამრევლო სკოლა გაუხსნია. მარტო ასწავლიდა ერთდროულად I, II და III კლასებს. ეს მოღვაწეობა გაუგრძელებია 1923 წლამდე. ამ წელს კი სოფლის მშრომელებს, მაშინდელი სახელმწიფო პროგრამიდან გამომდინარე, აუგიათ ოროთახიანი სკოლის შენობა და სკოლის გამგედ დაუნიშნავთ სამტრედიის რაიონის სოფელ გომის მცხოვრები მიხაკო სტეფანეს ძე გეგეშიძე. შემდეგში სკოლას ხელმძღვანელობდა შუამთელი გერვასი ილარიონის ძე გოგაძე, 1928-1934 წწ. სკოლის გამგედ მუშაობდა სოფელ მუქედის მკვიდრი თამარ გერმანეს ასული კერელეიშვილი, 1934-1939 წწ. - კლიმენტი თევზაძე, 1942-1944 წლებში დირექტორია ქუთაისელი მარგალიტა მიხეილის ასული ბაბუხადია, 1945-1951 წწ. – ირიდიონ ბიქტორის ძე კორძაძე, 1951-1979 წწ. – დავით იონას ძე მინაშვილი, 1979-1991 წწ. – მეთოდე ევაკის ძე კორძაძე. 1991 წლიდან სკოლის დირექტორია აკაკი რევაზის ძე კორძაძე.

გადმოცემით ცნობილია, რომ სკოლა 1931 წლიდან გადაკეთდა ოთხწლიან სასწავლებლად, 1935 წლიდან – შვიდწლიან სკოლად, 1946 წლიდან – რვაწლიანიად, შემდეგ კი ცხრაწლიანი გახდა. 2007 წლიდან მუქედის არასრული საშუალო სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად (თორმეტწლიანად), რაც მუქედის მკვიდრის, ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ივანე პეტრეს ძე კორძაძის დამსახურებაა.

1961 წელს დაიწყო სკოლის კაპიტალური შენობის მშენებლობა და დამთავრდა 1964 წელს. სკოლის შენობა წინა მხრიდან ორსართულიანია, ხოლო უკანა მხრიდან სამსართულიანი. ყოფილი ხის შენობა გადაეცა მაშინდელ შუამთის საბავშვო ბაღს. სკოლაში მოღვაწე მასწავლებელთა და ტექნიკურ მუშაკთა შესახებ წერილობითი ცნობები მოიპოვება 1950 წლიდან.

2005 წელს მუქედის სკოლამ მიიღო მონაწილეობა განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში და გაიმარჯვა, რის შედეგადაც 2005-2006 წწ. ჩაუტარდა სსიფ-ის (საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი) პროგრამით გათვალისწინებული კაპიტალური შეკეთება.

დღეისათვის მუქედის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდას ემსახურება 18 პედაგოგი: აკაკი კორძაძე (დირექტორი), ნუნუ თვალაბეიშვილი, მარო ჯოგლიძე, ლეილა

არველაძე, ლია მამფორია, ზაირა ბაკურაძე, ხათუნა კორძაძე, ვარლამ ნანობაშვილი, რომეო ხუციშვილი, ნათელა კორძაძე, ელდარ ჩახუნაშვილი, მადონა კორძაძე, ნუნუ სიმონია, შურა ჯოგლიძე, მაია ცხვარაძე, ეკატერინე მანჯავიძე, ეკატერინე მაჭარაშვილი და ფირუზ მინაშვილი. აქედან ათი უფროსი პედაგოგია.

სკოლის პედაგოგი ნუნუ თვალაბეიშვილი დაჯილდოებულია ღირსების მედლით, ხოლო ყოფილი პედაგოგი (ხელოვნების მასწავლებელი) აწგარდაცვლილი რაჟდენ გუმბერიძე – ღირსების მედლითა და ორდენით.

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხუთი საგნობრივი კათედრა. სკოლას აქვს ცენტრალიზებული გათბობა და რესურს-ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, ფოტო, ვიდეო, აუდიო აპარატურით.

საქართველოს ვანის რაიონმა ბევრი ცნობილი და გამოჩენილი პიროვნება შემატა. ამაში თავისი მცირეოდენი წვლილი ამ პატარა თემმაც შეიტანა. მუქედის თემში ცხოვრობდნენ ნიჭიერი და განათლებული ადამიანები. ასეთები იყვნენ: საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საზღვრების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი დავით გუმბერიძე, რომელიც დაჯილდოებული იყო ორი ორდენით და ცხრა მედლით (1933-1993), მხატვარი, ცნობილი გრაფიკოსი, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული რაჟდენ გუმბერიძე, ექიმი მურთაზ ივანიაძე (1947-2018), რომელიც არა მარტო სოფლისთვის, არამედ მთელი რაიონისთვის იყო ცნობილი, როგორც სიტყვით მკურნალი, როგორც უანგაროდ მსახური დიდისა თუ პატარასი; ექიმი, რომელიც წლების განმავლობაში იმყოფებოდა ვანის რაიონული საავადმყოფოს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, რითაც დაამტკიცა კიდევაც მისი პროფესიონალიზმი და ერთგულება ჰიპოკრატეს ფიცისა; რომელსაც სწამდა, რომ ადამიანმა თავისი არსებობის მანძილზე უანგაროდ უნდა აკეთოს, რაც შეიძლება ბევრი სიკეთე. იგივე შეიძლება გავიმეოროთ ქირურგ გურამ იობიძეზე; ასევე აღსანიშნავია ცნობილი მომღერალი ზაურ ჭაფოძე; სამხედრო პირი დემურ რამიშვილი, რომელიც მსახურობდა ჯერ გერმანიაში განლაგებული საბჭოთა ჯარების ჯგუფში და შემდეგ ქუთაისში 1985 წლამდე; სოფელ შუამთიდან სოფელ ქვედა მუქედის ცენტრამდე პირველი ასფალტ-ბეტონის გზის დაგებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოფლის მკვიდრს აწგარდაცვლილ ვაჟა ივანიაძეს. ასევე, სოფელს განსაკუთრებული დახმარება გაუწია ამავე სოფლის რიგითმა მცხოვრებმა ოთარ ბენიამინის ძე ნანობაშვილმა, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოს მცირე ხნით ხელმძღვანელობდა სოფელ მუქედს. მან უდიდესი წვლილი შეიტანა სოფლის კეთილმოწყობასა და გალამაზებაში, სოფელს ემსახურებოდა საკუთარი სამგზავრო ავტობუსით, ბავშვებისთვის ააგო საცურაო აუზი, მოაწესრიგა სოფლის გზა და წყალმომარაგების სისტემა. ეს ხდებოდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში – მაშინ, როცა არცერთ სოფელში მსგავსი არ კეთდებოდა, და ამ ყველაფერს ბატონი ოთარი საკუთარი ძალისხმევით და ინიციატივით ახორციელებდა. ის არის ქველმოქმედების ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რაც იშვიათი იყო იმდროინდელ საზოგადოებაში.

რაიონში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდნენ: შადიმან კორძაძე (ვანის უშიშროების სამსახურის უფროსი), სოსო კორძაძე – ვანის სამხედრო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკი, შოთა კორძაძე (ვანის რაიონის გამგებლის თანაშემწე, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი), კახა რამიშვილი (ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე 2014-2017 წწ.) პეტრე კორძაძე (ვანის საპროექტო ბიურო), გია გოგოძე

(ვანის კაბელების საქსოვი ფაბრიკის ხელმძღვანელი), ოთარ ვარლამის ძე ნანობაშვილი (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი 1990-იანი წლების მეორე ნახევრის მოკლე პერიოდში), გრიგოლ ოჩხიკიძე (სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი), ირაკლი ჭაფოძე (ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი 2015-2017 წწ, რაიონული კულტურის სახლის დირექტორი 2017-2018 წწ). მერაბ კორძაძე (ვანის 46-ე მოძრავ-მექანიზერებული სამშენებლო კოლონა, სამუშაოთა მწარმოებელი 1984-90), ონოფრე ნანობაშვილი (ვანის 46-ე მოძრავ-მექანიზირებული სამშენებლო კოლონის ინჟინერი); ვანის საფეხბურთო კლუბ „სულორის" კარს წლების მანძილზე (მე-20 საუკუნის 70-იან წლებში) იცავდა ჯემალ რამიშვილი.

ამჟამად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა გიორგი ივანიაძე (2002-2004 წლებში მუქედის თემის საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი), ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრს 2005 წლიდან ხელმძღვანელობს ივანე პეტრეს ძე კორძაძე. ქართულ პოეზიასთან წილნაყარი კაცი, რომელსაც გამოცემული აქვს საკუთარი მშვენიერი ლექსების ორი კრებული. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვანი-ბაღდათის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს აფხაზეთის ომის მონაწილე დავით დვალიშვილი, სასაზღვრო პოლიციის ახალციხის №2 ვალეს სამმართველოს უფროსია ვიტალი რამიშვილი. მუქედლები არიან: მუსკომედიის თეატრის მსახიობი, პოპულარული მომღერალი ლაშა რამიშვილი და რუსთაველის თეატრის მსახიობი და რეჟისორი ედმონდ მინაშვილი, ასევე ტელეჟურნალისტი სოფო ოჩხიკიძე, ცნობილი ადვოკატები – ზვიად კორძაძე და ნუგზარ გუმბერიძე. აღსანიშნავია ვაჟთა ტრიო „იმერეთი", რომლებმაც არაერთი წარმატება მოიპოვეს ფესტივალებზე, მათ შორის გრან-პრი ბაქოში გამართულ ფესტივალზე (წევრები – ძმები შოთა და პავლე რამიშვილები და ცოტნე კორძაძე, ხელმძღვანელი – იური კორძაძე.

2008 წლის აგვისტოს ომი მძიმედ აისახა სოფლის ცხოვრებაზე, რადგან ამ ომს შეეწირა ჩვენი სოფლის მკვიდრი მიხეილ (მიშკა) დვალიშვილი. ეს რთული ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა 2011 წელს ავღანეთში აისაფის (ISAF-საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები) მისიაში მონაწილე ჯარისკაცის ლავროსი (ლაშა) ივანიაძის ტრაგიკულმა დაღუპვამ. მიხეილ დვალიშვილი და ლავროსი ივანიაძე ჩვენი დროის გმირები არიან. ისეთივე, როგორებიც საუკუნეების განმავლობაში იბადებოდნენ და იზრდებოდნენ ჩვენს სამშობლოში. მიშიკო სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის სამხედრო-საინჟინრო ასეულში მსახურობდა. იგი დანარჩენ თექვსმეტ ქართველ ჯარისკაცთან ერთად შინდისის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ლავროსი (ლაშა) ივანიაძემ კი კოლეჯში ჩაბარებიდან რამდენიმე თვეში მიხვდა, რომ სამხედრო სამსახურში უნდა გაეგრძელებინა საქმიანობა. იმყოფებოდა ერაყში, ხოლო 2011 წელს ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულების დროს დაიღუპა. ამ გმირების სახელების უკვდავსაყოფად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების გიორგი ივანიაძისა და ივანე კორძაძის ინიციატივით, საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერით, სოფელ ქვედა მუქედში და სოფელ ზედა მუქედში არსებულ იმ ქუჩებს, სადაც გაიზარდნენ მიხეილ დვალიშვილი და ლაშა ივანიაძე, მათი სახელები მიენიჭა.

შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე სოფლის დღევანდელი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაუსაქმებელია, ამიტომ სოფელი განიცდის მოსახლეობის გადინებას დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ. იმატა პენსიონერთა რიცხვმა და იკლო შობადობამაც. სოფელში

გაიზარდა ნასახლართა რაოდენობა, სოფლის ახალგაზრდობის ასაკობრივი აღრიცხვის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს.

სოფელში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ვაზი (ძირითადად ცოლიკ-ოური და იზაბელა), თხილი და სხვადასხვა ხეხილიც. თუ ვინმეს ამ სოფელთან ოდნავ მაინც ჰქონია შეხება, ეცოდინება, რომ მუქედის სავიზიტო ბარათი ყოველთვის იყო ბლის საუკეთესო ჯიშებით გამშვენებული ეზოები თუ ფერდები. ამიტომ ხშირად მას (განსაკუთრებით ზედა მუქედის გოგოძეების უბანს) „ბლების ქვეყანას“ უწოდებდნენ. ეს „წითელი ოქრო“ იმდენად დიდ მოსავალს იძლეოდა, რომ ოჯახს ერთ სეზონზე თავისუფლად შეეძლო სახლი აეშენებინა ან მინიმუმ ავტომანქანა შეეძინა. აგრეთვე, სოფელი განთქმულია იმითაც, რომ აქ თითქმის ყველა ოჯახს ყავს მოშენებული თხების ჯოგი (არვე). 2011 წელს სოფელს სტუმრობდა, ვაშინგტონის შტატიდან ჩამოსული ქალაქ პროსერის მერი ჩარლი ბუში (ცნობისათვის, ქ. პროსერი (აშშ) გიორგი ივანიაძემ 2011 წელს დაუძმობილა ვანს), რომელიც გაოცებული დარჩა იმ მოულოდნელობით, რაც საკუთარი თვალით იხილა. აქ მცხოვრებნი დღესაც დიდი სიამოვნებით აგრძელებენ სტუმარ-მასპინძლობის ამ საუცხოო ტრადიციას, რაც დღეისათვის პროპაგანდირებულ ტურიზმის საკითხებში უცილობლად იტყვის თავის სიტყვას. აგრეთვე, მუქედის დაბალ გორაკებზე შეგიძლიათ იხილოთ ცხვრის ფარაც, რაც ასევე არის ამ სოფლის საერთო აღწერილობის ნაწილი და თავისებურად თვალწარმტაცს ხდის აქაურ გარემოს. სოფელს აქვს ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სადაც ძირითადად სიმინდის კულტურა მოჰყავთ.

2013-14 წლებში სოფელ შუამთიდან სოფელ ქვედა მუქედის ცენტრამდე დაიგო ახალი ასფალტობეტონის გზის საფარი, ხოლო 2015-2016 წლებში სოფელ ზედა მუქედში მდებარე სკოლის შენობამდე დაიგო ბეტონის ახალი გზა (უნდა აღინიშნოს, რომ აქ ანალოგიური გზა არც საბჭოთა პერიოდში არსებულა). უახლოეს პერიოდში დაგეგმილია გზის დაგება „საწურბლიამდე“.

2012 წლიდან „სოფლის დახმარების პროგრამით“ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა: შეკეთდა ხიდები და ბოგირები, უბნებში მოწესრიგდა შიდა გზები და გარე განათება; ელექტრო და გაზმომარაგების მდგომარეობა გამართულია 2009 წლიდან. მაგალითად, ცენტრის, მინაშვილების, ივანიაძეების, რამიშვილების, მსხილაძეების, ნანობაშვილების, კორძაძეების უბნების მიმდებარე ტერიტორის მოსახლეობა გაზიფიცირებულია. ხუციშვილების და გოგოძეების უბანში კი აღნიშნული სამუშაო დასრულების სტადიაშია.

სოფელ ზედა მუქედში მდებარეობს მე-17 საუკუნით დათარიღებული, მთავარანგელოზთა – მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესია. ტაძარს 2010 წელს რესტავრაცია ჩაუტარა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტომ და იმავე წლის 21 ნოემბერს ტაძარში ღვთისმსახურება აღსდგა. ტაძრის მოძღვრად ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტ მეუფე ანტონის მიერ ხელდასმულ იქნა მღვდელი ალექსი როხვაძე.

მუქედის თემის ტრადიციული დღესასწაულებია „დადექობა“ და „მარიამობა“. საეკლესიო ახალ წელი ანუ ინდიქტიონი – 14 სექტემბერი, რომელიც სოფელში „დადექობის“ სახელით ანუ საერო დღესასწაულად დამკვიდრდა. ამ დღესასწაულს ძირითადად მთელი სოფლის მცხოვრებნი ხვდებიან თავიანთ ოჯახებში ზეიმითა და უამრავი სტუმრებით. ამ დღეებში სოფელი ერთ პატარა გასტრონომიულ ქალაქს ემსგავსება და ძირითადად დღესასწაულის მადლით, ხვავისა და ბარაქის მომტან შემოდგომას მოელიან. ამ დღეს ყველა ოჯახი დიდ

სამზადისშია. იკვლება საკლავი, კეთდება ტრადიციული კერძები, მზადდება უამრავი ტკბილეული, იშლება სუფრა და წინასწარ არავინ იცის რამდენი სტუმარი ეწვევა. ყველა ოჯახის კარი ღიაა, თითოეული ოჯახი ცდილობს გააკეთოს შესაძლებლობის მაქსიმუმი, რათა ერთი წლის მანძილზე არ მოაკლდეთ ხვავი და ბარაქა. მთელ სოფელში ისმის სიმღერის ხმა, ცეკვა-თამაში. ამ დღეს მუქედში ყველგან სასიამოვნო მხიარულება სუფევს.

რაც შეეხება მარიამობას, როგორც ვიცით 28 აგვისტო წმინდა მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღეა. ამ დღეს ნაწილობრივ ზედა, მაგრამ განსაკუთრებით, ქვედა მუქედში აღნიშნავენ. ყველა ცდილობს მარიამობას („მარიობას“) სუფრადამშვენებული შეხვდეს სტუმრებთან ერთად. ამ ტრადიციას უფრო ღრმა ფესვები აქვს. ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში, როცა ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვა იკრძალებოდა, ეს დღესასწაული ქვედა მუქედში, მაშინაც ყოველთვის აღინიშნებოდა. დღეს კი საბედნიეროდ, მოსახლეობა ამ დღეს ტაძარში მიდის, წმინდა მარიამს საღმრთო ლიტურღიაზე აღვლენილი ლოცვით ავედრებენ თავიანთ ოჯახებს. ღვთისმშობელს შესთხოვენ მშვიდობას, სიხარულს, ბედნიერებას, ხვავსა და ბარაქას. საღამოს კი სტუმრებთან ერთად სუფრას მიუსხდებიან. ამ დღეს განსაკუთრებით მოუცლელები არიან ქალბატონები, რომლებმაც საღამომდე ყველაფერი უნდა მოასწრონ (საოჯახო საქმეები, ეკლესიაში წასვლა, სადღესასწაულო ვახშამი, და ბოლოს გულთბილად სტუმრების მიღება), მაგრამ ყოველი დღესასწაულის სასწაული ის არის, რომ ისინი ამ ყველაფერს ასწრებენ და რაც მთავარია აკეთებენ ხალისით, დიდი რუდუნებით, რადგან მათ ესმით ამ დღესასწაულის სიდიადე, გრძნობენ დედაღვთისას შემწეობას და სრულიად საქართველოს შეავედრებენ უფლის დედას იმ პატარა, მთიანი სოფლებიდან, რომელთაც ზედა და ქვედა მუქედი ჰქვია.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“

მადლობას უხდის:

– ბატონ **ბიჭიკო პაიკიძეს** – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს (დეპუტატს), ახალგაზრდა წარმატებულ ბიზნესმენს „მატიანეს“ მე-16 ნომრის გამოცემაზე ფინანსური დახმარებისათვის, კაცს, რომელსაც დიდებულად აქვს გაცნობიერებული ქველმოქმედების ძალა, მადლი და ყადრი.

– ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს.

– „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.

– „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.

– სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.

– მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი – ომარ კაპანაძე (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

თეიმურაზ სურგულაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

უჩა დვალიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლუკა დვალიშვილი – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

რედაქტორ–გამომცემელი – **ბეჟან წაქაძე**
ზაურ თათვიძე

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე.**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე.**

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძე**

კრებულში გამოქვეყნებულ მასალების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი

კრებული გამოდის 2014 წლიდან

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „მბმ-პოლიგრაფის“ მიერ
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54